თეა დულარიძე

ელჩობა ძველ აღმოსავლურ ტრადიციასა და ჰომეროსის ეპოსში

ლოგოსი
2016

ნიგნი მოგითხრობთ ელჩობის ინსტიტუციის ფორმირებისა და განვითარების შესახებ ძველ აღმოსავლეთსა და ჰომეროსის ეპოსში. ელჩობა, რომელიც შორეული ნარსულიდან იღებს დასაბამს და აქტუალურია ყველა ეპოქაში, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობს კაცობრიობის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსამდელ ხმელთაშუაზღვისპირეთში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული დიპლომატიური ურთიერთობები, ელჩობის ფენომენი მთელი თავისი ნიუანსებით ყველაზე უფრო რელიეფურად ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა. ჰომეროსის პოემებში აისახა მედიტერანულ სივრცეში დაგროვილი ცოდნა, რომლის მსგავსება-განსხვავებების კვლევასაც ცდილობს ავტორი.

ნიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე. წ. დიპლომატიური სიტყვებისა და სცენების სტრუქტურის ანალიზს, ასევე დიპლომატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს – მჭევრმეტყველების ეფექტს, რომელმაც დასაბამი მისცა რიტორიკის ხელოვნების განვითარებას ჯერ ანტიკურ სამყაროში, შემდეგ კი ევროპულ სივრცეში.

დიპლომატია და ელჩობის ინსტიტუტი არა მხოლოდ ფილოლოგებისა და ისტორიკოსების, არამედ კულტუროლოგების კვლევის საგანია. ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს როგორც დიპლომატიის ისტორიის მკვლევართათვის, აგრეთვე ძველი სამყაროს, კერძოდ კი, ანტიკური ცივილიზაციით დაინტერესებული მკითხველისათვის.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო პროფ. რისმაგ გორდეზიანს ნიგნის მომზადების პროცესში განეული მნიშვნელოვანი კონსულტაციებისათვის. დიდ მადლობას მოვახსენებ რედაქტორებს, პროფ. ნანა ტონიას და ფილოლოგიის დოქტორს, თამარ ჭეიშვილს, რეცენზენტებს – პროფ. რუსუდან ცანავას, პროფ. ქეთევან ნადარეიშვილს, პროფ. მანანა ფხაკაძეს, რეზიუმეს ინგლისური ტექსტის მთარგმნელს, ფილოლოგიის დოქტორს, ელენე ტატიშვილს, „ლოგოსის“ თანამშრომლებს – ალექსანდრე ჯიქურიძეს, გოჩა კევლიშვილსა და დავით მუჯირს მხარდაჭერისა და უანგარო დახმარებისათვის. ასევე მადლიერება მსურს გამოვხატო ჩემი კოლეგების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების მიმართ, რომელთა თანადგომასაც მუდამ ვგრძნობდი.

რედაქტორები: **ნანა ტონია**
თამარ ჭეიშვილი

რეცენზენტები: **ქეთევან ნადარეიშვილი**
რუსუდან ცანავა
მანანა ფხაკაძე

დაკაბადონება და დიზაინი: **ალექსანდრე ჯიქურიძე**

© პროგრამა „ლოგოსი“, 2016
© თეა დულარიძე, 2016

ISBN 978-9941-468-06-3

შინაარსი

შესავალი 6

ელჩობა ჰომეროსამდელ ხმელთაშუაზღვისპირეთში

ნაწილი I 11

დიპლომატიის ასპექტები ძველ აღმოსავლურ ტრადიციაში

შუმერულ-აქადური დიპლომატიის სათავეებთან 12

ბაბილონის საგარეო ურთიერთობები.

ძველბაბილონური ხანა 33

ბაბილონი კასიტების მეფობის ხანაში 38

დიპლომატია ძველ ეგვიპტეში 44

თელ ელ-ამარნას წყაროები 50

ხეთური დიპლომატია 63

ეგვიპტისა და ხათის სამშვიდობო ხელშეკრულება 77

დიპლომატიური ურთიერთობები აქქიჲავასა და ხეთების

იმპერიას შორის 83

ელჩობასთან დაკავშირებული ტერმინები მიკენურ B-ხაზოვან

დოკუმენტებში 100

ჰომეროსის ეპოქა

ნაწილი II 112

ჰომეროსის ანუ გეომეტრიული ეპოქის პანორამისათვის 113

ელჩობის აღმნიშვნელი ტერმინები ჰომეროსთან და

ჰომეროსის შემდგომ ტრადიციაში 121

უკვდავი და მოკვდავი ელჩები ჰომეროსის ეპოსში 150

ელჩობა „ილიადის“ IX სიმღერის მიხედვით 191

დიპლომატიური სიტყვების აგებულებისათვის „ილიადასა“ და

„ოდისეაში“ 208

დასკვნა 256

გამოყენებული ლიტერატურა 261

სახელთა საძიებელი 294

შესავალი

XXI საუკუნეში ხალხებისა და ქვეყნების ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს პროფესიული დიპლომატია ასრულებს. მრავალი ისეთი საკითხი, რომლებიც წარსულში უკომპრომისო დაპირისპირებით ან ომით უნდა გადაწყვეტილიყო, ჩვენს თანამედროვეობაში მოლაპარაკებებითა და შეთანხმებით სრულდება. უხსოვარი დროიდან დღემდე კაცობრიობამ ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო გზა განვლო. მეცნიერები აქადელთა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მიღწევად იმას მიიჩნევენ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში სწორედ აქადური ენა გახდა მაშინდელი ე. წ. საერთაშორისო ენა, რომელსაც დიდხანს გამოიყენებდნენ ძველ აღმოსავლეთში. ამას არაერთი ჩვენამდე მოღწეული წერილობითი დოკუმენტი მოწმობს. საკმარისია, მაგალითად მოვიყვანოთ ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის, კერძოდ, რამსეს II-სა და ხათუსილი III-ს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ამ დიპლომატიურმა შეთანხმებამ ძვ. წ. XIII საუკუნეში რადიკალურად შეცვალა კონფრონტაციული პოლიტიკა და ჩვიდმეტწლიანი უშედეგო ომი საბოლოოდ ქვეყნების მმართველთა სამშვიდობო მოლაპარაკებით დასრულდა.[1] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ელჩობის ინსტიტუტი მთელი თავისი ნიუანსებით ძველ სამყაროში ყველაზე უფრო რელიეფურად საბერძნეთში ჩამოყალიბდა. სწორედ ანტიკურ საბერძნეთში განვითარებული ელჩობის ფორმები და ტრადიციები ჯერ რომმა, შემდეგ კი ევროპამ იმემკვიდრა. ამდენად, დღესაც აქტუალურია იმ საკითხების კვლევა, თუ რა გზა გაიარა საუკუნეების განმავლობაში ევროპულმა დიპლომატიამ, რომლის მთავარ ამოცანას და, რა თქმა უნდა, ღირებულებას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, დემოკრატიის ხარისხის ამაღლება და ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს.

[1] Межгосударственные отношения и дипломатия на древнем востоке 1987, 49-56.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბერძნებს არ ჰქონდათ ენაში თანამედროვე ტერმინის – „დიპლომატიის“ – ეკვივალენტი, მათ მაშინ შეძლეს განევითარებინათ ის საქმიანობა, რომელიც დღეს შეიძლება პროფესიულ დიპლომატიად მივიჩნიოთ. მასში ვგულისხმობთ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხერხებს, მოლაპარაკების წარმოების ხელოვნებას, მხარეთა შეთანხმების მიღწევის ძიების გზებს, ელჩების გაცვლას, მათ ხელშეუხებლობას, ეტიკეტს, მჭევრმეტყველების ხელოვნებას და ზოგადად ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინთა ერთობლიობას. ტერმინი „დიპლომატია“ გვიანანტიკურობაში დადასტურებული ელჩის სიგელის (δίπλωμα) სახელწოდებიდან მომდინარეობს, რომელიც დაახლოებით სამოგზაურო „პასპორტის“ ფუნქციას ასრულებდა და საზღვრის გადაკვეთისა და უცხოეთში გადასვლის უფლებას აძლევდა მფლობელს (*evectio* - Cod. Ius. 12, 50).[2]

თუკი ევროპული დიპლომატიის ფორმირებასა და განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი ანტიკურმა სამყარომ შეასრულა, თავად ანტიკურობისათვის ამ მიმართულებითაც, როგორც მრავალ სხვა სფეროში, მთავარ ინსპირატორად ჰომეროსი მიიჩნევა. მის პოემებში როგორც ტერმინოლოგიურ, ასევე სამოქმედო ეპიზოდების დონეზე უხვად გვხვდება ის ინფორმაცია, რომელსაც დიპლომატიის ტრადიციების ჩამოყალიბებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჰომეროსის ეპოსში აკუმულირებული იყო ის ცოდნა, რომელიც ძველი მედიტერანული ცივილიზაციების ნიაღში დაგროვდა. ამდენად, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ჰომეროსის ტრადიციაზე, მასში იგულისხმება საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა, რომელიც გეომეტრიული ეპოქის პოეტმა ალბათ სრულიად სხვადასხვა გზით მიიღო: ეპიკური თუ წერილობითი წყაროებიდან, სახელმწიფო გაერთიანებებსა თუ ხალხებს შორის ურთიერთობების პრაქტიკიდან, ზეპირი თუ დაწერილი კანონებიდან და რაც მთავარია, უმდიდრესი მითოლოგიური ტრადიციიდან. ამ მემკვიდრეობაში გარკვეულწილად იგულისხმება როგორც

[2] DNP 2000, III, 683.

ეგეოსური ბრინჯაოს ხანის ტრადიცია, ასევე ძველი აღმოსავლური ცივილიზაციები.

ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ჩავუღრმავდეთ დიპლომატიის ტენდენციებს ძველი აღმოსავლეთის თითოეულ ქვეყანაში და დეტალურად მოვიძიოთ ინფორმაცია B-ხაზოვანი დოკუმენტებიდან, რაც, ვფიქრობთ, ცალკე კვლევის საგანია. ჩვენი ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აისახა ელჩობის ფენომენი მთელი თავისი მრავალფეროვნებით ჰომეროსის ეპოსში. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ელჩობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰომეროსამდელ ხმელთაშუაზღვისპირეთში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო, შეიძლება სავსებით დაბეჯითებით ითქვას, რომ ელჩთა მხატვრული სახეები პირველად სწორედ ჰომეროსის პოემებში შეიქმნა. უფრო გვიან კი ჰომეროსის გავლენით ბერძნული დრამისათვის ეს პერსონაჟები ერთგვარ ტიპურ მოვლენად იქცა. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ელინური ეპოქის შემდგომ მხატვრულ ლიტერატურაში ამ ფენომენის როლი აშკარად და რადიკალურადაც კი შემცირდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეულწილად საზოგადოებაში დემოკრატიულობის ხარისხის საოცარ კლებასთან იყო დაკავშირებული. თუ არ ჩავთვლით ღვთაებრივ მაცნეებს, რომლებიც ნებისმიერი ხალხის მითოლოგიაში არიან წარმოდგენილნი, მანამდე „დიპლომატიის“ ფაქტორის მხატვრულ განზოგადებას არსად არ მიუღია ისეთი მასშტაბი, როგორც ეს ჰომეროსის ეპოსში აისახა.


როდესაც ელჩობაზე ვმსჯელობთ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა მთელი სპექტრი, რომლებიც ასრულებენ ცალკეულ სახელმწიფოთა, მოკვდავებსა თუ უკვდავებს შორის ინფორმაციის გადამცემთა და მომლაპარაკებელთა ფუნქციას. შესაბამისად, ბერძნულ ეპოსში გვაინტერესებს ყველა ის სცენა და ფიგურა, რომელთაც ჩვენ მიერ განსახილველ ნაწარმოებთა კონფლიქტების სტრუქტურებში სხვადასხვა როლი აკისრიათ – დაწყებული უბრალო შიკრიკიდან უმაღლესი დიპლომატიური მისიის მქონე პირებით დამთავრებული.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ ჰომეროსამდელი ტრადიციის მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც ჰომეროსის ეპოსში მრავალმხრივი დიპლომატიური ასპექტების კვლევისას დაგვეხმარება. მართალია, ამ პრობლემატიკას ეძღვნება გარკვეული თვალსაზრისით არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ ჯერჯერობით კლასიკურ ფილოლოგიაში არ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ერთიანად შეისწავლის ელჩობის ფენომენს ჰომეროსის ეპოსში აღმოსავლური და მიკენური ტრადიციის გათვალისწინებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიის ისტორიის თითქმის ყველა სასწავლო კურსში ადამიანთა საქმიანობის ამ სფეროს ჰომეროსისეულ ინტერპრეტაციაზე მიუთითებენ. მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ ჰომეროსთან საკმაოდ მრავალმხრივად არის წარმოჩენილი, თითქოსდა ეპოსისაგან საკმაოდ დაშორებული ფენომენი – „დიპლომატია“. განსაკუთრებულ ყურადღებას მკვლევარები „ილიადის“ IX სიმღერაში – აქილევსთან ელჩობის ეპიზოდს უთმობენს. მათ შორის აღსანიშნავია, ო. ცაგარაკისის ჟურნალ „ჰერმესში“ გამოქვეყნებული ნაშრომი – „აქაველთა ელჩობა და აქილევსის რისხვა“ (1971), ტ. ტარკოვის სტატია – „აქილევსის პასუხი ელჩობას“ (1982) და დ. ლომანის საყურადღებო კვლევა „ილიადის“ IX სიმღერის შესახებ (1970). რაც შეეხება გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს, საკმაოდ ინფორმაციულია ფ. ადკოკისა და დ. მოსლის წიგნი „დიპლომატია ანტიკურ საბერძნეთში“ (1975), რომლის მცირე ნაწილიც ჰომეროსთან ასახულ დიპლომატიურ ასპექტებსაც ეხება. მასში მიმოხილულია ეპოსში ექსპონირებული ელჩობის ის მეთოდები, რომელთა საფუძველმაც ხელი შეუწყო უფრო გვიან პროფესიული დიპლომატიის ჩამოყალიბებას. აგრეთვე, საინტერესოა კ. ჯონსის ფუნდამენტური ნაშრომი „სახალხო დიპლომატია ანტიკურ სამყაროში“ (1999), სადაც ავტორი ელჩობის ინსტიტუტის განვითარების საწყისებს სწორედ ჰომეროსთან მიმართებით განიხილავს. ანტიკურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დ. მოსლის უფრო სიღრმისეულად აქვს გამოკვლეული ელჩობის პროცედურები და დეფინიციები მონოგრაფიაში „ელჩები და დიპლომატია ანტიკურ საბერძნეთში“ (1973), რომელშიც

ცდილობს იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის კონტექსტში მოაქციოს არსებული წყაროები. კლასიკურ ათენში კი უმაღლესი სოციალური და რელიგიური მდგომარეობის შიკრიკებს მოსლი ჰომეროსთან მოხსენიებულ ამავე ფუნქციის მატარებელ პერსონაჟებს ადარებს.

წიგნი ორ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველში განვიხილავთ ჰომეროსამდელ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მიკენურ აქქიჲავას, ანუ იმ ძირითად ბაზისს, სადაც ჩამოყალიბებულ ტრადიციას ჰომეროსის ეპოქამდე შეეძლო მოეტანა მეტ-ნაკლებად ინფორმაცია გმირთა ეპოქაში ელჩობის ფორმებისა და მნიშვნელობის შესახებ. ნაშრომის მეორე ნაწილი კი მთლიანად ეთმობა ჰომეროსის ეპოსს, სადაც შევეცდებით, ეს ფენომენი სხვადასხვა ასპექტით გამოვიკვლიოთ – დაწყებული ტერმინოლოგიიდან ე. წ. დიპლომატიური სიტყვებისა და სცენების სტრუქტურის ანალიზით დასრულებული. ამ სცენების ანალიზი საკმაოდ საინტერესოა თავად დიპლომატიის კულტურის ჩამოყალიბებისა და ამ ფუნქციის მატარებელი პერსონაჟების სტატუსისა და დანიშნულების გააზრების თვალსაზრისით. ჩვენი კვლევის შედეგებს დასკვნით თავში განვაზოგადებთ.

ელჩობა
ჰომეროსამდელ ხმელთაშუაზღვისპირეთში



ნაწილი I

დიპლომატიის ასპექტები

ძველ აღმოსავლურ ტრადიციაში

შუმერულ-აქადური დიპლომატიის სათავეებთან

ძვ. წ. III-II ათასწლეულებში შუამდინარეთში პირველი სახელმწიფოები ყალიბდებოდა. შესაბამისად, ხშირად იცვლებოდა მათ შორის ურთიერთობები და დამოკიდებულება. ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს კი, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო გზებისა და საირიგაციო არხების ზედამხედველობა განსაზღვრავდა. საქონლის გაცვლა ხდებოდა შუამავლების საშუალებით ან დიდი შორეული სავაჭრო ექსპედიციებით, როცა მმართველები ნადავლს ძალის გამოყენებითა და დამორჩილებით მოიპოვებდნენ. სავაჭრო გზებზე კონტროლს სწორედ ძლიერი ქვეყანა ინარჩუნებდა. თუმცა ვარაუდობენ, რომ დაპყრობითი ომების გარდა, მხარეებს შორის არსებობდა მოლაპარაკების პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქარავანთა თავისუფალი მოძრაობის შეთანხმებული გარანტიები. მეორე განმსაზღვრელი ფაქტორი ადრედინასტიურ შუამდინარეთში ადვილად დასამუშავებელი და ნაყოფიერი მიწის გამო მეტოქეობა იყო. ვრცელ ტერიტორიაზე მცირე ნაწილი თუ გამოდგებოდა სოფლის მეურნეობისათვის. იმის გამო, რომ მშრალი და ცხელი ჰავის პირობებში არაფერი ხარობდა, ძველი შუამდინარეთის მიწა დასერილი იყო საირიგაციო არხების ხშირი ქსელით. არხების გაყვანას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმდროინდელი მოსახლეობაც. ნებისმიერი ასეთი არხი არა მარტო დიდ მატერიალურ ღირებულებას წარმოადგენდა, არამედ ის იყო პრესტიჟის საგანიც (ისევე, როგორც მოგვიანებით ქალაქის კედლები). ხშირად ეს ფაქტი წელთაღრიცხვის დასაწყისიც ხდებოდა. ამ კოლოსალური სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო ათასობით ადამიანის გაერთიანება. ისტორიკოსების აზრით, სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა თემისა და სახელმწიფოს წარმოშობა და ათასწლეულების მანძილზე მათი თითქმის უცვლელი სახით შენარჩუნება. სასაზღვრო არხები ხშირად დაპყრობის მთავარ ობიექტს წარ-

მოადგენდა, რადგანაც მათი საკუთრება სიმდიდრის დაგროვებასაც გულისხმობდა.[1] სწორედ სავაჭრო გზებისა და არხების ზედამხედველობა განსაზღვრავდა საშინაო და საგარეო ურთიერთობების ხასიათს შუამდინარეთში. ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ, გამუდმებით იბრძოდნენ პირველობისათვის.

ძვ. წ. IV ათასწლეულიდან შუამდინარეთი ინტენსიურ ვაჭრობას აწარმოებდა ირანის მთიანეთთან. არსებული მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონტაქტები მყარდებოდა სუსასა და სპარსეთის ყურეს გავლით.[2] ძვ. წ. III ათასწლეულში ჩამოტანილი საქონლის უმეტესი ნაწილი ხვდებოდა შუამდინარეთში უკვე ვაჭრობის შედეგად და არა ხარკისა და ნადავლის სახით.[3] საგარეო ვაჭრობის განვითარებამ დააჩქარა შუმერული ცივილიზაციის განვითარება, რომლის გავლენაც გასცდა სამხრეთ შუამდინარეთის საზღვრებს. ვაჭრების წყალობით გაფართოვდა შუმერული ლურსმნული დამწერლობა, რელიგია და ანგარიშის სისტემა.[4] ლაგაშის ადმინისტრაციული დოკუმენტები მოწმობს, რომ ეს ქალაქი დიდ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც შემოჰქონდათ ქსოვილი, მარცვლეული, თევზი, საქონელი, მცენარეული და ცხოველური ცხიმი, ხე, სპილენძი, კალა, ტყვია და ვერცხლი.[5] თუმცა ვაჭრებს გაჰქონდათ დიდი კულტურა, რომელიც შუამდინარეთში ყალიბდებოდა – მითები, თქმულებები, სიმღერები, ფიცი, ანდაზები, რწმენა და ცოდნა თავიანთი ხალხისა. თავად ეს ფაქტი კარგად ჩამოყალიბებულ სავაჭრო სისტემაზე მიუთითებს. მართალია, ამის შესახებ არაფერია ცნობილი დოკუმენტურ წყაროებში, მაგრამ აღნიშნულ ფაქტორებზე ჩვენამდე მოღწეული ეპიკური ტექსტები მიგვანიშნებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ენმერქარის ირგვლივ შექმნილი მითების ციკლი, რომელშიც ასახულია შუმე-

[1] Дьяконов 1982, 4.

[2] Beale 1973, 5 (2).

[3] Crawford 1973, 5 (2).

[4] Белицкий 1980, 327.

[5] Lambert 1953, 47.

რის ადრეული ისტორიის ზოგიერთი რეალური ეპიზოდი. შუმერული „სამეფო სიის“ თანახმად, ენმერქარი იყო მზის ღმერთის, უთუს შვილიშვილი, ურუქის დამაარსებელი და ამავე დროს გილგამეშის ერთ-ერთი წინაპარი. მის სახელთანაა დაკავშირებული დამწერლობის წარმოშობაც შუმერში. ენმერქარს „ნათქვამი სიტყვა სოლებად უქცევია, თიხის ზედაპირზე აღუბეჭდავს“.[6] პოემაში „ენმერქარი და არათას ქურუმი“ აღწერილია ის სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც შუმერის ქალაქებსა და მის აღმოსავლეთით მდებარე არათას ქვეყანას შორის ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარში არსებობდა. ურუქს, რომელიც სამხრეთ შუამდინარეთში, ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარეობდა, მართავდა სახელოვანი შუმერი გმირი ენმერქარი. შუმერულ ლიტერატურაში ეს პოემა უძველესია. მის პოპულარობაზე ისიც მიგვითითებს, რომ ტექსტის 20 ფირფიტა და ფრაგმენტებია აღმოჩენილი. ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიური ურთიერთობების კვლევისას განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მხარეებს შორის კავშირი მაცნის საშუალებით მყარდებოდა და რაც მთავარია, მისი ჩარევის აუცილებლობა სწორედ უკვდავის ნებით ხდებოდა. საინტერესოა, რომ იგივე ასპექტები ჰომეროსის სიუჟეტისთვისაცაა დამახასიათებელი, რაზეც უფრო დაწვრილებით მისი პოემების კვლევისას ვიმსჯელებთ.

არათას სამეფო, რომელსაც უხსოვარ დროში შუმერთან გაუთავებელი მტრობა ჰქონდა, განთქმული იყო ლითონისა და სამშენებლო ქვების სიმდიდრით, რაც ძალიან აკლდა ურუქს.[7]

---

[6] კიკნაძე 1979, 16.

[7] ნაწარმოები იწყება ურუქისა და ქულაბას (ქულაბა – ჯერჯერობით არ არის იდენტიფიცირებული ქალაქი) განდიდებით. ქულაბა ურუქთან ახლოს მდებარეობდა და ამ ქალაქ-სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. პოემის მიხედვით, ეს ქალაქები იყო უფრო ლამაზი, უფრო დიდი და ძლიერი, ვიდრე არათა, რომელიც ურუქის ჩრდილოეთში, შორეულ ირანში მდებარეობდა. ურუქსა და არათას ერთმანეთისაგან შვიდი მთაგრეხილი აშორებდა.

ამ ქვეყნის სახელი „არათა“ შუმერულ ენაში იმავე სემანტიკის შემცველია, რაც ჩვენთვის „უცხო და საუცხოო“ (კიკნაძე 1979, 6).

ენმერქარმა არათელების დამორჩილება გადაწყვიტა. „ერთხელ, დიდი ხნის წინათ“ ენმერქარი შეევედრა თავის დას, სიყვარულისა და ომის ღვთაებას, ქალღმერთ ინანას, რომ არათელებს მისთვის მიეტანათ ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები, აეგოთ სალოცავი ნყლის ღმერთის, ენქის სახელზე და აგრეთვე აბზუს ძვირფასი ტაძარი ქალაქ ერიდუში. პოემაში ხაზგასმულია, რომ ქალღმერთ ინანას მფარველობა ურუქს უპირატესობას ანიჭებდა. ენმერქარის განზრახვა და სურვილები მისაღები აღმოჩნდა ღმერთებისათვის – „არათამ ურუქის წინაშე ქედი მოიხაროს!“ საყურადღებოა, რომ მიზნის მისაღწევად ინანამ თავად დაარიგა გმირი. მას, უპირველეს ყოვლისა, „სიტყვის მცოდნე მაცნე“ უნდა შეერჩია, რომელიც მაღალი მთების გადალახვას შეძლებდა. ცხადია, რომ სხვა განსაკუთრებულ ნიშანთვისებებთან ერთად, შუამავალი ორატორული ნიჭით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული. უძველესი დროიდან მჭევრმეტყველების ასპექტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა წარგზავნილის წარმატების ხარისხს.[8] ჰომეროსის ეპოსში ეს ასპექტი ერთერთი უმნიშვნელოვანესია წარმომადგენლობითი ელჩობის შერჩევისას. გარდა იმისა, რომ შუმერი მაცნე ორ ქვეყანას შორის მედიატორს წარმოადგენდა და ინფორმაციის გადაცემის მოვალეობა ეკისრებოდა, იგი ამავე დროს ღვთიური ნების განმცხადებლად გვევლინება. მაცნე ქალღმერთ ინანასგანაა ხელდასხმული, თუმცა კონკრეტულად ვის დაეკისრება ამ მისიის აღსრულება – ეს ენმერქარის პრეროგატივაა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ შუმერებისათვის უძველესი დროიდან არსებობდა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც არჩევდნენ ე. წ. ელჩს სხვა ქვეყანაში. რასაკვირველია, შიკრიკი დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. იგი მოხ-

[8] „ენმერქარ, მოდი, დაგარიგებ, ჩემი დარიგება მიიღე!
სიტყვას გეტყვი, სიტყვა გაიგონე!
სიტყვის მცოდნე მაცნე გამოძებნე,
ბრძენსიტყვა ინანას დიდი სიტყვები ბრძნად მიუტანოს!..
არათამ ურუქს ქედი მოუხაროს!“ – პოემის თარგმანი ეკუთვნის ზურაბ კიკნაძეს.

სენიებულია ტერმინით kaš.[9] ენმერქარის მოთხოვნით წარგზავნილის მისია მხოლოდ შედეგზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, მიზანს კი არათას დამორჩილება წარმოადგენდა. „ბრძენსიტყვა ინანას დიდი სიტყვები ბრძანებად მიუტანე", ავალებს მაცნეს გმირი. საინტერესოა, როგორ აღასრულა ენმერქარის ელჩმა დაკისრებული მოვალეობა.

მას შემდეგ, რაც მაცნე გადალახავს შვიდ მთას და არათაში „მხიარულად" შეაბიჯებს, იგი თავის მეფეს „შობითგანვე გვირგვინოსან" და „შუმერის ძლიერ გველეშაპს" განადიდებს. ენმერქარის დანაბარების გადაცემისას მაცნე არ ცდილობს თავის სიტყვაში იყოს უფრო დიპლომატიური ან შეეცადოს მისი კეთილგანწყობის მოპოვებას. წარგზავნილი სიტყვასიტყვით იმეორებს ურუქის მმართველის მუქარას. ამ შემთხვევაში მაცნე არ იღებს თავის თავზე მოლაპარაკების წარმართვის მისიას. იგი ისეთი მაცნის ფუნქციას ასრულებს, რომელიც მხოლოდ ინფორმაციას გადასცემს ზუსტად. ურუქის მხარემ ოქრო, ვერცხლი და მასალა მოსთხოვა ტაძრების მშენებლობისათვის არათელებს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი ქვეყნის დანგრევითა და მოსახლეობის ამოწყვეტით დაემუქრა. არათას მმართველი თავს ინანას რჩეულად მიიჩნევდა, რაც არ აძლევდა პოზიციების ადვილად დათმობის საფუძველს.[10] თუმცა აქ უკვე მაცნე დარწმუნების ხერხს მიმართავს და ინანას ნებას განუცხადებს მას – „არათას ქურუმი ქედს მიწად დახრისო". აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უძველეს შუმერულ პოემაში გვხვდება ე. წ.

---

[9] შუმერულში ჩვენთვის საინტერესო ტერმინს 4 ლექსიკური ფორმატივი შეესაბამებოდა. თითოეული მათგანი, რასაკვირველია, გადმოსცემდა მაცნის ფუნქციას, თუმცა, ცხადია, მათ შორის არსებობდა ნიუანსური სხვაობა, რაც ცალკე კვლევის საგანია. ეს ტერმინებია: kaš (ქაშ). რომელსაც თარგმნიან როგორც შიკრიკს, kiĝgia (ქიღია) ითარგმნება როგორც მაცნე, ragaba ნიშნავს მხედარს, ხოლო zikum – მსტოვარს.

[10] „მაცნეე, შენს ბატონს, ქულაბას ქურუმს, უთხარი და დასძინე:

...ბევრეულ წესთა დედოფალმა, ნმიდა ინანამ,

არათაში, ნმიდა ნესთა ქვეყანაში, მომიყვანა,..

არათას ქედის მოხრა ურუქის წინაშე არ იქნება! – ასე უთხარი".

ელჩი, რომელიც გარკვეული არგუმენტით არწმუნებს მოწინააღმდეგე მხარეს და საკმაოდ წარმატებითაც. ვინაიდან ძველ სამყაროში ფიქრობდნენ, რომ უკვდავის ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა, მაცნემ მოლაპარაკება სწორედ ამ მიმართულებით წარმართა. მის ერთადერთ დასარწმუნებელ და ამავე დროს, ვფიქრობთ, სწორად შერჩეულ არგუმენტს – ქალღმერთის ნება წარმოადგენდა.[11]

აღმოსავლურ მითოლოგიაში ღვთაებრივი ნება უზენაესია და მის წინააღმდეგ წასვლა არავის ძალუძს. იგივე პრინციპია დამახასიათებელი ბერძნულ მითოლოგიაში და შესაბამისად, ჰომეროსის პოემების კონცეფციისათვისაც: ყოველივე, რაც ხდება „ზევსის ნების აღსრულებასთან" არის დაკავშირებული.[12] არათას ქურუმი იძულებული გახდა ქალღმერთის ნებას დამორჩილებოდა. საინტერესოა ისიც, რომ არათას მმართველს მაცნის სიტყვებში ეჭვი არ შეაქვს. მისთვის ერთადერთ საინფორმაციო წყაროს სწორედ ეს წარგზავნილი წარმოადგენს და რაც მთავარია, ამის შემდეგ ძალაუფლებას თმობს. ფირფიტაზე დაზიანებული ტექსტი ართულებს რამდენიმე ადგილის ამოკითხვას.[13] თუმცა ვიგებთ, რომ დამორჩილებულმა არათას მმართველმა სანაცვლოდ დიდი რაოდენობით ხორბალი მოითხოვა ენმერქარის ქვეყნისაგან და ორმხრივი შეთანხმება შესთავაზა. მაცნე, რა თქმა უნდა, ამ შეთავაზებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და პასუხის მისაღებად სამშობლოში დაბრუნდა. მან არათას ქურუმის პირობები შეატყობინა თავის მეფეს. საყურადღებოა, რომ ენმერქარმა ერთპიროვნულად ვერ გადაწყვიტა, შეესრულებინა თუ არა მეორე მხარის წამოყენებული პირო-

---

[11] „არათას ქურუმს გული შეუდრკა, სული დაუფრთხა,
პასუხი არ ეპოვება, პასუხს ეძებს".

[12] გორდეზიანი 2014, 61.

[13] ფირფიტაზე დაზიანებული ტექსტი ართულებს რამდენიმე ადგილის ამოკითხვას. ისინი ერთმანეთს ენინააღმდეგება. არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვითაც არათას მმართველი სთავაზობს მაცნეს ორი მებრძოლის შერკინებას. გამარჯვებული იქნებოდა ის ქვეყანა, რომლის მეომარიც დაამარცხებდა მოწინააღმდეგეს.

ბები. მან სიბრძნის ქალღმერთ ნიდაბას მიმართა, რომლის რჩევითაც, ხორბლით დატვირთული ქარავნები იმავე მაცნის წინამძღოლობით არათაში გაგზავნა. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს, რომ ღმერთები ენმერქარის მხარდაჭერის მიუხედავად, ყურადღების მიღმა არც მოწინააღმდეგე მმართველის სურვილებს ტოვებენ, რითაც ეპოსში კომპრომისების პრეცედენტი იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ორივე მმართველის მოთხოვნები დაკმაყოფილდა და მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ შეთანხმება საბოლოოდ შედგა, კონფლიქტი აქ არ სრულდება.[14] პოემიდან ვიგებთ, რომ მაცნეს რამდენჯერმე ისევ უწევს არათას ქვეყანაში ჩასვლა „დიპლომატის" მისიით, რაც შეთანხმების მისაღწევად მის ხანგრძლივ მოლაპარაკებებზე მიუთითებს. პოემაში რამდენიმე საინტერესო ასპექტი გვხვდება, რომელთა პარალელის დაძებნა ძველ ბერძნულ მითოლოგიასა თუ რიტუალშიც არის შესაძლებელი. მთავარი გმირი, ენმერქარი რჩევისთვის არაერთხელ მიმართავს ღმერთებს, რაც ასევე დამახასიათებელია ჰომეროსის გმირებისთვისაც. ეპიკური ჟანრის გმირები ხშირად გარკვეულ რიტუალში იღებენ მონაწილეობას, რითაც პატივს მიაგებენ ღმერთებს, და აგრეთვე, გარკვეულ გარანტიას იღებენ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად. ენმერქარმა რჩევისათვის ღმერთებს მიმართა და რამდენიმე რიტუალი შეასრულა, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლერნამ „სუშიმასთან" დაკავშირებული წეს-ჩვეულე-

[14] იქ ჩასულ შუამავალს არათას მმართველი თავისი სასახლის წინ მოედანზე იღებს. მაცნემ იქვე გადმოტვირთა ხორბალი და ურუქის მმართველის დანაბარები გადასცა: ენმერქარი საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული იყო, თავის მეფობას განადიდებდა და სარდიონსა და ლილაქვას მოითხოვდა. ხორბლის დანახვით გახარებული არათელები მზად იყვნენ გაეგზავნათ ენმერქარისთვის ძვირფასი თვლები და თავიანთი უხუცესებისთვის „საღეთო სახლის" აშენება დაევალებინათ, მაგრამ განრისხებულმა არათას ქურუმმა საკუთარი თავის განდიდება დაიწყო და უარი განაცხადა დადებული პირობის აღსრულებაზე. ამ ეპიზოდში ურთიერთობები კვლავ ჩიხში შედის. მან სწორედ ის მოთხოვნა ნაუყენა ენმერქარს, რასაც ენმერქარი მოითხოვდა არათას მმართველისაგან. ეს იყო სერდოლიკი და ლაზურიტი. ამის შემდეგ ორ ქვეყანას შორის უთანხმოება დიდხანს გაგრძელდა.

ბა.[15] ურუქის მმართველმა ლერწამი „სუშიმა" ჯერ „სინათლიდან სიბნელეში გადაიტანა, შემდეგ სიბნელიდან სინათლეში". „როცა ხუთი წელი გავიდა, როცა ათი წელი გავიდა" ენმერქარმა მოჭრა ეს ლერწამი და ხელახლა გაგზავნა მაცნე არათაში, რომელსაც თავისი სამეფო კვერთხი გაატანა. მაცნე უკვე არა მარტო ინფორმაციის გადამცემი პირია ამ ეპიზოდში, არამედ სამეფო კვერთხის მფლობელიცაა, რაც უფრო მეტ პრივილეგიასა და ხელშეუხებლობას ჰმატებს. ამ სამეფო ინსიგნაციას უძველეს ცივილიზაციებში, მათ შორის, ანტიკურ სამყაროში უდიდესი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. კვერთხის, როგორც მნიშვნელოვანი ატრიბუტის ჩანასახი ძვ. წ. III ათასწლეულში აღმოსავლურ ტრადიციაში უკვე ჩანს. ენმერქარის გათვლა ეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან კვერთხის დანახვამ არათას მმართველს შიში მოჰგვარა. საშინელი თრთოლვით შეპყრობილმა რჩევით „იშთამუს" (მრჩეველს) მიმართა. იგი დასტიროდა ხალხს და თავის მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ინანამ ჩააყენა. ამის პასუხად ენმერქარმა მეოთხედ გააგზავნა თავისი მაცნე არათაში. მისი რამდენჯერმე გაგზავნა მეორე მხარესთან მეტყველებს ე. წ. ელჩის საგანგებო და სრულუფლებიან მისიაზე. როგორც ცნობილია, ძველ დროში არ არსებობდა მუდმივი წარმომადგენლობა სხვა ქვეყანაში და ხშირად ელჩები ვითარებიდან გამომდინარე მხოლოდ მოკლევადიანი მისიით მიემგზავრებოდნენ, რითაც არსებითად განსხვავდება ძველი სამყაროს ელჩობა თანამედროვე დიპლომატიისაგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოემაში ვხვდებით საკმაოდ ხანგრძლივ დიპლომატიურ ურთიერთობას არათასა და ურუქს შორის. სწორედ ეს ფაქტორი გამოარჩევს მას სხვა ელჩობებისაგან, რომელთა არაერთმა ამბავმაც ჩვენამდე მოაღწია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამ პოემას განსაკუთრებულობას სძენს, წერილობითი გზავნილის დადასტურებაა. მოქმედება ისე ვითარდება, რომ მმართველები ორთაბრძოლაში კი არ ერკინე-

[15] Белицкий 1980, 84.

ბიან, არამედ სიბრძნეში უწყობენ ერთმანეთს გამოცდას.[16] ისინი ელჩების საშუალებით სიტყვიერ შეჯიბრში ერთვებიან, რომლის დროსაც ერთ-ერთმა მხარემ წერილობითი გზავნილის შედგენა მოიფიქრა. ეს ფაქტი კი შეიძლება საგარეო მიმოწერის ერთ-ერთ პირველ მცდელობადაც მივიჩნიოთ. პოემის სხვა ფრაგმენტებიდანაც ვიგებთ, რომ როდესაც მაცნე მეოთხედ ჩავიდა არათას მმართველთან, მან თავისი მეფის განკარგულება სიტყვიერად კი აღარ გადასცა დაპირისპირებულ მხარეს, არამედ მისცა ფირფიტა, რომელშიც ენმერქარის მოთხოვნები იყო ჩაწერილი.[17] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძველ სამყაროში თავდაპირველად ელჩები სიტყვიერად გადასცემდნენ დანაბარებს, ხოლო დროთა განმავლობაში ამ საქმიანობამ წერილობითი სახე მიიღო. ენმერქარი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ეპიკური ნაწარმოებების მიხედვით, ვინც თიხის ფირფიტაზე წერა დაიწყო. კრამერის აზრით, ეს იმიტომ, რომ „ენაბლუ" მოციქულს იმის შნო არა ჰქონდა, დანაბარები გაემეორებინა ან შესაძლოა სიდიდის გამოც.[18] მაგრამ ზოგადად წერილობითი გზავნილის გადაცემა მეორე მხარესთან მაშინდელი საგარეო-პოლიტიკური მიმოწერის ერთგვარი მითოლოგიზირებული გამოხატულებაა.[19] ფაქტობრივად, ენმერქარმა თავისი სათქმელი თიხის ფირფიტაზე გადაიტანა, სადაც მმართველის სიტყვა ზუსტად აისახა. არათას მმართველმა წაიკითხა გაგზავ-

---

[16] ჰაიზინგას აზრით (Huizinga 1955), გამოცანების გამოცნობასა და ადამიანის სხვადასხვა რიტუალურ თამაშებში ჩაისახა კულტურაც.

[17] ენმერქარმა უსტარი გაუგზავნა არათას მმართველს, რომელშიც სამი ძირითადი მოთხოვნა იკვეთებოდა: 1. ენმერქარი თანახმა იყო, მიეღო არათას ბატონის გამოწვევა. მზად იყო გაეგზავნა ერთ-ერთი მეომარი ორთაბრძოლაში მონანილეობისთვის; 2. ენმერქარი მოითხოვდა არათას მმართველისგან ინანას ტაძრისთვის ოქროს, ვერცხლსა და ძვირფას ქვებს; 3. ენმერქარი დაემუქრა ქვეყნის განადგურებით, თუ მისი მმართველი არ გამოუგზავნიდა „მთის ქვებს" სამლოცველოს ასაშენებლად და შესამკობად ერიდუში (კრამერი 1988, 30-31).

[18] კრამერი 1988, 31. საკითხის მიმოხილვისათვის იხ. Энмеркар и верховный Жрец Аратты. Транскрипция 1964, 4.

[19] Межгосударственные отношения и дипломатия на древнем востоке 1987, 9.

ნილი ფირფიტა და შემდეგ თავად შეადგინა წერილობითი პასუხი, რომელიც ისევ უკან გაატანა ელჩს. მაცნემ ფირფიტა გადასცა არათას მმართველს და პასუხს დაელოდა. როგორც პოემიდან ჩანს, დიპლომატიური მიმოწერის ისტორიის წარმოშობაც შუმერებს უკავშირდება. ტექსტის მომდევნო ფრაგმენტებიდან ვიგებთ, რომ არათას ხალხს მაინც მიუტანია ურუქში ოქრო, ვერცხლი, ლილაქვა და მასალა ტაძრების მშენებლობისათვის. თუმცა ამავე დროს შუმერების ნვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთმა, იშქურმა, არათაში ხორბალი და ლობიო დაახვავა. გამხნევებულმა არათას ქურუმმა სიხარულით აუწყა ენმერქარის შუამავალს, რომ ინანას სრულიადაც არ მიუტოვებია არც მისი ქვეყანა და არც თავად ქურუმი. შუმერში აღმოჩენილ ყველაზე ვრცელ პოემაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას, რომელთა კავშირიც მაცნის საშუალებით მყარდება. ძველ აღმოსავლეთში ჩანს ურთიერთობათა ხელოვნების დახვეწისა და განვითარების მცდელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადრედინასტიურ ხანაში არ ადგენდნენ ანალებს, არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე შეიძლება ვარაუდი იმ პერიოდის დიდ საომარ კონფლიქტებზე. ელამი დიდხანს რჩებოდა ყველაზე საშიშ მტრად შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებისათვის.[20] თუმცა მრავალრიცხოვანი ომის დეტალებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ადრედინასტიური ხანის მეორე ნახევრიდან ქალაქის კედლების მშენებლობა იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ შუამდინარეთი ამ პერიოდიდან თითქმის განუწყვეტელი საომარი კონფლიქტების ეპოქაში შედის.

ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის პოემა „გილგამეში და აგა“, რომელშიც მხოლოდ მოკვდავები იღებენ მონაწილეობას და საერთოდ არ გვხვდებიან მოქმედების განვითარებაში მითოლოგიური ან ზეადამიანური ძალები. გილგამეში შუმერების ყველაზე ცნობილი ეპიკური გმირია, რომლის შესახებაც შეიქმნა მითების მთელი ციკლი. შუმერული ტრადიცია ურუქის მეფეს მრავალ საგმირო საქმეს მია-

[20] Sollberger, Kupper 1971, 55-62; Cooper 1983, 45-48.

წერდა. ბერძენი ჰერაკლეს მსგავსად, იგი ხალხის წარმოდგენებმა გააღმერთა. გილგამეშიც ძლევამოსილ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას, ამარცხებდა ურჩხულს, ცეცხლისმფრქვეველ ზეციურ ხარს ერკინებოდა და ა. შ. შუმერული კულტურის მემკვიდრე აქადელებმა გააერთიანეს ეს ლეგენდები და შექმნეს დიდი ეპოსი. თავდაპირველად იგი დაიწერა აქადური ენის ბაბილონურ დიალექტზე, შემდგომ გავრცელდა და გადამუშავდა ასურელთა შორის.[21] ქიშის I დინასტიის უკანასკნელმა მეფემ, აგამ შუამავალთა საშუალებით მოსთხოვა ურუქის I დინასტიის მეხუთე მეფეს, გილგამეშს ურუქის მოსახლეობა ქიშის მორწყვით საქმიანობაში ჩაერთო.[22] ამ შემთხვევაშიც ორ მმართველს შორის კავშირი მაცნეთა შუამავლობით მყარდება.[23] მართალია, წერილობით გზავნილზე მინიშნება არ გვხვდება პოემაში, მაგრამ გილგამეშს შუამავალთა სიტყვების უტყუარობაში ეჭვი არ შეაქვს. ჩანს, რომ წარგზავნილთა მიმართ ნდობის ფაქტორი საკმაოდ მაღალია. ისიც აღსანიშნავია, რომ მეფის პირადი ელჩი სწორედ მეფემ მიიღო. შუმერულ წყაროებში არ დასტურდება ის ფაქტი, როდესაც მაცნეს ან ინფორმაციის გა-

---

[21] გილგამეშის ეპოსი 1963, 5.

[22] ჯერჯერობით დაუზუსტებელია, რას გულისხმობდა ტიტული „ქიშის მეფე" ან რა იყო მისი პრეროგატივა. საყურადღებოა, რომ ამ სახელით არა მარტო ქიშის, არამედ ურასა და ურუქის მმართველებიც მოიხსენიებოდნენ. უფრო გვიან აქადის დინასტიის მეფეებიც კი იწოდებოდნენ ამ ტიტულით. როგორ მოხდა ამ წოდების ჩამოყალიბება ან რა ეტაპები გაიარა საბოლოო ფუნქციების შეძენამდე, ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს შემთხვევა, რომ ერთდროულად საკუთარ თავს ორი ან სამი მმართველი ერთსა და იმავე ტიტულით მოიხსენიებდეს. სავარაუდოდ, „ქიშის მეფე" უნდა ყოფილიყო მეთაური კავშირისა, ზოგჯერ თუნდაც არათანასწორუფლებიანის და ნებაყოფლობითისაც და არა ვიწრო პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი. ფიქრობენ, რომ მის ძირითად ფუნქციაში საგარეო პოლიტიკური საქმიანობა შედიოდა, ხოლო შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოთა კონფლიქტების დროს ის სამედიატორო სასამართლოს წარმოადგენდა (Межгосударственные отношения... 1987, 11).

[23] „აგას მაცნენი, ენმებარაგესის ძისანი,
ქიშიდან ურუქში გილგამეშს მოადგნენ".

დამცემ კურიერს პირადად იღებდეს მეფე. ვფიქრობთ, ელჩები თავიანთი სტატუსისა და მოვალეობის მიხედვით შესაბამისი პატივით სარგებლობდნენ. ამ მოსაზრებას ის არგუმენტიც ამყარებს, რომ შუმერულში ტერმინოლოგიურ დონეზე რამდენიმე განსხვავებული ფუნქციის მატარებელი მაცნე-კურიერი გვხვდება.[24] შეგვიძლია აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ იმ დროს უკვე განსაზღვრული იყო ელჩის მიღების გარკვეული წესიც, რაც დღეს პროტოკოლით დადგენილი წესებით განისაზღვრება. ელჩობის ფენომენის კვლევისას ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ამ პოემაში ის წარმოადგენს, რომ კრიტიკულ მომენტში გმირი გილგამეში თავის თავზე იღებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მისიას და პროფესიონალ „დიპლომატად" გვევლინება. თუმცა გილგამეში გადაწყვეტილების მიღებამდე რჩევას სთხოვს ჯერ უხუცესთა საბჭოს, შემდეგ კი – „ქალაქის მოყმეთა კრებულს"[25] და თითქოს მათთან მოთათბირებისას მტერთან შესარკინებლადაც კი მზადაა.[26] გილგამეში მოუწო-

---

[24] შუმერულში ელჩის აღსანიშნავად შემდეგი ტერმინები გვხვდება: lu²-kin-gi₄-a (სიტყვასიტყვით ნიშნავს – „კაცი, (რომელიც) პასუხს უკან აბრუნებს"), lu₂-kin-gi₄-a-lugal („მეფის მაცნე"), lu₂-kin-gi₄-a-ensi₂ („ენსის მაცნე"), lu₂-kas₄ („მალემსრბოლი"), lu₂-kas₄-dingir („ღვთაების მალემსრბოლი"), sukkal-me („სუქალები")... (შარაშენიძე 2008, 39-42).

[25] „ურუქის ქალაქ-სახელმწიფოში უხუცესთა კრებულის გვერდით მოქმედებდა „მოყმეთა კრებული", რომელიც სამხედრო გაერთიანებას წარმოადგენდა" (გილგამეშიანი 1984, 127).

„უძველეს ხანაში ქალაქ-სახელმწიფოს მეფე ვალდებული იყო უხუცესთა საბჭოს რჩევისთვის მოესმინა, როცა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმე იყო გადასაწყვეტი" (გილგამეშიანი 1984, 98, 127).

[26] „გილგამეში ქალაქის უხუცესთა ნინაშე
სიტყვას დააგდებს, სიტყვას გამოარჩევს:
ჭებს რომ მოვუაროთ, ქვეყნის ჭებს რომ მოვუაროთ,
ქვეყნის ჭებს და ჭურჭლებს რომ მოვუაროთ,
ჭები რომ გავაღრმავოთ, ბაგირნი დავასრულოთ, –
ქიშის წინაშე ქედს ნუ მოვიდრეკთ,

დებს მათ, იარაღით თავიანთი დამოუკიდებლობა დაიცვან. „უხუცესთა კრებული“ კი დამორჩილებას ურჩევს. საბოლოოდ მეფე „ქალაქის მოყმეთა კრებულთან“ მოთათბირების შემდეგ წინააღმდეგობის გაწევას გადაწყვეტს.[27]

მიუხედავად იმისა, რომ გილგამეშმა მიიღო გადაწყვეტილება, თავს დასხმოდა აგას, მისი გეგმები შეიცვალა. „არ გასულა დღე ხუთი, არ გასულა დღე ათი“ თავად აგამ შემოარტყა ალყა ურუქს. გილგამეშის გაგზავნილი მებრძოლი ბირხურთური არც იყო გასული ქალაქის კარიბჭესთან, რომ იგი აგას ჯარისკაცებმა შეიპყრეს. მათ სცემეს და აწამეს შეპყრობილი, რადგან აგას წინაშე გილგამეშის კეთილშობილებაზე სიტყვას იტყოდა:

„ბრბო მინასთან არ გაუსწორებია,
უცხო ქვეყნები არ დაუქცევია,
ქვეყნის პირი არ ამოუვსია,
ხომალდის ქიმი არ მოუწყვეტია...“

პოემაში უკვე ნათლად იკვეთება გილგამეშის სახე, რომელსაც მისი ერთგული მებრძოლი ახასიათებს. ჩნდება მოლოდინი, რომ გმირმა უნდა იხსნას ქვეყანა. მაგრამ რა გზას აირჩევს, ეს უკვე მისი პრეროგატივაა. გილგამეშმა უნდა იტვირთოს საკუთარ თავზე სიტუაციის განმუხტვა. ქალაქის კედელთან თავად ჩნდება და სიტყვით მიმართავს მტერს. სწორედ ამ ეპიზოდში ყველაზე უკეთ ვლინდება გმირის სიბრძნე. გილგამეში ურუქის ხოტბის შესხმასთან ერთად პატივისცემას უდასტურებს სამტროდ მოსულ აგას.[28]

იარაღით შეევებათ!“ (გილგამეშიანი 1984, 120)

[27] „მაშინ გილგამეშს, ქულაბას ბატონს,
მოყმეთა სიტყვებზე გული გაუხარდა, გუნება გაუხალისდა“.
გილგამეში ურუქის მმართველი (ენი) იყო, თუმცა „ქალაქის მოყმეთა კრებულმა“ იგი ერთხმად მხედართმთავრადაც (ლუგალი) აღიარა.

[28] „აგა ჩემი ზედამხედველია,
აგა ჩემი მოურავია,
აგა ჩემი ლაშქრის ნინამძღოლია,
აგა გაფრენილ ჩიტებს საკენკით კვებავს!
აგამ სუნთქვა მომცა, აგამ სიცოცხლე მომცა

გილგამეში პარიტეტულ პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას, რასაც საბოლოოდ აღწევს კიდეც წარმატებით. გმირი თავისი ჰუმანური და დიპლომატიური ნაბიჯით აგას კეთილგანწყობას მოიპოვებს და რაც მთავარია, ქვეყანას მშვიდობას მოუტანს. „გილგამეშ, ქულაბას ბატონო, ქება შენი კეთილმცა არს!" ასე სრულდება ამბავი, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. XXVII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. საინტერესოა, რომ ბრძოლის ჟინით ანთებული გილგამეში პოლიტიკურ ნებას ცვლის და მათ შორის ომს მეგობრული კავშირების დამყარებით ასრულებს. პოემაში გარდა ინფორმაციის გადამცემი მაცნეებისა, თავად მმართველი გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან დიპლომატად, რომლის მიღებული გადაწყვეტილება და წარმოთქმული სიტყვა მშვიდობას ამყარებს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. „გილგამეში და აგა" ერთ-ერთი ყველაზე პატარა პოემაა შუმერულ ეპიკურ თქმულებათა შორის. გარკვეული ადგილების ამოკითხვა მეცნიერთათვის რთულდება და არც ჩვენი მიზანი იყო პოემის ზუსტი შინაარსის გადმოცემა, ვინაიდან გვსურდა ყურადღება ჩვენთვის საინტერესო ასპექტებზე გაგვემახვილებინა. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, გილგამეშის დიპლომატიურმა გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მისი ძალაუფლების გაფართოებას, რის შემდეგაც ჰეგემონია სწორედ ამ დროს უნდა გადასულიყო ქიშიდან ურუქში.[29] კრამერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მაშინდელი სახელმწიფო წყობისა და პოლიტიკური აზროვნების გამოკვეთილ შტრიხებს პოემაში. მისი აზრით, ჯერ კიდევ ძვ. წ. 2800 წლისათვის შუმერში არსებობდა დემოკრატიული ინსტიტუტის ჩანასახები.[30]

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც ერთ შუმერელ ავტორს არ უცდია აღეწერა და შეექმნა შუმერის ან მისი რომელიმე ქალაქ-სახელმწიფოს ისტორია, ამ ცნების თანამედროვე გაგებით. მართალია, შუმერებმა არაერთ ლიტერატურულ ჟანრს

აგას ლტოლვილი დედასთან მოპყავს!" (გილგამეშიანი 1984, 123).

[29] Дьяконов, Якобсон 1982, 169.

[30] კრამერი 1988, 240.

(მითები, ეპიკური თქმულებანი, ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და გოდებანი, ანდაზები, იგავ-არაკები) ჩაუყარეს საფუძველი, მაგრამ ისტორიული ჟანრი შუმერში არ არსებობდა. ე. წ. ისტორიული ჩანაწერები, რომლებიც ქანდაკებებზე, სტელებზე, ჭურჭელზე, თიხის კონუსებზე, ცილინდრებსა თუ ფირფიტებზე გვხვდება, ძალზე მწირია და ვერ ასახავს ქვეყნის ისტორიის თანმიმდევრულობას. ყველაზე მეტ ინფორმაციას ქვეყნის ისტორიის შესახებ სამხრეთ შუმერში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის დოკუმენტი გვაწვდის, რომლებსაც სასახლის ან ტაძრის მწერლები ადგენდნენ. ლაგაში დაახლოებით ძვ. წ. 2500 წლიდან საუკუნეზე მეტ ხანს იყო დაწინაურებული როგორც პოლიტიკური, აგრეთვე სამხედრო თვალსაზრისითაც.[31] ერთ-ერთი ფირფიტა, რომელიც ურნანშეს დინასტიის მეხუთე მმართველის, ენთემენას არქივის მწერალს ეკუთვნის, უხვ მასალას გვაწვდის ლაგაშსა და უმას შორის არსებულ კონფლიქტზე. მწერალი ისტორიულ მოვლენებს თავისი თეოკრატიული მსოფლმხედველობის ტრადიციულ სქემას უსადაგებს და მოქმედება უკვდავთა დონეზე ვითარდება. ქალაქებს შორის კონფლიქტი წარმოდგენილია, როგორც ამ ქალაქთა ღმერთებს შორის კონფლიქტი, რომელიც საბოლოოდ მათივე შეთანხმებით სრულდება.

შუმერული პანთეონის ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაება ენლილი დაუდგენს საზღვარს ლაგაშისა და უმას მფარველ ღმერთებს, ნინგირსუსა და შარას. მითოლოგიაში ენლილი ცნობილი იყო როგორც ზღვარმდებელი, რომელსაც შეეძლო ერთმანეთისგან გაემიჯნა ორი ქალაქი, რათა მათ შორის უთანხმოება აეცილებინა. მისგან ენიჭებოდა მეფეს მართვის პრეროგატივა და ინსიგნიები.[32] გარდა ამისა, მას შუამავლის ფუნქციებიც ჰქონდა შეთვისებული და როგორც უმაღლესი არბიტრი ანესრიგებდა ორ მეზობელ მტრად გადაკიდებულ ქალაქს შორის

[31] ჩვენამდე მოღწეული ისტორიული დოკუმენტები ორი საუკუნის კონფლიქტს ასახავს ორ დიდ ქალაქ-სახელმწიფოს, ლაგაშსა და უმას შორის, რომელშიც „ქიშის მეფის" როლი ნათლადაა წარმოჩენილი (Cooper 1983, 48).

[32] კიკნაძე 1979, 21.

ურთიერთობებს. ამ დოკუმენტში იშთარანი მსაჯული ღვთაების მისიას ასრულებს. იგი უბრძანებს მესილიმს საზღვრის გავლებას. თანამედროვე ტერმინოლოგიით ამ იურიდიულ პროცესს დემარკაციის ჩატარებას უწოდებენ,[33] რაც სახელმწიფო საზღვრის ხაზის დადგენას გულისხმობს.[34] მესილიმი სამედიატორო მოსამართლის ფუნქციას აღასრულებდა, რომლის გადაწყვეტილებასაც მხარეები ნებაყოფლობით ღებულობდნენ. თუმცა ამით კონფლიქტი არ შეწყვეტილა. უმა საკმაოდ დიდხანს ელოდებოდა იმ დროს, როცა რევანშს აიღებდა მისთვის არახელსაყრელი დემარკაციის გამო. „ძერათა სტელის" დაზიანებული წარწერებიდან ნათელი ხდება, რომ მესილიმის მიერ ტერიტორიების განსაზღვრამ ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დამატებითი პირობების წამოყენება გამოიწვია. სადავო ტერიტორიის ნაწილი გადაეცა უმას მხარეს იმ პირობით, რომ მას უნდა გადაეხადა გარკვეული რაოდენობის ხორბალი, „როგორც სესხის გადასახადი და არენდის საფასური",[35] თუმცა ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის უფლებით ლაგაშის სამეფო სარგებლობდა. მხარეებს შორის დავა რომ არ გამწვავებულიყო, საზღვარზე სტელა აღუმართავთ.

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენთვის ცნობილ უძველეს საერთაშორისო შეთანხმებებში თანამედროვე დიპლომატიური სამართლის ბევრ ელემენტს ვხვდებით. კერძოდ, ტერიტორიულ კონფლიქტს, სამედიატორო სასამართლოს, სადავო ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღიარებას, მხარეებს შორის შეთანხმებას, დემილიტარიზაციას, დემარკაციას და ა. შ. ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ წარგზავნილი შუამავლები. უმასა და ლაგაშს შორის საომარი მდგომარეობის დროს ლაგაშის მხარემ უმას მმართველს ელჩები მიუგზავნა მოსალაპარაკებლად. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ბრძოლის დასრულების შემდეგ შუამავლები საზავო პირობების მომზადებას აწესრიგებდნენ. დამარცხებულებს და-

[33] Межгосударственные отношения... 1987. 12.

[34] ქართული დიპლომატიური ლექსიკონი 1997, I, 159.

[35] Cooper 1983. 45.

ეკისრათ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ გუედენას ველის მიტაცებით მიაყენეს ლაგაშელებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ძველ შუამდინარეთში შეთანხმების უხეში დარღვევა ღმერთების მიერ ისჯებოდა, ადამიანები კი მოლაპარაკების უარმყოფელთ სასტიკად გმობდნენ. „ეანათუმი არ მიდიოდა უფრო შორს იმ ადგილიდან, რომელიც მესილიმმა დაადგინა სტელაზე".[36] უფრო გვიანდელი ცნობებიც არსებობს, რომლებიც ხორბლის გადასახადების შესახებ გადმოგვცემს და აგრეთვე სასაზღვრო სტელის აღდგენის თაობაზეც გვაწვდის ინფორმაციას.[37]

ასე რომ, ადრედინასტიურ ხანაში ლაგაშის მმართველები არა მარტო ბრძოლებში თავიანთი მამაცობით, არამედ შეთანხმებაზე დადებული ფიცის ერთგულებითაც ამაყობდნენ. ფიცი მტკიცე და შეურყეველი იყო: „გილგამეშმა ზეცა დაიფიცა, მიწა დაიფიცა, ქვესკნელი დაიფიცა".[38] ამ ტრადიციის არაერთი მაგალითი გვხვდება ანტიკურ სამყაროში, როცა შეთანხმებას ფიცით ამყარებდნენ. შუმერული ომის ღმერთი უთუ-შამაშა იყო სიმბოლო სასჯელისა, რომელიც ფიცის დამრღვევს ელოდებოდა. სწორედ მის წინაშე დებდნენ ფიცს დაპირისპირებულნი. შედარებით გვიანდელი იურიდიული ტექსტებიდან ჩანს, რომ სასამართლო პროცესის დროსაც ხდებოდა ფიცის დადება, რაც ხელშეკრულების დარღვევის ალბათობას შეძლებისდაგვარად გამორიცხავდა.[39]

---

[36] Cooper 1983, 48.

[37] ამ ფაქტორმა მხოლოდ დროებით ჩააცხრო სასაზღვრო კონფლიქტი ლაგაშსა და უმას შორის. მრავალგზის დადებული ზავის მიუხედავად, განუწყვეტლივ ირღვეოდა ლაგაშის საზღვარი. წყაროები განახლებულ ომებზე მოგვითხრობს, რომლებიც ას წელზე მეტხანს გაგრძელდა, სანამ უმას მმართველმა, ლუგალზაგესმა არ დაამარცხა საბოლოოდ ლაგაში დაახლოებით ძვ. წ. 2312 წელს. „მან [ლუგალზაგესმა] აღადგინა სტელები და აღმართა ღმერთ იშთარანის ბრძანებით ახალი სტელა ამ ადგილზე" (Cooper 1983, 53).

[38] თამუზის სიზმარი 1969, 50.

[39] Korošec 1976, 21.

აქადის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს სარგონის შვილიშვილის, ნარამ-სინის მეფობის დროს მიაღწია.[40] სუსაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია ჩვენთვის ცნობილი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება ნარამ-სინსა და ელამის მეფეს შორის, რომლის ვინაობაც დოკუმენტში არ ჩანს, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს მეფე იყო ხიტა. ხელშეკრულება ძველ ელამურ ენაზეა შესრულებული.[41] ამ დოკუმენტის ტექსტი ძალიან რთულად იკითხება, თუმცა ერთადერთი ფრაზა, რომელზედაც მეცნიერები არ დაობენ შემდეგია: „ნარამ-სინის მტერი ჩემი მტერია, ნარამ-სინის მეგობარი – ჩემი მეგობარი". ასევე ეჭვს არ იწვევს ღმერთების სახელები.

ჩვენ აღნიშნული დოკუმენტის ნაწყვეტებს ჰინცისეული თარგმანიდან გთავაზობთ. თითქმის მთელი ტექსტი დაწერილია პირველი პირის მიერ და ელამის მეფის ცალმხრივ ვალდე-

---

[40] ერთ-ერთ ნარწერაში იგი ასე იხსენიება: „ნარამ-სინი, ძლიერი, ღმერთი აქადისა, ქვეყნის ოთხივე მხარის მეფე". ამ ტიტულის მფლობელი პრეტენზიას აცხადებდა მთელი ქვეყნის ძალაუფლებაზე. იგი აგრეთვე მოითხოვდა პატივისცემას ღვთაებრივის მსგავსად. თუმცა შუამდინარეთის საზღვრებში მისი გავლენა სრულიადაც არ იყო შესაბამისად მტკიცე. ნარამ-სინი იყო პირველი მეფე, რომელმაც ღმერთის ტიტული მიანიჭა თავის სახელს – „ღმერთი აქადისა". მან სამეფო წარნერებში ნარუმძღვარა ღმერთის ნიშანი, რომელიც აიძულებდა მკითხველს წარმოეთქვა მისი სახელი, როგორც „ღმერთი ნარამ-სინი". ამ პერიოდიდან მმართველები ლაშქრობებს ინყებენ აღმოსავლეთსა (ელამი) და დასავლეთში (სირია). განსაკუთრებით ხშირი იყო ომი ელამთან და იმ ქალაქ-სახელმწიფოებთან, რომლებიც ელამის შემადგენლობაში შედიოდა (ადამდუნი, ვარახსე, ანშანი). ქვეყნის შიგნით ნარამ-სინის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების ჩაქრობის შემდეგ „ქვეყნის ოთხივე მხარის მეფემ" აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელება დაინყო. შუამდინარეთიდან მცირე აზიისაკენ მიემართებოდა ამ დროისათვის ყველაზე დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაც ჩატარდა შორეული და დიდი ლაშქრობა. ნარამ-სინის ჯარმა დაარბია დასავლეთით მაგანის ქვეყანა, საიდანაც აქადელებს შემოაქონდათ ძვირფასი შავი დიორიტის ქვა, ხოლო აღმოსავლეთში დაიპყრო ელამის სამეფოები (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1988, 64; Хинц 1977; Юсифов 1968).

[41] Хинц 1977, 24.

ბულებებს აღწერს, ხოლო აქადის მმართველის მოვალეობებზე კი არაფერია ნათქვამი. აღნიშნული დოკუმენტი მკვეთრად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის საერთაშორისო წერილების სტილისაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექსტის სტრუქტურა. განმეორებათა სიმრავლე, რასაც ლიტმცოდნეობა ეპიკურ ფორმულებს უწოდებს, აახლოებს ტექსტს ლიტერატურულ და ლიტურგიკულ ჟანრთან, კერძოდ, შუმერულ „ჰიმნებთან მეფისადმი", ლოცვებთან, დატირებებთან...[42] ჩვენამდე მოღწეული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ამ დოკუმენტისაგან განსხვავებით, უფრო საქმიანი და ინფორმაციული ხასიათისაა. ტექსტი ღმერთებისადმი მიმართვით იწყება, რაც ძველი აღმოსავლური წერილობითი დოკუმენტებისათვისაა დამახასიათებელი. ელამის მეფის შეთანხმება კი ნარამ-სინთან შემდეგს გულისხმობს: 1) ელამის მეფე კეთილგანწყობასა და მშვიდობიან დამოკიდებულებას ინარჩუნებდა აქადის მმართველთან; 2) ელამი საომარ დახმარებას ჰპირდებოდა აქადს მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში; 3) ელამის მეფე არ აგზავნიდა თავის მაცნეებს იმ ქვეყანაში, რომელიც მტრულად იყო განწყობილი აქადის მხარესთან; 4) ელამს თავშესაფარი არ უნდა მიეცა ნარამ-სინის მტრისათვის. ეს იყო ფიცი ერთგულებისა, რომელიც ელამის მეფემ გაუგზავნა ნარამ-სინს. აქვე ნათქვამია, რომ მეფეები ფიცს დებდნენ ღმერთების წინაშე, რომ მათი მხრიდან შეთანხმება არ დაირღვეოდა. ამგვარი მოვალეობები ხშირად დასტურდება გვიანდელ არათანაბარუფლებიან სახელმწიფოთა ხელშეკრულებებში. ჰინცი აღნიშნავდა, რომ ეს ხელშეკრულება აქადისა და ელამის თანასწორუფლებიანი მეფეების შეთანხმებას წარმოადგენდა,[43] თუმცა კოროშეცი თვლიდა, რომ ელამი აქადს ემორჩილებოდა და მათი „მეგობრობა" არ გულისხმობდა ამ სახელმწიფოთა თანაბარუფლებიანობას.[44] შეიძლება ითქვას, რომ ნარამ-სინის ძალაუფლება ელამში ზენიტს აღწევდა. ხელშეკრულებაში ელამის მეფე უდასტურებს დიდ პა-

[42] Межгосударственные отношения.. 1987, 18.

[43] Hinz 1967, 95.

[44] Korošec 1976, 122.

ტივისცემას და ამასთანავე ჰპირდება, რომ იგი გააკეთებს მის ქანდაკებას, რომელსაც ღმერთებს შესწირავს. „დაე, იყოს შენი ქანდაკება ღირსებასა და პატივში, დაე, ღირსეულად მიიღონ იგი". ვფიქრობთ, ეს სიტყვებიც ელამის დამორჩილებულ სტატუსზე მიგვითითებს. „მისი [ნარამ-სინის] საჩუქრები მიღებულია, მისი საჩუქრებისთვის [ელამის] ქვეშევრდომები ნარამ-სინის მოკავშირეებსაც დაიცავენ", აცხადებს ელამის მმართველი. დიპლომატიური შეთანხმებისას საჩუქრების გაცვლის ტრადიციას დიდხანს ინარჩუნებდნენ ძველ შუამდინარეთში. მდიდარი და შეძლებული ქვეყანა შედარებით მეტ ძღვენს აგზავნიდა მეორე მხარესთან. მეცნიერთა აზრით, საჩუქრების გაგზავნა არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ნარამ-სინმა იყიდა ელამთან კავშირი", როგორც ამას ჰინცი ვარაუდობდა.[45] ძველ შუამდინარეთში საბოლოოდ შეთანხმება საჩუქრების გაცვლით გვირგვინდებოდა.

ჰინცი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად ელამის მეფემ ქალიშვილიც კი მიათხოვა აქადის მმართველს, ნარამ-სინს.[46] მეცნიერთა აზრით, შესაძლებელია იყოს ელამის მეფის და, რაც შემდეგი ფრაზით აიხსნება: „დაე, დაიბადოს ამქვეყანაზე ძმისა და დის შთამომავალი! დაე, იყოს ნაყოფიერი შენი მეუღლე! მე გავაბედნიერებ ყველა შენიანს!"[47] თუ ეს ვერსია ახლოს დგას სიმართლესთან, მაშინ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ დოკუმენტში დინასტიური ქორწინების ერთ-ერთი პირველი ისტორია დასტურდება.[48] დინასტიური ქორწინება უფრო გვიან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებაში. ხშირად ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგს. ამიტომ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის მმართველები კავშირის დამყარების ასეთ ფორმასაც მი-

---

[45] Hinz 1967, 75.

[46] Hinz 1967, 95

[47] Межгосударственные отношения. . 1987, 18-19.

[48] Röllig 1974.

მართავდნენ.[49] ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძველ ეგვიპტესა და ხათის დიპლომატიის ისტორიაში შეინიშნება.

[49] ურის III დინასტიის მმართველთა ხანაში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ მოვლენას წარმოადგენდა შუამდინარეთის ხელახალი გაერთიანება ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, დასტურდება პირველი უტყუარი ცნობები დინასტიური ქორწინებების შესახებ. ურის მეფეები ცდილობდნენ ნათესაური ურთიერთობის დამყარებას ელამის სამეფოსთან. „შუმერისა და აქადის მეფემ", შულგიმ თავისი მეფობის მე-18 წელს ქალიშვილი მიათხოვა მარხაშის მმართველს, ხოლო მეფობის 31-ე წელს მეორე ქალიშვილი – ანშანის მეფეს, თუმცა პოლიტიკური მიზნებისათვის ეს უკანასკნელი ქორწინება უშედეგო აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ არც ერთი ცნობა არ ადასტურებს ურის III დინასტიის მეფეთა ქორწინებას სხვა სახელმწიფოს მმართველთა ქალიშვილებზე. არაერთი მცდელობის მიუხედავად, რომ ორ ქვეყანას შორის საგარეო პოლიტიკა დარეგულირებულიყო, ელამსა და შუმერულ-აქადურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა თითქმის სულ დაძაბული იყო. სწორედ აღმოსავლეთიდან შემოჭრილ ელამელებთან ბრძოლაში დამარცხდა ურის III დინასტიის უკანასკნელი მეფე იბისუენა ძვ. წ. 2024 წელს, რასაც მოჰყვა ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოს დაშლა: „მაშინ ანმა და ენლილმა ასე გადაწყვიტეს... მეფეს სასახლე და ქვეყანა დაეგდო, მეფე იბი-სინი ელამის მხარეში წარტყვენილიყო..., მსგავსად ბუდემოშლილი ფრინველისა, მსგავსად მწირისა თვისდა ქალაქად ვერ მოქცეულიყო... ეშინის შუმერის ქვეყანას, ძრწის ერი; მეფე აღარ არის, გოდებს ხალხი მისი" (თამუზის სიზმარი 1969, 70).

ბაბილონის საგარეო ურთიერთობები

ძველბაბილონური ხანა

ძველი შუამდინარეთის ისტორიაში ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ იწყება ახალი ეპოქა, რომელსაც ძველბაბილონურ ხანას უწოდებენ, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. 2000 წლიდან 1600 წლამდე პერიოდს მოიცავს. ერთიანი შუმერულ-აქადური სახელმწიფოების ნანგრევებზე აღმოცენდა ისინის, ლარსას, ეშნუნას, მარისა და ბაბილონის სამეფოები.[50] იქ, სადაც მდინარეები ტიგროსი დაა ევფრატი უახლოვდება ერთმანეთს, ჯერ კიდევ წინასარგონიულ ხანაში (ძვ. წ. XXVI-XXV სს.) დაარსდა პატარა ქალაქი, რომელიც ისტორიაში ბაბილონის სახელით შევიდა. აქადურ ენაზე ბაბილი „ღვთის ჭიშკარს" ნიშნავს. შუმერები მას ქადინგირას უწოდებდნენ, რაც აქადური სახელწოდების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. „ბაბილონი" ამ სახელის ბერძნული ფორმაა.[51]

ბაბილონის საგარეო ურთიერთობების მიმოხილვისას, სამწუხაროდ, არც ლიტერატურული ძეგლების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა და არც ჩვენამდე მოღწეული წყაროები გვაწვდის მდიდარ ინფორმაციას საგარეო ურთიერთობათა შესახებ. თუმცა აღიარებულია, რომ ბაბილონში ელჩობის ინსტიტუტი საკმაოდ კარგად იყო ჩამოყალიბებული. ძველბაბილონური ხანით თარიღდება პირველი კონტაქტები ეგვიპტესთან, რასაც ადასტურებს ეგვიპტეში აღმოჩენილი შუამდინარული ბეჭდების საგანძური. თავად საგანძური ფარაონ ამენჰოტეპ II-ის პერიოდისაა, ხოლო ბეჭდები – ისინის I დინასტიისა. ნივთები მცირე დროის სხვაობით უნდა მოხვედრილიყო ფარაონთან. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ პირდაპირი კონტაქტი მყარდებოდა მათ შორის და ნივთები სხვა ქვეყნების შუამავლობით არ მომხდარა ფარაონთან. უფრო გვიან, სწორედ ქვის ნაკეთობები (განსაკუთრებით ლაზურიტი) იკავებს მნიშვნელოვან ადგილს საჩუქრების სიაში, რომელსაც ბაბილონის კასიტელი მეფეები უგზავ-

[50] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1988, 70.

[51] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1971, 97.

ნიდნენ ეგვიპტის მმართველებს. აგრეთვე ცხადია, რომ პოლიტიკურ ქაოსში ბაბილონის აღორძინება, როცა ისინის I დინასტია ეცემოდა, მხოლოდ სამხედრო წარმატების შედეგი არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, ეს ფაქტორი საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებულმა, მიზანმიმართულმა და ეფექტურმა დიპლომატიურმა სამსახურმაც განსაზღვრა. გარდა ამისა, ძველბაბილონური ხანის უდიდეს მიღწევად სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობა უნდა ჩაითვალოს. მრავალრიცხოვანი ფენებისა და სხვადასხვა ხალხების ურთიერთობა იურიდიული ნორმების სისტემატიზაციას მოითხოვდა, რის შედეგადაც შეიქმნა არაერთი საკანონმდებლო ძეგლი (ისინის მეფის ლიფითიშთარისა და ეშნუნას მეფე ბილალამას კანონები, ლარსას სამეფოს კანონები, ხამურაბის კანონები და ა. შ.). ხამურაბი ლურსმული ტექსტით დაფარულ სვეტზე სიამაყით აღნიშნავდა, რომ დიდმა ღმერთებმა მოუწოდეს მას იმისთვის, რომ „ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, რათა მოისპოს კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა ძლიერმა არ შეავიწროს სუსტი“.[52] ბაბილონის დიპლომატიურ პოლიტიკაზე, უპირველეს ყოვლისა, დინასტიურ ქორწინებათა სიმრავლე მეტყველებს.[53]

---

[52] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1971, 101.

[53] ეშნუნის მეფემ, ბილალამამ ძვ. წ. XX საუკუნეში თავის ქალიშვილი მიათხოვა სუზის მმართველს, ელამის სამეფო ტახტის მომავალ მემკვიდრეს. ბაბილონის მეორე მეფის, სუმულაელის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ურუქის მეფეს, სინ-კადიშს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ურუქის მმართველი, ანამი ბაბილონის მეფისადმი წერილში აღნიშნავს, რომ „ურუქისა და ბაბილონის მეფეები ერთი ნარმომავლობისანი არიან“. მაგრამ ამ ფაქტორმა ბაბილონის მეფეზე ზეგავლენა ვერ მოახდინა. იგი არ დახმარებია ურუქს ლარსთან ბრძოლაში, რომელმაც დამოუკიდებლობა დააკარგინა ურუქს ძვ. წ. 1801 წელს. პირველი ცნობა მეფის მემკვიდრის ქორწინების შესახებ უცხოელი მეფის ასულზე ეკუთვნის შამში-ადად I-ის მეფობის პერიოდს. მან თავისი შვილიშვილი (იშმე-დაგანის ვაჟი) დააქორწინა საობარი ტომის ბელადის ქალიშვილზე, რომელსაც დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის საფასური გადაუხადა ქალის მითხოვებისათვის (Межгосударственные отношения... 1987, 21). შამში-ადად I-ის მეორე ვაჟი, იასმახ-ადადმა ცოლად მოიყვანა კატნის მმართველის იშხი-ადადის ქალიშვილი. როგორც როლიგი ვარაუდობს, ეს დინასტიური ქორწინება კატნის მეფის მისაზიდად შედგა, რათა მისგან მოკავშირეობის

მართალია, დინასტიური ქორწინებები ხშირად მეფის შვილების ნება სულაც არ იყო, მაგრამ ძველ სამყაროში მოკავშირეობის განმტკიცებისათვის ეს ფორმა გადამწყვეტ როლს თამაშობდა. დინასტიურ ქორწინებებს უკეთ შეეძლოთ მშვიდობის დამყარება, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო მოლაპარაკების გზით.[54] ვარაუდობენ, რომ დინასტიურ ქორწინებებს წინ უძღოდა ელჩების შუამავლობით მოლაპარაკება და შეთანხმება. როგორც დინასტიური ქორწინების, ასევე სავაჭრო საკითხებსაც მმართველთა ნდობით აღჭურვილი პირები აწესრიგებდნენ. მოლაპარაკებათა არსებობა დოკუმენტურად არ დასტურდება ძველბაბილონურ ხანაში, თუმცა ცნობილია ამ პერიოდის სახელმწიფოთა მოკავშირეობა.[55] ზიმრი-ლიმის სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელე აღნიშნავდა: „არ არის მეფე, რომელიც მხოლოდ თავისთავადაა ძლიერი. ბაბილონის მეფეს, ხამურაბის ჰყავს 10-15 მეფე [მოკავშირედ], ლარსას მმართველს, რიმ-სინის ამდენივე, ეშნუნის მმართველს, იბალპიელს ამდენივე, კატნის მმართველს, ამუტპიელს ამდენივე, [ხოლო] იარიმ-ლიმს,

---

გარანტია მიეღო იამხადის ნინააღმდეგ ბრძოლაში (Röllig 1974, 15). უფრო გვიან იასმახ-ადადს სურდა განქორწინება თავის მეუღლესთან, მაგრამ შამში-ადადმა აუკრძალა, რადგან არასასურველ პოლიტიკურ შედეგებზე მიუთითა. განქორწინების ნაცვლად, იასმახ-ადადმა ცოლი „პალმების სასახლეში" მარიში გაგზავნა. მარის სამეფოს მმართველმა ზიმრი-ლიმმა კი, რომელიც ქვეყნიდან შამში-ადადის მიერ იდევნებოდა, თავი იამხადს შეაფარა და მეფის ქალიშვილზე იქორწინა. მან მარის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად დახმარება იამხადის მმართველისაგან მიიღო. წყაროებში ზიმრი-ლიმი იამხადის მეფეს „მამად" მოიხსენიებს. მეფის ქალიშვილისა და მარის ტახტის მემკვიდრის ძლიერ სიყვარულზე აღმოჩენილი ნერილები მოგვითხრობს, რომლებსაც დედოფალი ქმარს უგზავნიდა. ეს წერილები ცოლის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენაზეც მიუთითებს. როგორც სასახლის ნანგრევებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამეფო არქივის მასალები მონმობს, ზიმრი-ლიმის მმართველობის დროს მარის სამეფოს ფართო დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა პქონდა დამყარებული დასავლეთ სირიის, ხოლო აღმოსავლეთით ეშნუნასა და ელამის მმართველებთან. მარის საგარეო ვაჭრობის სფერო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე ერცელდებოდა.

[54] Röllig 1974, 16.

[55] Limet 1985, 43.

იამხადის მმართველს 20 მეფე".[56] მიუხედავად იმისა, რომ იამხადის მეფე მოკავშირეთა მეტი მხარდამჭერით სარგებლობდა, მაინც ბაბილონის მეფემ, ხამურაბიმ შეძლო შუამდინარეთის სამეფოების მმართველთა დამარცხება და მათი ტერიტორიების საკუთარ სამეფოში გაერთიანება. მეცნიერები ხამურაბის ასეთ დიდ წარმატებას გააქტიურებულ საგარეო პოლიტიკას მიაწერენ. ელჩები და შუამავლები მთელ შუამდინარეთში მოგზაურობდნენ. ზოგიერთ მათგანს მუდმივი რეზიდენციაც კი ჰქონდა სამეფო სასახლეში. ეს ფაქტი ადასტურებს საგარეო პოლიტიკის დინამიურობას, რამაც მოკლეხნიანი თანამშრომლობა თანდათან გრძელვადიან ფაზაში გადაიყვანა. ამის საფუძველზე გაჩნდა მოთხოვნა ელჩების სამსახური გარკვეულ სტრუქტურულ უწყებად ჩამოყალიბებულიყო, რასაც მომავალში სხვა ქვეყანაში ე. წ. „საელჩოების" გახსნაც კი მოჰყვა. კავშირები მყარდებოდა როგორც თანაბარუფლებიან, ასევე არათანაბარუფლებიან ქვეყნებს შორისაც, მაგრამ ხშირად მათი „მშვიდობა" არ იყო ხანგრძლივი. თუკი კავშირი არათანაბარუფლებიანთან მყარდებოდა, მეფე ჰეგემონი უგზავნიდა დამორჩილებულ მხარეს თავის „მრჩევლებს" მუდმივი თვალყურისათვის. წერილებში დამორჩილებული ქვეყნის მმართველები მეფეს „მამას" ან „ბატონს" უწოდებდნენ. დამორჩილებული ქვეყნის მოვალეობები, როგორც ჩანს, მოლაპარაკებების დროს განისაზღვრებოდა, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი უცილობელი პირობა სამხედრო დახმარება იყო. კავშირი ღმერთებისადმი ფიცით და მსხვერპლშეწირვის რიტუალით მყარდებოდა.[57] რიტუალის საზეიმოდ აღნიშვნაც არ იყო გარანტია იმისა, რომ ორ ქალაქ-სახელმწიფოს შორის დადებული ფიცი მყარი იქნებოდა. ხშირად მცირე ხნის შემდეგ „მოკავშირეები" მტრად იქცეოდნენ ხოლმე. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მმართველები ყველა ღონესა თუ ხერხს მიმართავდნენ. ზოგჯერ დიპლომატიური მისია ხდებოდა წარმატების გარანტი, თუმცა ხშირად სამხედრო ძალით, მოსყიდვით, მოტყუებით ან ინსპირირებული აჯან-

[56] Межгосударственные отношения... 1987, 22.

[57] Limet 1985, 6-7.

ყებებით ამარცხებდნენ მოწინააღმდეგეს. როგორც შემდგომი წყაროები გვიჩვენებს, ყველაზე დიდ წარმატებას ამ ხერხების გამოყენებით ბაბილონის დინასტიამ მიაღწია.[58]

ხამურაბის სიკვდილის შემდეგ თანდათან ირღვევა იმპერიის საზღვრები. ამ ხანას დაემთხვა მანამდე უცნობი ხალხების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთში. მცირე აზიაში, ხეთების ძველ მიწაზე დამკვიდრდნენ ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ტომები, რომელთაც მოკლე ხანში შექმნეს ძლიერი მეომრული სახელმწიფო და მათი მეფის მურსილი I-ის დროს (ძვ. წ. XVI ს-ის დასაწყისში) შეიჭრნენ კიდეც ბაბილონში, გაძარცვეს და უკან

---

[58] საგარეო საკითხებში შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, ხამურაბიმ მარის მმართველს, ზირიმ-ლიმს სამეფო კარზე მუდმივი წარმომადგენელი დაუნიშნა, რაც ბაბილონის მეფეს მისი მოწინააღმდეგის უკეთ გაკონტროლების საშუალებას აძლევდა. სწორედ მარისა და ბაბილონის ურთიერთობაზე მოგვითხრობს პირველი დადასტურებული დოკუმენტი სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური მიზნებისათვის ეკონომიურად დახმარების თაობაზე, რომელიც ბაბილონისა და მარის ურთიერთობებში ჩნდება. მიმონერაში დასტურდება, რომ საომარი მოქმედებებით დასუსტებული მარის სამეფო შიმშილის საფრთხის ნინაშე აღმოჩნდა (Dossin 1973, 179-88). ზიმრი-ლიმი თავის სიმამრის, იამხადის მეფისადმი მიწერილ ერცელ წერილში აღნიშნავს, რომ ბაბილონის მეფემ, ხამურაბიმ შესთავაზა მარის სამეფოს დახმარების სახით „50 ათასი ვირის საპალნე ხორბალი" (დაახლოებით 4000 ტ.). მან კი უარი განუცხადა დახმარების მიღებაზე: „ნუ გამომიგზავნი ხორბალს. მე მაქვს ხორბალი, ის შენ არ გაგაჩნია!" თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ზიმრი-ლიმი მიმართავს თხოვნით იარიმ-ლიმს, აღმოუჩინოს დახმარება და რაც შეიძლება მალე გაუგზავნოს ხორბალი. თავის წერილს ის ამთავრებს შეპარული მუქარით, რომ სხვა შემთხვევაში შესაძლებელია შეფერხდეს იამხათში მიმავალი კალის გზავნილი. მარი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრი იყო. იმავე კრებულში აღმოჩენილია ზიმრი-ლიმისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ერთერთი დიდებული წყეელის თავის მეფეს, რომ მეფე არ გახდა ხამურაბის მევალე და იმის გამოც, რომ მან არ უამბო იარიმ-ლიმს მარის რთული მდგომარეობის შესახებ. როგორც ჩანს, მარის ეს დახმარება ბაბილონზე დამოკიდებულს გახდიდა. რადგანაც „მშვიდობიანი" გზით არ დამორჩილდა მარი, ხამურაბი საომარ მოქმედებებზე გადაიიდა. მარის მოკავშირეები აღარ ჰყავდა შორეული ელამის გარდა, რომელმაც რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინა (Limet 1985. 53).

გაბრუნდნენ. ისინი ხეთები იყვნენ, პირველი ინდოევროპელები, რომლებმაც შეაღწიეს შუამდინარეთში.[59]

ბაბილონი კასიტების მეფობის ხანაში

ძვ. წ. II ათასწლეულისათვის პოლიტიკური სიტუაცია საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ შეიცვალა. ბაბილონის სამეფოს კასიტებმა შემოუტიეს. ბაბილონის ოდესღაც ძლიერ სამეფოში კასიტების ბატონობის ხანა დაიწყო. კასიტურმა დინასტიამ ჩრდილოეთისაკენ განავრცო ბაბილონის საზღვრები, ეგვიპტესთან და ხეთების სახელმწიფოსთან მშვიდობიანი კავშირი დაამყარა და აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა აქადური ენა. შუამდინარეთსა და მის საზღვრებს გარეთაც „კასიტური ზავი" დამყარდა. ძვ. წ. II ათასწლეულში, როცა ლურსმული დამწერლობის პირველშემქმნელები – შუმერები ფიზიკურად აღარ არსებობდნენ და სემიტებთან იყვნენ ასიმილირებულნი, დამწერლობის აღნიშნული სისტემა აქადურ ენასთან ერთად გადაიქცა დამწერლობის საერთაშორისო სისტემად. აქადური ენით სარგებლობდნენ ეგვიპტის ფარაონებიც კი მცირე აზიის მონარქებთან წარმოებული მიმოწერის დროს.[60] კასიტური ბაბილონი უკვე წარმოადგენდა ისეთივე დიდ და ძლიერ სახელმწიფოს, როგორსაც ეგვიპტე, ჩრდილო შუამდინარეთში მითანი და მცირე აზიაში ხეთების სამეფო. დანარჩენი მცირე ქვეყნები თუ ქალაქ-სახელმწიფოები (სირია, პალესტინა, ფინიკია და ა. შ.) მათ ემორჩილებოდნენ. დიდი ქვეყნის მეფეები წერილებში ერთმანეთს „ძმებს" უწოდებდნენ. თუმცა არც მათ შორის იყო თანაბარუფლებიანი ურთიერთობა ხანგრძლივი. ძლიერ ქვეყნებს შორის უპირატესობას ეგვიპტის ფარაონი ფლობდა.[61] რაც შეეხება კონკრეტულ კავშირებს, ის პოლიტიკური მოთხოვნების მომენტზე იყო დამოკიდებული. ჩვენ არ შევჩერდებით ამ ქვეყნების საომარ საკითხებზე, მაგრამ აღვნიშ-

[59] კიკნაძე 1979, 41.

[60] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1971, 119-20.

[61] Knudtzon 1907-1915; Rainey 1978.

ნავთ, რომ ბრძოლა მიდიოდა ხეთებს, ეგვიპტელებსა და მითანელებს შორის იმაზე, თუ ვინ აიღებდა ძალაუფლებას და ვინ დაიმორჩილებდა სირიას. ბაბილონი ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა, რადგანაც მისი სამეფო ყოველთვის ცდილობდა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ეგვიპტის ფარაონთან. ეს იმითაც დასტურდება, რომ კურიგალზუ I-მა თავისი ქალიშვილი ამენჰოტეპ III-ს მიათხოვა. ბაბილონის მეფე ამ ნაბიჯს დიდ პოლიტიკურ წარმატებად მიიჩნევდა, თუმცა ფარაონის მრავალრიცხოვან ცოლთაგან მეფის ქალიშვილი ერთ-ერთი იყო, რომელიც მისი ძმის, კადაშმან-ენლილის ელჩებმა ვერც კი იცნეს ეგვიპტეში. ფარაონმა წარგზავნილი ელჩები არაკეთილსინდისიერებაში დაადანაშაულა და მათ „ძმების" გადაკიდებაშიც კი დასდო ბრალი. ბაბილონი თანდათან კარგავდა თავის გავლენას საერთაშორისო ასპარეზზე. იგი დიდი ქვეყნებისაგან განსხვავებით მოკრძალებულ და მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა, თუმცა ბაბილონის სამეფო მაინც მათ თანასწორად მიიჩნეოდა. სწორედ ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს დიპლომატიური მიმოწერის აყვავების ხანად. სამეფოებს შორის მყარდებოდა კავშირი ელჩების შუამავლობით. მათ თიხის ფირფიტაზე შესრულებული წერილები მიჰქონდათ მეორე მხარესთან. წერილების შინაარსი ყოველთვის არ იყო პოლიტიკური. ხშირად მმართველები პირადი ხასიათის საკითხებზეც მსჯელობდნენ. თელ ელამარნას არქივში აღმოჩენილია ბაბილონის მეფის წერილი. კადაშმან-ენლილმა თავისი ქალიშვილი ფარაონს მიათხოვა და შემდეგ მოსთხოვა მას გამოეგზავნა ეგვიპტელი მეფის ასული, რომელსაც ცოლად შეირთავდა. იგი საყვედურობს ეგვიპტის ფარაონს, რომ მან არ გაუგზავნა ერთ-ერთი ქალიშვილი კადაშმან-ენლილს. თუ ფარაონს მეგობრობა და ძმობა სურდა მასთან და ცდილობდა ორმხრივი კეთილგანწყობის შენარჩუნებას ქორწინების საშუალებით, რატომ მისწერა, რომ „უძველესი დროიდან ეგვიპტის მეფის ასული არ ქორწინდებოდა სხვაზე".[62] როგორც კასიტელი მეფეების სხვა წერილები, ისიც ოქროს მოთხოვნით სრულდება. ბაბილონის მეფის კადაშმან-ენლილის

[62] Knudtzon 1907, N4.

წერილი გვაფიქრებინებს, რომ ფარაონის ქალიშვილზე ქორწინება დიდ წარმატებად ითვლებოდა. ამის გამო იგი თავსაც კი იმცირებდა თხოვნის წერილში, თუმცა ფარაონი ამ საკითხს სხვა თვალით უყურებდა: ეგვიპტის მმართველი ასეთ ქორწინებას ეგვიპტისათვის დამამცირებლად თვლიდა. ძლიერი ეგვიპტის სამეფო ნაკლებ ანგარიშს უწევდა იმ დროისათვის სუსტი ბაბილონის მეფის სურვილებს. ფარაონს არ აწუხებდა ის, რომ ამით კასიტი მეფის კეთილგანწყობას მოიკლებდა. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფარაონის განსაკუთრებულ მდგომარეობას ძლიერ სახელმწიფოთა მმართველებს შორის. თუმცა ბაბილონი მაინც ითვლებოდა თანაბარუფლებიან სამეფოდ სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ კასიტებმა თავიანთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე, მათ არ უცდიათ თავიანთი ენა ლურსმულ წარწერებში აღებეჭდათ. სახელმწიფო ენად კვლავ ბაბილონური რჩებოდა, არ იყო მივიწყებული შუმერულიც, თუმცა ამ ენაზე შედგენილი ტექსტები უაღრესად ბუნდოვანი და ხელოვნური იყო. ისევ ბაბილონელი სწავლულების წყალობით ჩვენამდე შემორჩა კასიტური, როგორც ფიქრობენ, კავკასიურ ენათა შორეული მონათესავე ენის ნაშთები, ცალკეული სიტყვები და ღმერთის სახელები.[63]

ბაბილონის სამეფო კარზე განსაკუთრებული პატივისცემით გადამწერები სარგებლობდნენ. მეფისა და დედოფლის გადამწერს დიდი გავლენა ჰქონდა სამეფოში. იგი მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელე იყო, რომლის ხელითაც იწერებოდა და დგებოდა ქვეყნის მთელი პოლიტიკური კორესპონდენცია. მეფის მთავარი გადამწერი ორ ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს წერდა. გადამწერის პროფესიისათვის აუცილებელი იყო შუმერული ენის ცოდნაც, რასაც ბაბილონის სკოლებში ასწავლიდნენ. ხშირად სხვა ქვეყნიდან მიღებულ წერილებს მმართველს გადამწერები უკითხავდნენ. ამიტომ წერილი, უმეტესწილად, ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „უთ-

[63] კიკნაძე 1979, 41.

ხარი მას, რომ...“[64] ეს იყო თხოვნა გადამწერის მიმართ, რომელიც წერილს წაიკითხავდა. მას უნდა გადაეცა მეფისთვის წერილის შინაარსი. რა თქმა უნდა, პასუხს მეფე კარნახობდა მას ან თავად გადამწერი წერდა მეფის ბრძანებით. სამეფო არქივებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტები ინახებოდა. მათ შორის სხვა ქვეყნის მმართველთა მიმოწერა, სახელმწიფო ხელშეკრულებები და დოკუმენტები, რომლებიც საშინაო პოლიტიკას ეხებოდა.[65]

ბაბილონის სამეფოს დინასტიური ქორწინებით საკუთარი მდგომარეობის აღდგენა და დიდ პოლიტიკაში დაბრუნება სურდა. ბურნა-ბურიაშ II-მ ერთი ქალიშვილი ამენჰოტეპ IV-ს გაუგზავნა, ხოლო მეორე შვილი მიათხოვა ხეთების მმართველს სუფილულიუმა I-ს, რომელთა ვაჟიც სამეფო ტახტის მემკვიდრე გახდა. თელ ელ-ამარნას დიპლომატიურ არქივში დაცულია წერილები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივ მოლაპარაკებებს ქორწინებების თაობაზე. იმ პერიოდში დინასტიური კავშირები ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა,“[66] რაც მიმართული იყო საგარეო ურთიერთობების განმტკიცებისა და მმართველთა დამეგობრებისაკენ.

---

[64] Кленгель-Браидт 1979, 215.

[65] ასურელი მეფის აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში ინახებოდა „სინქრონული ისტორია“, რომელიც წარმოადგენს ბაბილონისა და ასურეთის ურთიერთობების მოკლე შეჯამებას, დაწყებული კასიტური დროიდან ადად-ნერარი III-ის (ძვ.წ. VIII საუკუნე) მეფობამდე. მეცნიერების აზრით, ეს ისტორიული მასალა ზოგჯერ არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც ასურეთის მხარის შედგენილია და ზოგჯერ ამ მხარის სასარგებლოდ იხრება (Grayson 1975, 52). აღნიშნული ნუსხის შემდგენელი ორ სამეფოს შორის მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობებზე მიუთითებდა, თუმცა ხაზს უსვამდა იმას, რომ ასურეთი მათ შორის უპირატესობას ფლობდა. ისტორიკოსთა აზრით, სწორედ ეს განცხადება იყო გადაჭარბებული და არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. უშუალოდ მეფის ან დედოფლის გადამწერს კი დიდი გავლენა ჰქონდა სამეფოში, რადგან მისი ხელით იწერებოდა და დგებოდა ქვეყნის მთელი პოლიტიკური კორესპონდენცია.

[66] Schulman 1979, 191-93.

იმისათვის, რომ მოწესრიგებულიყო სავაჭრო საქმე და თავისუფალი გადაადგილების საშუალება ჰქონოდათ ვაჭრებს, ქვეყნებს შორის ხელშეკრულებები იდებოდა. თუმცა არსებობს წყაროები, რომლებშიც ვაჭრები აღწერდნენ იმ თავდასხმებსა და ძარცვას, გზაზე რომ ელობებოდათ. ბაბილონის მეფეები ასეთ შემთხვევაში ითხოვდნენ დამნაშავეთა დასჯას სხვა ქვეყნის მმართველისაგან. გასათვალისწინებელია, რომ მეფის ინტერესებში შედიოდა ვაჭრობის განვითარება. შესაბამისად, ისინი თავდამსხმელთაგან ფულის დაბრუნებასა და დანაშაულის აღკვეთას მოითხოვდნენ: „თუ შენ არ დასჯი სიკვდილით ამ ხალხს, ისევ დაიღუპება ან ჩემი ქარავანი, ან შენი ელჩები და ჩვენ შორის შეწყდება ურთიერთობა".[67]

ვინაიდან მეფის ელჩებს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, წერილები და საჩუქრებით დატვირთული ამანათები გადაჰქონდათ ერთი ქვეყნიდან მეორეში და ასე აქტიურად იყო გაცხოველებული ვაჭრობა,[68] რა თქმა უნდა, მმართველის ინტერესებში შედიოდა წარგზავნილთა უსაფრთხო გადაადგილების გარანტიებისა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ცნობილია, რომ ბაბილონში, უდაბნოში გარკვეულ მანძილებზე, დაახლოებით ორსაათიანი გადაადგილების დაშორებით, აგებული იყო მცირე საგუშაგოები, რომლებიც, უმეტესწილად, წყაროსთან ახლოს იყო განთავსებული.[69] იქ ჩერდებოდნენ ელჩები,

---

[67] Meissner 1920, 338.

[68] ბაბილონში მრავალი სახეობის საკვები პროდუქტი თუ ნივთი შემოდიოდა სხვადასხვა კუთხიდან. ტაძრის მსახურებისათვის აუცილებელი იყო არომატული მცენარეები, რომლებსაც, სავარაუდოდ, არაბეთიდან ან ინდოეთიდან იღებდნენ. დიდი რაოდენობით შემოდიოდა მურტის, კიპარისის და კედრის ზეთი, რომელსაც ნელსაცხებლებისა და საკულტო მიზნებისათვის იყენებდნენ. ბაბილონელები ფუფუნების საგნად თვლიდნენ სპილოს ძვალს, რომლისგანაც ნივთების შესანახ ყუთებს, ნელსაცხებლის ჭურჭელს, სავარცხელს, მოსართავ ქინძისთავებს აკეთებდნენ. ვაჭრებს სპილოს ძვლის ნაკეთობები ძირითადად სირიიდან და ფინიკიიდან ჩამოპქონდათ.

[69] Кленгель-Брандт 1979, 98.

თუმცა ეს დასასვენებელი პუნქტები მხოლოდ მათთვის არ იყო აგებული.

ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს საჩუქართა გაცვლა წარმოადგენდა. ბაბილონის, ასურეთისა და მითანის მეფეები დიპლომატიურ წერილებში ფარაონისაგან ოქროს მოითხოვდნენ, რადგან ეგვიპტეში ის „მტვერივით“ უხვად იყო. თავად კი უშურველად უგზავნიდნენ მას ცხენებს, იარაღს, ეტლებს, ძვირფასი ქვის ნაკეთობებს. ბაბილონის მეფე, კადაშმან-ენლილი წერდა ერთ-ერთ გზავნილში ამენჰოტეპ III-ს, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ოქრო გაეგზავნა მასთან ფარაონის ელჩს.[70] საყურადღებოა, ამენჰოტეპ III-ის პასუხი, რომელიც მას წერდა: „მე გამოგიგზავნი ყველაფერს, რაც შენი ელჩის თვალში ღირებულია...“ (№5). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ელჩები ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ სამეფო კარზე, რომ მათ საჩუქრების არჩევის პრეროგატივაც კი ენიჭებოდათ. ძღვენის გარეშე ელჩის დაბრუნება სამშობლოში ძველ სამყაროში ცუდ ტონად ითვლებოდა და გარკვეულწილად, ომის ილუზიასაც კი ქმნიდა. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ელჩის დასაჩუქრება და მის მმართველთან პატივისცემის ნიშნად ძღვენის გაგზავნა მაშინდელი დიპლომატიის გარკვეულ ეტიკეტს თუ წესს წარმოადგენდა. ამასთანავე, ძველ აღმოსავლეთში რაც უფრო მრავალფეროვანი იყო საჩუქრების ნუსხა, ტრადიციის თანახმად, მით უფრო მეტ პატივისცემას გამოხატავდა ეს ყოველივე ადრესატის მიმართ. ბაბილონელი ელჩები, როგორც ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, ამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობებს მაშინდელ სამეფოებს შორის და მათი შუამავლობით არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი წყდებოდა.

---

[70] „...მამაჩემი და მამაშენი იმისთვის, რომ მომავალშიც გვემეგობრა, ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდნენ და თხოვნაზე უარს არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს... შენ ბევრი ოქრო გაქვს და გამომიგზავნე ის დიდი რაოდენობით, როგორც მამაშენი გვიგზავნიდა!.. თუ შენ რაიმე გსურს ჩემს ქვეყანაში, მომწერე, რომ შენთან გამოვატანო!“ (იხ. Knudtzon 1915).

შუამდინარული დიპლომატიისაგან რამდენადმე განსხვავებულია საგარეო ურთიერთობების განვითარების ეტაპები ძველ ეგვიპტეში. წინადინასტიურ ხანაში ეგვიპტურ საზოგადოებას არ ჰქონდა აქტიური კონტაქტები სხვა ქვეყნებთან, თუმცა არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ჩაკეტილი სამხრეთისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთის მცხოვრებნი გარკვეულწილად კავშირს ამყარებდნენ ლიბიელებთან, კვიპროსთან, კრეტასთან, პალესტინასთან, სირიასთან და შუამდინარეთთან.[71] ამიტომაც ქვემო ეგვიპტის წინადინასტიური კულტურა სამხრეთულზე უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია. არქაული პერიოდიდან ყალიბდებოდა ეგვიპტური დამწერლობა, მყარდებოდა კონტაქტები სხვა ქვეყნებთან და ვითარდებოდა კულტურა, ხელოვნება, არქიტექტურა.

უფრო გვიან ეგვიპტე უკვე წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ჩვენამდე მოღწეული მრავალი ძეგლი მოწმობს, რომ ეგვიპტელებს სავაჭრო, კულტურული და პოლიტიკური კავშირები ჰქონდათ მათთვის ცნობილ სახელმწიფოებთან. შუამავლის ფუნქციას აზიის ქვეყნებში სამეფო კარის ელჩები ასრულებდნენ. დიპლომატიური წერილები, ხელშეკრულებები, საერთაშორისო აქტები და დოკუმენტები, რომლებსაც ეგვიპტის სამეფო კანცელარია აწარმოებდა, ძველი აღმოსავლეთის აქტიურ საგარეო ურთიერთობებზე მიგვითითებს.[72] ისტორიულ წყაროებში დასტურდება მინიშნება იმის თაობაზე, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აზიაში სახელმწიფოთა შორის გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობები უკვე არსებობდა. ამას მოწმობს აზიელი სინუხეტის სიტყვები:[73] „მაცნე, რომელიც მიემგზავრებოდა ჩრდილოეთში

[71] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია 1988, 130.

[72] История дипломатии 1941, 18.

[73] Межгосударственные отношения... 1987, 56.

და სამხრეთისაკენ – დედაქალაქში, ჩემთან გაჩერდა: მე ნებას ვრთავდი თითოეულს [მაცნეს] ჩემთან დარჩენილიყო".[74]

თებეს გადამწერთა სკოლაში ჩაწერილი პაპირუსი სალიე I (Papyrus Sallier I), რომელიც დღეს ბრიტანეთის მუზეუმში ინახება,[75] დიდ ინტერესს იწვევს დიპლომატიური საკითხების კვლევის თვალსაზრისით.[76] დამწყებმა გადამწერმა ლეგენდა ან გადაიწერა, როგორც სასკოლო დავალება, ან კარნახით ჩაიწერა. ტექსტი დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ მას დასასრული არ აქვს და ზღაპრული ელემენტების შემცველია, საკმაოდ საყურადღებოა საგარეო ურთიერთობების კვლევის კუთხით. ტექსტი გვიჩვენებს, რომ ხალხურ მეხსიერებაში შემორჩა კვალი კონფლიქტისა სეკენენრასა და ჰიქსოსებს შორის. აგრეთვე ნაჩვენებია ის, თუ რა ხერხებს მიმართავდნენ უხსოვარ დროში მმართველები, როცა ომის დაწყების მიზეზს ეძებდნენ. ვარაუდობენ, რომ ჰიქსოსებთან ბრძოლაში თებეს მეფე სეკენენრა მონაწილეობდა, რომელიც ამავე დროს ამ ზღაპრის გმირიცაა.[77] როგორც ჩანს, ლეგენდაში აღწერილია ჰიქსოსების ბატონობის ხანის ხალხური ვერსია, რომელიც საომარი მოქმედების დაწყებას გვიამბობს.[78] ჰიქსოსების მეფე აპოპი აუსერა ავარისში იჯ-

---

[74] Лившиц 1979, 15.

[75] ბრიტანეთის მუზეუმი, EA 10185.

[76] Gardiner 1932. 85-89.

[77] სეკენენრა ტაა – ძველი ეგვიპტის ფარაონი XVII დინასტიიდან, რომელიც მეფობდა მეორე გარდამავალი პერიოდის დროს. მისი მმართველობა დაიწყო ძვ. წ. 1560 ან ძვ. წ. 1558 წელს, უცნობია მმართველობის დასრულების წელი. ცნობილია, რომ მან რამდენიმე წელს იმეფა. სეკენენრა ტაა ტახტზე სენახტერნას შემდეგ ავიდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეგვიპტეში კამოსი გამეფდა. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, სეკენენრა შესაძლოა ჰიქსოსებთან ბრძოლაში დაიღუპა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი შეთქმულების დროსაც მოეკლათ.

[78] ძველი ეგვიპტის ისტორიაში დიპლომატიის შესახებ ცნობები ძირითადად გვხვდება ჰიქსოსების ბატონობის ხანიდან, რომელიც ძვ. წ. XVII საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისის პერიოდს მოიცავს. ეს ის ხანაა, როცა აზიიდან მოსულმა მომთაბარე ხალხებმა – ჰიქსოსებმა დაიპყრეს დელტის აღმოსავლეთ ნანილი და ქალაქი ავარისი თავიანთ სატახტო ქალაქად გამოაცხადეს. ეგვიპტის ისტორიული

და და მთელი ქვეყნისაგან ხარკს იღებდა. ამ პაპირუსში ვკითხულობთ: „1.2. აპოპი ც.უ.ჯ.[79] იჯდა ავარისში, და მთელი ქვეყანა უხდიდა მას დიდი მოცულობით ხარკს როგორც პროდუქტებით (?), ასევე ეგვიპტის ყველაზე საუკეთესო ნივთებით"... ერთხელ მან ბრძანა, რომ სურდა გაეგზავნა ელჩი სამხრეთის ქალაქ თებეში, რათა გადაეცათ მეფე სეკენენრასთვის ბრალდების სიტყვიერი შეტყობინება. ბრალდების მოსაფიქრებლად მან მრჩევლები და თავისი ქვეყნის ბრძენი ხალხი მოიწვია. როგორც ჩანს, დამპყრობელი მეფე მიზეზს ეძებდა ომის გასაჩაღებლად, რათა თავისი მმართველობის ქვეშ მოექცია სამხრეთ ნაწილიც. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა, რომელზეც სამეფო კარზე შეთანხმდნენ, ზღაპრული ელემენტების მატარებელია და თითქმის აბსურდულია, მაინც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მხოლოდ მეორე მხარის ომისთვის გამოწვევას გულისხმობს. მეფემ მაცნე მიავლინა თებეში სამეფო კარზე შეთანხმებული ბრალდების გადასაცემად. „ბევრი დღის შემდეგ" შუამავალმა ჩააღწია დანიშნულების ადგილზე. სასახლის მცველებმა იგი ფარაონს შეახვედრეს. მას შემდეგ, რაც სეკენენრამ ჰკითხა მიზეზი, თუ რა-

---

ტრადიცია ამ აზიელ ბელადებს XV და XVI ჰიქსოსური დინასტიის ფარაონებს უწოდებს. აქედან დაიწყო მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ეგვიპტესა და აზიის ქვეყნებს შორის. დიდხანს პოლიტიკური სისტემა ჰიქსოსების ბატონობის ხანაში არ შეცვლილა. ის მხოლოდ შიდა ნომების მართვით შემოიფარგლებოდა, რითაც ჰიქსოსელი ფარაონები ადგილობრივ საქმეებში თავიანთი მართვის ავტონომიას უფრთხილდებოდნენ. ამიტომ საგარეო ვაჭრობა თითქმის არ არსებობდა და არც ვითარდებოდა. ეგვიპტის ნომები დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ და ადგილობრივი ვაჭრობით – გაცვლის სისტემით განისაზღვრებოდა. ჰიქსოსების ბატონობის ხანის დასასრულს ნილოსის სამხრეთით, თებეში დაწინაურდა ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის მმართველებიც ჰიქსოსების დინასტიის დამოუკიდებლად მართავდნენ ზემო ეგვიპტეს. მათ ფარაონებად გამოაცხადეს თავი (ეგვიპტის ისტორიული ტრადიცია მათ XVII დინასტიად მოიხსენიებს) და დაიწყეს ბრძოლა აზიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგვიპტის გასაერთიანებლად. სწორედ ამ პერიოდს ასახავს ის ისტორიული წყაროები, რომლებშიც ასახულია ეგვიპტის დიპლომატიის საწყისები.

[79] „დაე, იყოს იგი ცოცხალი, უვნებელი, ჯანმრთელი".

ტომ ჩამოვიდა იგი „სამხრეთის ქალაქში“, ელჩმა უპასუხა, რომ მეფე აპოპის გამოგზავნილი იყო. ჩვენი ყურადღება ტექსტში წარმოდგენილმა დიალოგის იმ თანმიმდევრულობამ მიიპყრო, რომელიც მეფესა და მეორე ქვეყნის ელჩს შორის გაიმართა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ რაც არ უნდა ძლიერი მხარის წარგზავნილი ყოფილიყო შუამავალი, მას უნდა დაეცვა ფარაონთან შეხვედრის გარკვეული წესები, კერძოდ, მაცნეს ეკრძალებოდა მისი ნებართვის გარეშე საუბრის დაწყება. ტექსტის კითხვისას აშკარად იგრძნობა მაცნის მოკრძალებული ტონი და სიფრთხილე ფარაონთან შეხვედრისას. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც დიპლომატიის ერთ-ერთ განსაზღვრულ წესთან უნდა გვქონდეს საქმე. ელჩის გადმოცემით, აპოპი მოითხოვდა, დაეტოვებინა თებეს მეფეს ჰიპოპოტამების გუბე, რადგანაც ისინი არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას არც დღისით და არც ღამით და მათი ხმა ძილს უფრთხობდა ქალაქს.[80] სამხრეთის ქალაქის მმართველი დადუმდა და უბედურებისაგან ტირილი დაიწყო. თებეს მეფემ მაცნეს ჰკითხა, თუ რა ხმები ესმოდა მის მეფეს. შუამავალმა კი უპასუხა, რომ მხოლოდ ეს დააბარა მეფემ და ამ სიტყვების შესატყობინებლად გამოგზავნა მასთან: „2.8. ...და [მაცნემ] (უთხრა მას: „ასეთია) სიტყვები, რომლის გადმოსაცემადაც მან გამომგზავნა (შენთან)“. ეს არის უკანასკნელი სიტყვები, რომლებსაც წარგზავნილი ეუბნება ფარაონს. არავითარი ახსნა-განმარტება ან დარწმუნება ფარაონისა მისი მხრიდან პაპირუსში არ ჩანს. ამ შემთხვევაში მაცნე მხოლოდ ინფორმაციას გადასცემს მეორე მხარეს. იგი მეფის ნდობით აღჭურვილი პირია, მაგრამ სეკენენრასთან მოლაპარაკებაში არ იღებს მონაწილეობას. მაცნე არც მეფეს დაურიგებია და არც მეფის ბრძენ მრჩევლებს მისიის აღსრულებამდე, ყოველ შემთხვევაში ეს ტექსტში არ ჩანს. თუმცა არც თებეს მეფე მოითხოვს მისგან დაჟინებით ამას. სეკენენრამ ბრძანება გასცა, პატივით მიეღოთ და კარგად გამასპინძლებოდნენ აპოპის ელჩს: „2.9. [და სამხრეთის ქალაქის მმართველმა ბრძანა], რომ [მეფე

[80] ავარისი, სადაც ჰიქსოსების მეფე აპოპი იჯდა, 800 კმ.-ით იყო დაშორებული თებეს ტბიდან. სწორედ ასეთ მანძილზე უფრთხობდნენ ძილს აპოპის ჰიპოპოტამები.

აპოპის ც.უ.ჯ. მაცნის მიმართ] გამოეჩინათ მზრუნველობა კარგი [ნივთებით], ხორცით, ღვეზელებით". ხოლო მაცნეს კი უთხრა: „2.10. (და სამხრეთის ქალაქის მმართველმა უთხრა მას: „დაბრუნდი მეფე აპოპისთან ც.უ.ჯ., შენს ბატონთან) და ყველაფერს, რასაც შენ მას ეტყვი, მე შევასრულებ ამას". ზღაპრული ელემენტების მიუხედავად, საკმაოდ კარგად არის გამოკვეთილი ელჩის ადგილი მაშინდელ საზოგადოებაში. მეფის ბრძანებით მას დიდი პატივით იღებენ სასახლეში. ჯერჯერობით დაუზუსტებელია, იცავდა თუ არა ელჩს იმუნიტეტი და ჰქონდა თუ არა მას იმის გარანტია, რომ დაცული იქნებოდა თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდის ეგვიპტეში არსებობდა შეთანხმება, შესაძლოა სიტყვიერი, მეფის ელჩის ხელშეუხებლობის შესახებ. უკვე ახალი სამეფოს ხანის დოკუმენტებში კარგად ჩანს მოლაპარაკება და ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ჰიქსოსების ბატონობის დროს შუამავლის იმუნიტეტზე მსჯელობა წერილობით არ დასტურდება. ელჩის გასტუმრების შემდეგ თებეს მეფემ მოიწვია სამეფო კარის დიდებულები და მებრძოლები და მათაც ამცნო აპოპის სიტყვიერი შეტყობინება. ისინიც დუმდნენ უბედურების გამო და არ იცოდნენ, რა ეპასუხათ მეფისთვის. აქ წყდება მონათხრობი.

ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სეკენენრა აღიარებდა აპოპის უმაღლეს ხელისუფლებას და მას ხარკსაც უხდიდა. ელჩის გაგზავნა კი სიტყვიერი ინფორმაციის მისაწოდებლად იყო ხერხი, რომლის საშუალებითაც ჰიქსოსელი მმართველი ცდილობდა, გაეკონტროლებინა თებეს მხარე.[81] როგორ დამთავრდა თებეს ფარაონსა და ჰიქსოსელ მმართველს შორის მოლაპარაკება უცნობია. თუმცა ვიცით მხოლოდ ის, რომ სეკენენრა იყო მამაცი მებრძოლი და ერთ-ერთი ვერსიით იგი ჰიქსოსებთან ბრძოლაში დაიღუპა. ამას მოწმობს კაიროში დაცული მისი მუმია, რომელსაც დაზიანებული თავის ქალა აქვს და მრავალრიცხოვანი ჭრილობებით დაფარული სხეული.

[81] Межгосударственные отношения... 1987, 37; Labib 1936; Seters 1967.

ჰიქსოსების ბატონობის ხანაში სახელმწიფო ხელს უწყობდა სხვადასხვა შეთანხმების მიღწევასა და დინასტიურ ქორწინებას დამპყრობელ ფარაონებსა და მრავალრიცხოვან დამორჩილებულ ადგილობრივ მმართველებს შორის. ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ ავარისსა და თებესაც. დელტაში აღმოჩენილია თებელი დედოფლის, თანის ქანდაკება, რომელზედაც ამოტვიფრულია სახელი აპოპი, რაც მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ ისინი დაქორწინებულნი იყვნენ.[82] თებეში ამენჰოტეპ I-ის სამარხში ნაპოვნია ლარნაკის ფრაგმენტი, რომელზედაც წარწერილია აპოპისა და ამენჰოტეპ I-ის ქალიშვილის, ხერიტის სახელები.[83] სავარაუდოა, რომ ორივე წარწერა დინასტიურ ქორწინებაზე მიგვანიშნებს.[84] დინასტიური ქორწინება თავისთავად მოწმობს დიპლომატიის განვითარების პროცესს ამ ხანაში. მმართველები ცდილობდნენ თავიანთი მიზნებისათვის არაერთი დიპლომატიური ხერხი გამოეყენებინათ, მათ შორის ყველაზე ნაცადი გზა იყო დინასტიური ქორწინება, რომელიც ხელს უწყობდა ურთიერთობების უკვე სხვა საფეხურზე გადასვლასა და კავშირების განმტკიცებას.

---

[82] Simpson 1959, 233-39.

[83] Carter 1916, 152.

[84] Schulman 1979, 181.

ახალი სამეფოს ხანაში XVIII დინასტიის ფარაონთა დაპყრობითმა ომებმა აქტიური და რეგულარული კონტაქტების დამყარება გამოიწვია წინა აზიაში. ეგვიპტის ჯარის დაწინაურება ელჩების წარგზავნის პრაქტიკას ააქტიურებდა. დიპლომატიური ურთიერთობები თანდათან კორესპონდენციის თვალსაზრისითაც ვითარდებოდა. ამენჰოტეპ III მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას ატარებდა. იგი ცდილობდა პოლიტიკური გავლენა არა ჯარითა და იარაღით, არამედ დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებით შეენარჩუნებინა აზიაში. სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებებს ელჩები წარმართავდნენ. ამ შეხვედრების მიზანი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება იყო. ზოგჯერ სახელმწიფოთა შეთანხმება კონფიდენციალური რჩებოდა, რათა მათ შორის სამშვიდობო და პოლიტიკური კავშირი დამყარებულიყო.[85] ეგვიპტელებს აქტიური სავაჭრო, კულტურული და პოლიტიკური კონტაქტები ჰქონდათ მათთვის ცნობილ სამყაროსთან – წინა აზიაში ხეთებთან, ჩრდილო და სამხრეთ შუამდინარეთთან (მითანი, ბაბილონი, ასურეთი), სირია-პალესტინის წარჩინებულებთან, კუნძულ კრეტის სამეფოსთან და ეგეოსის ზღვის კუნძულებთან. ეგვიპტეში დიპლომატიურ მიმოწერას განაგებდა სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობების საგანგებო კანცელარია.[86] ძველი ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვან და მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის თელ ელ-ამარნას დიპლომატიური არქივი, რომელიც ძვ. წ. XIV საუკუნის დიპლომატიური ტექსტების უნიკალურ კრებულს წარმოადგენს და ამ ხანის ისტორიას ასახავს,[87] იმ პერიოდს, როცა ეგ-

[85] Авдиев 1948, 213.

[86] История дипломатии 1941, 18.

[87] თელ ელ-ამარნა მდინარე ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე, კაიროს სამხრეთით მდებარეობს, სადაც ძველად ახალი სამეფოს დედაქალაქი, ამენჰოტეპ IV-ის ქალაქი ახეტატონი („ატონის ჰორიზონტი“) იყო. დღევანდელ თელ ელ-ამარნაში 1887 წელს ეგვიპტელმა ქალმა მიწის დამუშავებისას აღმოაჩინა თიხის ფირფიტა ლურსმული დამწერლობით, რის შემდეგაც ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები და

ვიპტე ჰეგემონი ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებდა ახლო აღმოსავლეთში. თელ ელ-ამარნას დიპლომატიურ არქივში დაცულია ბაბილონის, ასურეთის, მითანის, ხეთების სამეფოს, არცავას ქვეყნის, კუნძულ კვიპროსისა და აგრეთვე დამორჩილებული ქვეყნების – პალესტინის, სირიის, ფინიკიის ქალაქ-სახელმწიფოთა მმართველთა მიერ ეგვიპტის ფარაონების, ამენჰოტეპ III-ისა და ამენჰოტეპ IV-ის (ეხნატონის) სახელზე გამოგზავნილი წერილები. ეს ოფიციალური გზავნილები იმ ურთიერთობას ასახავს, რომელიც ეგვიპტესა და წინა აზიის სახელმწიფოებს შორის არსებობდა. აგრეთვე, კარგადაა წარმოდგენილი, თუ როგორ წყდებოდა დინასტიური ქორწინების საკითხები იმ ხანაში და როგორ ატარებდნენ საგარეო პოლიტიკას მმართველები. შემორჩენილია მხოლოდ ფარაონის სახელით აზიაში გასაგზავნი რამდენიმე ფირფიტა. ისინი, როგორც ვარაუდობენ, გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხვდა დანიშნულების ადგილზე და სასახლის არქივში დარჩა. წერილები აქადურ ენაზეა შესრულებული. აქადური ისევ ინარჩუნებდა საერთაშორისო დიპლომატიური ენის სტატუსს იმ პერიოდის ახლო აღმოსავლეთში. თელ ელ-ამარნას წყაროებში ასახულ ისტორიულ ნაწილს ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ, თუმცა შევეცდებით წარმოვაჩინოთ ფარაონის ელჩის ფუნქციები და მისი უფლებამოსილების საზღვრები. შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ, რა ევალებოდათ ეგვიპტელ ელჩებს უცხო ქვეყანაში და რა მისიით სტუმრობდნენ ეგვიპტეს სხვა ქვეყნის შუამავლები?

უპირველეს ყოვლისა, ელჩი ფარაონის ან მმართველის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, რომელსაც ევალებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან განკარგულების გადაცემა ძლიერი თუ

წარნერების შესწავლა დაიწყო. დღესდღეობით დაახლოებით 382 ფირფიტაა აღმოჩენილი, მათგან 300 დიპლომატიური წერილია, დანარჩენი კი ლიტერატურულ და საგანმანათლებლო მასალას ნარმოადგენს. ნერილები შესრულებულია მზეზე გამომშრალ თიხის ფირფიტებზე. ისინი ოთხკუთხედი ფორმისაა და ზომის მიხედვით განსხვავებული (იხ. Moran 1992). ფირფიტებზე წერილების ხასიათი და ხელნერის სტილი ახალბაბილონურ წარნერებს მოგვაგონებს (იხ. Межгосударственные отношения... 1987, 41).

დამორჩილებული ქვეყნის მმართველებთან. მას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა იმ ქვეყნის ზნე-ჩვეულება, კულტურა, გზები თუ გეოგრაფია, სადაც მას აგზავნიდნენ.[88] იგი უნდა ყოფილიყო გამოცდილი დიპლომატი და კარგი მეომარი. თუ ელჩი ვერ ფლობდა იმ ქვეყნის ენას კარგად, მას თარჯიმანი ახლდა. ანასტასი I-ის პაპირუსზე, სატირული ხასიათის ლიტერატურულ ტექსტში განმარტებულია, თუ რისი ცოდნა მოეთხოვებოდა ელჩს. ერთ-ერთი ეგვიპტელი უვიც და მკვეხარა მაცნედ მოიხსენიება.[89] ელჩებს ყველაფრის საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ ფარაონი, თუ რამე მნიშვნელოვანი ხდებოდა ქალაქებში და განსაკუთრებით უნდა ეკონტროლებინათ მტრული წამოწყება ან ინტრიგა ეგვიპტის წინააღმდეგ.[90] გარდა ამისა, მათ ფუნქციაში შედიოდა ამ ქალაქ-სახელმწიფოების დაცვა და მათ ტერიტორიებზე მშვიდობის უზრუნველყოფა. ადგილობრივი მთავრობა კი ფარაონის წარგზავნილებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა. უთანხმოებისა თუ გაუგებრობის შემთხვევაში კი მეფისნაცვალს ეხმარებოდნენ საგანგებო მისიით წარგზავნილი ფარაონის ელჩები, რომლებიც განსაკუთრებული უფლებამოსილებით სარგებლობდნენ. მეფისნაცვალი აგრეთვე ატარებდა „უცხო ქვეყნების გამგებლის" ტიტულს,[91] რომელიც საკმაოდ საპატიო თანამდებობად მიიჩნეოდა ეგვიპტის ადმინისტრაციულ სისტე-

---

[88] Межгосударственные отношения. . 1987, 57

[89] Helck 1962, 328-32, 476-78.

[90] ფარაონის წარგზავნილები, რომლებიც მიემართებოდნენ ეგვიპტიდან აზიაში და მეფისნაცვლის ფუნქციას ასრულებდნენ, თელ ელ-ამარნას არქივის წერილებში, უმეტესწილად, მოიხსენიებიან აქადური სიტყვით „რაბიცუ". ეგვიპტურ ენაზე შედგენილ ტექსტებში ისინი „მეფის წარგზავნილებად" სახელდებიან, იშვიათად კი – ქანაანური სიტყვით „მახარ" (მაცნე, შიკრიკი) (Межгосударственные отношения. . 1987, 57). „რაბიცუდ" ინოდებოდა არა მარტო ფარაონის ნაცვალი, არამედ საგანგებო ელჩიც, რომელიც დიპლომატიურ მისიას ასრულებდა სხვა ქვეყანაში. ერთ-ერთ წერილში (№40) კვიპროსისა და ეგვიპტის მეფის კარის წარჩინებულებიც ამ ტერმინით იხსენიებიან. მეფისნაცვლები და ელჩებიც ეგვიპტის ინტერესებს იცავდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე.

[91] Межгосударственные отношения... 1987, 43.

მაში. ამ თანამდებობას აღწევდნენ ფარაონის ერთგული დიდგვაროვნები. მეფისნაცვლის დანიშვნისას საზეიმო ცერემონია იმართებოდა, რომლის დროსაც ფარაონი „რაბიცუს" ძალაუფლების სიმბოლოდ ოქროს ბეჭედს უკეთებდა. მეფისნაცვალს შეთავსებული ჰქონდა ელჩის ფუნქციებიც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი მისია უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე იმ ელჩისა, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული დავალების შესასრულებლად მიემგზავრებოდა სხვა ქვეყანაში.

თელ ელ-ამარნას წერილებში მოხსენიებული შუამავლები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ: 1) საგანგებო ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც ელჩის ფუნქციას ასრულებდნენ დამეგობრებულ სახელმწიფოებში. მათი საშუალებით ფარაონები ამყარებდნენ კონტაქტებს და კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ ძლიერ ქვეყნებთან (შუამდინარეთი, მცირე აზია, კუნძული კვიპროსი); 2) ფარაონის ადმინისტრაციის ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც შუამავლის ფუნქცია ეკისრებოდათ ფარაონსა და ეგვიპტის მიერ დაპყრობილ ქალაქ-სახელმწიფოთა მმართველებს შორის (პალესტინა, სირია, ფინიკია). ფარაონი ელჩს ანდობდა ინფორმაციას, ავალებდა განკარგულების გადაცემას სხვა ქვეყანაში და მათი შუამავლობის საშუალებით წარმართავდა საგარეო პოლიტიკას. ელჩების წარგზავნის პრაქტიკა ეგვიპტის სამეფო კარზე უძველესი დროიდან არსებობდა. ამიტომ ახალი სამეფოს ხანაში შუამავლებით ურთიერთობა მმართველებს შორის უკვე საკმაოდ მოწესრიგებული იყო. აზიელ ელჩთა სტატუსი და ფუნქცია განისაზღვრებოდა იმისდა მიხედვით, რომელ ქვეყანასაც იგი წარმოადგენდა – დამოუკიდებელს თუ დაპყრობილს. ფარაონის ძალაუფლებას დამორჩილებული მმართველები თავიანთ მონურ ერთგულებას უდასტურებდნენ ეგვიპტეს და საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას ითხოვდნენ მისგან.

წარმომადგენლობითი ელჩობა ეგვიპტეში აზიის ძლიერი სახელმწიფოებიდანაც იგზავნებოდა. ელჩები საპასუხისმგებლო მისიით ჩადიოდნენ. ისინი თავიანთი ქვეყნის წარჩინებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკება ფარაონთან, სასახლემდე გაეცილებინათ საჩუქრებით

დატვირთული ქარავნები და საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მისასალმებელი სიტყვა მმართველისათვის. ელჩებისადმი დამოკიდებულება მაინც კონკრეტულ ისტორიულ მომენტზე იყო დამოკიდებული. თუმცა ისინი ყოველთვის აცხადებდნენ პრეტენზიას იმაზე, რომ პატივისცემითა და ყურადღებით მოპყრობოდნენ მათ. ელჩებს კეთილგანწყობის ნიშნად სამეფო კარის ნადიმებზეც იწვევდნენ. თელ ელ-ამარნას ერთ-ერთ წერილში დასტურდება მათი დასაჩუქრების ტრადიციაც. გარდა ამისა, ვიგებთ, რომ ზოგჯერ ელჩები არაკეთილსინდისიერად ასრულებდნენ მოვალეობას და ცილისწამებასა და გამოძალვის ბრალდებაშიც კი იყვნენ მხილებულნი. ამენჰოტეპ III განაწყენებული იყო ბაბილონის მეფის, კადაშმან-ენლილის მაცნეებზე და აღნიშნავდა: „დამყარდეს ჩვენ შორის კარგი მეგობრობა...“ – ეს ის სიტყვებია, რომლებსაც შენ მწერდი“. ჭეშმარიტად ძმები ვართ შენ და მე, ჩვენ ორივე, მაგრამ მე განრისხებული ვარ შენს მაცნეებზე, რადგან შენთან ისინი ამბობენ: „არაფერს გვაძლევს ის (ამენჰოტეპ III – თ. დ.) ჩვენ, ვინც ჩავედით ეგვიპტეში...“ მათგან ერთ-ერთი მოდის ჩემთან და მიაქვს ვერცხლი, ოქრო, ზეთი, ჩასაცმელი. რაც კი საუკეთესო ნივთები არსებობს, მიაქვს სხვა ქვეყანაში და ის არ ატყობინებს სიმართლეს მას, რომელმაც ჩემთან გამოგზავნა... ასე რომ, მივიღე გადაწყვეტილება, არ მივცე მათ არაფერი“ (№1).[92]

როგორც თელ ელ-ამარნას წყაროები გვიდასტურებს, წარგზავნილთა ხელშეუხებლობა უცხო ქვეყანაში არ იყო გარანტირებული. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ პრეტენზიას დიპლომატიური იმუნიტეტის შესახებ, თუმცა საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმად ეს ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული. ამიტომ მეფის კარზე წარგზავნილი ელჩი მმართველის ძალაუფლების ქვეშ ხვდებოდა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, იქნებოდა ეს პოლიტიკური

[92] კნუდზონისა და მერსერის გამოცემებში თელ ელ-ამარნას არქივის თითოეული წერილი დანომრილია, რის მიხედვითაც ხდება მათი დამოწმება. ისინი თარგმნილია გერმანულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა ნუმერაციას და ინგლისურიდან თარგმანსაც ვიყენებთ ჩვენს ნაშრომში. შდრ. იხ. Knudtzon 1907-1915, Mercer 1939.

უთანხმოება თუ განაწყენება უმნიშვნელო საჩუქრის გამო, მეფეს შეეძლო დაეკავებინა ელჩი, როგორც ტყვე განუსაზღვრელი დროით ან მოეკლა კიდეც. ერთ-ერთ წერილში ასურეთის მეფე აღშფოთებას ვერ ფარავს ეგვიპტეში მისი ელჩების დაკავების გამო: „ჩემი მაცნეები ნუ იქნებიან დაკავებულნი... მაცნეებმა, რომლებსაც ჩვენ ვგზავნით, რატომ უნდა დაასრულონ სიცოცხლე უცხო მიწაზე?“ (№16) ასურეთის მეფე აშურუბალიტ I წერდა ეხნატონს: „მაცნე იმისთვის გამოვგზავნე შენთან, რომ მოგინახულოს. მიიღე იგი გულთბილად. მაცნე უნდა შეგხვდეს და უკან დაბრუნდეს. დაე, შეიტყოს მან შენი სურვილი და ნება შენი ქვეყნისა, რის შემდეგაც უკან დაბრუნდება“ (№15).

თელ ელ-ამარნას წყაროებში ხშირად გვხვდება ელჩის უფლების დასაცავი თხოვნის წერილები. ეგვიპტის ფარაონს თხოვნით მიმართავდნენ დაკავებული ელჩების გათავისუფლებისათვის. აზიის სახელმწიფოთა მმართველები ცდილობდნენ, დაეცვათ თავიანთ წარგზავნილთა უფლებები და მიეღოთ მათი უსაფრთხო გადაადგილების გარანტია. ამენჰოტეპ IV-ის გამეფების შემდეგ მითანსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობები დაიძაბა. თუშრათამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ფარაონის მცირე საჩუქრის გამო. მითანის მეფე ოქროს ქანდაკებას ელოდებოდა. სინამდვილეში ფიგურა ოქროთი მოპირკეთებული ხის ნაკეთობა აღმოჩნდა.[93] ამის გამო მან ეგვიპტის ელჩი ხამაში შეიპყრო, ხოლო ამენჰოტეპ IV-ს საყვედურის წერილი გაუგზავნა. ფარაონის ნდობით აღჭურვილი პირის დაკავება მითანის მეფის დიდი რისხვის გამოვლენა იყო. მალე თუშრათამ დამატებითი საჩუქარი მიიღო ეგვიპტიდან, რომელიც მას ფარაონის ელჩმა მანემ მიართვა. ამის შემდეგ მითანის მეფემ ხამაში გაათავისუფლა, თუმცა დააყოვნა მანე, სანამ მითანელი ელჩები, პირიზი და პუპრი არ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში: „მანეს, ჩემი ძმის შიკრიკს, მე დავაყოვნებ მანამ, სანამ ჩემი ძმა არ გამოგზავნის ჩემს შიკრიკებს და სანამ ისინი არ დაბრუნდებიან“ (№28).

[93] Streck 2000, 33-34.

ემოციურად ამაღელვებელია კვიპროსის მეფის წერილი ამენჰოტეპ IV-სადმი, რომელშიც მეფე განმარტავს, თუ რატომ შეფერხდა ფარაონის მაცნის დაბრუნება სამშობლოში. ამის მიზეზად იგი ეპიდემიის გავრცელების გამო მძიმე მდგომარეობის შექმნას ასახელებს: „ნუ მიიტან გულთან, ჩემო ძმაო, რომ შენი მაცნე ჩემს ქვეყანაში შეყოვნდა, რადგან ნერგალის[94] ხელი ადევს ჩემს ქვეყანასა და ჩემს სახლს. ჩემმა ცოლმა ვაჟი გააჩინა, რომელიც დაიღუპა, ო, ჩემო ძმაო“ (№35). თუ დამოუკიდებელი და მეგობარი ქვეყნების მაცნეები შეიძლებოდა გართულებული სიტუაციის გამო დაეკავებინათ სხვა ქვეყანაში, დამორჩილებული ქვეყნების – პალესტინის, სირიის, ფინიკიის – მაცნეებს არც კი აღიარებდნენ და მათ ზოგჯერ საერთოდ არ ხვდებოდნენ. ამის გამო ხშირად წუხდნენ მმართველები და ასეთი შინაარსის წერილი არაერთია თელ ელ-ამარნას წყაროებში: „...მე გამოვგზავნე ჩემი ვაჟი სამეფო კარზე... მაგრამ მას ოთხი თვის შემდეგაც არ უნახავს მეფის სახე“ (№138).

ელჩები ხანგრძლივ და შორეულ გზას გადიოდნენ დაკისრებული მისიის შესასრულებლად. შესაბამისად, მათი მგზავრობა გარკვეულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით დაპყრობილი ქვეყნების – პალესტინის, სირიისა და ფინიკიის წარგზავნილები ზარალდებოდნენ. თუმცა ეგვიპტის მეგობარი და დამოუკიდებელი ქვეყნების შუამავლების შეპყრობის ფაქტებიც გვხვდება. საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად მეფის ელჩებს თან ჰქონდათ წერილი, რომელშიც

---

[94] ნერგალი – ბაბილონელთა ღვთაება, რომელსაც ეთაყვანებოდნენ ქუთაში, ისტორიულად ნერგალისათვის მიძღვნილ ქალაქში. ქუთას მკვიდრნი, რომლებიც ასურეთის მეფემ სამარიაში ჩაასახლა, იქაც აგრძელებდნენ ამ ღვთაების თაყვანისცემას (2მფ. 17:24, 30, 33). ზოგი მეცნიერის ვარაუდით, ნერგალი თავდაპირველად ცეცხლისა და მნველი მზის განსახიერება იყო. ის მხოლოდ მოგვიანებით იქცა ომისა და ნადირობის ღმერთად და ჭირის მომტანად. რელიგიურ ტექსტებში ნერგალთან გამოყენებული ეპითეტები იმაზე მიუთითებს, რომ ის გამანადგურებლად პყავდათ მიჩნეული. მას უწოდებდნენ „მძვინვარე მეფეს“, „შმაგს“ და „ცეცხლოვანს“. ნერგალს ქვესკნელის ღმერთად და ერეშქიგალის მეუღლედაც მიიჩნევდნენ. მის სიმბოლოდ კაცისთავიანი ფრთოსანი ლომი ითვლებოდა.

სთხოვდნენ უცხო ქვეყნის მმართველებს, არ დაეკავებინათ ისინი და მიეცათ უფლება ამ ქვეყნის გავლით დროულად ჩასულიყვნენ დანიშნულების ადგილზე. „მეფე კინახს, ჩემი ძმის (ფარაონის – თ. დ.) მეგობარს ვეუბნები... ნურავინ დააკავებს მას [მაცნეს], დართე ნება, ჩავიდეს ეგვიპტეში დროულად და გადასცენ იგი ეგვიპტის მმართველს სასწრაფოდ. ამიტომ ნურაფერი შეემთხვევა მას“ (№30).

მგზავრობის დროს ელჩებს ხშირად ჩამოკიდებული ჰქონდათ გულზე თიხის ფირფიტები: „...იგი [ამენჰოტეპ II] შეხვდა ნახარინის (მითანის სამეფო – თ. დ.) მმართველის მაცნეს, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონდა კისერზე წერილი, შესრულებული თიხის ფირფიტაზე. მისმა უდიდებულესობამ იგი აიყვანა ტყვედ...“[95]

როგორც თელ ელ-ამარნას არქივი მოწმობს, წერილებში ადრესატისადმი მიმართვისას მმართველები განსაზღვრულ წესებს იცავდნენ. დიპლომატიური მიმოწერისას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეფეებისა და დამორჩილებული ქვეყნის მოხელეთა მიმართვის ფორმა და დოკუმენტის შინაარსი საკმაოდ განსხვავებული იყო. თანაბარუფლებიანი მეფეები ერთმანეთს „ძმას“ უწოდებდნენ და მეგობრულად მიმართავდნენ. თუ ფარაონი ასაკით უფროსი იყო, მეფე, როგორც „მამას“ ისე მიმართავდა, ხოლო თავის თავს „შვილად“ მოიხსენიებდა. მეგობარი მეფის გზავნილში თანაბარი ღირსებისა და ძალაუფლების ხაზგასმა აშკარად იგრძნობოდა. იმხანად არსებობდა მიმართვისა და მისალმების დადგენილი ფორმები. მეგობარი მეფე ისე ესალმებოდა წერილის დასაწყისში ძალაუფლებით თავის სწორს, როგორც ამენჰოტეპ III მიმართავს თავის გზავნილში ბაბილონის მეფეს, კადაშმან-ენლილს.: „გესაუბრება ნიმბურია, დიდებული მეფე, მეფე ეგვიპტისა, შენი ძმა. მე კარგად ვარ. კარგად უნდა იყო შენს სახლთან, შენს ცოლებთან, შენს შვილებთან, შენს დიდებულებთან, შენს ცხენებთან, შენს ეტლთან ერთად. მე კარგად ვარ ჩემს სახლთან, ჩემს ცოლებთან, ჩემს შვილებთან, ჩემს დიდებულებთან, ჩემს ცხენებთან, ჩემს ეტ-

[95] Хрестоматия по истории древнего востока 1950, 72.

ლებთან, ჩემს მეომრებთან ერთად, ძალიან კარგად ვარ ჩემი ქვეყნების შუაგულ ცენტრში" (№1). ასეთი გულთბილი წერილები იგზავნებოდა სხვა ძლიერი ქვეყნის მეფეებთან ეგვიპტიდან.

მეგობარი ქვეყნის მეფეთაგან განსხვავებით, დაპყრობილ სახელმწიფოთა მმართველები ფარაონს „ბატონს" უწოდებდნენ, ხოლო თავად კი „მონებად" და „მსახურებად" სახელდებოდნენ. ყოველ წერილში ისინი ეგვიპტის მეფეს ერთგულებას უდასტურებდნენ და ამის შემდეგ ატყობინებდნენ ქვეყნის მდგომარეობას. ხშირად სამხედრო დახმარებას ითხოვდნენ მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის, რადგან თვლიდნენ, რომ მათი მტრები ფარაონის მტრებიც იყვნენ. ზოგჯერ უკიდურესი თვითდამცირებით გამოხატავდნენ ეგვიპტის მეფის პატივისცემასა და მოწიწებას. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ჩემი ბატონის ფეხებთან შვიდჯერ და ისევ შვიდჯერ დავიჩოქები. მე ვარ მეფის სანდლების მტვერი. ჩემი ბატონი კი მზეა, რომელიც ქვეყნების თავზე ამოდის ყოველ დღე მთავარ მზესთან ერთად..." (№147). თელ ელ-ამარნას წერილებში მრავლადაა მონური ერთგულების გამოხატვის სტანდარტული ფორმულები. სამწუხაროდ, ის დამოკიდებულება, რასაც აღწერდნენ წერილებში, რეალურ მდგომარეობას ასახავდა. ადგილობრივი მმართველები, რომელთა ტერიტორიებიც ეგვიპტის სამეფოში შემოდიოდა, ვალდებულნი იყვნენ დროდადრო გაეგზავნათ ძღვენი ფარაონისათვის.[96]

ეგვიპტის საგარეო ურთიერთობებისათვის კიდევ ერთი რამ იყო დამახასიათებელი. ძღვენსა და ძვირფას საჩუქრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი სამეფოს ხანაში.

---

[96] ფარაონის ძალაუფლებაზე დამოკიდებულ მმართველებს თანამდებობაზე დანიშვნის დროს უნდა დაედოთ ერთგულების ფიცი. ამ დროს მათ თავზე ზეთს ასხამდნენ (Urkunden des ägyptischen Altertums, IV, 1304, 2). თუტმოს III-ის ერთ-ერთ სტელაზე აღწერილია რიტუალი, რომლის დროსაც კადეშისა და მისი მოკავშირე ქალაქების მმართველები ფარაონს თავიანთ ერთგულებაში არწმუნებდნენ. ადუნირარი ამენჰოტეპ III-ს ატყობინებდა მმართველის დანიშვნის ამბავს და დაწვრილებით აღწერდა ცერემონიას: „შენმა ბიძამ დანიშნა მეფედ ბიძაჩემი ტაკუ ნუხაშში და დაასხა მას თავზე ზეთი კორონაციის დროს" (№51).

მეფეები დროდადრო ერთმანეთს ძღვენს უგზავნიდნენ, რაც ერთგულების, პატივისცემისა და მეგობრობის ნიშანი იყო. უსაჩუქროდ ელჩის დაბრუნება სამშობლოში ამბოხების ილუზიას ქმნიდა და არაკეთილგანწობილი ურთიერთობის საწყისებზე მიუთითებდა.[97] იერუსალიმის მმართველი არად-ხეპა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით აღნიშნავდა, რომ ის იყო „ერთადერთი, რომელიც მეფეს ხარკს უხდიდა“ (№288). დამოუკიდებელი ქვეყნის მეფეები კი ეგვიპტის მბრძანებლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მას საჩუქრებს უძღვნიდნენ. ძვირფასეულობა ეგვიპტიდანაც გადიოდა. მეგობარ ქვეყნებს, უმეტესწილად, ოქროსა და შავი ხის ნაკეთობებით ასაჩუქრებდნენ.

ბაბილონის მეფე ბურნაბურიაში ინტერესით უსმენდა ეგვიპტელ ელჩს ზალბუს, რომელიც ეხნატონის საჩუქრების ჩამონათვალს უკითხავდა. მონებმა სასახლის დარბაზში დაალაგეს საწოლი, ბალიში, ოქროთი და სპილოს ძვლით მოპირკეთებული ძვირფასი ხის ორი სკამი, ოქროს დანა, ტყავი და წითელი აბრეშუმი, ერთი წყვილი ვერცხლის სანდლები, ქვისა და სპილოს ძვლის სხვადასხვა ზომის თასები, ზეთი, ხარისთავიანი სასმისები. ყველაზე მეტად მეფე მოხიბლა ბოლო საჩუქარმა, ოქრომ, რომელიც 40 მინენს (= 20 კგ.) იწონიდა. ბურნაბურიაშმა აღნიშნა, რომ ოქრო მას სჭირდებოდა ბაბილონის ტაძრის რესტავრაციისათვის. თანაც დაამატა, რომ ეგვიპტეში ოქრო ისევე ბევრი იყო, როგორც მტვერი. მხოლოდ ამის შემდეგ მისწერა მან პასუხი დიდი სიხარულით.[98]

მითანის მეფის, თუშრათას წერილებში ერთ-ერთ აქტუალურ თემას საჩუქრების გაცვლა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ამენჰოტეპ III დაქორწინებული იყო თუშრათას დაზე, გილუხეფაზე, თუმცა მითანის მეფე კავშირების კიდევ უფრო გასაძლიერებლად მისი ქალიშვილის, თადუხეფას ცოლად შერთვასაც სთავაზობდა. იმ მიმოწერაში, სადაც ორი სამეფოს მოლაპარაკებებია გადმოცემული დინასტიურ ქორწინებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება ერთმანეთის უხ-

[97] Всемирная история 1955, I, 398.

[98] Streck 2000, 28-29.

ვად დასაჩუქრების საკითხებს ეხება. ერთ-ერთ წერილში თუშრათა პატარძლის სანაცვლოდ დაჟინებით მოითხოვდა ამენჰოტეპ III-საგან, გაეგზავნა მისთვის ოქრო და ძვირფასეულობა: „ასე რომ, დაე, ჩემმა ძმამ გამომიგზავნოს ოქრო დიდი რაოდენობით, დაე, განუსაზღვრელი იყოს ის, რასაც გამომიგზავნის, და დაე, ჩემმა ძმამ გამომიგზავნოს ოქრო (თადუხეფას გამო – თ. დ.) უფრო მეტი, ვიდრე მამაჩემს (გილუხეფას გამო – თ. დ.), რადგან ჩემი ძმის ქვეყანაში ოქრო ისე უხვადაა, როგორც მტვერი“ (№19). როდესაც მიიღო სასურველი ანაზღაურება მითანის მეფემ ფარაონისაგან, მან თავისი ქალიშვილი, თადუხეფა გაგზავნა ეგვიპტეში ასევე ძვირფასი საჩუქრებით, თუმცა ამენჰოტეპ III-ის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა თადუხეფა ამენჰოტეპ IV-ის ჰარემში მოხვდა, თუშრათამ ისევ გააგზავნა დიდი რაოდენობით საჩუქრები ფარაონის კარზე.[99]

ასეთივე მჭიდრო კავშირზე მიგვითითებს წყაროები კუნძულ კვიპროსთან. ერთ-ერთ წერილში კვიპროსის მეფე თავს იმართლებს, რომ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების გამო ვერ შეძლო სათანადო რაოდენობის სპილენძის გაგზავნა, რადგან აღარავინ დარჩა ქვეყანაში, ვინც ლითონს მოიპოვებდა.[100]

თუკი დაპყრობილი ქვეყნის მმართველები ეგვიპტის ფარაონის ძალაუფლებას აღიარებდნენ, წინა აზიის დიდი ქვეყნები ფარაონის გავლენისაგან გათავისუფლებას ლამობდნენ. ამიტომ ფარაონები ძვირფასი საჩუქრებითა და ოქროთი ცდილობდნენ მოესყიდათ მეფეებთან მეგობრობა და ძლიერ სახელმწიფოებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეენარჩუნებინათ. ამენჰოტეპ III-მ ასურეთის მეფეს 20 ტალანტი ოქრო გაუგზავნა, რის სანაცვლოდაც მისგან მხარდაჭერისა და მეგობრობის გარანტია მიიღო.[101] ასე რომ, საჩუქრების გაგზავნა, იქნებოდა ეს დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის, თუ დამორჩილებული მმართველებისგან ხარკის გადახდა, საბოლოოდ მაინც მჭიდროდ უკავშირდებოდა საგარეო პოლიტიკას. ეს ფაქტორი კი

---

[99] შდრ. №25-29.

[100] შდრ. №35.

[101] Авдиев 1948, 213-14.

ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობდა ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

თელ ელ-ამარნას არქივის წყაროები მოწმობს, რომ მეგობრობის განმტკიცების მიზნით არაერთი დინასტიური ქორწინება შედგა მმართველების ოჯახის წევრებს შორის.[102] იმ დროს, როდესაც თანდათან ხეთების სამეფო დაწინაურდა და მისი მასშტაბებიც გაიზარდა, ფარაონები იძულებულნი გახდნენ ხათის ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილ შუამდინარეთში – მითანსა და ბაბილონში – განემტკიცებინათ კავშირები. როგორც ჩანს, ამ ქვეყნებისთვისაც მომგებიანი იყო ფარაონის მხარდაჭერა და მფარველობა. აქედან უნდა მომდინარეობდეს, რომ არქივში არაერთი დიპლომატიური წერილია ბაბილონისა და მითანის მეფეების მიერ გაგზავნილი ეგვიპტის სამეფო კარზე. ასეთ ქორწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი სამეფოს ხანაში. თუ მითანის მეფის ქალიშვილთან ქორწინებას თან ახლდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები ფარაონთან, დამორჩილებული ქვეყნის მმართველთა ქალიშვილებს ამენჰოტეპ III არც კი აღიარებდა. წერილებში კატეგორიული ტონი აშკარად იგრძნობა და მათ სანაცვლოდ მმართველებს არაფერს ჰპირდება: „გამოუგზავნე შენი ქალიშვილი შენს ბატონს და საჩუქრები: 25 კარგი მონა, ვერცხლი, ეტლები, და კარგი ცხენები“ (№99).

ამგვარად, თელ ელ-ამარნას ისტორიული დოკუმენტები ნათლად ასახავს დიპლომატიის განვითარების მაღალ დონეს ძველ ეგვიპტეში. ელჩები, როგორც სრულუფლებიანი შუამავლები, სახელმწიფოში გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ამენჰოტეპ III-ისა და ეხნატონის მეფობის დროს უკვე

---

[102] ამენჰოტეპ III-ისა და მითანის მეფის ქალიშვილის, თადუხეფას ქორწინების შესახებ ხანგრძლივ მოლაპარაკებებზე მიგვითითებს რამდენიმე წერილი. დინასტიური საქორწინო კავშირები ეგვიპტესა და მითანის სამეფოს შორის საკმაოდ ხანგრძლივი და მყარი იყო, თუტმოს IV დაქორწინდა მითანის მეფის არტადამის ქა-ლიშვილზე (შდრ. №29) (Schulman 1979, №3, 183). ამენჰოტეპ III-მ თავისი მეფობის მე-10 წელს ცოლად შეირთო გილუხეფა – მითანის მეფის შუთარნას ქალიშვილი, ხოლო თადუხეფა – თუშრათას ქალიშვილი – მეფობის 36-ე წელს.

არსებობდა ელჩებთან ურთიერთობის დადგენილი წესები. მათ, ვითარცა საგანგებო პირებს, გარკვეული დიპლომატიური ნორმების დაცვა და გათვალისწინება მოეთხოვებოდათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წარგზავნილთა უსაფრთხოების გარანტიები თანდათან იზრდებოდა, მმართველები ელჩების უფლებების დარღვევის ფაქტებით პირადად ინტერესდებოდნენ და მათ მშვიდობიანად დაბრუნებაზე აქტიურად ზრუნავდნენ.

ძვ. წ. XVII-XII საუკუნეების განმავლობაში მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე ხეთების ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების აღმოცენებისა და განვითარების კვალდაკვალ ე. წ. დიპლომატიურმა მოღვაწეობამ საკმაოდ ფართო მასშტაბები შეიძინა. ეს განსაკუთრებით სრულად აისახა ხეთურ დოკუმენტებში, რომლებმაც მრავალი ძალზე საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა ხეთების ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან. დიპლომატიის ისტორიის შესახებ ძირითად ინფორმაციას ხათის ქვეყნის დედაქალაქ ხათუსაში აღმოჩენილი თიხის ფირფიტები გვაწვდის. ხელშეკრულებები, უმეტესწილად, ერთდროულად ორ ენაზე, აქადურად და ხეთურად დგებოდა. ხეთები ტექსტს ორივე ენაზე წერდნენ იმ შემთხვევაში, როცა შეთანხმება ხდებოდა იმ ქვეყანასთან, რომელიც შუამდინარეთის კულტურის გავლენის ქვეშ იყო; ხოლო ანატოლიის მხარესთან მოლაპარაკებები მხოლოდ ხეთურ ენაზე ფორმდებოდა.[103] უმეტესი ნაწილი შეთანხმებებისა და დიპლომატიური კორესპონდენციისა ახალხეთური პერიოდისაა. ძველხეთური პერიოდის ხელშეკრულებები კი მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. კვლევას ისიც ართულებს, რომ დოკუმენტები თარიღდება მეფის სახელებით. ხეთების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში კი ქვეყანას მართავდნენ მეფეები, რომლებსაც ერთი და იგივე სახელი ერქვათ.

ხეთების ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას სამხედრო ძალით აღწევდა. შედეგად ხეთები უკვე მთავარ სავაჭრო გზებსა და სირიასა და შუამდინარეთთან დაკავშირებულ გზებს აკონტროლებდნენ.[104] არაერთი გამარჯვების წყალობით ხეთების სამეფო ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოთა შორის დაწინაურდა.[105] სამეფო კარი ცდილობდა საკუთა-

[103] Freydank 1960, VII, 358, Bryce 1999

[104] Otten 1964, XV, 121.

[105] Гиоргадзе 1982, 203.

რი მდგომარეობა დიპლომატიური აქტებითა და ხელშეკრულებებით გაემყარებინა. ხელშეკრულების დადების ინიციატივა ძირითადად ხეთების მხრიდან მოდიოდა. სწორედ ხათის სამეფოს მწერლები, ე. წ. გადამწერები ადგენდნენ შეთანხმების ტექსტს თიხის ფირფიტებზე და ერთი ეგზემპლარი მეორე მხარეს გადაეცემოდა.[106]

ხათის ქვეყანაში მეფეები ხელშეკრულების ტერმინს ზოგჯერ სიტყვა „ფიცსაც" უხამებდნენ,[107] რადგან სავარაუდოდ, ორ მმართველს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი მათ შორის ფიცის დადებასაც გულისხმობდა. თავისთავად ხელშეკრულებას, როგორც უმთავრეს დიპლომატიურ აქტს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან მოლაპარაკება პარტნიორთა გარანტიებს განსაზღვრავდა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას არეგულირებდა.

როგორც ეგვიპტეში, ასევე ხეთების სამეფოში, მეგობარი და დამორჩილებული ქვეყნების ხელშეკრულებათა შინაარსი მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ხათის მეფის, ციდანტასისა და პილიასის (ქიცუვათნის მმართველი) ხელშეკრულება პარიტეტული ხასიათის დოკუმენტია. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მზემ, დიადმა მეფემ ციდანტასმა, „მეფემ ხათის ქვეყნისა და მეფემ ქიცუვათნის ქვეყნისა" დაამყარეს მეგობრობა და ამგვარი რამ გადაწყვიტეს: ქალაქები, რომლებიც დაიპყრო პილიასმა ეკუთვნის კვლავ მას, ხოლო ქალაქები პილიასისა, რომლებიც დაიმორჩილა ქიცუვათნის მმართველმა ისევ ხათის მეფის მფლობელობაშია.[108] ასეთი შინაარსის დოკუმენტი თანაბარუფლებიან მეფეთა ურთიერთკავშირის განმტკიცებას ემსახურებოდა.

განსხვავებული ხასიათის იყო ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც დამორჩილებულ ქვეყანასა და ხეთების სამეფოს შორის ფორმდებოდა. განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ხეთების მეფესა და მის წინაპრებს.

---

[106] Weidner 1923, 80-81, 86-89.

[107] Межгосударственные отношения.. 1987, 96.

[108] Otten 1951, 129-32.

ამით ხელისუფლების კანონიერებას, სამეფო ტახტს, ქონებასა და მეფის ძალაუფლებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. წინაპრების მოხსენიებით მეფე თავის ავტორიტეტს ზრდიდა ხელქვეით მმართველებთან. დამორჩილებულ ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულებები სტანდარტული ფრაზით – „ასე ამბობს“ – იწყებოდა და შემდეგ მას მეფის ტიტული მოსდევდა. როგორც კუპანტა-ინარასის შეთანხმებაში, ასევე სხვა მოლაპარაკებების დროსაც, მკაცრად განისაზღვრებოდა ქვეყნებს შორის ტერიტორიული საზღვარი და მათი მოვალეობები. დამორჩილებულ მხარეს ეკრძალებოდა კავშირის დამყარება სხვა სახელმწიფოსთან. თუ კუპანტა-ინარასის დოკუმენტში აღნიშნულია, რომელ ქვეყანას უნდა მიიჩნევდეს იგი მოწინააღმდეგე მხარედ, აზირასთან დადებულ ხელშეკრულებაში დაზუსტებულია მოკავშირე სამეფოებიც. შეთანხმებაში ვკითხულობთ, რომ ის, ვინც ხეთების მეფის მოკავშირეა, დაე, იყოს აზირას მოკავშირეც, ხოლო ვინც „მზის მტერია, დაე, იყოს მისი მტერი“.[109] მოკავშირეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკაში. მოკავშირე მხარეს მაშინვე უნდა აღმოეჩინა დახმარება ჯარით, როცა საჭიროება შეიქმნებოდა და მეფე მოითხოვდა ამას.

საინტერესოა, რომ სუნასურასთან დადებულ ხელშეკრულებაში სტუმრის მიღების ცერემონიის ზოგიერთი დეტალი წინასწარ არის განსაზღვრული: „დაე, სუნასურასი წარსდგეს მზის წინაშე, ჩახედოს მან მზეს თვალებში. როცა იგი წარსდგება მზის წინაშე, მზის დიდებულები [ნამოდგნენ] სკამიდან, მის მოპირდაპირედ ნურავინ დაჯდება. უფრო გვიან, როგორც კი [ის მოისურვებს], დაბრუნდეს იგი ქიცუვათნას ქვეყანაში“.[110] სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი სხვა ბევრი დეტალი დიპლომატიური ეტიკეტისა, რომლებსაც ხეთების სამეფო კარი ითვალისწინებდა. ერთი რამ კი ცხადია, რომ დამორჩილებული თუ დამოუკიდებელი ქვეყნის მეფის სტუმარს განსაკუთრებუ-

[109] Freydank 1960, VII, 361.

[110] Межгосударственные отношения... 1987, 100: Weidner 1923, 92-95.

ლი წესების დაცვით ან უმნიშვნელო პატივით იღებდნენ. ეს კი წარგზავნილის სამშობლოს სტატუსზე იყო დამოკიდებული.

შეთანხმებებში დასტურდება ის ფაქტი, რომ ხეთების სამეფო დამორჩილებულ ქვეყნებს ყოველწლიურად ბეგრავდა. ხეთებს კვიპროსიც უხდიდა ხარკს ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, მარცვლეულსა და ავეჯს.[111] ერთ-ერთი წერილის ფრაგმენტში მითითებულია, რომ ხეთების სამეფო უფრო მეტ ოქროს მოითხოვდა კვიპროსის მმართველისაგან, ვიდრე მას უგზავნიდნენ.[112] ყოველწლიური გადასახადების გარდა, დაპყრობილი თუ მეგობარი ქვეყნები ელჩების საშუალებით საჩუქრებს აგზავნიდნენ ხათის სამეფო კარზე. უმეტესწილად, მეფის ძღვენით დასაჩუქრება განსაკუთრებულ დღესასწაულს უკავშირდებოდა. მეცნიერების აზრით, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ელჩი სხვა ქვეყნის სამეფო კარზე ჩადიოდა ნებისმიერი მისიით, მას თითოეულ ჯერზე ძღვენიც უნდა მიერთმია მეფისათვის.[113] ძველ სამყაროში, სავარაუდოდ, ეს დადგენილი წესი იყო.

მაშინდელი საერთაშორისო ნორმების მიხედვით სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დაცვა არა მარტო ურთიერთშეთანხმებული მხარეების მმართველებს, არამედ მათ მემკვიდრეებსაც მოეთხოვებოდათ. შეთანხმების მიზანს „სამუდამო მშვიდობის" დამყარება წარმოადგენდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სამეფო ტახტზე ყოველი ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ დოკუმენტი ხელახლა დგებოდა და ბეჭდით მტკიცდებოდა. ყოველი ახალი ხელშეკრულების შედგენა ადასტურებდა წარსულში მხარეებს შორის აღებული ვალდებულებების განმტკიცებას. პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ მასში შესაძლებელია შესწორებებიც კი შესულიყო.[114]

ძველი წარმოდგენით მხარეთა უფლება-მოვალეობების შესრულებას „ქვეყნის ათასი ღვთაება" ადევნებდა თვალყურს,

---

[111] Götze 1928, 32.

[112] Knapp 1980, 1, 43.

[113] Межгосударственные отношения... 1987, 103.

[114] Межгосударственные отношения... 1987, 109

რომლებიც ხელშეკრულების დამრღვევს მკაცრად სჯიდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მმართველთა შეთანხმება თავისთავად ფიცის დადებასაც გულისხმობდა და იგი არა მარტო მოკვდავთა, არამედ უკვდავთა წინაშეც ავალდებულებდა მხარეებს. ამ ღვთაებრივ პანთეონში ხეთური და მათთვის ცნობილი სხვა ღმერთებიც მოიაზრებოდნენ. ხათის ქვეყნის მეფე მაშინდელი აღიარებული სახელმწიფოების ღვთაებებსაც უხმობდა მოწმედ, რომ მოვალეობების აღსრულებას მეტი მნიშვნელობა მინიჭებოდა. „... მაგრამ უკეთუ შენ ამ სიტყვებს დაიცავ, დაე, ამ ათასმა ღვთაებამ, რომელთაც მე, „მზემ", ლაბარნა-მუვათალიმ, დიდმა მეფემ, მოვუხმე – ხათის ღვთაებებმა, ვილუსას ქვეყნის ღვთაებებმა, ტაროსის ღვთაება „ფიხასასიმ" – „მზის" მფარველმა ღვთაებებმა, ტაროსის ღვთაებამ.., შენი (ყოველგვარი) დოვლათითურთ დაგიფარონ შენ!"[115] – აღნიშნავდა ხეთების მეფე ვილუსას მეფე ალაქსანდუსთან დადებულ ხელშეკრულებაში. შეთანხმებაში ჩამოთვლილი იყო მრავალი ღვთაება, თუმცა არა ათასი. ასევე ცნობილია, რომ იკრძალებოდა შეთანხმების ფირფიტის დაზიანება ან ტექსტის შეცვლა. დოკუმენტის ასლი, სავარაუდოდ, ასევე მთავარი ღმერთების ტაძრებსა და მათი ქანდაკებების წინ ინახებოდა. მითანელი შათივაზას შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ფირფიტის ასლი მზის ქალღმერთის წინაშე იდო ქალაქ არინაში.[116]

„ხეთების ათასი ღვთაების" წინაშე დადებული ფიცი მხარეთა ურთიერთობებს განსაზღვრავდა: ხუკანას ვალდებულებებში შედიოდა „მზისადმი" მორჩილება და ერთგულება, მისი პატივისცემა და დაცვა შვილებითურთ, სამხედრო დახმარების აღმოჩენა, შეტყობინება „მზისათვის" ყოველგვარი „ბოროტი საქმისა" – მეფის წინააღმდეგ მოქმედება, ლტოლვილთა დაბრუნება, სასახლეში გარკვეული ეთიკის დაცვა და ა. შ. თავად სუფილულიუმა ვალდებულებას იღებდა საჭიროების შემთხვევაში დაეცვა ხუკანა და „ხაიასას კაცნი".[117]

---

[115] გიორგაძე 1988, 138.

[116] Weidner 1923, 26-29.

[117] გიორგაძე 1988, 69.

დინასტიური ქორწინება დიპლომატიის ისეთივე ტრადიციული ფორმა იყო კავშირების გასამყარებლად, როგორიც საჩუქრების გაცვლა, ელჩების გაგზავნა და მოლაპარაკება. უფრო მეტიც, ზოგჯერ მიღწეული შეთანხმების დროს დადებულ ხელშეკრულებაზე მტკიცეც კი. ორი სამეფო გვარის დანათესავება პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, რითაც დადებული ზავი ხშირად გვირგვინდებოდა.

მითანის მეფე შათივაზამ ცოლად შეირთო სუფილულიუმა I-ის[118] ქალიშვილი. როგორც მათ შეთანხმებაშია აღნიშნული, სწორედ მისი შვილი იყო ღირსი გამხდარიყო მითანის დედოფალი. მართალია, შათივაზას ჰქონდა უფლება რამდენიმე ცოლი ჰყოლოდა, მაგრამ მათგან ვერც ერთი იქნებოდა ხეთების მეფის ქალიშვილის სწორი და დანარჩენ ცოლებს მის გვერდით ყოფნაც კი ეკრძალებოდათ.[119] ეს ფაქტი თავისთავად ხეთური სახელმწიფოს ძლიერებაზე მიგვითითებს – ხეთების მეფის ქალიშვილს დედოფლის სტატუსი ენიჭებოდა და შესაბამისად, მისი ავტორიტეტიც მაღალი იყო. ასეთი დეტალების დაზუსტებაზე, ცნობილია, რომ მაშინდელი დიპლომატები მუშაობდნენ. დინასტიური ქორწინება მხოლოდ ხათის სამეფოს ინტერესების გათვალისწინების შემთხვევაში შეიძლებოდა შემდგარიყო. შეთანხმების დოკუმენტებში ხშირად გვხვდება მოხსენიებული ის ნათესაური კავშირები, რომლებიც მმართველებს სხვა სამეფოთა წინაპრებთან აკავშირებდათ. ამ ფაქტორის გამოყენება მათ გარკვეული პოლიტიკური მიზნების ან საკითხების გადასაწყვეტად სჭირდებოდათ.

---

[118] ᵐŠu-up-pi-lu-li-um(-aš] სუფილულიუმა I – ხეთების მეფე, ძე ტუდხალია III-ისა (შესაძლოა, ტუდხალია II-ისა). ხეთების ახალი სამეფოს დამაარსებელი. იმე-ფა დაახლ. ძვ. წ. 1380-1340 წწ. სუფილულიუმას დროს ხეთების სახელმწიფომ დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია. ილაშქრა ჩრდ. შუამდინარეთსა და ჩრდ. სირიაში, რითაც მეტოქეობა გაუწია ეგვიპტეს. ვასალური ხელშეკრულებები დაადებინა მითანის, ნუხაშეს, ამურუს, ქარხემიშის, ქიცუვათნის, ხაიასასა და უგარითის მეფეებს. სუფილულიუმა I-ის სამხედრო ლაშქრობები აღწერილია მისი ძმის – მურსილი II-ის მიერ შედგენილ ე. წ. „სუფილულიუმას ანალებში".

[119] Weidner 1923, 18-19

ხათის ისტორიაში დადასტურებულია საყურადღებო შემთხვევა, როცა დედოფალი აქტიურად იყო ჩართული როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის საქმეში. ხათუსილი III[120] და მისი ცოლი ფუდუხეფა გამოირჩეოდნენ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ერთობლივად მართავდნენ ქვეყანას, როგორც მეფე და დედოფალი. ამ ფაქტს ისიც მოწმობს, რომ სამეფო კარის მნიშვნელოვან დოკუმენტებს ხელს ორივე მათგანი აწერდა. მათ ბევრი შვილი შეეძინათ და „ბედნიერად“ ცხოვრობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ხათუსილი III-ის მეფობის დროს ეგვიპტესა და ხეთების ქვეყანას შორის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობები არსებობდა. ამ კავშირის განმტკიცება კი, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ფუდუხეფას დიდი მონდომებისა და დამსახურების შედეგი იყო. მას პირადი მიმოწერა ჰქონდა ფარაონ რამსეს II-სთან. თითოეული წერილი ორ ეგზემპლარად იგზავნებოდა ხეთების სამეფოში: ერთი მეფის, ხათუსილი III-ის, ხოლო მეორე თითქმის იდენტური – დედოფალ ფუდუხეფას სახელზე. ფაქტობრივად, დედოფალი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო სამეფოში, რომელიც საერთაშორისო და დიპლომატიურ საქმეს აქტიურად წარმართავდა. უგარითში აღმოჩენილია თიხის ფირფიტაზე შესრულებული წერილი, რომელიც ფუდუხეფას საბეჭდავითაა დამოწმებული. ტექსტში ნათქვამია, რომ დედოფალი ამ შემთხვევაში მეფის ნებართვით უფლებამოსილი იყო ეტვირთა მისი ფუნქციები და მიეღო გადაწყვეტილება სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე: „მე, მზემ, შემდეგნაირად გადავწყვიტე მათი სასამართლო საქმე“. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი – რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის სამშვიდობო ხელშეკრულება – ფუდუხეფას ხელმოწერითაცაა გამყარებუ-

---

[120] ხეთების ახალი სამეფოს მმართველი დაახლოებით ძვ. 1304-1280 წწ., მურსილი II-ის ვაჟი. გამეფდა მისი ძმიშვილის სამეფო ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, რაც აღწერილი აქვს „ავტობიოგრაფიაში“, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ხათუსილი III ერთ-ერთი ნარმატებული მმართველი იყო ხათის პოლიტიკაში. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით შედგენილმა რელიგიური და ისტორიული ხასიათის ტექსტებმა და პოლიტიკურმა ხელშეკრულებებმა.

ლი: „საბეჭდავი ფუდუხეფასი, ხათის დედოფლისა, ქიცუვათნის ქვეყნის ქალიშვილისა, ქალაქ არინას მზის ღვთაების მოსიყვარულესი, დედამიწის ქალბატონისა, ღვთაების მსახურისა".[121] ამ დოკუმენტს დაწვრილებით მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტესა და ხათის ქვეყანას ამ ხელშეკრულებამ ჩვიდმეტწლიანი ომის შემდეგ საუკუნო მშვიდობა მოუტანა. ასევე ცნობილია, რომ ფუდუხეფა პირად წერილებში რამსეს II-ს თავის ქალიშვილზე დაქორწინებასაც სთავაზობდა. ხათის დედოფალი ამ დინასტიური ქორწინებით ცდილობდა კიდევ უფრო განემტკიცებინა კავშირი ეგვიპტესთან და საერთაშორისო ასპარეზზე მისი მხარდაჭერით სამშვიდობო გარანტიები საბოლოოდ მიეღო. ცნობილია, რომ დედოფლის ვიზიტიც იგეგმებოდა ეგვიპტეში, რათა პირადად შეხვედროდა რამსეს II-ს.[122] ფუდუხეფა ასევე სათავეში ჩაუდგა ხათუსილის მიერ დაწყებულ საქმეს – სამეფო არქივების მოწესრიგებას. მწერლებმა გადაწერეს უძველეს ტექსტთა ასლები და დედოფალთან ერთად გამოსცეს ახალი რელიგიური თუ ადმინისტრაციული დადგენილებები.

ძვ. წ. II ათასწლეულის ძველ აღმოსავლეთში ჯერჯერობით უცნობია სხვა დედოფალი, რომელიც ასეთ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვასა და დიპლომატიური კავშირების განმტკიცების საქმეში. იგი შეიძლება შევადაროთ ამენჰოტეპ III-ის ქვრივს, დედოფალ თეიას, რომელსაც ასევე შეეძლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიეღო სამეფოში. ხშირად მას თხოვნით მიმართავდნენ, შუამავლობა გაეწია თავის შვილთან, ამენჰოტეპ IV-სთან სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად.

სახელმწიფოთა შორის ელჩების რეგულარული გაცვლა კარგად ჩამოყალიბებული დიპლომატიური ურთიერთობების არსებობას ადასტურებს ხეთების სამეფოში. ქვეყნის მეთაურის ნდობით აღჭურვილი პირის მისია სახელმწიფოთა კეთილგანწყობილი კავშირების დამყარებასა და შენარჩუნებას ემსახურე-

---

[121] გიორგაძე 1988, 108-109; Межгосударственные отношения... 1987, 49-54.

[122] Otten 1975, 26-27; Otten 1981.

ბოდა. მუვათალის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ვილუსას ქვეყანა მეგობრულად იყო განწყობილი ხათის მეფეების მიმართ და მათ რეგულარულად უგზავნიდა ელჩებს.[123] გარდა ელჩებისა, დამორჩილებული ქვეყნის მმართველები ვალდებულნი იყვნენ პერიოდულად მოენახულებინათ ხეთების მეფე და მათ ეკრძალებოდათ ხათის მოწინააღმდეგე მხარესთან მოკავშირეობა. არათუ გარკვეული კავშირების დამყარება, მათ ელჩის მიღების უფლებაც კი არ ჰქონდათ, რადგან ეს ფაქტორი, ფიქრობდნენ, რომ მოლაპარაკების დაწყებას უყრიდა საფუძველს. მუვათალის შეთანხმებაში სუნასურასთან ვკითხულობთ: „დაე, სუნასურასმა არავითარ შემთხვევაში არ გაგზავნოს თავისი ელჩი ხურიტებთან და დაე, არასდროს შემოუშვას ხურიტების ქვეყნის ელჩი თავის ქვეყანაში".[124] საყურადღებოა, რომ ძველ აღმოსავლეთში ჰეგემონი ქვეყნები ერთსა და იმავე მოთხოვნებს უყენებდნენ დამორჩილებულ ქალაქ-სახელმწიფოებს. მათგან ერთ-ერთი აუცილებელი ვალდებულება კი ელჩის გაწვევა და მასთან ურთიერთობის შეწყვეტა იყო. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ელჩობის ინსტიტუტს და რა გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო მეფის წარგზავნილს საგარეო პოლიტიკაში.

ელჩი შუამავლის ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც თიხის ფირფიტაზე დაწერილი გზავნილი მეორე მხარის მმართველთან უნდა მიეტანა. იგი აგრეთვე უფლებამოსილი იყო ქვეყნის მეთაურის დანაბარები სიტყვიერად გადაეცა და საჩუქრებით დატვირთული ქარავანი გაეცილებინა. ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიაში ისიც არის ცნობილი, რომ მეფე საგანგებო ელჩს აგზავნიდა თავისი საცოლის სანახავად. იყო თუ არა ქალი მეფის შესაფერისი, მას უნდა შეეფასებინა და თავისი გადაწყვეტილება მმართველისათვის ეცნობებინა. ამ საკმაოდ საპასუხისმგებლო და დელიკატური დავალებისათვისაც ელჩს წარმატებით უნდა გაერთმია თავი. როგორც ჩანს, ელჩი იმდენად დაახლოებული პირი იყო უშუალოდ მეფესთან, რომ მას ზე-

[123] Friedrich 1930, 50-52.

[124] Weidner 1923, 108-109.

დმიწევნით უნდა სცოდნოდა მმართველის გემოვნებაც. თუ მეფე ელჩის მოწონებულ ქალს რაიმეს დაუწუნებდა, მას ეს არასწორი არჩევანი ძვირად დაუჯდებოდა. თუმცა ეს სასჯელი არ იყო ისეთი მკაცრი, როგორიც სხვა შემთხვევაში, როცა ხათის მცხოვრები მნიშვნელოვანი შეცდომის გამო ისჯებოდა. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ელჩი მაინც გარკვეული პრივილეგიებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა თავის ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ ელჩს დიდი პატივით ეპყრობოდნენ ძველი აღმოსავლეთის ყველა სამეფოში, არც ამ ქვეყნის წარგზავნილის ხელშეუხებლობა იყო გარანტირებული. სწორედ ამიტომ ზოგიერთ ხელშეკრულებას თან ახლდა თხოვნა იმუნიტეტის უზრუნველყოფის შესახებ. სუნასურასადმი გაგზავნილ დოკუმენტში შემდეგი თხოვნაა, რომ იგი ნუ მოიმოქმედებდა ნურაფერს ელჩის წინააღმდეგ და ნურც უპატივცემულოდ მოექცეოდა უცხო ქვეყანაში წარგზავნილს.[125] მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა უფლება მმართველს უნდობლობა გამოეცხადებინა ელჩის მიმართ, თუ წერილობითი და სიტყვიერი დანაბარები არ დაემთხვეოდა ერთმანეთს. თუმცა არც ასეთ შემთხვევაში იყო მეფე უფლებამოსილი შეევიწროებინა იგი და მით უმეტეს, დაესაჯა.

ალაქსანდუსის შეთანხმებაში ელჩი აღინიშნება ტერმინით lù TEMU (აქად. Lú témi).[126] ეს კი იყო ერთ-ერთი დიპლომატიური რანგი ხეთურ ადმინისტრაციულ უწყებაში. აქადურ ენაზე შედგენილ დოკუმენტებში, უმეტესწილად, ფიგურირებს თანამდებობის პირი ტიტულით mār šipri – „შიკრიკი, ელჩი, წარგზავნილი“.[127] როგორც ჩანს, სწორედ ამ სიტყვის შესაბამისი იყო ხეთურ ენაზე lù ..halugatalla, რომელიც მომდინარეობს ფუძიდან haluga- „გზავნილი“, „უწყება“ და სუფიქსიდან -talla.[128]

---

[125] Weidner 1923, 102-103.

[126] Межгосударственные отношения... 1987, 116

[127] Липин 1957, 205.

[128] ტატიშვილი 2007, 27.

ამ ტერმინით მოხსენიებულ შუამავალს, როგორც არცავის წერილებიდან ირკვევა, ერთი მმართველის მიერ ფირფიტაზე დაწერილი გზავნილი მეორე მმართველთან მიჰქონდა. მურსილი არცავას მმართველს, უხაცითისუსს წერილობით მიმართავდა და მას ქვეყნიდან იმ გაქცეულთა დაბრუნებას სთხოვდა, რომლებმაც არცავას შეაფარეს თავი. გზავნილი ტერმინ lù TEMU-დ მოხსენიებულ ელჩებს ჩაჰქონდათ. ანალოგიური რანგის ელჩი იყო ეგვიპტის დიპლომატიის წარმომადგენელი კალბაია, რომლის შესახებაც ერთ-ერთი წყაროდან (VboT2) ჩანს, რომ იგი უფლებამოსილი იყო თავისი მმართველის დანაბარები სიტყვიერადაც გადაეცა მეორე მხარის მეფისთვის. სავარაუდოდ, ამ რანგის ელჩები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას ორივე ფორმას – წერილობითსა თუ სიტყვიერს იყენებდნენ. ამავე დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიღებულ წერილს მეფეს თავისი გადამწერი უკითხავდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გზავნილი ხათის ქვეყნის ელჩსაც წაეკითხა. ამ მოსაზრებას არცავის მეფის დოკუმენტიც ამყარებს, რომელშიც ვკითხულობთ: „დაე, დაიფარონ ღმერთებმა... ის გადამწერი, ვინც ამ ფირფიტას წაიკითხავს!"

ხეთების სამეფოში დიპლომატიურ წარმომადგენელთა შორის იყვნენ ოფიციალური პირები, ე. წ. ჰეროლდები ანუ „კვერთხის მფლობელები", რომლებიც მეფის სახელით ინფორმაციას ავრცელებდნენ. ამ პრივილეგიას მათ კვერთხის ტარება ანიჭებდა. ჰეროლდები ძირითადად ხეთების სახალხო დღესასწაულებზე აღასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, თუმცა ისინი უცხო ქვეყანაში მეფის ე. წ. დიპლომატიურ წარმომადგენელთა შორისაც ფიგურირებდნენ.[129] დიპლომატიურ იერარქიაში ჰეროლდი რანგით არც ისე მაღალი თანამდებობის პირი იყო, როგორც ელჩი თუ წარგზავნილი (măr šipri lù TEMU). „კვერთხის მფლობელის" ტიტულს ატარებდნენ მეფის შთამომავლები და კარის დიდებულებიც. წყაროებში ასევე გვხვდება სპეციალური შიკრიკები (luizzil), თუმცა მათი მოვალეობებისა და უფლებების

[129] Götze 1928, 32.

არეალის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.[130] მურსილი II[131] ცნობას გვაწვდის იმის თაობაზე, რომ მისმა მამამ, სუფილულიუმა I-მა „უტყუარი ინფორმაციის" მოსაპოვებლად ეგვიპტეში წარგზავნა „საშინაო უწყების" წარმომადგენელი ხათუსაციტისი, რომლის სახელიც ნიშნავდა „ჰეროლდს".[132] ხათის მეფის ნდობით აღჭურვილი პირი მეტად საპასუხისმგებლო და დელიკატურ დავალებას ასრულებდა. იგი, ფაქტობრივად, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თავისი ქვეყნის „საგანგებო და სრულუფლებიანი" ელჩი იყო. საინტერესოა, რომ უძველესი ხათის სახელმწიფოში სხვადასხვა რანგის ე. წ. დიპლომატები მსახურობდნენ, რომლებსაც განსხვავებული ფუნქცია და მოვალეობა ეკისრებოდათ. ხოლო თითოეულის მისია კი მათ თანამდებობასა და შესაბამისად, ტიტულს განსაზღვრავდა. თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილ წარწერებში შუამავლის სხვადასხვა ტერმინით მოხსენიება მიგვითითებს ძველ სამყაროში საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროფესიული დიპლომატიის მაღალ განვითარებაზე. დიპლომატიის ისტორიის მკვლევარი ადკოკი აღნიშნავს, რომ ხეთური დიპლომატიური დოკუმენტები მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რადგან თავიანთ ეპოქაში ხეთები ყველაზე პოლიტიკურად მოაზროვნე ხალხი იყო.[133]

ხათის სამეფო ხშირად მიმართავდა თხოვნით ეგვიპტისა და ბაბილონის მმართველებს, გაეგზავნათ მათთან პროფესიონა-

---

[130] Межгосударственные отношения... 1987, 118.

[131] ახალი ხეთური სამეფოს ერთ-ერთი მმართველი, სუფილულიუმა I-ის უმცროსი ვაჟი. მურსილი II დაახლოებით ძვ. წ. 1321-1295 წწ. მართავდა ქვეყანას. მან დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად მიაღწია ხათის გაბატონებას მცირე აზიის ძირითად პოლიტიკურ გაერთიანებებზე (ქასქების ტომები, ხაიასა, არცავა) და ჩრდილოეთ სირიის სამთავროებზე (ჰალაბი, ამურუ, ქარხემიში და სხვ.). ჩვენამდე მოაღწია „ანალებმა", „ლოცვებმა" და სხვა ხასიათის ტექსტებმა, რომლებიც მას მიეწერება. „ანალებიდან" ცნობილია, რომ მარტო არცავას ქვეყნიდან ხეთების მეფემ, მურსილი II-მ 66 ათასი ტყვე ნამოიყვანა.

[132] Межгосударственные отношения... 1987, 119.

[133] Bederman 2011, 121-22; Adcock, Mosley 1975, 177-78, 191-93.

ლი ექიმები.[134] ეგვიპტიდან და ბაბილონიდან ჩასულ ექიმებს ელჩები აცილებდნენ. ხათუსილი III სთხოვდა რამსეს II-ს შეერჩია ექიმი, რომელიც დაუმზადებდა წამალს მის დას, მასანუცისს და განკურნავდა უშვილობისაგან.[135] ეგვიპტის ფარაონი საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ სამედიცინო დასკვნის თანახმად, მათ არ შეეძლოთ აღმოეჩინათ დახმარება, რადგან მეფის და 60 წლის იყო და მისი განკურნების წამალი ჯერჯერობით მათ პრაქტიკაში არ არსებობდა.[136]

ეგვიპტელმა ექიმებმა თავად ხათუსილი III-საც აღმოუჩინეს დახმარება. ის ექიმები, რომლებსაც რეკომენდაციას თავად ფარაონი უწევდა, ჩავიდნენ ხათის ქვეყანაში და განკურნეს იგი თვალის დაავადებისაგან. ცნობილია, რომ ისინი გამოგზავნილი იყვნენ მეფის ელჩთან, პირიხნავასთან ერთად. დაბრუნებისას კი მათ ხათუსილის ნდობით აღჭურვილი შუამავლები მიაცილებდნენ.

ერთ-ერთ წყაროში ჩამოთვლილია ის ძღვენი, რომლითაც ხათუსილი III-მ დაასაჩუქრა ბაბილონის ექიმი: ეტლი, ოთხთვალა, ცხენები და ა. შ.

მმართველთა დიპლომატიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს მწერლები, ე. წ. გადამწერები ასრულებდნენ. როგორც სხვა ჰეგემონ ქვეყნებში, ხეთების სამეფო კარზეც სწორედ ისინი ადგენდნენ შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ტექსტებს მაშინდელი საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. მოლაპარაკების შინაარსი გადამწერებს თიხის ფირფიტაზე გადაჰქონდათ. დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი მეორე მხარეს გადაეცემოდა: „ეს ფირფიტა დაწერა... გადამწერმა... ხათის ქალაქში...“[137]

მართალია, გადამწერები მეფის რეკომენდაციებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ სტანდარტულ სახეს წერილის შინაარსს სწორედ ისინი აძლევდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ხათის

---

[134] Edel 1976.

[135] Edel 1976, 35.

[136] Edel 1976, 70.

[137] Межгосударственные отношения... 1987, 96, Weidner 1923, 86-89.

სამეფოს მწერლები აქადური სკოლის გავლენას განიცდიდნენ. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია მიმართვის ტიპური ფორმულების გამოყენებისას.[138] მაგალითად, „ასე ამბობს მზე", „ძვირფასი ძმა ჩემი", „მამა" და ა. შ. ასეთი სიტყვებით ხათის ქვეყნის მეფე დამეგობრებული ქვეყნის მმართველს მიმართავდა. ამგვარი სიტყვებით მოიხსენიებდნენ შუამდინარეთის მმართველები თანაბარუფლებიან მეფეებს. თავად წერილის ტექსტიც თითქმის შუამდინარული წყაროების მსგავსად იყო აგებული და თანმიმდევრულობა მათი შედგენილი დოკუმენტის მსგავსად იყო დაცული. თუმცა შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევითი არ იყო. აქადებმა გარკვეულწილად დაადგინეს და შემდეგ დაამკვიდრეს საერთაშორისო მიმოწერის ნორმები, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ სხვა ქვეყნებშიც. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ მათი ენა დიდხანს ინარჩუნებდა საერთაშორისო ენის სტატუსს.

გადამწერებს რამდენიმე ენის ზედმიწევნით ცოდნა მოეთხოვებოდათ და, სავარაუდოდ, ყველაზე განათლებულ პირებად ითვლებოდნენ იმ პერიოდის აღმოსავლეთში. მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა სცოდნოდათ შუმერული, აქადური და ხეთური ენები. დასტურდება აგრეთვე თარგმანები ხეთურ ენაზე ხურიტულიდან, უგარიტულიდან ა. შ. გადამწერები სპეციალურ სკოლებში სწავლობდნენ და მხოლოდ კარგად დაუფლების შემთხვევაში შეეძლოთ მათ ამ პროფესიით მუშაობა. განსაკუთრებული გამოცდილება უნდა ჰქონოდათ მეფის კარზე მყოფ მწერლებს, რომლებსაც ენებისა და თარგმანის ხელოვნების გარდა, უნდა შესძლებოდათ დიპლომატიური ტექსტების შედგენა. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ისინი აქტიურ და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ. მართალია, მათ არ ჰქონდათ ტექსტის შინაარსის შეცვლის უფლება, მაგრამ გადამწერებს მაშინდელი წერილობითი დიპლომატიური ენის განსაზღვრული ნორმები მკაცრად უნდა დაეცვათ.

---

[138] Otten 1956, IV, 180

ეგვიპტისა და ხათის სამშვიდობო ხელშეკრულება

რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის სამშვიდობო ხელშეკრულება ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის დაიდო. სამშვიდობო ინიციატივა ხეთების მეფისგან მოდიოდა. ხათუსილი III-მ ხათის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი საკითხი, ეგვიპტე-ხათის ურთიერთობა, მშვიდობიანი გზით მოაგვარა. მან რადიკალურად შეცვალა კონფრონტაციული პოლიტიკა დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებით. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა ასურელთა სახელმწიფოს გაძლიერებამ, რომელიც ახლო მომავალში აუცილებლად ხეთების ქვეყანას დაემუქრებოდა.[139] საერთო ძალების დაქვეითებამ და გამარჯვების უიმედობამ აიძულა მხარეები ორმხრივ დათმობებზე წასულიყვნენ და სამშვიდობო ხელშეკრულება დაედოთ. ხათის ქვეყნის მეფემ ვერცხლის ფირფიტაზე დაწერილი შეთანხმების საბოლოო ვერსია სრულუფლებიანი ელჩების, ტერეტსებისა და რამესის და ეგვიპტელი ოფიციალური წარმომადგენლის ხელით გაუგზავნა ფარაონს. ხათუსილის მხრიდან შეთავაზებული ზავი ძვ. წ. 1259 წელს რამსეს II-მ უყოყმანოდ მიიღო.[140] ხეთების მხრიდან იგი აქადურ ენაზე ყოფილა შედგენილი, მისი ტექსტი, თიხის ფირფიტაზე დაწერილი, ჰ. ვინკლერმა აღმოაჩინა ბოღაზქოიში. იგივე ვერსია, რომელიც რამსეს II-ს გაუგზავნეს, ვერცხლის ფირფიტაზე ყოფილა ამოტვიფრული, თუმცა მას ჩვენამდე არ მოუღწევია. გ. გიორგაძე ვარაუდობს, რომ იგი შეიძლებოდა ხეთურ ენაზე ყოფილიყო დაწერილი.[141] დოკუმენტის ფირფიტის უტყუარობას ამტკიცებდა ხეთების მეფის გამოსახულება ჭექა-ქუხილის ღმერთის, თეშუბის გვერდით, ხოლო მეორე მხარეს დედოფლის, ფუდუხეფას ფიგურა

---

[139] დარსანია 2007, 77.

[140] ეგვიპტოლოგთა უმრავლესობის აზრით, ძვ. წ. 1259 წელს დაიდო ზავი, თუმცა ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ისინი დაახლოებით ძვ. წ. 1296 წელს, სხვა ქრონოლოგიით კი ძვ. წ. 1269 წელს დაზავდნენ.

[141] გიორგაძე 1988, 77.

ამშვენებდა მზის ქალღმერთ არინასთან ერთად. თანხმობის ნიშნად რამსეს II-მ ხათუსილის სხვა ვერცხლის ფირფიტა გაუგზავნა, რომელზედაც იმავე სამშვიდობო შეთანხმების ტექსტი იყო ამოტვიფრული.[142] ორივე ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენელთა წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე მხარეები დოკუმენტის ტექსტზე შეთანხმდნენ და პარიტეტულ პრინციპზე შედგენილი ხელშეკრულება ეგვიპტურ და აქადურ ენებზე შეადგინეს. ორივე ეგზემპლარი განმტკიცებული იყო სახელმწიფო ბეჭდებითა და ხელმოწერებით. ეგვიპტის მხრიდან რამსეს II აწერდა ხელს. ისტორიულ მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სამშვიდობო დოკუმენტი ძვ. წ. XIII-ის ძეგლია, რომელიც ორ დიდ მეფეს – რამსეს II-სა და ხათუსილი III-ს შორის გაფორმდა ჩვიდმეტწლიანი უშედეგო ომის შემდეგ.[143] ჩვენამდე მოღწეულია როგორც ხელშეკრულების ერთი ხეთური და ორი ეგვიპტური ვერსია, აგრეთვე წინასწარი მოლაპარაკებების ტექსტის დეტალებიც. ხელშეკრულება სამი ნაწილისაგან შედგება: 1) შესავალი; 2) შეთანხმების პირობები; 3) დასასრული – ღმერთებისადმი მიმართვა, ფიცი და წყევლა ხელშეკრულების დამრღვევის მიმართ. მხარეებს განსაზღვრული ჰქონდათ თანამშრომლობის სფეროები. ეს სამშვიდობო მოლაპარაკება საუკუნო მეგობრობას, მოკავშირეობას აგრესიის წინააღმდეგ, საომარ თანამშრომლობას, საშინაო კონფლიქტების მოგვარებასა და დევნილთა უსაფრთხოების გარანტიებს ითვალისწინებდა: „ეს იქნება საუკუნო მშვიდობა და ძმობა, რაც კი არსებულა ოდესმე დედამიწაზე... დაე, იყოს შესანიშნავი მშვიდობა და მეგობრობა ხეთების დიდი მეფისა და რამსესის, ეგვიპტის დიდი

---

[142] დღეს ამ ხელშეკრულების ეგვიპტური ვერსია შემორჩენილია კარნაკის ტაძრის კედლებზე. ორი ფირფიტა თურქეთში, ქ. სტამბოლის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება, ხოლო მესამე გამოფენილია ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში. კაღეშის ზავის ასლი აგრეთვე თვალსაჩინოდ ნიუ-იორკის გაეროს სათავო ოფისში კედელზეა განთავსებული.

[143] Межгосударственные отношения.. 1987, 49-56.

მმართველის შვილთაშვილებს შორის".[144] ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ომებისა, უხსოვარი დროიდან ხეთები და ეგვიპტელები კეთილგანწყობილნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ და მათ მეფეებს შორის ადრეც ხშირად იდებოდა ხელშეკრულებები. ურთიერთობები მათ შორის მხოლოდ ხათუსილის ძმის მეფობის დროს გართულდა, როდესაც იგი დიდ ფარაონს, რამსეს II-ს ებრძოდა, თუმცა სამშვიდობო ხელმოწერის შემდეგ მათი ქვეყნის მეფეებს შორის დამყარდებოდა სამუდამო მშვიდობა, მეგობრობა და ძმობა: „მას შემდეგ, რაც ხეთების მეფე ვარ, მე ეგვიპტის დიდ მეფესთან, რამსესთან და ის ჩემთან, ვიქნებით მშვიდობასა და ძმობაში". ამ საზავო შეთანხმების უმთავრეს მოთხოვნას სამხედრო დახმარება წარმოადგენდა. ხათი და ეგვიპტე მოგერიებით და თავდასხმით თანამშრომლობაზეც თანხმდებოდა. „თუ მტერი დაიძვრება რამსესის სამფლობელოს წინააღმდეგ, დაე, უთხრას რამსესმა ხეთების დიდებულ მეფეს: „მოდი ჩემს დასახმარებლად მის (მტრის – თ. დ.) წინააღმდეგ მთელი შენი ძალებით". ეს პირობა რამდენჯერმე მეორდება დოკუმენტში. შეთანხმებაში არა მარტო გარეშე ძალის წინააღმდეგ მხარდაჭერა იგულისხმებოდა, არამედ ქვეყნის შიგნითაც. მოკავშირეები ერთმანეთს დახმარებას აღუთქვამდნენ აჯანყებისა და შიდა არეულობის შემთხვევაშიც: „თუ რამსესი განრისხდება თავის მონებზე, როდესაც ისინი აჯანყებას მოაწყობენ და წავა მათ ჩასახშობად, მასთან ერთად უნდა იმოქმედოს ხეთების მეფემაც". მოლაპარაკება ყოველგვარ შეტაკებას გამორიცხავდა ორი დიდი ქვეყნის მმართველთა შორის. სირიის მიმართ, როგორც ჩანს, მათ აღიარეს status quo. ძალაში დარჩა ძველი „გავლენის სფეროები" – ეგვიპტელები ისევ სამხრეთ სირიაში იბატონებდნენ, ხოლო ხეთები კი ჩრდილოეთ სირიას გააკონტროლებდნენ.[145] ხეთებს გადაეცათ ქალაქები ამურუ და კადეში, ხოლო ეგვიპტეს შეუნარჩუნდა ფინიკია. სპეციალური მუხლი ეხებოდა პოლიტიკურ დევნილებს. ეგვიპტიდან ხათის

---

[144] დოკუმენტის გადმოცემისას ვისარგებლეთ ტექსტის რუსული თარგმანით (История дипломатии 1941, 21).

[145] გიორგაძე 1988, 78.

ქვეყანაში გაქცეული პირი ფარაონისთვის უნდა დაებრუნებინა ხეთების მეფეს, ხოლო ხათიდან ეგვიპტეში დევნილი ხეთების მეფისთვის უნდა გადაეცა ფარაონს. ორივე შემთხვევაში შეთანხმება იყო იმის თაობაზე, რომ ლტოლვილი და მისი ოჯახის წევრები ამ შეცდომისთვის არ უნდა დასჯილიყვნენ. მათთვის არ უნდა დაეთხარათ თვალები, არ უნდა მოეჭრათ ყურები, ბაგეები, ფეხები და ა. შ.

ტექსტში აშკარად იგრძნობა მოკრძალებული დამოკიდებულება ეგვიპტის მმართველის მიმართ. ძლიერი ქვეყნის სამეფო ძალაუფლების აღიარება და ხოტბის შესხმა განსაზღვრულ წესს წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიაში. დოკუმენტი ღმერთებისადმი მიმართვითა და ფიცით სრულდება: „ამიერიდან და მარადის, ეგვიპტის დიდი მბრძანებლის, ისევე, როგორც ხეთების ქვეყნის დიდი მეფის ჩანაფიქრთა შესაბამისად, ამ ხელშეკრულების სამარადისო ძალითა და წყალობით ღმერთი არ დაუშვებს მტრობას ჩვენ შორის".[146] დაინტერესებულ მხარეთა გარანტიების დაცვის ფუნქციას ეგვიპტური და ხეთური ღვთაებები ასრულებდნენ. „რაც შეეხება სიტყვებს, რომლებიც [აღბეჭდილია] ამ ვერცხლის ფირფიტაზე, ხეთების ქვეყნისთვის და ეგვიპტის ქვეყნისთვის, და თუ ვინმე არ გაუფრთხილდება მათ – ათასი ღვთაება ხეთების ქვეყნისა, ასევე ათასი ღვთაება ეგვიპტის ქვეყნისა – გაანადგურებს მის სახლს, მის მიწას, მის მსახურებს. ...ვინც გაუფრთხილდება სიტყვებს, რომლებიც ამ ვერცხლის ფირფიტაზეა ამოკვეთილი... არ მოიმოქმედებს წინააღმდეგ ამ სიტყვებისა, ათასი ღვთაება ხეთების ქვეყნისა, ასევე ათასი ღვთაება ეგვიპტის ქვეყნისა უწილადებს მას კეთილდღეობას და სიცოცხლეს მის სახლთან, მის მიწასთან და მის მსახურებთან ერთად".[147]

აღსანიშნავია, რომ მხარეებმა დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები პირნათლად შეასრულეს. ჰეგემონი ქვეყნის მმართველები საკმაოდ მკაცრად იცავდნენ დადებულ ფიცს

[146] დარსანია 2007, 83.

[147] დარსანია 2007, 90.

და არ არღვევდნენ თავიანთ ვალდებულებებს. ეს ფაქტი დიპლომატიური შეთანხმების უნიკალურ შედეგზე მიგვითითებს.

დიპლომატიური წერილებითა და ელჩებით გაცვლა ამ ხელშეკრულების დადების შემდეგაც გაგრძელდა ორ ქვეყანას შორის. წერილებს დედოფლებიც სწერდნენ ერთმანეთს. ისინი უზიარებდნენ ერთმანეთს იმ სიხარულს, რომელიც მათ სამშვიდობო ხელშეკრულებამ და „საუკეთესო მეგობრობამ" მოუტანა.

ხელშეკრულების დადების შემდეგ ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდა. ეგვიპტის დედოფლის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტე-ხათის მეგობრობა დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. რამსეს II-მ ცოლად შეირთო ხათუსილი III-ის ქალიშვილი, რომელიც ფარაონს პირველ ცოლად მიუჩნევია. ამ დინასტიურ ქორწინებას წინ ხანგრძლივი მოლაპარაკებები და მიმოწერა უძღოდა სამეფოებს შორის. აბუ-სიმბელის ტაძრის ერთ სტელაზე უკვდავყოფილია ლამაზი მეფის ასულის ჩასვლა ეგვიპტეში: სტელაზე ერთად არიან გამოსახულნი ფარაონი, მეფის ქალიშვილი და თავად ხათუსილი.[148] ხათუსილი III დიდი ამალითა და ძვირფასი საჩუქრებით აცილებდა თავის ასულს. მათ საპატივცემულოდ გამართულ დიდ ნადიმზე ეგვიპტელ და ხეთ მეომრებს ერთობლივად გაუმასპინძლდნენ. კარნაკისა და ამარის წყაროები გვამცნობს, რომ რამსეს II აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ხეთების მეფის ქალიშვილის სილამაზის გამო, მას ფარაონის დედოფლის სახელი, მაათორნეფრურა მიუნიჭა. ზავის გაფორმებიდან 13 წლის შემდეგ, მმართველობის 34-ე წელს ფარაონს ხათის ქვეყნის მეფის ასული თავის სასახლეში ჰყავდა და ყოველდღე მიდიოდა მის მოსანახულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ აღმოსავლეთში ჰეგემონობას, უმეტესწილად, სამხედრო ძალა განაპირობებდა, იმხანად არსებული პროფესიული დიპლომატია მაინც არეგულირებდა ქვეყნებს შორის ურთიერთობებს და იცავდა მათ მოსალოდნელი კონფლიქტებისაგან.

---

[149] Pritchard 1954, 114.

დიპლომატიის ისტორიისათვის რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის სამშვიდობო ხელშეკრულებას საგულისხმო მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, ეს არის საერთაშორისო სამართლის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლი. მეორე მხრივ, ის გახდა ყველა შემდგომი ხელშეკრულების ნიმუში როგორც ძველ აღმოსავლეთში, ისე საბერძნეთსა და რომშიც.[149] ამ საზავო შეთანხმებაში ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობის მთავარი დამახასიათებელი შტრიხია გამოკვეთილი – უმაღლესი ხელისუფალის სრული გაიგივება სახელმწიფოსთან. ასევე საინტერესოა, შიდა არეულობის ჩახშობისათვის შეთანხმება ორმხრივ ინტერვენციაზე. ამგვარად, ეგვიპტე-ხათის შეთანხმება, რომელიც სამი ათასზე მეტ წელს ითვლის, საერთაშორისო ხელშეკრულებათა ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

[49] История дипломатии 1941, 22.

დიპლომატიური ურთიერთობები აქქიჲავასა და ხეთების იმპერიას შორის

მეცნიერებაში არაერთხელ დასმულა საკითხი იმის თაობაზე, ჩანდა თუ არა აქეური საბერძნეთი საერთაშორისო ასპარეზზე იმ დროს, როდესაც ძველ აღმოსავლეთში განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა დიპლომატია. თუკი ხეთურ წყაროებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქეური საბერძნეთი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მედიტერანულ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, ხეთურ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ აქქიჲავაში, რომლის იდენტიფიკაციაზე უკვე დიდი ხანია დავა მიმდინარეობს, მკვლევართა უმეტესობის აზრით, სწორედ ჰომეროსის აქაველების ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს.[150] ამ მოსაზრების თანახმად, აქქიჲავა (Aḫḫiyawa, ან Aḫḫiya) შეესაბამებოდა ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებში კონტინენტურ საბერძნეთში რეალურად არსებულ აქაველთა (ჰომეროსის Ἀχαιοί-ს) სახელმწიფოს, თუმცა მეცნიერთა ნაწილი არ იზიარებდა ამ თვალსაზრისს. უახლესი გამოკვლევების თანახმად, ხეთურ დოკუმენტებში დადასტურებულ აქქიჲავას არა მარტო ფონეტიკურ დონეზე აიგივებენ აქაველთა ქვეყანასთან, არამედ გეოგრაფიულად და პოლიტიკურადაც.[151] ლატაჩი აღნიშნავს, რომ როგორც Wilios – ილიონის შემთხვევაში w არის გამქრალი, ასევე უნდა ყოფილიყო ტერმინ აქქიჲავას ფორმაშიც w დაკარგული.[152] ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმული ვერსიების მიმოხილვა და მათი შეჯერება. თუმცა აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ლატაჩის აზრს, რომელიც დღეს დომინანტურია. საგარეო ურთიერთობათა კვლევისათვის საინტერესოა, როგორ არის წარმოჩენილი

---

[150] თავდაპირველად ე. ფორერმა 1924 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც მსჯელობდა აქქიჲავასა და აქაველების იდენტიფიკაციაზე. იგი შეეცადა ხეთურ დოკუმენტებში ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილი სახელებიც აღმოეჩინა (იხ. Forrer 1924, Schachermeyr 1935).

[151] Latacz 2001, 151-52.

[152] Latacz 2001, 152.

აქქიჲავა ხეთურ წერილობით ძეგლებში და რა ადგილი უჭირავს მას მაშინდელ საგარეო პოლიტიკაში. ეს კი ნათელს მოჰფენს იმას, რაც არ ჩანს მიკენურში.

ხეთურ დოკუმენტებში აქქიჲავა მოიხსენიება მცირე აზიის ისეთ კავშირში, როგორიცაა არცავა, მდ. სეხას ქვეყანა, ლუკა, ციფასლა, ასუვა და მილავანდა. მცირე აზიის გარეთ აქქიჲავას ურთიერთობა ჰქონდა კუნძულ კვიპროსთან. ცნობილია, რომ ხათის ქვეყანას აქქიჲავა უშუალოდ არ ესაზღვრებოდა, მაგრამ მის ლოკალიზებას სხვადასხვა ადგილზე ახდენდნენ.[153] ისტორიკოსების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ხეთების არც ერთ მმართველს არ ულაშქრია აქქიჲავაში ისევე, როგორც აქქიჲავას რომელიმე მეფეს – ხათის ქვეყანაში.[154] ძვ. წ. XIV საუკუნის წერილობითი წყაროების მიხედვით, ხეთებსა და აქქიჲავას შორის არავითარი უთანხმოება არ შეინიშნება. ამ ურთიერთგაგებას, რ. გორდეზიანის აზრით, ხელს ისიც უწყობდა, რომ ამ დროისათვის აქქიჲავა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მძლავრ გაერთიანებას, რომელსაც შეეძლო იმპერიისათვის მეტოქეობა გაეწია დასავლეთ მცირე აზიაში.[155]

---

[153] მეცნიერთა ნაწილი აქქიჲავას მცირე აზიაში ათავსებდა, თუმცა უახლესი გამოკვლევების თანახმად, მისი ადგილმდებარეობა ანატოლიურ კონტინენტზე გამოირიცხა. 1997 წელს ორი ხეთოლოგი – ფრანკ შტარკე და დევიდ ჰოუკინსი – სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აქქიჲავა არ მდებარეობდა მცირე აზიაში, მაგრამ მის პლაცდარმს მილავანდა წარმოადგენდა (Starke 1997; Hawkins 1999, 7-14 (= Zusammenfassung eines kongreßbeitrags Würzburg, Dezember 1998). დევიდ ჰოუკინსი ამავე ნაშრომში მილავანდა-მილეტის იდენტიფიცირების საკითხებზეც მსჯელობს. ელინოლოგები ვარაუდობენ, რომ აქქიჲავა მოიცავდა საბერძნეთის კონტინენტის აღმოსავლეთ ზოლს და აღმოსაელეთით მდებარე კუნძულთა ნაწილს როდოსამდე (Latacz 2001, 156).

[154] გიორგაძე 1988, 81. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ანტიხეთურ კოალიციაში (მილავანდა, არცავა, მირა და მდ. სეხას ქვეყანა), რომელმაც სუფილულიუმას მემკვიდრის – მურსილი II-ის გამეფებამდე იარსება, აქქიჲავასაც უნდა მიეღო მონაწილეობა (გიორგაძე 1988, 68).

[155] გორდეზიანი 1970, 130.

აქქიჲავასა და ხათის ქვეყანას შორის ურთიერთობები ხეთურ დოკუმენტებში „შუა სამეფოს“ დროიდან დასტურდება. პირველად ამ სახელწოდებას სუფილულიუმა I-ის წყაროში ვხვდებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მეფემ გადასახლებაში გაგზავნა ვიღაც, შესაძლოა თავისი ცოლი, აქქიჲავაში. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ამ დროს ხეთებსა და აქქიჲავას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა იყო. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, როგორ გადაასახლებდა სუფილულიუმა თავის ცოლს უცხო ქვეყანაში.[156]

მურსილის გამეფების შემდეგ ხათის საგარეო პოლიტიკა შეიცვალა.[157] მის წინააღმდეგ გაერთიანებულნი იყვნენ ხაფალა, მირა-ქუვალია, მდ. სეხას ქვეყანა და სხვები. როგორც ჩანს, ეს კოალიცია გარკვეულ მხარდაჭერას აქქიჲავას მხრიდანაც იღებდა.[158] ფურანდაში ლაშქრობის წინ ამ ქალაქის მცხოვრებლებს მურსილიმ აცნობა: „თქვენ მამაჩემის მორჩილნი იყავით. მამაჩემმა აგიყვანათ და უხა-ციოთის (არცავას მმართველი – თ. დ.) მორჩილებაში გადაგცათ. იგი კი [ახი]უვას (= ახიავას) ქვეყნის მეფეს მიემხრო და ამბოხდა. მაგრამ თქვენ კვლავ ჩემს მხარეს გადმოდით და უხა-ციოთის აღარ მიემხროთ! ჩემი მონები, რომლებიც არიან – ხურსანასას ნამრა, სურუთას ნამრა და ათარიმას ნამრა – და თქვენთან გადმოვიდნენ, ისინი მე უკან დამიბრუნეთ!“[159] მალე არცავაც ხეთებს დაემორჩილა. ამის შემდეგ ხალაფის, მირა-ქუვალიასა და მდ. სეხას ქვეყნების მეფეებთან ხელშეკრულებები დაიდო. შესაძლოა, მსგავსი დოკუმენტი არცავას მმართველთანაც გაფორმდა, მაგრამ ჩვენამდე მას არ მოუღწევია. ამ დამორჩილებულ ქვეყნებს ისეთივე პირობები უნდა შეესრულებინათ, როგორსაც ყოველთვის მოითხოვდნენ

---

[156] გორდეზიანი 1970, 130.

[157] თუკი სუფილულიუმას მეფობის დასანყისში ხეთების ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ჩრდილოეთ სირიისა და მითანისაკენ, მურსილი II შეეცადა ხათის შესუსტებული პოზიციები გაემყარებინა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთ ნაწილში.

[158] გიორგაძე 1988, 70.

[159] გიორგაძე 1988, 70-71.

ძლიერი მმართველები. შეთანხმებების თანახმად, მათ ხათისათვის დამხმარე მეომარი რაზმები საომარ ეტლებთან ერთად უნდა გაეგზავნათ, გადაეხადათ ხარკი, დროულად უნდა ეცნობებინათ მტრის შემოსევის ან ამბოხების ამბავი, დაებრუნებინათ ლტოლვილები და ა. შ. მხარეები ხელშეკრულებათა პირობებს თითქმის არ არღვევდნენ. მურსილი II-ის (ძვ. წ. 1345-1315 წწ.) დოკუმენტებში ჩანს, რომ ხეთებსა და აქქიჲავას შორის ჯერ კიდევ მეგობრული ურთიერთობა არსებობდა. აქ პირველად არის მითითებული აქქიჲავასა და მილავანდას შორის არსებულ კავშირზე. აქქიჲავასა და ხათის ინტერესები ძირითადად ქალაქ მილავანდაში ხვდებოდა.[160] ხეთების მეფე აშკარად ანგარიშს უწევდა მილავანდას. იგი ცდილობდა, თავისი გეგმები განეხორციელებინა მასთან ურთიერთობის გამწვავების გარეშე. მილავანდა კი მცირე აზიაში აქქიჲავას სერიოზულ სამხედრო საყრდენს წარმოადგენდა საომარი მოქმედებებისათვის. მილავანდა იყო ის ქვეყანა, სადაც აქქიჲავას გავლენა ვრცელდებოდა. ამასთან ნახსენებია ხომალდიც, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მილავანდას აქქიჲავა ზღვით უკავშირდებოდა.[161] საყურადღებოა ის დოკუმენტიც, რომელშიც ავადმყოფი მურსილი II იმედოვნებს, რომ აქქიჲავასა და ლაზპას ღმერთები მის განკურნებას შეძლებენ.

განსაკუთრებით საინტერესოა 1984 წელს გაშიფრული ხეთური წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც სეჰას ვასალი მეფე მანაბატარჰუნტა მიმართავს მუვათალი II-ს სავარაუდოდ ძვ. წ. 1300 წლის შემდგომ პერიოდში. მანაბატარჰუნტა უამბობს ხეთების მეფეს, თუ როგორ შეიჭრა პიამარადუსი ჯერ ვილუსაში და შემდეგ ლაცბაში, საიდანაც მან ხელოსნები მილავანდაში იძულებით გადაიყვანა. სეჰას მეფე აგრეთვე ატყობინებს, რომ ეს ხელოსნები პიამარადუმ მილავანდაში თავის სიძეს, ვინმე ატპას გადასცა, რომელიც იმ დროისათვის მეფის წარმომადგე-

---

[160] „ახლა, როდესაც მე (დავარბიე) იალანდის ქვეყანა, თუმცა მე მთელი ქვეყანა (დავანგრიე), მაინც დავტოვე ერთადერთი სიმაგრე ატრია (მილავანდისადმი) კეთილგანწყობის ნიშნად და დავბრუნდი (იალანდაში)."

[161] გორდეზიანი 1970, 130-34.

ნელი იყო აქქიჲავაში. ატპამ ხელოსნების დაბრუნებაზე უარი განაცხადა. თუმცა მირას მეფის ძალადობრივი ჩარევის შემდეგ ატპამ მუვათალის მეფის ხელოსნები დააბრუნა, მაგრამ სეჰას მეფის, მანაბატარჰუნტას მძევალი ხელოსნები კი – არა. სწორედ ეს აწუხებდა წერილის ავტორს და ხეთების მეფისგან მოითხოვდა, ჩარეულიყო ხელოსნების დასახსნელად. ამ დოკუმენტიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქქიჲავა ერთ-ერთ ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა, თუმცა ხეთების მეფესთან ჯერ კიდევ დაპირისპირებას ერიდებოდა, რაც ხელოსნების დაბრუნების ფაქტით შეიძლება აიხსნას. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ხეთების დამორჩილებულ ვასალ მმართველს აქქიჲავა ანგარიშს აღარ უწევდა.

ამასთანავე საინტერესოა პიამარადუსი, რომელიც აქტიურად ჩანს ხეთურ წერილობით წყაროებში და დიდხანს მცირე აზიის მთელ დასავლეთ სანაპიროზე – ლუკადან ვილუსას ჩათვლით არასტაბილურობის მიზეზად გვევლინება. მისი ფიგურა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ აქქიჲავას შესახებ.[162]

განსაკუთრებით საინტერესოა ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული „ტავაგალავას ტექსტი“, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ აქქიჲავა იმ დროისათვის უკვე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს. ხათის მეფე თავად სწერს წერილს აქქიჲავას მმართველს, რაც საგარეო პოლიტიკაში ამ ქვეყნის მნიშვნელოვან გავლენაზე მიუთითებს. სამწუხაროდ, წერილი ბევრ ადგილას დაზიანებულია და ხეთების მეფის სახელი ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში არ იკითხება. ლატაჩი ვარაუდობს, რომ მეფე ხა-

[162] ფრანკ შტარკე თავის გამოკვლევაში პიამარადუსის წარჩინებულობაზე მიუთითებს და ვარაუდობს, რომ იგი იყო შვილიშვილი მურსილი II-ის მიერ განდევნილი არცავა ოჰაზიდისა (Arzawa Uḫḫazidi), რომელმაც აქქიჲავას შეაფარა თავი. მისივე აზრით, საკუთარი ბაბუის სამეფოს უკან დაბრუნების სურვილის გამო ახორციელებდა პიამარადუსი არასამშვიდობო მოქმედებებს დასავლეთ მცირე აზიაში. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ პიამარადუსს მხარს უჭერდა აქქიჲავა და დასაყრდენი პქონდა მილავანდაში.

თუსილი III უნდა იყოს.[163] როგორც ჩანს, მისი მეფობის ხანაში აქქიჲავა სერიოზულ პოლიტიკურ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რომელსაც აშკარად ანგარიშს უწევდა ხეთების მმართველი და მოლაპარაკებების გზით ცდილობდა მასთან უთანხმოების მოგვარებას. „დე, ისეთი სიტყვები (განკითხულ იქნეს წინაშე) მზისა, ცის ღმერთისა, (ან ეს სიტყვები) შემობრუნდეს (ჩემ) მიმართ, თუკი მე მტრულად ვმოქმედებდი (შენ წინააღმდეგ). მაგრამ ახლა (ჩემი ძმის) პირით იქნა წარმოთქმული ბოროტი სიტყვები, და დიად მეფემდე (ხათის ქვეყნის მეფემდე) მოაღწიეს მათ. (მოდი, ერთად) მოვაგვაროთ ეს საქმე".[164]

დიპლომატიური თვალსაზრისით ამ დოკუმენტში არაერთი ნიუანსი იპყრობს ყურადღებას. „ტავაგალავას ტექსტში" აშკარაა, რომ აქქიჲავას მეფეს ხეთების იმპერიის მმართველი თავისი რანგის მეფედ მიიჩნევდა და მას „ძმას" უწოდებდა. როგორც ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიიდან არის ცნობილი, მიმოწერისას მმართველები განსაზღვრულ წესებს იცავდნენ. მხოლოდ თანაბარუფლებიან მეფეს შეეძლო მიემართა ასეთი მეგობრული სიტყვით აქქიჲავას მმართველისათვის, რაც შეუძლებელი იქნებოდა დამორჩილებულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის შემთხვევაში. ცხადია, რომ იმ დროს აქქიჲავას მეფე ძალაუფლებით თანაბარ საფეხურზე იდგა ეგვიპტისა და ხეთების მეფეებთან ერთად. ხეთების მეფე ამ ვრცელ წერილში დაწვრილებით აღწერს როგორც საკუთრივ მისდამი, ასევე ვასალ მეფეთა წინააღმდეგ პიამარადუსის ქმედებებს. იგი წუხს, რომ პიამარადუსს თავისი სიძე, ატპა მფარველობს მეზობელ ქალაქში, მილავანდაში[165] და როცა იქ ჩავიდა მეფე თავისი „სიტყვების" სათქმელად, პიამარადუსი ხომალდით გაიქცა. პიამარადუსს აქქიჲავაში ხელშეუხებლობის გარანტიები ჰქონდა, რაც საკმაოდ სერიოზულ წინაღობებს უქმნიდა ხათის სამეფოს მის

---

[163] Latacz 2001, 153-55.

[164] „ტავაგალავას ტექსტის" ნაწყვეტები მოგვყავს რ. გორდეზიანის თარგმანიდან (გორდეზიანი 1970, 131-34 ; Garstang, Gurney 1959, 111 შმდ.; Борухович 1964, 99 შმდ.).

[165] სავარაუდოდ, მოგვიანებით მილეტი – უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ანატოლიის დასავლეთში.

შესაჩერებლად. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურებოდა ხათის მმართველის დიპლომატიური გზავნილი, რომელიც მოლაპარაკების დაწყებისა და შეთანხმების მიღწევის მცდელობას წარმოადგენდა: „შენი ქვეყანა მას იცავს. მაგრამ ის განუწყვეტლივ შემოიჭრება ხოლმე ჩემს ქვეყანაში: და სადაც კი არ შევეგებები მე მას, ის ისევ შენს მიწაზე ბრუნდება. ნუთუ შენ, ჩემო ძმაო, კარგი თვალით უყურებ ამგვარ მოქმედებას?“ საყვედურის მიუხედავად, ტექსტში ხეთების მეფის მორიდებული ტონი იგრძნობა აქქიჲავას მმართველის მიმართ. იგი ცდილობს, მისი გაღიზიანების გარეშე მოიპოვოს მეფის თანადგომა. წერილი შედეგზეა ორიენტირებული და შესაბამისად, საკმაოდ დიპლომატიურია. ხეთების მეფე მოკრძალებით ურჩევს „თავის ძმას“, რომ მან მოსთხოვოს პიამარადუსს, შეწყვიტოს მტრული მოქმედებები ხათის წინააღმდეგ აქქიჲავას ქვეყნიდან, სადაც იგი თავს აფარებდა. იგი, ფაქტობრივად, სთხოვს, არ მისცეს თავშესაფარი აქქიჲავამ პიამარადუსს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს წერილი ხათუსასა და აქქიჲავას შორის საკმაოდ ხანგრძლივ კორესპონდენციაზე მიგვითითებს. „მაგრამ ჩემმა ძმამ ერთხელ (მომწერა) მე (შემდეგი): შენ მტრულად მოქმედებდი ჩემს წინააღმდეგ“. (მაგრამ იმ დროს, ჩემო ძმაო), მე ახალგაზრდა ვიყავი. თუ (იმ დროს) მე გნერდი (რაიმე მტრულს, ეს იყო) არა (ბოროტი ზრახვის შედეგი). ასეთი (შესაძლოა) წამოსცდეს ჯარის მეთაურს, და (ასეთ ადამიანს შეუძლია) გაუწყრეს თავის ხალხს...“ წერილში ხათის მეფე თავს იმართლებს ახალგაზრდობაში დაშვებული შეცდომების გამო. წარსულის წყენასაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ, რათა აქქიჲავას მეფემ უარი არ უთხრას თხოვნაზე. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ხათუსასა და აქქიჲავას შორის ურთიერთობები პიამარადუსის გააქტიურებამდე ბევრად ადრე არსებობდა. ხათუსას მმართველი უკვე კეთილგანწყობილი სიტყვებით აგვარებს მასთან საქმეს და არა მუქარით, როგორც ახალგაზრდობაში წლების წინ; ხოლო აქქიჲავა აძლევს თავის თავს იმის უფლებას „ბოროტი სიტყვები“ წარმოთქვას ძლიერი ხათის მიმართ და ამას მისი მმართველი თავად აღიარებს. ასევე ვიგებთ, რომ აქქიჲავასა და ხეთების მეფეებს შო-

რის გარკვეული უთანხმოება უნდა მომხდარიყო ვილუსას გამო: „ხათის მეფე და მე – ვილუსას საკითხში, რის გამოც ჩვენ ვმტრობდით ერთმანეთს, – მან დამარწმუნა მე, და ჩვენ მეგობრები გავხდით...“ დამტკიცებულია, რომ „ილიადაში“ მოხსენიებული ქალაქი ტროა არის ვილუსა და იგი ისტორიულია.[166] ლატაჩის აზრით, აქედან გამომდინარე, ჰომეროსის პოემებში არც ტროაზე თავდამსხმელი ბერძნების ანუ აქაველების სახელი უნდა ყოფილიყო გამოგონილი. ჩვენთვის უცნობია, თუ კონკრეტულად რომელ დაპირისპირებას გულისხმობდა ხეთების მეფე თავის გზავნილში. თუმცა აშკარაა, რომ მას ომი არ სურს აქქიჲავასთან და მისი დიპლომატიური წერილის მისია მშვიდობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. „ომი ჩვენ შორის არ უნდა მოხდეს!“ – ხეთების მეფის ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ხათის სამეფო თავს არიდებს უთანხმოებას აქქიჲავას სამეფოსთან, რაც მისი სამხედრო პოლიტიკის გაძლიერებას უნდა ნიშნავდეს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხათის მეფე განუმარტავს აქქიჲავას მმართველს, თუ ვინ მიავლინა მასთან შუამავლის ფუნქციით: „ნახე, გამოვგზავნე დაბალა-დატასი, მეეტლე. დაბალა-დატასი არ წარმოადგენს დაბალი რანგის ადამიანს: ჩემი ყმაწვილობიდანვე იგი ჩემი ეტლის მეეტლეა, ასევე შენს ძმასთან და ტავაგალავასთან ერთად იგი, ჩვეულებრივ, ეტლით დადიოდა. რადგან მას [მეეტლეს – თ. დ.] ჰყავს (ცოლი) დედოფლის ოჯახიდან, – ხათის ქვეყანაში კი დედოფლის ოჯახი დიდი პატივისცემით სარგებლობს – ნუთუ ის მე ცოლისძმად არ მეკუთვნის? და ის დარჩება ადგილზევე, ვიდრე ის უკან არ დაბრუნდება. იყავ მისადმი ლმობიერი, ჩემო ძმაო“. ჰეგემონი ქვეყნის მმართველი შუამავლად სამეფო კარის წარჩინებულს საგანგებოდ არჩევდა და განსაკუთრებული მისიით აქქიჲავას მმართველთან აგზავნიდა. ეს კიდევ ერთი ფაქტია, რომელიც აქქიჲავას მიმართ მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე მიგვითითებს. ძველი სამყაროს დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია, რომ საგანგებოდ შერჩეულ შუამავლებს აგზავნიდნენ დამეგობრებული და თანაბარუფლებიანი ქვეყნების მმართველებთან,

[166] Latacz 2001, 150.

დამორჩილებულთათვის კი „მზის“ ნებისმიერი შუამავალი ყოველთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. წერილის თანახმად, ხეთების მეფე მტრობის მიუხედავად, შერბილებულ დამოკიდებულებას გამოხატავს თვით პიამარადუსის მიმართაც. იგი აქქიჲავას მეფის მედიატორობით გარანტიებს სთავაზობს მას და ცდილობს, შეთანხმებას მიაღწიოს დაპირისპირებულ მხარესთან: „პიამარადუსს (მე უკვე მივეცი) გარანტიები: ახლა ხეთების ქვეყანაში შემდეგი გარანტიებია: თუკი ვინმემ ვინმეს მისცა პური და მარილი, ეს ნიშნავს, რომ იგი მის მიმართ მტრულად არ არის განწყობილი. მაგრამ გარანტიასთან ერთად მე მას ასეთი (წერილი) გავუგზავნე: „მოდი, მომმართე მე და მე შენ გზაზე დაგაყენებ, თუ როგორ გავაკეთებ ამას, ჩემს ძმას მივწერ. თუ შენ ასე გაკმაყოფილებს, იყოს ასე, თუ ეს შენ არ გაკმაყოფილებს, მაშინ ერთ-ერთი ჩემი კაცთაგანი წაგიყვანს შენ ისევ, აქქიჲავას ქვეყანაში“. ვფიქრობთ, ხათის მეფე შეგნებულად ატყობინებს აქქიჲავას მმართველს თავის პირობას, რათა ნდობა მოიპოვოს მისი და ამით შედეგს მიაღწიოს. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო აქქიჲავას გავლენა, რომ ხათის მმართველს მისი გვერდის ავლით უჭირდა პიამარადუსის შეჩერება. თავისი სიტყვის გარანტად კი მეფე საგანგებო ელჩს, მეეტლე დაბალა-დატასს დატოვებდა აქქიჲავაში: „პიამარადუსს (მე უკვე მივეცი) გარანტიები: ახლა ხეთების ქვეყანაში შემდეგი გარანტიებია: თუკი ვინმემ ვინმეს მისცა პური და მარილი, ეს ნიშნავს, რომ იგი მის მიმართ მტრულად არ არის განწყობილი. მაგრამ გარანტიასთან ერთად მე მას ასეთი (წერილი) გავუგზავნე: „მოდი, მომმართე მე და მე შენ გზაზე დაგაყენებ, თუ როგორ გავაკეთებ ამას, ჩემს ძმას მივწერ. თუ შენ ასე გაკმაყოფილებს, იყოს ასე, თუ ეს შენ არ გაკმაყოფილებს, მაშინ ერთ-ერთი ჩემი კაცთაგანი წაგიყვანს შენ ისევ, აქქიჲავას ქვეყანაში“. ვიდრე არ მოვა და უკან არ მობრუნდება, მეეტლე ადგილზე დარჩება“. კონფლიქტის მოსაგვარებლად ხათი დიპლომატიურ ნაბიჯს დგამს და მოლაპარაკებას იწყებს იმ მხარესთან, რომელსაც შეუძლია შუამავლის ფუნქცია იტვირთოს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ მისიის შესრულება აქქიჲავას ხელეწიფება. პიამარადუსს არჩევ-

ნის საშუალებას აძლევს. ამ ტექსტის მიხედვით, აქქიჲავა ძლიერ, დამოუკიდებელ და გავლენიან მხარედ გვევლინება, რომელსაც ძლიერი ქვეყანა ხათი თანაბარუფლებიან მხარედ მიიჩნევს. მასთან ურთიერთობაში კი მაშინდელი საგარეო პოლიტიკით აღიარებულ ყველა დიპლომატიურ წესს თუ ეტიკეტს იცავს. იმხანად ეგეოსის ზღვის აუზში ამგვარ გაერთიანებას მხოლოდ მიკენური საბერძნეთი ქმნიდა. მას ჰქონდა ხელში ჩაგდებული ეგეოსის ზღვის კუნძულები, მასვე შეიძლება მივაწეროთ ჯერ მილეტში და შემდეგ მცირე აზიის სანაპიროს სხვა რაიონებში თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელება.[167] ელინოლოგები ვარაუდობენ, რომ აქქიჲავა მოიცავდა საბერძნეთის კონტინენტის აღმოსავლეთ ზოლს და აღმოსავლეთით მდებარე კუნძულთა ტერიტორიის ერთ ნაწილს როდოსამდე.[168]

წერილიდან ვიგებთ, რომ მილავანდაში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა აქქიჲავას, ხოლო ხათის სამეფოსთან ელჩები ამყარებდნენ კავშირს: „გამოგზავნე, ჩემო ძმაო, ერთი შენი ქვეშევრდომთაგანი: და (კაცს, რომელმაც) მოგიტანა (შენ ეს უსტარი)...“; „მაგრამ როდესაც (ჩემი ძმის ელჩი) ჩემთან მოვიდა, მას ჩემთვის არ გადმოუცია (მოკითხვა) და არ (გადმოუცია) საჩუქარი...“

„ტავაგალავას წერილი“, რომელიც დოკუმენტური მასალაა და აბსოლუტურად დამოუკიდებელია ჰომეროსის „ილიადისაგან“, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის აქქიჲავას შესახებ. აქქიჲავას ხათის ქვეყანასთან საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა – ზოგჯერ კონფლიქტის გამწვავების ან მისი განმუხტვის პერიოდებით. ხეთების მეფე იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აქქიჲავასთან კეთილგანწყობის შენარჩუნებას, რომ იგი ბოდიშსაც კი უხდის მას „სამართლიანად“: „შენ საყვედურს გამოთქვამ ადრინდელი არაკეთილგანწყობის შესახებ სამართლიანად, მე ბოდიშს გიხდი...“

ამ დროისათვის უკვე აქქიჲავას მეფე სხვა დიდ მმართველთა შორის მოიხსენიება. ტუდჰალია IV ამურუს მმართველისად-

---

[167] გორდეზიანი 1970, 140.

[168] Latacz 2001, 157

მი წერილში აღნიშნავდა: „მეფეები, რომელნიც ჩემი ტოლნი არიან: მეფე ეგვიპტისა, მეფე ბაბილონისა, მეფე ასურეთისა და მეფე აქქიჲავისა“. აქქიჲავა ასევე მოხსენიებულია ტუდჰალია IV-ის ქრონიკაში: „5) (ასე სეჰას მდინარის ქვეყანამ...) გააჩაღა ომი. და აქქიჲავას მეფემ დაიხია (გაეცალა), 6) (ახლა, როდესაც... მან) დაიხია, მე დიადმა მეფემ, შევუტიე“.[169]

როგორც ირკვევა, აქქიჲავა საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული დასავლეთ ანატოლიის საბრძოლო ოპერაციებში. რაც მთავარია, ამ დოკუმენტში პირველად არის მითითებული იმაზე, რომ აქქიჲავას მეფე იმხანად მცირე აზიაში იმყოფებოდა.[170] აქქიჲავა ცდილობდა თავისი პოზიციები ანატოლიის სამხრეთსა და დასავლეთ ნაწილშიც გაემყარებინა ისევე, როგორც ალასიაზე (კუნძულ კვიპროსზე). ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა ურთიერთობის დაძაბვას ხეთებთან. მას შემდეგ, რაც აქქიჲავას მეფემ დატოვა ტერიტორია, ტუდჰალია IV-მ შეუტია სეჰას მდინარის ქვეყანას. ვფიქრობთ, ორივე ქვეყნის მმართველი გარკვეულწილად ანგარიშს უწევდა ერთმანეთს. ტუდჰალია IV უშუალოდ აქქიჲავასთან სამხედრო დაპირისპირებას ერიდებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქრონიკის ფრაგმენტების მიხედვით, აქქიჲავას მმართველმა უკან დაიხია. ხეთების მეფის არნუვანდა III-ის[171] მეფობის დროს ხათის ზოგიერთ დამორჩილებულ ქვეყანაში, მაგალითად, ციფასლაში, უკვე საკმაოდ მოურიდებლად მოქმედებდა „აქიას (იმავე აქქიჲავას) კაცი“, ე. ი. აქქიჲავას მმართველი, სახელად ათარისიასი.[172] არნუვანდა III-ის წერილში აშკარაა, რომ აქქიჲავა ხეთებთან ომს აღარ ერიდებოდა და ცდილობდა ძალაუფლების გაფართოებას დასავლეთ ანატოლიაში. როგორც ჩანს, ხეთების მეფის შეთავაზებამ დიპლომატიური შეთანხმების შესახებ ხანგრძლივი დროით შედეგი ვერ

---

[169] გორდეზიანი 1970, 135.

[170] გორდეზიანი 1970, 135.

[171] ხეთების სამეფოს მმართველი. იგი ტუდჰალია IV-ის შემდეგ გამეფდა. დაახლოებით ძვ. წ. 1209-1207 წწ-ში მართავდა ხეთების ქვეყანას. არნუვანდა III-ის შემდეგ ტახტზე ავიდა სუფილულიუმა II.

[172] გიორგაძე 1988, 82.

გამოიღო ან აქქიჲავას მმართველმა საერთოდ უარი თქვა მასთან მეგობრულ კავშირზე. ეს იმით აიხსნება, რომ „ტავაგალავას წერილის“ დაწერიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ აქქიჲავამ უკიდურესი ზომები მიიღო ხათუსასთან მიმართებაში. ძვ. წ. 1220 წელს ტუდჰალია IV-მ[173] ხელშეკრულება დადო თავის ერთ-ერთ ვასალ, ამურუს მეფე Šauškamuwa-სთან, რომელთანაც ამავე დროს დინასტიური ქორწინება აკავშირებდა. შეთანხმების თანახმად, ამურუს ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა უნდა შეეწყვიტა ასურეთთან და შეეფერხებინა ვაჭრობა აქქიჲავასა და ასურეთს შორის, რომელიც ამურუზე გადიოდა. ტუდჰალია IV-მ ასურეთთან საომარო მდგომარეობის გამო ეკონომიკური ბრძოლაც გამოაცხადა მასთან, ხოლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად აქქიჲავას სავაჭრო გემების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო: „ვაჭარს [ამურუს მეფისაგან] არ აქვს უფლება შევიდეს ასურეთის ქვეყანაში და ასურეთის მეფის ვაჭრის ქალაქში შემოშვების უფლება არც შენ გაქვს. მას [ვაჭარს] არ აქვს ასევე უფლება იმისი, რომ შენს ქვეყანაზე გაიაროს. არ უნდა დაუშვა აქქიჲავას ქვეყნიდან გემი გაემგზავროს მასთან [ასურეთის მეფესთან]“.[174] თანამედროვე ტერმინოლოგიით ტუდჰალია IV-მ ასურეთისა და აქქიჲავას მიმართ ემბარგო განახორციელა, რაც ეკონომიკურ ზეწოლას, ვაჭრობის აკრძალვასა და ამავე დროს უცხო ქვეყნის გემების დაკავებას გულისხმობს. აშკარაა, რომ ძვ. წ. XIII საუკუნეში ხათის, ხეთების გავლენის სფეროში შემავალ მცირეაზიულ ტერიტორიებსა და აქქიჲავას შორის დიპლომატიური მოლაპარაკებები გაწყვეტილი იყო, ხოლო ურთიერთობები კი – უკიდურესად დაძაბული. აქქიჲავა არა სამშვიდობო, არამედ სამხედრო ძალით ცდილობდა თავისი გავლენის გაფართოებას მცირე აზიაში. ეს მისი ექსპანსიური მოქმედებების გაზრდით აიხსნება.

---

[173] ხეთების სამეფოს მმართველი ძვ. წ. 1250-1220 წწ., ხათუსილი III-ის შვილი. მისი მეფობის დროს ხეთებმა დიდ ნარმატებას მიაღწიეს საგარეო პოლიტიკაში. ტუდჰალია IV-ს პქონდა „სამყაროს მეფის“ ტიტული, თუმცა მისი მმართველობის დასასრულს ხეთების სამეფომ დასუსტება დაიწყო.

[174] Latacz 2001, 158-59.

აქქიჲავამ, როგორც ხათის მოწინააღმდეგემ, თავისი ძლიერების მწვერვალს ძვ. წ. 1200 წელს ანუ გვიანმიკენურ ხანაში მიაღწია.[175] ხეთურ ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენიებული აქქიჲავა სრულ შესაბამისობაში მოდის ჰომეროსის აქაველთა ქვეყანასთან. აღსანიშნავია, რომ „ილიადაში" თავდამსხმელები სამი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებიან: აქაველები, დანაელები და არგიველები. ეპოსში ეს სამი სახელი ერთმანეთს ენაცვლება და მთლიანობაში მათ აღსანიშნავად გამოიყენება. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ თუ „აქაველების" შესახებ ხეთური დოკუმენტები გვაწვდის ინფორმაციას, ეგვიპტურ წყაროებში „დანაელები" მოიხსენიებიან. მითოლოგიური ტრადიციის გათვალისწინებით ეს შეიძლება არც იყოს გასაკვირი (მითი ეგვიპტოსისა და დანაოსის შესახებ).[176] ფარაონ ამენჰოტეპ III-ის აკლდამაში აღმოჩენილი ქანდაკების წარწერაზე ჩამოთვლილია ეგვიპტის მხარეები და რეგიონები, აგრეთვე ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი და ცნობილი მსოფლიოს რეგიონები.[177] მათ შორის ერთმანეთის გვერდით მოცემულია ქვეყნები კაფტა (kftw) და დანაია/ტანაია (tnjw), რომლებიც წარმოდგენილნი არიან თანაბარი რანგის „სამეფოებად". კაფტა შეიძლება კრეტას გულისხმობდეს, რადგან ამ ნაწილში კრეტული ტოპონიმებია ჩამოთვლილი,[178] ხოლო ლემანის აზრით, ეგვიპტური ტანაია/დანაია არ უნდა განცალკევდეს ეთნიკური „დანაელებისაგან".[179] ლატაჩი ვარაუდობს, რომ „დანაია" უნდა ყოფილიყო ბერძნული ნახევარკუნძული, რომელსაც მისი მცხოვრებლები პელოპონესოსს უწოდებდნენ. ამ ქვეყნის შესახებ ცნობა დაახლოებით ძვ. წ. 1400-1350 წლებში ეგვიპტელი ელჩის საშუალებით უნდა გავრცელებულიყო.[180] თუმცა დანაიასა და ეგვიპტეს დინასტიებს შორის ურთიერთობები უფრო ადრინდელია. ძვ. წ. XV საუკუნის

---

[175] Lehmann 1991, 114.

[176] ჯუღელი 1998, 28, 122.

[177] Latacz 2001, 161-62, Edel 1966, 33-40.

[178] Latacz 2001, 162.

[179] Lehmann 1985, 10.

[180] Haider 1988, 13-15.

ფარაონის თუტმოს III-ის ანალებში შეტანილია ცნობა დანაიას წარჩინებული დიდგვაროვანი კაცის შესახებ, რომელმაც ფარაონს ლევანტეს სანაპიროსთან ძვირფასი სასმელი ჭურჭელი გაუგზავნა აღიარების ნიშნად.[181] საინტერესოა, რომ ვერცხლის ჩაიდანი კაფტას ანუ კრეტულ-მინოსური სტილისაა და ოთხი ვერცხლის თასთან ერთად 5 კგ. იწონის. საეჭვო არ უნდა იყოს ამ პერიოდისათვის ეგვიპტის სამეფოსა და პელოპონესოსის მცხოვრებლებს შორის ურთიერთკავშირი. ამასთანავე აშკარაა მმართველების ზრუნვა ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებაზე. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ძველ აღმოსავლურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, ძღვენს ქვეყნების ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ლემანი ასკვნის, რომ ამ ძვირფასი საჩუქრით, რომელსაც დანაიას დიდგვაროვანი უძღვნის ფარაონს, ცდილობს დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებას სწორედ იმ მმართველთან, რომელიც ჩრდილოეთ სირიას მდინარე ევფრატამდე აკონტროლებდა.[182]

ასე რომ, ეგვიპტესა და კრეტას შორის ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეგვიპტესა და დანაიას შორის კავშირები კი უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს, რამდენადაც დანაელები ანუ მიკენელები კნოსოსის ოკუპაციას ახდენდნენ კრეტაზე.[183] როგორც ეგვიპტური წყაროები მოწმობენ, ძვ. წ. 1500 წლისათვის ტომი ან წარჩინებულთა გვარი სახელით „დანაელები", რომლებსაც ცენტრი არგოსში ჰქონდათ (ციხე-სიმაგრე კი – მიკენში) პოლიტიკურ წამყვან ძალად იქცა პელოპონესოსში. საყურადღებოა, რომ აღმოსავლურ წყაროებში იმავე სახელწოდებით მოიხსენიებიან ტროელთა მოწინააღმდეგენი, როგორც ჰომეროსის ეპოსში. აღმოსავლურ დოკუმენტებში მათი მოხსენიება გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ აქაველთა, როგორც თანაბარუფლებიანი ქვეყნის, ე. წ. „დიპლომატიური ურთიერთობა" ეგვიპტესა და ხათის სახელმწიფოებთან. ეს კი-

[181] Latacz 2001, 165.

[182] Lehmann 1991, 109.

[183] Latacz 2001, 165.

დევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ „ილიადაში“ აღწერილი ამბები ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა. მეცნიერებაში თითქმის აღარავინ დავობს იმასთან დაკავშირებით, რომ „ზღვის ხალხთა“ რიცხვში, რომელიც საკმაოდ აგრესიულ ძალას წარმოადგენდა, ბერძნებიც ერთიანდებოდნენ.[184] ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ აქქიჲავას მეცნიერები უკავშირებენ ფარაონ მერნეპტაჰის დროინდელ (დაახლ. ძვ. წ. 1220 წ.) „ზღვის ხალხში“ დასახელებულ ეთნიკურ სახელს „აკა(ი)ვაშას“.[185]

ამრიგად, ხეთური და ეგვიპტური წყაროების მიხედვით, აქქიჲავა და დანაია ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებიდან ჩნდება მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე. უფრო გვიან კი იგი, როგორც ხათისა და ეგვიპტის ძლიერებით თანასწორი ქვეყანა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგარეო პოლიტიკაში. მისი დაწინაურების შესახებ ისიც მეტყველებს, რომ ხათი დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამს აქქიჲავასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

---

[184] ცნება „ზღვის ხალხები“ თანამედროვე მეცნიერებაში ეგვიპტური წყაროების გათვალისწინებით დამკვიდრდა (იხ. გორდეზიანი 2007, 431-37). ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისში „ზღვის ხალხები“ მოულოდნელად შემოიჭრნენ მცირე აზიის დასავლეთიდან და გაანადგურეს დასავლეთ და ცენტრალური ანატოლია. მათ ეგვიპტესაც მიაღწიეს, სადაც დამარცხდნენ. როგორც ვარაუდობენ, ისინი ნარმოსდგებოდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის, ეგეოსის კუნძულებიდან და მატერიკული საბერძნეთის სამხრეთიდან. მათ შორის მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს მცხოვრებნიც შედიოდნენ (გიორგაძე 1988, 82). რამსეს III-ის მეფობის დროინდელ ეგვიპტურ წყაროებში, რომელიც ძვ. წ. XII საუკუნით თარიღდება, აღწერილია მათი შემოსევა: „მათ ვერ გაუმკლავდა ვერც ერთი ქვეყანა, თვით ხეთაც: კ ე დ ე (– შესაძლოა, იგივე კ დ ე დ ნ ანუ ქიცუვათნა/ქიცვათნა), ქარხემიში, არცავა, ალასია გაანადგურეს. შუა ამურუში (– იგულისხმება სირია) მათ კარვები მოანყვეს, მისი მცხოვრებნი გაჟლიტეს, თითქოს ისინი არც არსებობდნენ: ფ რ ს თ (– ფილისტიმელები, რომელთაც ისტორიული ტრადიცია განიხილავს როგორც კრეტადან, ეგვიპტური ნყაროების „ქაფთორიდან“, გამოსულებს), ჩ კ რ, შ კ რ შ, დ ნ (– როგორც ვარაუდობენ, დანაელები, ე. ი. ბერძენი აქაელები) და ვ შ შ ...“ (გიორგაძე 1988, 83). ამ წყაროს თანახმად, „ზღვის ხალხთა“ ძლიერი გაერთიანება ანატოლიის დაპყრობას ცდილობდა.

[185] მელიქიშვილი 1988, 228.

ხეთებმა, ფაქტობრივად, პირველად მოახდინეს ქვეყნების კლასიფიკაცია მათი პოლიტიკური წონისა და სამხედრო პოტენციალის მიხედვით და გამოყვეს ოთხი – ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი და აქქიჲავა – ყველაზე მძლავრი სახელმწიფო გაერთიანება ხმელთაშუა ზღვისპირეთში. როგორც ვხედავთ, ცნობილ ძლიერ ქვეყნებს შორის აქქიჲავაც სახელდებოდა. სწორედ იმ აქაველთა ქვეყანა, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს ელინური ცივილიზაციის განვითარებას ეგეიდაში. ჩვენთვის ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რა ადგილი ეჭირა ამ ურთიერთობებში ტროასა და მის გაერთიანებას. თუმცა ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჰომეროსთან აღწერილი ტროელთა და მათ მოკავშირეთა ერთიანობა დასავლეთ ანატოლიაში არსებობდა. ხეთურ დოკუმენტებში მოხსენიებული აქქიჲავა გვარწმუნებს, რომ „ხომალდთა კატალოგში“ აღწერილი აქაველთა ლაშქრის არსებობა რეალურია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მართალია, პოეტური ფანტაზიით გაჯერებული სახით, მაგრამ ინფორმაცია ძველ სამყაროში არსებული ე. წ. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, გარკვეულწილად შემონახულია ჰომეროსამდელ ეპიკურ ტრადიციაშიც. თუ ხეთურ და ეგვიპტურ წყაროებს გავითვალისწინებთ და იმ მეცნიერთა აზრს გავიზიარებთ, რომლებიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში მოხსენიებულ აქქიჲავასა და დანაიას ჰომეროსის აქაველებთან/დანაელებთან აიგივებენ, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბერძნები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მაშინდელი ძველი აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკაში. ამასთან შესაბამისობაში მოდის ბერძნული ტრადიციის ცნობები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომლის მიხედვითაც, ძვ. წ. XIV საუკუნიდან იწყება ელინურ ტომთა აღმავლობა კონტინენტურ საბერძნეთში. ეგეოსის ზღვის აუზში გავრცელებას იწყებს ე. წ. მიკენური კულტურა. მიკენელებმა არა მარტო მცირე აზიის სანაპიროებზე სცადეს შესვლა, არამედ თქმულებათა თანახმად, მათ კოლხეთამდეც შეაღწიეს „არგოთი“.[186] უდავოა, რომ მიკენური საბერძნეთის მკვიდრნი თავი-

[186] იხ. ასათიანი 1987.

ანთი გავლენის გაფართოებას ცდილობდნენ და უმეტეს შემთხვევაში ახერხებდნენ კიდეც ამას. ჰომეროსი და ტრადიცია სწორედ ამ დროისათვის მიგვითითებს ატრევსისა და მის შთამომავალთა ძალაუფლების ზრდაზე მიკენში. ჰომეროსი აშკარად გვიჩვენებს, რომ აგამემნონმა ერთიანი აქეური ლაშქარი წამოიყვანა მცირე აზიის სანაპიროებისაკენ.[187]

სამწუხაროდ, B-ხაზოვანი წარწერების თემატიკა საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა მაცნის აღმნიშვნელი ტერმინების არსებობა გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ზოგადად შუამავლის ფუნქცია თუ მოვალეობა იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული იყო.

[187] გორდეზიანი 1970, 137.

ელჩობასთან დაკავშირებული ტერმინები მიკენურ B-ხაზოვან დოკუმენტებში

მიკენური კულტურის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნიდან მიკენი სათავეში ედგა აქეურ სამყაროს, როგორც ეს „ილიადაშია" აღწერილი. ამას ხეთური და ეგვიპტური წყაროებიც გვიდასტურებს, რომელთა მიხედვითაც, აქქიჲავას მეფე აღმოსავლეთის ძლიერი ქვეყნების მმართველთა შორის მოიხსენიებოდა. ამდენად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ილიადაში" გადმოცემული აქაველთა კატალოგი მიკენური ხანის ვითარებასა და რეალურ მონაცემებს უნდა შეესაბამებოდეს.[188] ჰომეროსი მიკენური სამყაროს მოვლენებს აღწერდა თავის პოემებში. მის ცნობებს ნდობით ეკიდებოდნენ ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი და სხვა ისტორიკოსები, ხოლო სტრაბონი ჰომეროსს ამავდროულად გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად მიიჩნევდა. საინტერესოა, ელჩობის რა ტრადიციები არსებობდა ჰომეროსამდელ საბერძნეთში და როგორ მოაქცია ჰომეროსმა თავის პოეტურ კონტექსტში ურთიერთობათა ის სისტემა, რომელიც მიკენური ხანისათვის იყო დამახასიათებელი.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიკენური კულტურა ერთდროულად წარმოადგენს მინოსურის ადაპტირებას, ძველი აღმოსავლურის მიბაძვას და, ამავე დროს, მათ შეზავებას საკუთარ ჰელადურ ბუნებასა და ხასიათთან.[189] შეუძლებელია ამ პროცესის კვალი საგარეო ურთიერთობათა სფეროში არ ჩანდეს. როდესაც მიკენური ცივილიზაციის საკითხებს ვიკვლევთ, ყოველთვის გასათვალისწინებელია ის მულტიკულტურული ტრადიციები (აღმოსავლური, მინოსური და აქეური), რომელთა წიაღშიც ჩამოყალიბდა მიკენური სამყარო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ აღმოსავლეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უკვე პროფესიულ დიპლომატიას,[190] რაც ქვეყნებს შორის ურთიერთობების დარეგულირებას უწყობდა

[188] გორდეზიანი 1970, 129-44 ; ნიჟარაძე 2009.

[189] გორდეზიანი 1970, 118.

[190] Freydank. Reineke 1978.

ხელს, ზოგჯერ კი საფუძვლიანად ცვლიდა ქვეყანაში არსებულ საომარ სიტუაციას თავისი სამშვიდობო პოლიტიკით. ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ, თუ რამდენად მრავალფეროვანი იყო დიპლომატიის აღმოსავლური ტრადიცია, რადგანაც ელჩობის ინსტიტუტი ძველი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში მაღალ პროფესიულ დონეს აღწევდა. ერთი რამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინფორმაცია საბერძნეთის მეზობელ ქვეყნებში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების შესახებ გარკვეული მოცულობით ჰომეროსის ეპოქამდეც აღწევდა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ მინოსელები ყველაზე უკეთ ფლობდნენ ცოდნას ურთიერთობათა ხელოვნების შესახებ, ვინაიდან კუნძულ კრეტაზე ხუთი საუკუნის განმავლობაში მშვიდობა სუფევდა. არქეოლოგებმა ამ კუნძულზე საბრძოლო იარაღიც კი ვერ აღმოაჩინეს და არავითარი ნიშანი იმისა, რაც მინოსელების ბრძოლებსა და კონფლიქტებზე მიგვითითებდა, არ ჩანს. ამ განსაკუთრებული ვითარების აღსანიშნავად მეცნიერებაში ტერმინიც კი დამკვიდრდა Pax Minoica – „მინოსური მშვიდობა“. მეცნიერები ცდილობენ, ახსნან, რას ეყრდნობოდა მინოსური საზოგადოების კეთილდღეობა ან თავდაცვის რა მექანიზმს იყენებდნენ კუნძულის მცხოვრებნი მშვიდობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამ კითხვებზე ცალსახა და გამოკვეთილი პასუხი არ არსებობს.[191] ამასთანავე ზეპირი ეპიკური ტრადიციის თუ სხვა წყაროების საშუალებით, როგორც ჩანს, ჰომეროსის მზერა წვდებოდა ეგეიდა-ხმელთაშუაზღვის იმ რეგიონებსაც, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულში ანუ გმირთა ეპოქაში ცივილიზაციის ჭეშმარიტად მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდა. დღეს ჩვენ გვაქვს გარკვეული შესაძლებლობა ჰომეროსისა და ბერძნული წყაროების მონაცემები შევადაროთ ეგეოსური სამყაროს იმ რეალურ მასალას, რომელიც არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით არის ცნობილი. ჰომეროსის პერსონაჟები საკმაოდ ბევრს მოგზაურობენ, განსაკუთრებით „ოდისეაში“ ჩვენ არაერთ ცნობას ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ რაოდენ სისტემატური ხასიათი ჰქონდა ვიზიტებს როგორც კონტინენტური სა-

[191] გორდეზიანი 1998, 32.

ბერძნეთის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც, განსაკუთრებით გარშემო მდებარე კუნძულებზე და შორეული ეგვიპტისა თუ ანატოლიის ცალკეულ რეგიონებში. შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის ამ ცნობებს სავსებით შეესაბამება არქეოლოგიური გათხრების მონაცემებიც. მეცნიერებაში დიდი ხანია შენიშნულია, რომ მინოსური კულტურა, რომელიც თვითმყოფადობითა და განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა, წარმოადგენს საკმაოდ გახსნილ ცივილიზაციას, რომელიც მუდამ მზად იყო მიეღო ეგვიპტიდან, მცირე აზიიდან, ჩრდილოეთიდან გარკვეულწილად არაერთი გავლენა და ამასთანავე, თავად გამხდარიყო ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ქვეყნებისათვის იმპულსების გაცემის წყარო. აგრეთვე საყურადღებოა, რომ მინოსური კრეტა ახერხებდა თავიდან აეცილებინა საომარი საფრთხეები. ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში კრეტაზე ომის არავითარი ნიშანი არ გამოვლინდა, სავარაუდოდ, მინოსელების გარკვეულ შეთანხმებას გულისხმობდა. მინოსელებმა შეძლეს, დაემყარებინათ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა ისე, რომ მაშინდელ საერთაშორისო კონფლიქტებში არ ჩაბმულიყვნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ მათ არც მოკავშირეობის ვალდებულება ეკისრებოდათ. იმ შეთანხმებამ, რომელიც, სავარაუდოდ, კუნძულის მცხოვრებლებს ჰქონდათ სხვა ქვეყნებთან დადებული, მათ ქვეყანას მშვიდობის ხანგრძლივი გარანტია მოუტანა. ძირითადი წყარო ამ შემთხვევაში ჩვენთვის კრეტული წერილობითი დოკუმენტები უნდა ყოფილიყო, თუმცა A-ხაზოვანით შესრულებული წარწერები ჯერჯერობით არ არის გაშიფრული.[192] საბედნიეროდ, არქეოლოგიურმა გათხრებმა მინოსური კრეტის სასახლეები გამოავლინა, საიდანაც შუამდინარული ტაძრების მსგავსად, პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო ცხოვრება იმართებოდა. სწორედ მათ ქვეყანაში არსებული მშვიდობა განაპირობებდა მინოსური ცივილიზაციის აღმავლობასაც. ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებისაგან მინოსური თავისი დინამიკით, განახლებისაკენ სწრაფვითა და სამყაროსთან ჰარმონიული თანაარსებობით გამოირჩეოდა. მინოსური კრეტა

[192] Owens 1996, 168-69.

არ იყო კულტურულ ვაკუუმში და საკმაოდ განსხვავდებოდა თავისი ინდივიდუალურობით.[193]

რასაკვირველია, ამ ვითარებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ალბათ კრეტელთა გეოგრაფიული მდებარეობა და საკმაოდ საიმედო თავდაცვის სისტემა, რომლის უმნიშვნელოვანეს საყრდენსაც განთქმული კრეტული ფლოტი წარმოადგენდა. თუმცა ამის გვერდით უნდა ვივარაუდოთ, რომ მინოსელებს ჰქონდათ მეზობლებთან ურთიერთობის საკმაოდ დახვეწილი ფორმები. არ არის გამორიცხული, რომ თავისი ადგილი ეჭირა, აგრეთვე, „მინოსურ დიპლომატიასაც“.[194]

---

[193] მინოსელები ცხოვრობდნენ ღია სასახლეებში, ბუნებრივ დაცვას მოკლებულ ადგილებში, სადაც მუდმივი განვითარებისა და აყვავების ნიშნები შესამჩნევია. ეგვიპტური სასახლის მხატვრები ყოველდღიურ სცენებსაც რელიგიურ თემას უსადაგებდნენ. მინოსური მხატვრობა კი სრულიად გასაგები და ნაცნობი იყო დამთვალიერებლისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება და კერძოდ, მხატვრობა საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას ნარმოადგენდა, რისი წევრიც თავად დამთვალიერებელი იყო (Marinatos 1984, 31-33). იგი ადამიანებს მყუდრო და სასიამოვნო ატმოსფეროს უქმნიდა. როგორც ჩანს, პოლიტიკურ პირთა გამოსახულება იმხანად კრეტაზე აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რასაც ვერ ვიტყვით ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებაზე.

[194] ძვ. წ. XVI საუკუნიდან მათი გავლენა კონტინენტურ საბერძნეთშიც მკაფიოდ გამოიხატა. მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიაზე ცივილიზაცია სწორედ კრეტიდან უნდა შესულიყო (ჩედვიკი 1989, 37). მინოსური კრეტა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვის აუზის მრავალ სხვა ქვეყანასთან – ეგვიპტესთან, უგარიტთან და, რასაკვირველია, ეგეოსის ზღვის აუზის ქვეყნებთან, საიდანაც აღწევდა სხვადასხვა ინფორმაცია და მათ შორის ხდებოდა კულტურული ინფორმაციის გაცვლაც. თავად კრეტელები კი ასევითვე წარმატებით ავრცელებდნენ თავიანთ შექმნილ კულტურას არა მარტო კონტინენტურ საბერძნეთში, არამედ ეგვიპტეში, კვიპროსზე, სირიაში, ანატოლიაში და ა. შ. ამ ფაქტს ზემოთ დასახელებული ის ეგვიპტური წყაროც მოწმობს, რომლის მიხედვითაც, დიდგვაროვანმა კაცმა კაფტას ანუ კრეტულ-მინოსურ სტილში შესრულებული ძვირფასი სასმელი ჭურჭელი გაუგზავნა ფარაონ თუტმოს III-ს აღიარების ნიშნად.

ეს ვითარება, როგორც ჩანს, გარკვეულწილად ასახულია მინოსსა და მის საქმეებთან დაკავშირებულ ბერძნულ მითებშიც.

მინოსური კულტურის არეში შემავალი რეგიონებიდან კრეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი იყო კუნძული თერა, სადაც კრეტის სასახლეთა მხატვრების ნამუშევართა მსგავსად, შესანიშნავი ფრესკებია აღმოჩენილი. თერას გემების გამოსახულება ძალიან ჰგავს კრეტაზე დახატულ ხომალდებს.[195] მინოსური ფრესკები კრეტასა და თერაზე იმდენად მეტყველია, რომ, მორისის აზრით, მინოსურ პერიოდში ისინი შეიძლება მიგვითითებდნენ ეპიკური ტრადიციის არსებობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ვიზუალური გამოსახულება მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინაისტორიული ბერძნული ეპიკური ტრადიცია და ნარატივის ხელოვნება მხატვრობასთან თანადროულად ვითარდებოდა.[196] თერას რამდენიმე მრავალკომპოზიციური ფრესკებიდან განსაკუთრებით გვინდა შევაჩეროთ ყურადღება ერთ-ერთ გამოსახულებაზე, რომელიც სავარაუდოდ გადმოგვცემს რომელიღაც ისტორიულ ან ამ კუნძულის მცხოვრებთათვის ცნობილი ფაქტის სიუჟეტს. სურათი წარმოადგენს სცენას ლიბიის ან რომელიღაც აფრიკული ქვეყნის ცხოვრებიდან, როგორც ამას მასზე გამოსახული ადამიანების თმის ვარცხნილობა და ლომისაგან დევნილი ანტილოპების დეტალი მიუთითებს.[197] ამ საკმაოდ რთული კომპოზიციის სურათზე გამოსახულია ერთ-ერთ ქალაქში თეთრად გამოწყობილ ადამიანთა მისვლა ხომალდებით

---

[195] Doumas 1983. აქაც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ყვავილებისა და ცხოველების სამყარო. კუნძულის მცხოვრებთა ცხოვრებისეული სცენები გართობისა და ფუფუნებისაკენ ლტოლვას აღწერენ. მინოსური კულტურა ამქვეყნიურ ცხოვრებაზეა ორიენტირებული. ამ ეპოქის მხატვართათვის დამახასიათებელია დადებითი განწყობის შექმნის ტენდენცია. თუ გვსურს, ჩავწვდეთ მინოსური საზოგადოების მსოფლმხედველობას, როგორც ანტიკური ორიენტაციის მნიშვნელოვან ნაწილს, უნდა დავეყრდნოთ კრეტისა და თერას არქეოლოგიურ მასალას, რადგან კვლევისათვის წერილობით წყაროებს ვერ ვიყენებთ.

[196] Morris 1989, 511-35.

[197] გორდეზიანი 1988, 42.

გარკვეული მისიით. აქ აშკარად გადმოცემულია ვრცელი ამბავი და არაერთხელ ნახვის შთაბეჭდილებით აღქმული სურათის აღწერა. ამასთან დაკავშირებით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფრესკაზე გამოსახული ადამიანები სპეციალური დავალებით იყვნენ წარგზავნილნი სხვა ქვეყანაში და შესაძლოა ეს მისია გარკვეულწილად დიპლომატიურიც კი ყოფილიყო. ფაქტია, რომ ამ ფრესკაზე მეორე მხარესთან გარკვეული მიზნით კავშირის დამყარების ეპიზოდია დახატული. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ თერას მრავალკომპოზიციური ფრესკები მინოსური ლიტერატურის ცნობილ სიუჟეტებსაც აღწერდეს. ვრცელი ამბების მხატვრულად გადმოცემის ინტერესი აშკარად არსებობდა მინოსურ კულტურაში. ეს როგორც ფერწერაში, ასევე მინოსურ „სავარაუდო ლიტერატურაშიც“ უნდა ასახულიყო. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ A-ხაზოვანი წარწერები ჯერ კიდევ არ არის გაშიფრული, მხოლოდ არქეოლოგიური მასალითა და ფრესკებით ძალზე ძნელია იმაზე უფრო მეტად დეტალურად მსჯელობა, რასაც, სავარაუდოდ, იმხანად ელჩობის ფენომენი მოიცავდა. კუნძულ სანტორინის (თერას) გეოლოგიურმა კატასტროფებმა დაარღვია მინოსელთა ჰარმონია და, ფაქტობრივად, იმსხვერპლა მინოსური ცივილიზაცია.[198]

ბერძენთა შორის პირველნი, რომლებიც უშუალოდ ეზიარნენ მინოსურ კულტურას, აქაველები ანუ მიკენელები იყვნენ. სავარაუდოდ, აქაველებმა ამ კატასტროფის შემდეგ აიღეს მართვის სადავეები კრეტაზე და კუნძული მთლიანად მიკენური ცივილიზაციის გავლენის ქვეშ მოექცა. მიკენურმა სამყარომ არ მიიღო დიპლომატიურ და საკომუნიკაციო ენად არც მინოსური და არც სხვა წინაბერძნული დიალექტი, რომლებიც იმხანად

---

[198] ვულკანურმა ამოფრქვევამ (ძვ. წ. 1500 წ.) მნიშვნელოვნად შეასუსტა კუნძულ კრეტას განვითარება. ამას არაერთი დასახლებული პუნქტის და, სავარაუდოდ, ფლოტის განადგურება მოჰყვა, რაც მინოსელთა კავშირების დამყარების ძირითადი საყრდენი იყო. შესაბამისად, მათი ცხოვრების ბევრი დეტალის შესახებ ინფორმაცია მიუნვდომელია. თუმცა კულტურის ეგეოსურ-ბერძნულ მოდელს მნიშვნელოვნად განაპირობებს მინოსური კულტურის სპეციფიკა.

განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, მაგრამ გადმოიღო და განავითარა მინოსური დამწერლობის სისტემა და შეისისხლხორცა მრავალი ათასი ტერმინი და სიტყვა.[199] მიკენური ხანის წერილობითი წყაროთაგან ჩვენთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში B-ხაზოვანი დოკუმენტები დაგვეხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინვენტარული ხასიათის ჩანაწერებს წარმოადგენს. აღრიცხვის ასეთი მაღალი ხარისხი კი სასახლის კანცელარიის მუშაობის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, დასტურდება თუ არა B-ხაზოვან წარწერებში ჩვენთვის საინტერესო ფენომენთან დაკავშირებული ტერმინები, რომლებსაც ჰომეროსი გამოიყენებს და რა ადგილი უჭირავს მათ მიკენურ საბერძნეთში. როგორც ცნობილია, ჰომეროსი მაცნის აღსანიშნავად ძირითადად ორ ტერმინს – ἄγγελος-სა და κῆρυξ-ს გამოიყენებს. B-ხაზოვან წარწერათა მონაცემები გვარწმუნებს, რომ „ილიადასა" და „ოდისეაში" დამოწმებული სიტყვები, რომლებიც ზოგადად მაცნეს აღნიშნავს, მიკენურ დოკუმენტებშიც გვხვდება. ტერმინი a-ke-ro, მეცნიერთა აზრით, ბერძნული ἄγγελος-ის შესატყვისია. მისი ეტიმოლოგიის შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ტერმინი მიკენურში შესული უნდა იყოს და იგი, ბეეკესის აზრით, ნასესხობაა.[200] მიუხედავად იმისა, რომ არ გვეძლევა საშუალება უფრო ღრმად შევისწავლოთ ამ სიტყვის ადგილი მიკენელ ბერძენთა ცხოვრებაში B-ხაზოვანის მიხედვით, შევეცდებით წარმოვაჩინოთ, რა კონტექსტებში გვხვდება ეს სიტყვები. პილოსის არქივის ტექსტებში a-ke-ro (Jo 438) სამეფოს მნიშვნელოვან მოხელეებთან ერთად მოიხსენიება.[201] ამ ტექსტში წარმოდგენილია ადამიანთა სია, რომელთა გასწვრივაც მითითებულია ოქროს სხვადასხვა რაოდენობა, რაც მათ სტატუსთან შესაბამისობა-

[199] გორდეზიანი 1988, 58.

[200] Beekes 2010, 9.

[201] გორდეზიანი 1998, 110.

შია.[202] a-ke-ro იღებს ანაზღაურებას გარკვეული ოდენობით (შესაძლოა, რომ ოქროც იყოს), რომელიც მას po-ro-ko-re-te-ს ანუ ოლქის მმართველის მოადგილის დონეზე აყენებს და ამით მის ადგილს განსაზღვრავს მაშინდელ საზოგადოებაში. სავარაუდოდ, მისი სტატუსი სასახლის სამსახურთან უნდა იყოს დაკავშირებული. საყურადღებოა B-ხაზოვანი ერთ-ერთი წარწერა, რომლის მიხედვითაც, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მაცნის პროფესია საკმაოდ ტრადიციულია ამ ეპოქისათვის. Cn 1287 ტექსტში ჩამოთვლილია ათი პირი, რომელთაგან ოთხს თან ახლავს პროფესიის აღნიშვნა (მაცნე, მეთუნე, ფეიქარი, მაუდის მთელავი), ორიც „მონად" იხსენიება.[203] მიკენური საზოგადოება სოციალურად საკმაოდ დიფერენცირებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის a-ke-ro-ც მოიხსენიება. მართალია, სრულ წარმოდგენას არ გვიქმნის ზემოაღნიშნული დოკუმენტები მისი მოვალეობების შესახებ, მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ a-ke-ro-ს თავისი გარკვეული ადგილი ეჭირა მიკენური საზოგადოების მოხელეებს შორის და ვალდებულებებიც ალბათ მეტ-ნაკლებად განსაზღვრული იყო. ის ფაქტი, რომ a-ke-ro გარკვეულ ანაზღაურებას იღებს, მის ფუნქციაზე უნდა მიგვითითებდეს. თუმცა ეს მოვალეობა რამდენად ხანგრძლივი იყო, ან ასრულებდა თუ არა ნებისმიერი პირი სიტუაციიდან გამომდინარე ამ მოვალეობას, ეს ჩვენთვის უცნობია.

შედარებით განსხვავებულ კონტექსტში მოიხსენიება ტერმინ kʰῆρυξ-ის შესატყვისი ka-ru-ke. როგორც ცნობილია, მიკენური a ხშირად ბერძნული η-ს საშუალებით გადმოიცემა, თუმცა ხშირ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დიალექტების თავისებურებაც.[204] B-ხაზოვანი წარწერები, რომლებშიც ka-ru-ke გვხვდება რელიგიური ხასიათისაა. ლ. პალმერის აზრით, სავარაუდოდ, იგი წარმოადგენდა ოფიციალურ პირს ტაძარში.[205] ამ

[202] Palmer 1969, 298.

[203] გორდეზიანი 1998, 84.

[204] Гринбаум 2001, 202.

[205] Palmer 1969, 231.

მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ შრომის ანაზღაურების უწყისში რელიგიური ცენტრების (po-si-da-i-jo-de „პოსეიდონისადმი" და pa-ki-ja-nade) შემდეგ ჩამონათვალში გასამრჯელოს მიმღები პირი არის ka-ru-ke. ტექსტებიდან არ ჩანს, რა სამუშაოსთვის იღებენ ეს პირები ანაზღაურებას და რა პირობით ასრულებენ ისინი მოცემულ სამუშაოს – სახელმწიფო ვალდებულების მოსახდელად, თუ კერძო გარიგებით.[206] საინტერესოა, რომ მეორე B-ხაზოვანი წარწერა, რომელშიც გვხვდება ka-ru-ke, სხვადასხვა ღვთაებების, ქურუმებისა და მოხელეებისათვის გაღებულ ნელსაცხებლებს აღრიცხავს.[207] ტექსტში Un 219 ჩამოთვლილი სახელები, რომლებზეც გაცემულია სხვადასხვა სახის საქონელი, დატივუსის ბრუნვაშია მოცემული. მიმღებნი როგორც ღმერთები, ისე მოხელეებიც არიან. სწორედ მოხელეთა შორისაა დასახელებული ka-ru-ke, რაც მის კავშირს ადასტურებს რელიგიურ სამსახურთან. ჩვენთვის უცნობია, ka-ru-ke-ს მოვალეობათა საზღვრები მიკენურ საზოგადოებაში, თუმცა მისი ფუნქციები რელიგიურ სფეროში აშკარად ვლინდება.

ამ ტერმინის ეტიმოლოგიაზეც დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ტერმინი აშკარად წინაბერძნული წარმოშობისაა. ის ფაქტი, რომ მაცნის, შიკრიკის აღმნიშვნელი ორი ტერმინი მიკენურმა სხვა ენობრივი სამყაროდან შეითვისა იმაზე მიგვითითებს, რომ მიკენელებამდე ჩვენთვის საინტერესო ფენომენი უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ეგეიდაში და გარკვეულწილად აქაველებმა არა მარტო ტერმინები გადმოიღეს წინაბერძნული მოსახლეობიდან, არამედ შესაძლოა მათი შესაბამისი ინსტიტუტებიც.

ამგვარად, უკვე მიკენურ ეპოქაში გამოიყენებოდა მაცნის აღმნიშვნელი ტერმინები a-ke-ro (ἄγγελος) და ka-ru-ke (κῆρυξ), რომლებიც ჰომეროსიდან მოყოლებული ბერძნულ ენაში საკმაოდ გავრცელებულია და მათ, როგორც ჩანს, მიკენურ საბერძნეთში სრულიად კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა,

---

[206] გორდეზიანი 1998, 91.

[207] გორდეზიანი 1998, 54.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ დროს ელჩობის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები არ არსებობდა ენაში.[208]

B-ხაზოვანი წარწერების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ის ტერმინები, რომლებსაც ჰომეროსი მაცნისა თუ შიკრიკის მნიშვნელობით გამოიყენებს და რომელნიც შემდგომ ბერძნულში ამ მნიშვნელობის მქონე ძირითად ფორმატივებად დამკვიდრდნენ, „ბნელი წლების" განმავლობაში ტრადიციით გადაეცემოდა. შესაბამისად, ელჩობის ფენომენთან დაკავშირებულმა ტერმინებმაც შესაძლოა ტრანსფორმირებული სახით, მაგრამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა უფრო გვიან ბერძნულ ენაში.

როგორც აღვნიშნეთ, მიკენურ დოკუმენტებში მოხსენიებული ka-ru-ke-ს ფუნქციები რელიგიურ სფეროსთანაც არის დაკავშირებული. თუმცა არ არის გამიჯნული რელიგიური და საერო. როგორც ცნობილია, ჰომეროსის „ილიადაში" κῆρυξ-ი, ინფორმაციის გავრცელების გარდა, სხვადასხვა რიტუალში იღებს მონაწილეობას, კერძოდ, განწმენდისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალში. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ მის რელიგიურ ფუნქციას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს მიკენური ეპოქიდან მოყოლებული. საყურადღებოა, რომ მიუხედავად თავისი მრავალმხრივი ფუნქციებისა, ტერმინ ἄγγελος-ით მოხსენიებული მაცნე ჰომეროსის ეპოსში რელიგიურ რიტუალში არ გვხვდება და საყურადღებოა, რომ არც B-ხაზოვანით შესრულებულ დოკუმენტებში ჩანს მასში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ არქაული პერიოდის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა შუამავალთა პროფესიაში, შიკრიკი (κῆρυξ) თავის ტიტულსა და რელიგიურ დაცულობას მაინც ინარჩუნებდა.[209]

---


[208] მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მიკენელი ბერძნები დამწერლობას არა მარტო კანცელარული, არამედ მითოლოგიური და მხატვრული ინფორმაციის ჩასანერადაც იყენებდნენ. ამ ფაქტს ბერძნული ლეგენდარული ტრადიციაც ადასტურებს, რომელსაც უძველესი პოეტების მოღვაწეობა სნორედ მიკენურ ეპოქამდე აჰყავს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიკენური ხანის ლიტერატურულ ძეგლებში მაცნის ფუნქციები უფრო ფართოდ იქნებოდა წარმოჩენილი.

[209] Adcock, Mosley 1975, 153.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსამდელ საბერძნეთში ე. წ. დიპლომატიის ტრადიციები გარკვეულწილად არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, ამას მოწმობს მინოსური კრეტის მშვიდობიანი ცხოვრება და ურთიერთობები მაშინდელ სახელმწიფოებთან. რაც შეეხება მიკენურ საბერძნეთს, ყურადღებას იპყრობს B-ხაზოვან წარწერებში დადასტურებული ტერმინები, რომლებიც ელჩობის, როგორც მოვალეობის, არსებობას ადასტურებს ამ ეპოქაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ენობრივ დონეზე მტკიცდება. ვინაიდან საბერძნეთი შედგებოდა შესანიშნავად ორგანიზებული სამეფოებისაგან, რომლებიც გაერთიანებული სამხედრო მოქმედებებით გამოირჩეოდნენ, ვფიქრობთ, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებები საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ამ ფუნქციის აღმსრულებელი მაცნეები, შიკრიკები თუ ე. წ. ელჩები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობათა საქმეში. იმისათვის, რომ უფრო მეტი შევიტყოთ მიკენის ხანაში დიპლომატიის შესახებ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ ჰომეროსის პოემები, რომლებშიც მიკენური ეპოქის ამბებია გადმოცემული. მეცნიერებაში ხშირად დასმულა შეკითხვა იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა ჰომეროსს, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნეში ცხოვრობდა, ზედმიწევნით სრული ინფორმაცია გადმოეცა ძვ. წ. XIII საუკუნეში განვითარებული მოვლენების შესახებ. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ აღწერილი ამბები გარკვეულწილად ისტორიულ ფაქტებს შეიძლება ეყრდნობოდეს. ჩვენ მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება ძვ. წ. XI-VIII საუკუნეების პერიოდის შესახებ, რომელიც საბერძნეთის „ბნელ წლებად“ ითვლება. ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერებას საუკუნეების განმავლობაში შეუძლია შემოინახოს ისტორიული ფაქტები, თუმცა ხშირად შეცვლილი სახითაც. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში ზეპირი გადმოცემის პროცესი თავისებურ კვალს ტოვებს პოემაზე. ჰომეროსი კი იმ ეპოქაში მოღვაწეობდა, როდესაც, უმეტესწილად, ინფორმაციის გადაცემის ზეპირ გზას გამოიყენებდნენ. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო საკითხების გამოსაკვლევად ჰომეროსის ეპიკური თხზულებები მაინც

ერთადერთი წყაროა, რომელსაც შეუძლია გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდოს მიკენური ეპოქის ელჩობის ფენომენის შესახებ. ჰომეროსი მემკვიდრეა საკმაოდ დიდი კულტურული ტრადიციებისა. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, თუ როგორ შეძლო ჰომეროსმა სავსებით სპეციფიკური სფეროს, ე. წ. დიპლომატიის მოქცევა თავისი ეპოსის პოეტური სამყაროს კონტექსტში. თუ რამდენად ადეკვატურად ასახა მან ურთიერთობათა ფორმები, ეტიკეტი და რაც მთავარია, ელჩების ადგილი ელინური საზოგადოების ფუნქციონირების პროცესში. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ჩვენი ნაშრომის შემდეგი ნაწილი.

ჰომეროსის ეპოქა



ნაწილი II

ჰომეროსის ანუ გეომეტრიული ეპოქის პანორამისათვის

მიკენური საბერძნეთის დაქვეითების პრობლემა მეცნიერებაში დღემდე დისკუსიას იწვევს. თუმცა არავინ დავობს იმაზე, რომ ამ დაქვეითებას შედეგად მოჰყვა ბერძნული კულტურის მკვეთრი სვლა გაპრიმიტიულებისაკენ. მიკენური ეპოქის მომდევნო რამდენიმე საუკუნის, კერძოდ, ძვ. წ. XI-X სს-ის აღსანიშნავად სპეციალური ფორმულა – „ბნელი წლებიც" კი მოიძებნა. ამ პერიოდს ხელოვნების ისტორიკოსები პროტოგეომეტრიულს უწოდებენ, როდესაც საკმაოდ საინტერესო ეგეოსური კერამიკული ფერწერა თანდათან პრიმიტიულმა გეომეტრიული ფიგურების უსისტემო გამოყენებამ შეცვალა. მაგრამ ძვ. წ. IX საუკუნის დასაწყისიდან ბერძნულ კულტურაში იგრძნობა ერთგვარი შემობრუნება ანუ „ბნელი წლებიდან" გამოსვლის ტენდენცია, რაც საბოლოოდ დასრულდა ახალი აღმავლობის ხანით, რომელსაც დღეს გეომეტრიული რენესანსის ეპოქა ეწოდება. აღორძინება, რომელიც ბერძნული კულტურის განვითარების ამ ეტაპზე ხდება საბერძნეთში, ძვ. წ. 770-700 წლებით შემოიფარგლება.[210] რატომ უწოდებენ ამ პერიოდს გეომეტრიული რენესანსის ხანას? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სწორედ ამ წლებში საბოლოოდ დასრულდა დიადი მიკენური წარსულის დაქვეითებით გამოწვეული დიდი კულტურული პაუზის პერიოდი და დაიწყო ახალი აღმავლობა, რამაც მიგვიყვანა კლასიკური ბერძნული კულტურის შექმნის სიმაღლეებამდე. ეს აღმავლობა კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ გამოიხატა: ა) ხელოვნების დონეზე ამ აღმავლობისათვის დამახასიათებელი იყო გეომეტრიზმის პრინციპის უსისტემო გამოყენებიდან საოცრად სისტემურ ეტაპზე გადასვლა, როდესაც გეომეტრიული პრინციპი გამოიყენება კოორდინაციისა და სუბორდინაციის კანონთა დაცვით.[211] კერამიკაში ეს გამოიხატა დიდებული ე. წ. ატიკური დიპილონის ჭურჭლის კონსტრუირე-

[210] Coldstream 1977.

[211] გორდეზიანი 1988, 80.

ბასა და მის მკაცრად ორგანიზებულ დაცვაში გეომეტრიული ფიგურების შემცველი სარტყელებით. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ბერძნულ კულტურაში შემოდის წესრიგისაკენ ლტოლვის ახალი, ეგეოსური ფერნერული სტილისაგან განსხვავებული, სიმეტრიის კანონებზე დაფუძნებული ტენდენციები. თუკი კრეტული კერამიკული ნიმუშები თავისი დინამიკურობით გამოირჩევა, გეომეტრიული ჭურჭელი უფრო ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარ უძრავ კონსტრუქციას მოგვაგონებს. გეომეტრიული სტილისთვის დამახასიათებელი განსხვავებული შტრიხების აღქმა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა მას კრეტულ კერამიკას ვადარებთ, რომელიც თითქოს თავის თავში დინამიურ ენერგიას ფარავს.[212] ამ პერიოდში გეომეტრიული ორნამენტების გარდა, ჭურჭლის მოხატულობაში ვხვდებით ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებსაც, რომელთა განაწილებაც ასევე სიმეტრიის პრინციპების შესაბამისად ხდება; ბ) რაც შეეხება სიტყვიერი შემოქმედების დონეს, აქ უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ფონეტიკური ანბანის დამკვიდრებას, რომელმაც გზა გაუხსნა დამწერლობის ფართოდ გავრცელებას საზოგადოებაში და ზეპირი პოეტური შემოქმედების ეტაპიდან თანდათანობით წერილობითზე გადასვლას. ბერძნული ფონეტიკური დამწერლობა, რომელიც ფინიკიური ანბანის საფუძველზე შეიქმნა, სხვა არაერთი დამწერლობის შექმნის საფუძველი გახდა. ბერძნული წარწერები, უპირველეს ყოვლისა, კერამიკულ ჭურჭელზე აისახა, რაც ელინურენოვან სამყაროში დამწერლობის მასშტაბურ გავრცელებაზე მიგვითითებს. პოეზიისა და ხელოვნებისათვის ამ ხანას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინფორმაცია, რომელიც მიკენურ წარსულთან იყო დაკავშირებული და რომელმაც „ბნელი წლების“ გავლით მითებისა და ლეგენდების ფორმით გეომეტრიულ ეპოქამდე მოაღწია, შესაძლებელი გახდა წერილობითი გზით გავრცელებულიყო. შესაბამისად, მხატვრულ კულტურულ დონეზე ასახვისას დომინანტურ თემას სწორედ მიკენური წარსულის შესახებ მითები და ლეგენდარულ გმირთა ამბები წარმოადგენს.

---

[212] Виппер 1972, 68.

შეიძლება ითქვას, რომ ხდება ამ წარსულის იდეალიზაცია, რაც, ფაქტობრივად, სქემატური ტრადიციული ამბების სფეროდან მაღალ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გადადის. სწორედ ამ ტენდენციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება არის ჰომეროსის ეპოსი, რომელმაც მთელი თავისი ძალით წარმოგვიჩინა სიმეტრიულობისა და მაღალი პოეტური ტექნიკის ურთიერთშეზავების შედეგები; გ) გარდა ამისა, ამ პერიოდში ხდება, ერთი მხრივ, მთელი ბერძნული სამყაროს დიფერენციაცია პოლისებად ანუ ქალაქ-სახელმწიფოებად, ხოლო მეორე მხრივ, ელინურ ტომთა თანდათანობით გავრცელება ხმელთაშუაზღვისპირეთში, რაც აფართოებდა ზოგადად ბერძნულ ჰორიზონტს. პოლისის წარმოქმნა კი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი პროცესების დაწყებას გულისხმობდა; დ) გეომეტრიული ეპოქიდან იწყება რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენების ფორმირება, რომელიც ჯერ ჰომეროსის და შემდეგ ჰესიოდეს პოემებში აისახა. ამ თვალსაზრისითაც მათი შემოქმედება საკმაოდ წარმატებულ ცდას წარმოადგენს. მაშინ, როდესაც ბერძნული ღვთაებების მრავალფეროვანი და დაქსაქსული სიმრავლიდან ჩამოყალიბდა იერარქიულად მოწესრიგებული ოლიმპიური ღმერთების რელიგია. სწორედ ამიტომ მიიჩნევდა ჰეროდოტოსი, რომ ჰომეროსმა და ჰესიოდემ „შეუქმნეს ელინებს ღმერთების წარმოშობის ისტორია, დაარქვეს ღმერთებს სახელები, გაუნაწილეს მათ პატივი და ხელოვნება და აღწერეს მათი გარეგნობა“;[213] ე) ელინური ერთიანობის კიდევ ერთ გამოხატულებად იქცა საერთო ოლიმპიური თამაშობები. პოლისებად დაყოფილ ბერძნულენოვან სამყაროს სპორტული შეჯიბრებები აერთიანებდა. მიდრეკილება შეჯიბრებებისაკენ გამოვლინდა ბერძნული ცივილიზაციის თითქმის ყველა სფეროში – ზოგან სიტყვიერი პაექრობის, ზოგან ადრე გამოთქმული მოსაზრების გაბათილებისა და ახლის წამოწყების, ზოგან კი უშუ-

---

[213] Ἡσίοδον γὰρ καὶ Ὅμηρον... οὗτοι δέ εἰσι οἱ ποιήσαντες θεογονίην Ἕλλησι καὶ τοῖσι θεοῖσι τὰς ἐπωνυμίας δόντες καὶ τιμάς τε καὶ τέχνας διελόντες καὶ εἴδεα αὐτῶν σημήναντες (ჰეროდოტოსი, „ისტორია“, II, 53, 2).

ალო ფიზიკური შერკინების სახით.[214] ის ფაქტიც, რომ ოლიმპიადა ანუ ოთხწლიანი ციკლი ბერძენთა ქრონოლოგიურ საზომად იქცა, სისტემატიზაციისაკენ სწრაფვად უნდა მივიჩნიოთ; 3) გარდა ამისა, გეომეტრიული რენესანსის ეპოქაში მოხდა საერთოელინური რელიგიური ცენტრების დაარსება, რაც არქაული და კლასიკური ხანის სატაძრო არქიტექტურაშიც აისახა.[215] თითქოს ბერძნული სამყარო წესრიგისა და სისტემურობის საოცარმა სულმა მოიცვა, იწყება მთელი ელინური სოციალური, კულტურული ცხოვრების ორგანიზება სრულიად განსაზღვრულ კანონზომიერებათა შესაბამისად;[216] ზ) ამ ეპოქის სულის უმთავრესი გამავრცელებელნი იყვნენ გეომეტრიული ეპოქის აედები. მათი როლი განსაკუთრებით მაშინ გამოიკვეთა, როცა ბერძნული ლიტერატურა ყალიბდებოდა. არ არის შემთხვევითი, რომ ელინურენოვან სამყაროში აედების ადგილს არაერთგზის წარმოგვიჩენს თავად ჰომეროსი. ისინი მიკენური წარსულის გმირებს, მოვლენებს თუ მითიურ ღმერთებს უმღეროდნენ, რაც საბოლოოდ ვრცელი თუ მცირე ზომის პოეტურ ნაწარმოებად გარდაიქმნებოდა. აედი სრულფასოვნად ფლობდა ინფორმაციას ბერძნების დიდებული წარსულის შესახებ, იყო არაჩვეულებრივი იმპროვიზატორი და ჰყავდა მსმენელთა საკმაოდ დიდი აუდიტორია. ის, რომ აედი საზოგადოებაში დიდი პატივით სარგებლობდა, ამას ეპოსში გამოყენებული ეპითეტებიც გვიდასტურებს: ἐρίηρος („ძვირფასი"), θεῖος („ღვთაებრივი"), θέσπις („ღვთაებრივი"), περικλυτός („ყველგან დიდებული"), ἴρηξ („გმირი"), λαοῖσι τετιμένος („ხალხისგან პატივცემული"); აედები თავიანთი წარმოშობით ადამიანებსა და ღმერთებს შორის შუამავლებად ითვლებოდნენ.[217] ჰომეროსის პოემებში სულ სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიება თვითნასწავლი თუ პროფესიონალი აედი. მათ შორის, თამირის თრაკიელი (*ილ.* II, 594...), რომელიც მუზებმა მათთან მეტოქეობის გამო

---

[214] გორდეზიანი 1988, 73.

[215] Виппер 1972, 74-76.

[216] გორდეზიანი 1988, 70.

[217] Гордезиани 1978, 340.

დასაჯეს დაბრმავებით და წაართვეს „ღვთაებრივი სიმღერა“, ფემიოსი, რომელიც აქაველთა დაბრუნებაზე მღერის (*ოდ.* I, 326...), ართობს სასიძოებს და დემოდოკოსი, რომელიც ფეაკთა კუნძულზე ანიჭებს სიამოვნებას თავისი სიმღერით ადამიანებს (*ოდ.* VIII, 74...). ოდისევსი მას უმაღლეს შეფასებას აძლევს. მისი აზრით, აედებს ყველა მოკვდავი უნდა ეთაყვანებოდეს, რადგან მათ ან მუზამ ასწავლა, ან აპოლონმა ჩააგონა სიმღერები (*ოდ.* VIII, 487-99).[218]

დემოდოკოს, მოკვდავთა შორის ყველაზე მეტად შენ
გამოგარჩევ...
ოდ. VIII, 487.

ამავდროულად თითოეულ ადამიანს ვუამბობ,
თუ როგორ მოგანიჭა შემწყნარებელმა ღმერთმა ღვთაებრივი
სიმღერის ნიჭი.
ოდ. VIII, 497-98.[219]

აედს ყველა დიდი ინტერესით უსმენდა, რადგან მას შეეძლო უამრავი ამბავი გაეხსენებინა ადამიანებისათვის, თაობიდან თაობისთვის გადაეცა გმირთა ლეგენდარული სახელები და კიდევ უფრო გაელრმავებინა მოკვდავებისათვის გამარჯვების მოპოვებით გამოწვეული სიხარულის ჟინი. ეს კი ადამიანებში დიდ ემოციასა და თანაგრძნობას იწვევდა. მათი სიმღერით გადმოცემული ამბავი იყო კონკრეტული, რომელიც გარკვეული სიუჟეტით შემოიფარგლებოდა. ამით განსხვავდებოდნენ აედები ეპიკოსი პოეტებისაგან. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ აედთა მოღვაწეობამ ძლიერი საფუძველი შეუქმნა ჩვენამდე მოღწეული ეპიკური პოეზიის განვითარებას და მნიშვნელოვანია, რომ თავად ელინთა შეფასებით მათი უდიდესი პოეტი, ჰომეროსი სწორედ ეპიკოსი იყო.

ამდენად, მიუხედავად არაერთი მიღწევისა, რომელიც გეომეტრიული რენესანსის ეპოქასთან არის დაკავშირებული,

---

[218] Δημόδοκ', ἔξοχα δή σε βροτῶν αἰνίζομ' ἀπάντων.
αὐτίκ' ἐγὼ πᾶσιν μυθήσομαι ἀνθρώποισιν
ὡς ἄρα τοι πρόφρων θεὸς ὤπασε θέσπιν ἀοιδήν.

[219] ჰომეროსის პოემებიდან პწკარედული თარგმანები ეკუთვნის წიგნის ავტორს.

უმაღლესი განვითარების საფეხურად მეცნიერები ერთხმად მაინც ჰომეროსის შემოქმედებას მიიჩნევენ. რასაკვირველია, ჰომეროსის ეპოსის კვლევა გვიჩვენებს, რომ პოეტი შეგნებულად ცდილობდა თავის პოემებში მოექცია სამყაროს მრავალმხრივი რელაციები და ყოველივე პოეტურ კონტექსტში სისტემურად წარმოეჩინა. სწორედ ამის წყალობით თვლიდნენ ანტიკურ სამყაროშივე ჰომეროსს ბერძნული კულტურის წინამორბედად. მისი უნივერსალიზმი სხვა სფეროებთან ერთად ელჩობის ფენომენის ასახვაშიც გამოიხატა როგორც ტერმინოლოგიურ, ასევე ნარატიულ დონეზე. შეიძლება აღინიშნოს, რომ სწორედ ჰომეროსის ეპოსში შეიქმნა ელჩების პირველი მხატვრული სახეები, ელჩობის მაღალმხატვრული სცენები და ამ მისიის აღმსრულებელთა პირველი წარმატებული თუ წარუმატებელი „დიპლომატიური" შედეგები. ის, თუ რამდენად შორს წავიდა ელჩობა ჰომეროსის პოემებში, შევეცდებით, შემდეგ თავებში ვაჩვენოთ.

თუმცა აქვე გვსურს, ყურადღება შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, რაც აშკარად მიგვანიშნებს ელჩობის ფუნქციის შემსრულებელ პერსონაჟთა განსაკუთრებულობაზე. „ილიადაში", ევროპული ლიტერატურის პირველ ძეგლში, პირველსავე სიმღერაში ჩნდებიან მაცნეები, რომელთა ფუნქცია საკმაოდ საპასუხისმგებლოა კონფლიქტის განვითარებაში. აგამემნონი მიუხედავად თავისი მუქარისა აქილევსისადმი, რომ თავად მივა მის ბანაკში და წამოიღებს როგორც მის ნადავლს, ისე წამოიყვანს პელევსის ძის მხევალს ბრისეისს, გადამწყვეტ მომენტში თავს იკავებს აქილევსთან მისვლაზე. იგი ბრისეისის წამოყვანის ფუნქციას აკისრებს შიკრიკებს – ტალთიბიოსსა და ევრიბატესს. აქედან მოყოლებული, სანამ ისინი თავიანთ დავალებას აღასრულებდნენ, ჰომეროსი არაერთ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო პერსონაჟებზე. დავიწყოთ შიკრიკების სახელებით, რომლებიც აშკარად „მეტყველ სახელთა" ჯგუფს განეკუთვნებიან. ტალთიბიოსი, ფაქტობრივად, წარმოადგენს კომპოზიტს და მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით წარმომდგარია Ταλθυ- < Θαλθυ-, < θαλερος – აყვავებული, βίος – ცხოვრება. ევრიბატეს სახელიც ასევე კომპოზიტია და წარმომდგარია 2 კომპონენტის შეერთებით – Εὐρυς

და βάτης – ვინც ფართოდ მიაბიჯებს.[220] შესაბამისად, თუკი პირველ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება საქმე გვქონდეს საგვარეულო სახელთან, მეორე შემთხვევაში ჩანს, რომ სახელი შიკრიკის პროფესიიდან გამომდინარეობს. ვფიქრობთ, იგი უნდა ასახავდეს შიკრიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებას, რაც სწრაფ გადაადგილებაში გამოიხატება. ჰომეროსის ეპოსში ეს სახელი მხოლოდ შიკრიკზე არის მორგებული. ევრიბატესი კი მხოლოდ ოდისევსისა და აგამემნონის შიკრიკის მოვალეობას ასრულებს პოემებში. პოეტი ქმნის ელჩების მსვლელობის სცენის ტიპურ სტრუქტურას, რომელიც მოქმედების რამდენიმე საფეხურისაგან შედგება: 1) დავალების მიღება; 2) დავალების შესასრულებლად წასვლა; 3) დანიშნულების ადგილზე მისვლა; 4) ადრესატის მოძებნა და მასთან შეხვედრის სიტუაციის აღწერა; 5) მეორე მხარის წინაშე წარდგომა; 6) დავალების გადაცემა.[221] რა თქმა უნდა, მე-5 და მე-6 პუნქტები სიტუაციის მიხედვით სხვადასხვა მომენტით შეიძლება განივრცოს. ჰომეროსი თავის პოემაში აშკარად მიგვანიშნებს, რომ საბრძოლო ვითარებაში შიკრიკები – ტალთიბიოსი და ევრიბატესი, ერთი მხრივ, არიან აგამემნონის პირადი ელჩები, ხოლო მეორე მხრივ, ეკუთვნიან აქაველთა მთელ ჯარს. ამავე სიმღერაში ნაჩვენებია, რომ ელჩების მოქმედება ზოგჯერ შეიძლება მათი ნების საწინააღმდეგოდაც დაიგეგმოს (*ილ.* I, 331-32). ჰომეროსი მაღალი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს, თუ როგორი ძრწოლვით მიდიან ელჩები აქილევსთან, დაბნეულები ვერც ვერაფერს ეუბნებიან, თუმცა თვით განრისხებული აქილევსიც კი ხვდება, რომ წარგზავნილებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ელჩები არაფერს არ ამბობენ და არ სვამენ არავითარ კითხვას. და რაც მთავარია, მინიშნებულია, რომ შუამავლები წარმოადგენენ ოფიციალური სამსახურის შემსრულებელ პირებს, რამდენადაც ისინი არიან „ზევსისა და კაცთა მაცნეები" (...Διὸς ἄγγελοι ἠδὲ καὶ ἀνδρῶν. *ილ.* I, 334). ამდენად, ამ ერთ პატარა სცენაშიც კი ჰომეროსისათვის დამახა-

[220] Latacz 2002, 120.

[221] Latacz 2002, 120.

სიათებელი ამომწურაობით აქცენტირებულია ელჩებთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი მომენტი. თუმცა მათგან უმთავრესია შემდეგი – ვინაიდან ელჩები ასრულებენ ოფიციალურ სამსახურს (მიუხედავად იმისა, რა დავალებით მიდიან ისინი ადრესატთან), მათ არ შეიძლება დაეკისროთ რაიმე პასუხისმგებლობა და მოხდეს მათზე თუნდაც უმნიშვნელო ძალადობა.

როგორც ცნობილია, ოლიმპიური პანთეონი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების კვალდაკვალ იხვეწებოდა და ვითარდებოდა. ბერძნული რელიგიური წარმოდგენების სისტემის დადგენა კი ჰომეროსისა და ჰესიოდეს სახელს უკავშირდება. თუმცა ვიზიარებთ მკვლევართა იმ ნაწილის აზრსაც, რომ მითოსურ-რელიგიური აზროვნება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რიტუალურ ფენომენთან, ერთგვარად განაპირობებდა კიდეც მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს, რომლითაც მდიდარია ჰომეროსის ეპოსი. ამდენად, გადაჭრით ძნელია დღეს იმის თქმა, მოკვდავთა შორის გავრცელებული „დიპლომატიის" ფორმირების პროეცირება მოხდა ღმერთების სამყაროში, თუ მითოლოგიაში ჩამოყალიბებულმა მიმართულებებმა მოახდინა გარკვეულწილად გავლენა მოკვდავთა დიპლომატიურ აზროვნებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მითოლოგიის სივრცეში, ასევე ეპიკურ თხზულებებში ელჩობის ფენომენი საკმაოდ მრავალმხრივადაა წარმოჩენილი.

ამ მხრივ ყურადღებას შევაჩერებთ ტერმინებზე, რომლებიც დიპლომატიური ფუნქციით აღჭურვილი პირების მიმართ გამოიყენებოდა. ამ ტერმინთა წარმომავლობა გვიჩვენებს როგორც მიკენური ტრადიციის აღორძინებას, ასევე იმ ინოვაციებს, რაც თავად გეომეტრიულ ეპოქას შეეძლო შეეტანა ტერმინთა ფორმირებაში.

ელჩობის აღმნიშვნელი ტერმინები ჰომეროსთან და ჰომეროსის შემდგომ ტრადიციაში

ელინურ ეპოქაში საგარეო პოლიტიკის მართვა დოკუმენტაციის გარეშე ხდებოდა, იმდროინდელი საერთაშორისო საკითხები კი საბჭოებისა და სახალხო კრებების მუდმივად განსახილველი თემა იყო. შესაბამისაად, ურთიერთობათა სისტემაში ინფორმაციის გადაცემა ერთ მხარეს მეორესთვის როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროსაც მხოლოდ მაცნის საშუალებით შეეძლო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, რომელშიც ჰომეროსის პოემათა სიუჟეტი ვითარდება, ელჩობას საკმაოდ მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონდა, ხოლო ელჩების ფუნქციები და მათი მისია ელინურ საზოგადოებაში საკმაოდ დიფერენცირებული იყო. აქედან გამომდინარე, ამ მრავლისმომცველი საქმიანობის აღსანიშნავად ენაში შეიქმნა ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც ელჩობის ფენომენს უკავშირდება.

ძველ ბერძნულში გამოიყენებოდა სპეციალური ლექსიკური ფორმატივები იმ პირების მიმართ, რომელთა დანიშნულებაც ეს მისია იყო, აგრეთვე მათ მიმართაც, ვინც სიტუაციიდან გამომდინარე ასრულებდა შუამავლის ფუნქციას. საყურადღებოა, ეცვლებოდა თუ არა მის აღმნიშვნელ ტერმინს დატვირთვა ეპოქების მიხედვით, იძენდა თუ არა სხვა სემანტიკას, თუ პირიქით, შინაარსობრივად კარგავდა რაღაცას და სცილდებოდა თავის თავდაპირველ მნიშვნელობას. ჩვენ შევეცდებით განვსაზღვროთ, თუ რა ტერმინები გამოიყენებოდა ძველ ბერძნულ ენაში ამ ფენომენის აღსანიშნავად და რა ნიუანსური თავისებურებანი გააჩნდა მათ სხვადასხვა კონტექსტში; აგრეთვე საინტერესოა, ამა თუ იმ ფუძისაგან მიღებული რა კომპოზიტები და დერივატები დამკვიდრდა ენაში, რომლებიც დღესაც გამოიყენება თანამედროვე ბერძნულში. ეს კი, შეიძლება ითქვას, რომ იმ დიპლომატიური ენის საფუძველია, რომელსაც გამოიყენებენ დღეს არა მარტო ბერძნები, არამედ რიგ შემთხვევაში სხვა ევროპელი ხალხებიც, თუმცა ზოგჯერ მეტ-ნაკლებად შეცვლილი სემანტიკით.

ძველ ბერძნულ ენაში ელჩის აღმნიშვნელი ათამდე ტერმინი დასტურდება. მათი მნიშვნელობები ერთმანეთს უახლოვდება. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი სინონიმურიცაა, მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. რა თქმა უნდა, დღეს ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, თუ როგორი იყო თითოეული ლექსემის ზუსტი მნიშვნელობა ან როდის უნდა წარმოშობილიყო ესა თუ ის ტერმინი ენაში. მაგრამ ერთი რამ ცხადია, უკვე ჰომეროსთან ასეთი ლექსიკური ფორმატივების გამოყენების სიხშირე საკმაოდ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შედარებით გვიანდელ ავტორებთან იძენს ჩვენთვის საინტერესო სპეციფიკურ მნიშვნელობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერმინები მანამდეც გამოიყენებოდა ზოგჯერ ზეპირ მეტყველებაში. ჩვენ შევეცდებით, გავიაზროთ ტერმინთა ის თავდაპირველი მნიშვნელობები, რომლებიც გარკვეულწილად ელჩობის ფენომენს უკავშირდება და რომლებსაც ჰომეროსის ეპოსში ვხვდებით.

ძველ ბერძნულ ენაში ელჩის ფუნქციის აღმსრულებელ პირთა მიმათ შემდეგი ტერმინები გამოიყენება: ὁ ἄγγελος, ὁ ἄγγαρος, ὁ κῆρυξ, ὁ πρεσβευτής, ὁ ἀγγελιαφόρος, ὁ πεμφθείς, ὁ θεωρός, ὁ διάκτορος, ὁ ἀπόστολος, ὁ ἡμεροδρόμος. დროთა განმავლობაში მათი სემანტიკა ისეთ შინაარსობრივ ცვლილებებს განიცდიდა, რომლებიც შეიძლება დღეს უმნიშვნელოდაც კი მოგვეჩვენოს. ძნელია იმის განსაზღვრაც, თუ რა პრინციპით განასხვავებდნენ ძველი ბერძნები ელჩებს ერთმანეთისაგან. ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან ჰომეროსი ძირითადად ორს გამოიყენებს – ἄγγελος-სა და κῆρυξ-ს, ხოლო διάκτορος გაარსებითებული ზედსართავია, რაზეც ჰერმესის მიმართ გამოყენებული ფორმულა διάκτορος' Αργειφόντης მიგვითითებს. მართალია, ეს ეპითეტი ღმერთების შიკრიკის, ჰერმესის მიმართ გამოიყენება, მაგრამ როგორც ჩანს, მას აქვს გზის მკვლევის, გზის მაჩვენებლის მნიშვნელობა.[222] ასევე ჰომეროსთან დასტურდება უძველესი ფორმა πρέσβυς, რომლისგანაც πρεσβευτής მომდინარეობს და რომელსაც თავდაპირველი მნიშვნელობით ვხვდებით

[222] Kaegi 1999, 64.

პოემებში. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ელჩის აღმნიშვნელ სიტყვებს გამოყოფენ როგორც სინონიმურ ფორმებს, ფუნქციური თვალსაზრისით ამ ტერმინების საკმაოდ საინტერესო დიფერენციაციას გვთავაზობს პოეტი.

ἄγγελος. უძველესი დროიდან ბერძნულში გამოიყენება ტერმინი ἄγγελος, რაც „მაცნეს", „წარგზავნილს", „ელჩს" ნიშნავს. ჯერჯერობით დაუზუსტებელია დრო, როცა აღნიშნული სიტყვა გაჩნდა ენაში. უძველესი ბერძნულენოვანი წყაროები, სადაც იგი აქტიურად გამოიყენება „ილიადა" და „ოდისეაა". ჰომეროსისათვის კარგად ნაცნობ სიტყვას უკვე გავლილი ჰქონდა ევოლუციის გზის გარკვეული ნაწილი. ჩნდება კითხვა: ტერმინ ἄγγελος-ს პოეტი მისი თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენებს, თუ სემანტიკური თვალსაზრისით სახეშეცვლილი გვხვდება პოემებში. გასულ საუკუნეში მეცნიერები ამ ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ. ვ. ბენფს ამ ტერმინის წარმომავლობა სანსკრიტულ gri ძირამდე აჰყავდა. კუნი კი ფიქრობდა, რომ ეს კომპოზიტი gar-rio-დან წარმოიშვა და ლათინურ მარტივ სიტყვას – gallus-ს უკავშირებდა. ამავე აზრს იზიარებდა ლ. მეიერი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ძირი gar ჟღერს როგორც gal. განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა ნ. ჯეკელი. იგი ἄγγελος-ს ბერძნული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ეს ტერმინი უკავშირდება καλεῖν-ს, რაც „მოხმობას", „დაძახებას", „მოწოდებას" ნიშნავს. ზოგიერთი მკვლევარი კი ἄνωγα-სთან აიგივებდა და აქედან გამომდინარე ἄγω-მდე აჰყავდა ამ სიტყვის ეტიმოლოგია.[223] თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში ზემოხსენებულ მკვლევართა მოსაზრებები გაზიარებული არ არის. ასევე საყოველთაოდ უარყოფილია ამ ტერმინის დაახლოება სანსკრიტულ ანგირასთან.[224] მითიური არსების, ანგირასის სახელი ამყარებდა ამ თვალსაზრისს. ვედურ და ინდუსურ მითოლოგიაში ანგირასი

[223] Ebeling 1885, 9.

[224] Chantraine 1970, 8.

იყო შუამავალი ღმერთებსა და ადამიანებს შორის. თუმცა ეს ვერსიაც არაზუსტადაა დღესდღეობით მიჩნეული.

მიკენურში დადასტურებულია akero, თუმცა akera²ie არ არის უეჭველად ἀγγείλαντες.[225]

ჰ. ფრისკი, პ. შანტრენი და რ. ბეეკესი ვარაუდობდნენ, რომ სიტყვა ἄγγελος შესაძლოა შემოსული იყოს აღმოსავლეთიდან და გუთავაზობდნენ თავიანთ ვერსიას.[226] მის წარმომავლობას ისინი ტერმინ ἄγγαρος-თან აახლოებდნენ. ფიქრობდნენ, რომ ნასესხებია ერთ-ერთი აღმოსავლური ენიდან, კერძოდ, ირანულიდან, რაც დამაჯერებლად მიაჩნია დღესაც მეცნიერთა უმრავლესობას. თუმცა ზუსტი ნიმუში, რომელი სიტყვიდანაა წარმომდგარი, უცნობია.[227] მათ ამ ტერმინში წინაბერძნულისათვის დამახასიათებელი ბგერითი ვარიაციები ვერ დაინახეს. ფრისკი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ἄγγαρος, უპირველეს ყოვლისა, მომდინარეობს სპარსული წყაროდან, ან უკიდურეს შემთხვევაში იგი ბაბილონური წარმომავლობისაა. მას ეს ტერმინი აჰყავდა agru-მდე, რაც „შუამავალს" ნიშნავს. სიტყვა ἄγγαρος-ს ცხენზე ამხედრებული მაცნის მნიშვნელობა ჰქონდა, რომელსაც სამეფო გზავნილების ტარება ევალებოდა სპარსეთში (ჰეროდოტოსი, „ისტორია", 3, 126). ძვ. წ. V საუკუნიდან ბერძნულ ლიტერატურაში უკვე გვხვდება აღნიშნული ტერმინი და მისგან ნაწარმოები კომპოზიტები და დერივატები, თუმცა ჰომეროსთან ἄγγαρος-ი არ დასტურდება. ამ სიტყვის იონიური ფორმაა ἀγγαρήιος. მისგან ნაწარმოები სუბსტანტივის – ἀγγαρήιον-ის განმარტებას ჰეროდოტოსი გვაწვდის: „... τοῦτο τὸ δράμημα τῶν ἵππων καλέουσι Πέρσαι ἀγγαρήιον – ამ ცხენოსან მალემსრბოლთა შეტყობინებას სპარსელები უწოდებენ „ანგარეიონს" (ჰეროდოტოსი, „ისტორია", 8, 98). მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პერიოდისთვის გამოკვეთილია მათი ფუნქცია, თუმცა მოგვიანებით ამ სიტყვამ სხვა დატვირთვა შეიძინა და „საფოსტო საქმის" მნიშვნელობით დამკვიდრდა ბერძნულ ენაში. დერი-

[225] Boisacq 1916, 6.

[226] Frisk 1960, 8; Beekes 2010, 9.

[227] Boisacq 1916, 6.

ვატი ἡ ἀγγαρεία ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება და საზოგადოებრივი სამსახურისთვის იძულებას აღნიშნავს, ხოლო ვინც ამ სამსახურშია, მას ἀγγαρευτής-ს უწოდებენ. ამ ტერმინს ჰესიქიოსი განმარტავს თავის ლექსიკონში, თუმცა არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი მანამდე არ გამოიყენებოდა ზეპირ მეტყველებაში. ნასახელარი ზმნა ἀγγαρεύω „იძულებით შიკრიკად ყოფნას", „იძულებით მსახურებას" ნიშნავს. მას აგრეთვე პასიური ფორმა გააჩნია. ἐν- წინდებულის დართვით მიღებულია ზმნა ἐγγαρεύω, რომელიც ქრისტიანულ ეპოქამდეც დასტურდება.

ამდენად, მეცნიერებაში ჯერჯერობით დაუზუსტებელია ტერმინ ἄγγελος-ის ეტიმოლოგია. გამოთქმულ მოსაზრებათაგან უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ვერსია ამ ძირის აღმოსავლურიდან ნასესხობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, იგი უკავშირდება ტერმინ ἄγγαρος-ს. ჰეროდოტოსის ცნობით, სპარსელი მაცნეები ყველაზე სწრაფი მალემსრბოლნი იყვნენ მოკვდავთა შორის.

ტერმინი ἄγγελος-ი ჰომეროსთან გამოყენებულია 34-ჯერ. პოეტი ამ ტერმინში მოიაზრებს როგორც მაცნე ღვთაებებს, ასევე ჩვეულებრივ მოკვდავებსაც. საინტერესოა იმის გარკვევა, თუ ვინ ითვლება ამ ფუნქციის რეგულარულ შემსრულებლებად. „ილიადაში" ღვთაებათაგან ყველაზე ხშირად ირისი მოიაზრება ანგელოსად, „ოდისეასა" და ჰიმნებში კი მაცნის მისიას ჰერმესი აღასრულებს. თუმცა ამ ტერმინით შესაძლოა მოხსენიებულნი იყვნენ აგრეთვე სხვა ღმერთებიც. რაც შეეხება მოკვდავებს, ჩვეულებრივ, „ანგელოსით" სპეციალური მაცნეები აღინიშნებიან, რითაც მათი მისიის გარკვეული კავშირი გადმოიცემა ღვთაებრივთან.

სთხოვე [ზევსს] ჩიტი, სწრაფი მაცნე, რომელიც მისთვის
ყველაზე საყვარელია ფრთოსანთა შორის...
ილ. XXIV, 292.

თუკი არ მოგვივლენს შორსმოქუხარი ზევსი თავის მაცნეს...
ილ. XXIV, 296.

გამოგზავნე ჩიტი, სწრაფი მაცნე, რომელიც შენთვისაც და
მისთვისაც

[აქილევსისთვის] ყველაზე საყვარელია ფრთოსანთა შორის...[228]
ილ. XXIV, 310.

გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესი ღმერთის მაცნეები მხოლოდ ღვთაებრივი წარმომავლობისანი არიან და შუამავლის მისიის შესრულება მხოლოდ მათ ძალუძთ, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ სტრიქონებში უკვდავი მაცნე მოიაზრება. თუმცა შესაძლებელია გამოვყოთ სამი შემთხვევა, როცა ტერმინ ἄγγελος-ით აღინიშნება ზოგადად ამბის შემტყობინებელი, რომელსაც რეალურად ეს მისია არ შეუსრულებია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ეტვირთა უწყების ფუნქცია. ის ფაქტი, რომ მაცნის ვინაობა არაა დასახელებული, ერთგვარ გაურკვევლობას ქმნის იმის დასადგენად – მაცნე ღვთაებრივი წარმოშობისაა თუ ადამიანური.

ხომ არ გავგზავნოთ მაცნე [პენელოპესთან].
ოდ. XXIV, 405.

უკვე აღარ მგონია, რომ მაცნე დაბრუნდება [აქაველთაგან].
ილ. XII, 73.

მაგრამ არ მისულა ერთგული მაცნე მასთან [ანდრომაქესთან].[229]
ილ. XXII, 438.

წარმოდგენილი კონტექსტებიდან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, თუ ვინ მოიაზრება ამ სტრიქონებში. შესაძლებელია, თავდაპირველად ἄγγελος-ი მხოლოდ უკვდავთა სამყაროს უკავშირდებოდა, მაგრამ ჰომეროსთან ამ სიტყვით მოკვდავის სახელდებაც ხდება, თუ ის შუამავლის მისიას შეასრულებს. მართალია, პოეტი ἄγγελος-ს მოკვდავთა დონეზეც მოიაზრებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მასში ღვთაებრივი ნების განხორ-

---

[228] αἶτει δ' οἰωνόν, ταχὺν ἄγγελον, ὅς τε οἱ αὐτῳ
φίλτατος οἰωνῶν...
εἰ δέ τοι οὐ δώδει ἑὸν ἄγγελον εὐρύοπα Ζεύς...
πέμψον δ' οἰωνον, ταχὺν ἄγγελον, ὅς τε σοὶ αὐτῳ
φίλτατος οἰωνῶν...

[229] ... ἢ ἄγγελον ὀτρύνωμεν...
οὐκέτ' ὀΐω οὐδ' ἄγγελον ἀπονέεσθαι.
... οὐ γάρ οἱ τις ἐτήτυμος ἄγγελος ἐλθὼν.

ციელების მნიშვნელობას უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან პოემებში ზევსის ნება უზენაესია და მას ვერავინ შეეწინააღმდეგება. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის ეპოსში აგრეთვე მოიხსენიება უბრალოდ ზევსის მაცნე (Διὸς ἄγγελος) ყოველგვარი იდენტიფიკაციის გარეშე (*ილ.* II, 94), რომლის გააზრებასთან დაკავშირებითაც მეცნიერებაში არ არის აზრთა ერთიანობა.[230]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაცნე-ἄγγελος რეალურად თავის მოვალეობას 28-ჯერ აღასრულებს. ყველაზე ხშირად ამ ტერმინის გამოყენება ირისის მისიასთან არის დაკავშირებული. „ილიადაში" 7-ჯერ (II, 786; III, 121; XV, 207; XVIII, 167, 182; XXIV, 169, 173) მოიხსენიება ე. წ. „ფუნქციონერი ელჩი" ἄγγελος-ით, თუმცა საინტერესოა, რომ ეს ქალღმერთი საერთოდ აღარ მონაწილეობს „ოდისეაში" და შესაბამისად, არც ამ ტერმინით სახელდება. ირისი თავად აღნიშნავს, რომ იგი ზევსის მაცნეა.

...ზევსის მაცნე ვარ.[231]
ილ. XVIII, 173.

ზევსის კიდევ ერთი მაცნე, ჰერმესი სარგებლობს „ანგელოსის" ფუნქციის პრეროგატივით.

[ჰერმეს] შენ, ხომ მაცნე ხარ.[232]
ოდ. V, 29.

დანარჩენ შემთხვევებში ის ღმერთები იწოდებიან ἄγγελός-ით, რომლებიც სიტუაციიდან გამომდინარე იღებენ საკუთარ თავზე შუამავლის ან ინფორმაციის გადამცემის მისიას. მხოლოდ 5-ჯერ აღინიშნება იგი მოკვდავი მაცნის მიმართ (*ილ.* V, 804; X, 286; XI, 652; XVIII, 2; *ოდ.* XVI, 138).[233] გარდა ამისა, ჰომეროსი 2-ჯერ არ გვისახელებს იმ პირთა ვინაობას, რომლებმაც მაცნის ფუნქცია აღასრულეს. მათ ზოგადად ἄγγελός-ით მოიხსენიებს. თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე შესაძ-

---

[230] Homers Ilias 2002, 36.

[231] ... Διὸς δέ τοι ἄγγελος εἶμι.

[232] Σὺ - αὐτε τά τ᾽ ἄλλά περ ἄγγελός ἐσσι.

[233] მათ შესახებ მსჯელობა მომდევნო თავში გვექნება.

ლებელია ამ ტერმინში მოკვდავი მაცნე იგულისხმებოდეს (*ოდ.* XV, 458; XVI, 468). ჰომეროსი მეფის რჩეულ შიკრიკებს – ტალთიბიოსსა და ევრიბატესს (*ილ.* I, 334), ტალთიბიოსსა და იდაიოსს (*ილ.* VII, 274) და ევრიბატესსა და ოდიოსს (*ილ.* IX, 170) „ღმერთთა და კაცთა მაცნეებს" (Διὸς ἄγγελοι ἠδὲ καὶ ἀνδρῶν) უწოდებს. ამ მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ἄγγελος-ი, უმეტესწილად, ჰომეროსთან უკვდავი მაცნეების აღსანიშნავად გამოიყენება, თუმცა პოემებში გვხვდება ამ ტერმინით მოხსენიებული მოკვდავი წარგზავნილებიც. ისინი ყოველთვის მეფის ან უზენაესი ღმერთის ნებით მოქმედებენ. ერთი და იმავე ტერმინით მათი სახელდება კი ამ პერსონაჟების ხელშეუხებლობასა და ზევსის მფარველობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.[234]

ყურადღებას იქცევს ელჩობა, როგორც ერთგვარი მისია, რომელიც ჯერ კიდევ ჰომეროსის პოემებში დასტურდება და გამოიხატება ტერმინ ἀγγελίης-სა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ერთად, რაც ელჩის რანგში წასვლას ნიშნავს.[235] „ილიადაში" ხუთჯერ (III, 206, IV, 384, XI, 140, XIII, 252, XV, 640) გვხვდება აღნიშნული ტერმინი ამ მნიშვნელობით.[236]

როცა აქ ღვთაებრივი ოდისევსი მოვიდა
შენ გამო ელჩად მამაც მენელაოსთან ერთად.
ილ. III, 206.

იქ კიდევ ელჩად გაგზავნეს აქაველებმა ტიდევსი.
ილ. IV, 384.

ელჩად მოვიდა ღვთისსადარ ოდისევსთან ერთად.
ილ. XI, 140.

თუ ელჩად მეწვიე? [ეკითხება მერიონესს იდომენევსი].
ილ. XIII, 252.

---

[234] ზევსის ერთ-ერთი ეპითეტი ξένιος („სტუმართმასპინძლობის მცველი") ჰომეროსთანაც გვხვდება. ბუნებრივია, სტუმართა შორის ელჩი განსაკუთრებული ხელშეუხებლობით სარგებლობდა.

[235] Liddell, Scott 1949; Passow 1841, 11.

[236] Gehring 1970, 4.

ელჩად ნავიდა [პერიფეტესი] ძლევამოსილ ჰერაკლესთან.[237]
ილ. XV, 640.

საინტერესოა, რომ ჰომეროსთან ელჩობა, როგორც მოვალეობა უკვე გამოკვეთილია. აქ შინაარსობრივად მოიაზრებიან არა როგორც ამბის შემტყობინებელი მაცნეები, არამედ ელჩის რანგში მყოფი წარჩინებული პირები, რომლებიც სპეციალური დავალებით არიან წარგზავნილნი გარკვეული მისიის შესასრულებლად. ისინი ყოველთვის მოკვდავნი არიან და შესაბამისად, ელჩობა მოკვდავთა დონეზე აღესრულება. ἄγγελος-ი და ἀγγελίης ἐλθεῖν – ჰომეროსთან უკვე გამიჯნულია გარკვეული ნიშნის მიხედვით. ეს ორი ტერმინი სემანტიკური თვალსაზრისით ნიუანსურ სხვაობებს წარმოაჩენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინ ἄγγελος-ით, უმეტესწილად, ღმერთის უკვდავი მაცნეები იწოდებიან, ხოლო ἀγγελίης „ილიადაში“ ყოველთვის მოკვდავის ელჩობას გულისხმობს.[238] ვ. კრაუზეს „ჰომეროსის ლექსიკონში“ ἀγγελίην στεῖλαν თარგმნილია „ელჩად შეარჩიეს“.[239] ელჩობა, რომლის შინაარსს ἀγγελίης ἐλθεῖν (ელჩად წასვლა ანუ ელჩობა) გამოხატავს, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბერძენთა პრაქტიკაში უკვე დიდი ხნით ადრე არსებობდა ეს მოვალეობა. ხოლო ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, თუ მიკენურში არა, რომლის აღდგენასაც ცდილობს ჰომეროსი, გეომეტრიულ ეპოქაში ისინი (ἄγγελος და ἀγγελίης ἐλθεῖν) გარკვეულწილად გამიჯნული იყო.

---

[237] ἤδη γὰρ καὶ δεῦρό ποτ' ἦλυθε δῖος Ὀδυσσεὺς
σεῦς ἕνεκ' ἀγγελίης σὺν ἀρηϊφίλῳ Μενελάῳ·
ἔνθ' αὖτ' ἀγγελίην ἐπὶ Τυδῆς στεῖλαν Ἀχαιοί.
ἀγγελίην ἐλθόντα σὺν ἀντιθέῳ Ὀδυσῆϊ.
ἦέ τευ ἀγγελίης μετ' ἔμ' ἦλυθες;
ἀγγελίης οἴχνεσκε βίῃ Ἡρακληείῃ.

[238] Liddell, Scott 1996, 7; Passow 1841, 11

[239] Крауэе 1896, 408.

ელჩად წასვლა თუ ელჩობა გამოიყენება აგრეთვე ἐξεσίη-სთან. ჰომეროსთან მხოლოდ 2-ჯერ გვხვდება ამ კომბინაციით – ἐξεσίην ἐλθόντι.[240]

თრაკიელთაგან საჩუქრად მიიღო
ელჩობისათვის დიდი ქონება.[241]
ილ. XXIV, 234-35.

მორფოლოგიურად ἄγγελος მამრობითი სქესის სიტყვაა, მაგრამ პოემებში იგი იხმარება როგორც მდედრი, ასევე მამრი მაცნეების მიმართ. ჰომეროსი თუ ირისს ἄγγελος-ს უწოდებს, ჰესიოდე უკვე მის აღსანიშნად ἀγγελίης გამოიყენებს.

ზოგჯერ თევმასის ასული, ფეხმარდი ირისი
მაცნედ ჩნდებოდა ზღვის ფართო ზედაპირზე.[242]
ჰესიოდე, „თეოგონია", 781.

აქ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ἀγγελίης არის Hapax legomenon ანუ ჰესიოდეს ნოვაცია, რადგან ეს ტერმინი „ილიადაშიც" გვხვდება. რა მნიშვნელობაც ენიჭება ჰომეროსთან ἀγγελίης-ს მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნასთან, დასაშვებია, ამ შემთვევაშიც იმავეს – მაცნედ წასვლას გულისხმობდეს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ამის შემდეგ სხვა წყაროებში ეს ტერმინი აღარ დასტურდება. პ. შანტრენი ფიქრობდა, რომ სწორედ აქედან იყო წარმომდგარი ἄγγελος-ის მდედრობითი სქესის ფორმა ἀγγελίη, რაც ნიშნავს „მაცნე ქალს".[243] მითოლოგიაში ანგელია პერსონიფიცირებულია. იგი ჰერმესის ქალიშვილია.[244] ბერძნულენოვან წყაროებში უფრო გვიან ორივე სქესის ფორმა გვხვდება – ἄγγελος და ἀγγελίη, თუმცა ენაში არტიკლების მეშვეობითაც ხდება სქესის განსხვავება – ἄγγελος და-

---

[240] Liddell, Scott 1996, 592.

[241] ὃ οἱ Θρῆκες πόρον ἄνδρες
ἐξεσίην ἐλθόντι, μεγα κτέρας.

[242] παῖρα δὲ Θεύμαντος θυγάτηρ πόδας ὠκέα Ἶρις
ἀγγελίην πωλεῖται ἐπ' εὐρέα νῶτα θαλάσσης.

[243] Chantraine 1970, 8.

[244] Roscher 1884-1937, 348.

ირთავს მდედრობითის არტიკლს ἡ. ამდენად, ეს ტერმინი ამბიგენდერულია, რომელშიც სქესი არ არის დიფერენცირებული. იგი თავის თავში მამრობითსაც და მდედრობითსაც მოიაზრებს.[245] ჰომეროსთან არ ხდება ამ ტერმინის გამიჯვნა სქესის მიხედვით. თუმცა დროთა განმავლობაში ბერძნულ ენაში ფორმალურად იცვლებოდა მისი გამოხატვის ხერხები.

ტერმინი ἄγγελος-იდან ბევრი ლექსიკური ფორმატივი წარმოიშვა, რომლებიც ელჩობის ფენომენთანაა დაკავშირებული. ამ სიტყვის ფუძე ანარმოებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფორმატივსაც. ძველ ბერძნულ ენაში ხშირად გამოიყენება ამ ტერმინის ფუძისაგან მიღებული კომპოზიტები და დერივატები. ზოგიერთი მათგანი დასტურდება მხოლოდ ძველ ბერძნულ წყაროებში, ზოგი ბიზანტიურ ეპოქაში გვხვდება, ბევრი მათგანი კი თანამედროვე ბერძნულმაც შეითვისა.

ტერმინ ἄγγελος-დან შემდეგი კომპოზიტებია ნაწარმოები: ἀνάγγελος („მაცნე"), αὐτάγγελος („მაცნე"), διάγγελος („ამბის გადამცემი"), εἰσαγγελεύς („ამბის მიმტანი"), ἐξάγγελος („ამბის განმცხადებელი", „მაცნე"), εὐάγγελος („მახარობელი"), κακάγγελος („ცუდი ამბის მაცნე"), μετάγγελος („მაცნე"), προάγγελος („შემტყობინებელი"), ὑπάγγελος („მაცნის მიერ მოწვეული"), ψευδάγγελος („ცრუ ამბის მაცნე"). მათგან მხოლოდ სამი კომპოზიტი დასტურდება ჰომეროსის პოემებში: μετάγγελος, ψευδάγγελος, εὐαγγέλιον.

კომპოზიტი μετάγγελος ყოველთვის ირისის მიმართ გამოიყენება.[246] მიუხედავად იმისა, რომ ἄγγελος ძირს ემატება წინდებული μετά. შედგენილი სახელი არ იცვლის მნიშვნელობას. „ილიადაში" ორჯერ მოიხსენიება ირისი ამ ტერმინით.

ირისი, რომელიც იყო უკვდავი ღმერთებისათვის მაცნე.
ილ. XV, 144.

[245] Boisacq 1916, 6.

[246] Ebeling 1885. 1076.

როცა მოესმა მისი ლოცვა, მაცნე გაიჭრა ქარივით.[247]
ილ. XXIII, 199.

როცა პოეტი გამოიყენებს μετάγγελος-ს და სურს იგი ამბის გადამცემის ფუნქციით წარმოაჩინოს, ზმნა ἐλθεῖν-ს წინდებული μετά-ს გარეშე გვთავაზობს, ანუ μετελθεῖν-ის ნაცვლად მხოლოდ ἐλθεῖν-ს ტოვებს. თმესისის აზრით, ἄγγελος-ს, რომელსაც μετά წინდებული დაერთვის აუცილებლად დატივუსში მდგომი სახელი მოსდევს. ზოგადად წინდებულ μετά-ს დატივუსთან მხოლოდ პოეზიაში, უმეტესწილად, ეპოსში ვხვდებით „შორის", „შუას" მნიშვნელობით.[248] ძირითადად გამოიყენება რაღაცის გადაცემის, გადატანის აღსანიშნავად. „ილიადაში" ორივე შემთხვევაში აღნიშნულ კომპოზიტთან დატივუსის ბრუნვაა გამოყენებული: (μετάγγελος ἦλθ' ἀνέμοισιν (XXIII, 199), ἥ τε θεοῖσι μετάγγελος ἀθανάτοισι (XV, 144). ვოლფი კი ასე შლიდა ამ სტრიქონებს: θεοῖσι μετ' ἄγγελος ἀθανάτοισι და მიაჩნდა, რომ μετά წინდებული ეკუთვნის θεοῖσι-ს.[249] შესაძლებელია, მის მოსაზრებას ისიც ამყარებდა, რომ μετάγγελος-ი, ჰომეროსის გარდა, სხვა წერილობით წყაროებში აღარ დასტურდება. ჩვენი აზრით, აღნიშნული კომპოზიტი μετά წინდებულისა და ტერმინ ἄγγελος-ის შერწყმის შედეგადაა მიღებული, რომელიც ამბის გადამცემი, ინფორმაციის გადამტანი მაცნის აღსანიშნად გამოიყენება. ამიტომ ამ შემთხვევაში ვოლფის მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით.

შედგენილი სახელი ψευδάγγελος-ი ნიშნავს „ცრუ მაცნეს". „ილიადაში" მხოლოდ ერთხელ გამოიყენებს პოეტი ამ ტერმინს.

გასწიე, სნრაფო ირისო, მბრძანებელ პოსეიდონთან
და ამცნე ყოველი, ნუ იქნები ცრუ მაცნე.[250]
ილ. XV, 158-59.

---

[247] Ἶρίν θ'. ἥ τε θεοῖσι μετάγγελος ἀθανάτοισι
ἀράων ἀΐουσα μετάγγελος ἦλθ' ἀνέμοισιν.

[248] Liddell. Scott 1996, 1109.

[249] Passow 1841, 11.

[250] βάσκ' ἴθι, Ἶρι ταχεῖα. Ποσειδάωνι ἄνακτι
πάντα τάδ' ἀγγεῖλαι. μηδὲ ψευδάγγελος εἶναι.

ჰომეროსი ამ კომპოზიტს ეპითეტის სახით არ გვთავაზობს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პოეტს სურს ხაზი გაუსვას ზოგადად ცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი მაცნის არსებობასაც იმდროისათვის. ტერმინ ψευδάγγελος-ს ხშირად ვხვდებით არისტოფანეს კომედიებში. ქსენოფონი „ცრუ ამბავს" ტერმინ ψευδαγγελία-თი გადმოგვცემს. გვიანდელ ავტორებთან ნასახელარი ზმნა, ψευδαγγελέω „ცრუ მაცნედ, ან ცრუ ანგელოზად ყოფნას" აღნიშნავს, თუმცა პოემებში ამ კომპოზიტის ზმნური ფორმა არ დასტურდება.

„ოდისეაში" გამოყენებულია დერივაციული კომპოზიტი εὐαγγέλιον (*ოდ.* XIV, 152), რომელიც ნიშნავს მაცნისათვის გაღებულ სამადლობელო ძღვენს სასიხარულო ამბის ცნობისათვის. ევმაიოსს არწმუნებდა ძონძებში გადაცმული ოდისევსი, რომ მისი ბატონი ითაკაში აუცილებლად დაბრუნდებოდა და მაშინ, როგორც მახარობელი სამადლობელო ძღვენს მიიღებდა მწყემსისაგან.

> თუმცა მე უკვე ყველაფრის გარეშე გეტყვი, ფიცით,
> რომ დაბრუნდება ოდისევსი; სამახარობლო ჩემთვის იყოს
> მაშინვე, როცა იგი დაბრუნებული სახლში ჩამოაღწევს.[251]
> *ოდ.* XIV, 151-53.

ატიკურ დიალექტში ეს ტერმინი ყოველთვის მრავლობით რიცხვში გამოიყენება[252] – εὐαγγέλια, რომელმაც თანდათანობით თავდაპირველი მნიშვნელობა შეიცვალა და ენაში დამკვიდრდა „კარგი ამბის", „სასიხარულო ცნობის" გაგებით. უფრო გვიან, ქრისტიანულ მწერლობაში აღნიშნული კომპოზიტი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ქრისტიანული წმინდა წიგნები (ოთხთავი, მოციქულთა საქმეები, ეპისტოლეები და გამოცხადება ანუ აპოკალიფსისი) იწოდება Εὐαγγελία-დ ანუ სახარებად. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინის ძველი ქართული თარგმანი ზუსტად მოიცავს მის შინაარსს. სულხან-საბა ორბელიანი

---

[251] ἀλλ᾽ ἐγώ οὐκ αὔτως μυθήσομαι, ἀλλὰ σὴν ὄρκῳ.
ὡς νεῖται Ὀδυσεύς· εὐαγγελιον δέ μοι ἔστω
αὐτίκ᾽, ἐπεί κεν κεῖνος ἰὼν τὰ ᾱ δώμαθ᾽ ἵκηται·

[252] Liddell, Scott 1996, 705.

ხარებას, რომლისგანაც სიტყვა სახარება მომდინარეობს, ასე განმარტავს: „სასიხარულოს თქმა“.[253] მნიშვნელოვანია, რომ ჰომეროსი ამ კომპოზიტს თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენებს. ამას ემატება ისიც, რომ εὐαγγέλιον-დან ნაწარმოები დერივატები პოემებში არ დაიძებნება, რომელთა დამკვიდრებაც ბერძნულში მოგვიანებით მოხდა. აღნიშნული შედგენილი სახელიდან მომდინარეობს არსებითი სახელები: εὐάγγελος, εὐαγγελιστής, რაც „კარგი ამბის მაცნეს“, „კეთილი ცნობის მაუწყებელს“, „მახარობელს“ ნიშნავს. გვიანდელ ტექსტებში გეხვდება ნასახელარი ზმნები – εὐαγγελέω, εὐαγγελίζομαι – „კეთილი ამბის უწყების“, „სასიხარულო ცნობის გამოცხადების“ მნიშვნელობით. ბიზანტიურ ხანაში εὐαγγελ- ფუძიანი სიტყვების გამოყენების საზღვრები საკმაოდ გაფართოვდა.

რაც შეეხება ტერმინ ἄγγελος-ის დერივატს ἀγγελία-ს, ეპ.-იონ. ἀγγελίη ნიშნავს „ცნობას“, „ამბავს“, „შეტყობინებას“. პოეტი 32-ჯერ გამოიყენებს მას პოემებში.

მაცნე [ირისი] მოვიდა სამწუხარო ცნობით.[254]

ილ. II, 787.

აღნიშნული დერივატი მხოლოდ ღვთაების უწყებას არ გულისხმობს. ადამიანთა მიერ გაცხადებული ინფორმაციაც პოემებში ἀγγελίη-დ გადმოიცემა. ამ შემთხვევაში უკვდავთა და მოკვდავთა შეტყობინება ტერმინებით არ იმიჯნება. სავარაუდოდ, ამ სიტყვას გარკვეულწილად გავლილი უნდა ჰქონოდა განვითარების ეტაპები გეომეტრიულ ეპოქამდე. შესაძლებელია, თავდაპირველად ის მხოლოდ ღმერთის უწყებას აღნიშნავდა, რადგანაც ტერმინ ἄγγελος-ის – „ღვთაებრივი მაცნის“ დერივატი იყო. თუმცა დროთა განმავლობაში ზოგადად ახალი ამბის, შეტყობინების მნიშვნელობით დამკვიდრდა ენაში.

უთხრა [ანტილოქოსმა] საშინელი ამბავი [აქილევსს].[255]

ილ. XVIII, 17.

---

[253] სულხან-საბა ორბელიანი 1993, 417.

[254] ἄγγελος ἦλθε σὺν ἀγγελίῃ ἀλεγεινῇ.

[255] ...φάτο δ' ἀγγελίην ἀλεγεινήν.

ტერმინ ἀγγελίη-ს ჰომეროსთან აქვს ასევე ისეთი ამბის მნიშვნელობაც, რომელსაც არა მარტო გადასცემ, არამედ ანდობ კიდეც. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ცნობას დანაბარების დატვირთვა და განსაკუთრებული ინფორმაციის მნიშვნელობა ენიჭება.

წადით და გადაეცით დანაბარები...[256]

ილ. IX, 649.

„ოდისეაში" ἀγγελίη-ს „მინიშნების", „დავალების", „მითითების" მნიშვნელობითაც ვხვდებით.

მაშინ როცა მოისმინა ზევსის დავალებანი.[257]

ოდ. V, 150.

ჰომეროსის ჰიმნებში ἀγγελίαι Διός – ღმერთის მინიშნებას აღნიშნავს, რასაც შემდგომ პინდაროსი იმეორებს.

როცა ის [ჰერაკლე] მოემზადა
ევრისთევსის მინიშნებებითა და მამის განგებით.[258]

ოლიმპ. III, 28.[259]

ძველ ბერძნულ ენაში „შეტყობინების", „ახალი ამბის" შინაარსით კიდევ ერთი ტერმინი – ἄγγελμα – გამოიყენება, თუმცა ჰომეროსის ეპოსში იგი არ დასტურდება. სიტყვა ἄγγελμα თავდაპირველად ევრიპიდესთან („ორესტეა", 876) გვხვდება. იგი ახალ ბერძნულ ენაშიც გადავიდა და თავისი ძირითადი მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ἀγγελία-დან წარმოიშვა კომპოზიტი ἀγγελιαφόρος და დერივატი ἀγγελιώτης. ἀγγελιαφόρος, იონ. ἀγγελιηφ-, ον ნიშნავს „მაცნეს", „ინფორმაციის მიმწოდებელს". იგი იყო აგრეთვე მომხსენებელი და მდივანი სპარსეთის მეფის კარზე.[260] კომპო-

---

[256] ἀλλ᾽ ὑμεῖς ἔρχεσθε καὶ ἀγγελίην ἀπόφασθε·

[257] ἐπεὶ δὴ Ζηνὸς ἐπέκλυεν ἀγγελιάων.

[258] εὖτέ νιν ἀγγελίαις
Εὐρυσθέος ἔιτυ᾽ ἀνάγκα πατρόθεν.

[259] შდრ. *ოდ.* V, 150; VII, 263.

[260] Ebeling 1885, 8; Δημητράκος 1964, 20.

ზიტი ἀγγελιαφόρος ჰომეროსის პოემებში არ გვხვდება. პირველად დასტურდება ჰეროდოტოსთან („ისტორია", I, 120; IV, 71). ზმნური ფორმა ἀγγελιαφορέω შედარებით გვიანდელია, რომელსაც „ცნობის ან ამბის გადატანის" მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული კომპოზიტი თანამედროვე ბერძნულშიც იმავე შინაარსის მატარებელია.

დერივატი ἀγγελιώτης. -ωσις პოეტური ფორმაა და იშვიათად იხმარება ბერძნულენოვან ლიტერატურაში. მას ჰომეროსის ერთ-ერთ ჰიმნში ვხვდებით ერთხელ და ისიც გამოიყენება ჰერმესის მიმართ.[261]

ტერმინ ἄγγελος-დან ნაწარმოები ზედსართავი სახელი ἀγγελικός – „ანგელოზური" ქრისტიანულ მწერლობამდე არ დასტურდება.

ტერმინ ἄγγελος-ის ფუძე ზმნურ ფორმატივსაც აწარმოებს. ἀγγέλλω (< -ǰω) არსებითი სახელისგან ნაწარმოები, იოტიზაციით მიღებული ზმნაა, რომელიც ნიშნავს „ვამცნობ", „ვაცხადებ", „ვატყობინებ".[262] მას 27-ჯერ გამოიყენებს ჰომეროსი. აღნიშნული ნასახელარი ზმნით როგორც უკვდავთა, ასევე მოკვდავთა მიერ ამბის შეტყობინება გადმოიცემა.

ნამოიჭრა ქარივით სწრაფფეხება ირისი, რათა ემცნო.[263]
ილ. VIII, 409; XXIV, 77, 159.

გაგზავნეს მაცნე, რომელიც ქალს ამცნობდა.[264]
ოდ. XV, 458.

პასიური ფორმა ἀγγέλην თავდაპირველად ბერძნულ წარწერებში დასტურდება,[265] მაგრამ ნორმად უკვე ელინისტურ ბერძნულში დამკვიდრდა.[266] ახალ ბერძნულ ენაში აღნიშნული ზმნა იმავე მნიშვნელობით დარჩა, თუმცა უფრო ხშირად ამ შინაარ-

---

[261] Ebeling 1885, 8; ჰომეროსის „ჰიმნები", 296.

[262] გორდეზიანი, დარჩია, შამანიდი 2001, 203.

[263] ὦρτο δὲ Ἶρις ἀελλόπος ἀγγελέουσα.

[264] ἄγγελον ἦκαν ὃς ἀγγείλειε γυναικί.

[265] Koehler 1895 = Corpus Inscriptionum Atticarum.

[266] Liddell, Scott 1996, 7.

სის დატვირთვით ვხვდებით ἀναγγέλλω-ს, რაც ოფიციალური ინფორმაციის შეტყობინებას, ამბის უწყებას აღნიშნავს.

მოქმედებითი გვარის აორისტი ἤγγελον უფრო გვიან იშვიათად გამოიყენება ბერძნულენოვან ლიტერატურაში. მის ნაცვლად παραγγέλλω-ს აორისტის ფორმა იხმარება. ზოგჯერ გვხვდება ἀγγελέτην ფორმა საზომის გამო.[267]

ἀγγέλλω ხშირად დაირთავს წინდებულებს: ἀπ-, ἀν-, ἀντι-, δια-, εἰσ-, ἐξ-, ἐπ-, κατ-, παρα-, περι-, προ-, προσ-, ორმაგი წინდებულების (προαπ-, προεξ-, προεπ-, προκατ-, προπαρ-, προσαπ-, συμπαρ-...) დართვა განსაკუთრებით გვიანი ბერძნულისთვისაა დამახასიათებელი.[268] მათგან ჰომეროსთან დასტურდება ἀπ-, ἐξ- და ἐπ- წინდებულიანი ზმნები. ἀπαγγέλλω-ს გამოყენება ატიკურში უფრო ხშირია. იგი უპირატესად ორატორებთან გავრცელებული ფორმაა.[269] ჰომეროსთან აღნიშნული წინდებულიანი ზმნა 7-ჯერ (*ილ.* IX, 626; XVII, 640; *ოდ.* IX, 95; XV, 210; XVI, 133,153, 459) დასტურდება.

... სასწრაფოდ უნდა გადავცეთ
ეს ამბავი დანაელებს, მაგრამ არა სასიკეთო.[270]
ილ. IX, 626-27.

ἀπ- წინდებულის დართვით შინაარსობრივად ხდება ნიუანსური ცვლილება და ზმნა ἀπαγγέλλω-ს ერთი ადგილიდან მეორეზე ინფორმაციის გადატანის, ვინმესთვის ამბის გადაცემის მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე ბერძნულში ეს ზმნა „ლიტერატურული ტექსტის გამოთქმით წაკითხვას", „დეკლამირებას" აღნიშნავს.

ἐξαγγέλλω ნიშნავს „საიდუმლოს გაცემას", „ინფორმაციის გათქმას", „ამბის გამოტანას". იგი მხოლოდ ერთხელ გვხვდება „ილიადაში".

---

[267] Liddell, Scott 1996, 7.

[268] Boisacq 1916, 6.

[269] Liddell, Scott 1996, 7.

[270] ... ἀπαγγεῖλαι δὲ τάχιστα
χρὴ μῦθον Δαναοῖσι καὶ οὐκ ἀγαθόν περ ἐόντα.

დედინაცვალს, მშვენიერ ერიბოიას,
რომ არ გაენდო საიდუმლო ჰერმესისათვის.[271]
ილ. V, 389-90.

ამ ზმნამ თანდათანობით იცვალა სემანტიკა და ახალ ბერძნულში „რაიმეს ოფიციალურად გამოცხადების" მნიშვნელობით დამკვიდრდა.

მესამე წინდებულიანი ზმნა, რომელიც ჰომეროსის ეპოსში დასტურდება არის ზმნა ἐπαγγέλλω, რომელიც „ამბის გახმაურებას", „ხმის გავრცელებას" აღნიშნავს. იგი ἐξαγγέλλω-ს მსგავსად მხოლოდ ერთხელ გვხვდება „ოდისეაში":

...რომ არ გახმაურდეს [ეს ამბები] შიგნით.[272]
ოდ. IV, 775.

ამრიგად, ძნელია ზუსტად იმის დადგენა, თუ რა იყო ტერმინ ἄγγελος-ის ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა, როდის გაჩნდა ენაში და ევოლუციის როგორი გზა გაიარა. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ უკვე ჰომეროსის ეპოქისათვის აღნიშნულ სიტყვას გარკვეული ჰქონდა მნიშვნელობა და შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც უშუალოდ ელჩობის, კერძოდ კი, მაცნის ინსტიტუტს უკავშირდებოდა. თუმცა ანგელოსის სახე შორეული წარსულიდან მოდის და ამ თვალსაზრისით ანტიკური წყაროები მრავალ საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს. ანგელოსი ბერძნულ მითოლოგიაში ზევსისა და ჰერას ქალიშვილია. იგი ნიმფების მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა.[273] მან დედას მოჰპარა მალამო და მისცა ფოინიქსის ქალიშვილს, ევროპეს. ანგელოსი დედის რისხვას გაექცა და დაკრძალვის ცერემონიას შეაფარა თავი. ბოლოს აქერუსას ტბასთან კარიბების მიერ განიწმინდა. ამის შემდეგ დაუკავშირდა ეს ღვთაება ჰადესის სამყაროს. სხვა წყაროების მიხედვით კი, იგი გზებზე მოგზაური ქალღმერთია. მაგრამ საინტერესოა, რომ ანგელოსი,

---

[271] εἰ μὴ μητρυιή, περικαλλὴς' Ηερίβοια.
'Ηρμέα ἐξήγγειλεν'...

[272] ... μη πού τις ἐπαγγείλῃσι καὶ εἴσω.

[273] Roscher 1884-1937, 348.

როგორც მითოლოგიური პერსონაჟი, ჰომეროსის პოემებში არ გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ ἄγγελος-ით მოხსენიებული ზევსის მაცნეები თავიანთ მისიას უზენაესი ღმერთის სამსახურში აღასრულებენ, მათი წარმოჩენა, როგორც პერსონიფიცირებული ღვთაების – ანგელოსისა, არსად დასტურდება პოემებში. ამ ფუნქციის შემსრულებლებს ზოგადად მაცნის მნიშვნელობა ენიჭებათ და ყველაფერ იმას უკავშირდება, რასაც სიახლე და ინფორმაცია მოაქვს. აღნიშნული ტერმინი ჰომეროსთან საკუთარ სახელს არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ანგელოსი მითოლოგიური ტრადიციიდანაც ამგვარი ფუნქციების მატარებელია. როშერის მიხედვით, ანგელოსი მომსახურე სულია, თუმცა დაუზუსტებელია, იგი ჰერმესის იდენტურია თუ არა.[274] დროთა განმავლობაში ეს ტერმინი იცვლიდა სემანტიკას. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ემატებოდა მას დატვირთვა და იძენდა რაღაც კონკრეტულ შინაარსობრივ ნიუანსებს. ბერძენი ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ ანგელოზები მართავდნენ ვარსკვლავებს, რომლებიც წარმოიშვნენ რომელიღაც ეთერული სუბსტანციიდან.[275] სვიდას განმარტებით, „ანგელოზებს მხოლოდ გონების მეშვეობით შეუძლიათ დამორჩილება. ვინაიდან არც სივრცეში, არც სხეულში და არც დროში ისინი არ არსებობენ. იგულისხმება, რომ ისინი წარმოშობილნი არიან უწინარეს მზის ღვთაებისა. ბოროტ ანგელოზებს მემატიანე უწოდებს „სასჯელის მსახურებს".[276] ქრისტიანულ მწერლობაში სიტყვამ ἄγγελος განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. იგი მრავალ ენაში, მათ შორის, ქართულშიც უცვლელი ფორმით დამკვიდრდა. ანგელოზი ნიშნავს „ღვთის მაცნეს", „ღვთის მსახურს", რომელიც უხორცო შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის. სულხან-საბა ორბელიანი მას ასე განმარტავს: „... ესე არს არსება გონიერი, უნივთო, უსხეულო, დასაბამიერი და და-

[274] Roscher 1884-1937, 348.

[275] Трисиддер 1999, 13.

[276] Angeli tantum mentis apprehensione circumscribe possunt. Neque enim in loco, neque in corpore, neque in tempore existunt, ante Solem quipped creati. Angelos malos, supplicii ministros, Scriptura vocat (Suidae Lexicon 1705, 24-25).

უსრულებადი, სული ნათელი და მსწრაფლ მიმდრეკი წინაშე ღვთისა მდგომელი".[277]

საინტერესოა, რატომ ისარგებლა ქრისტიანულმა მწერლობამ „ღვთის მაცნის" გამოსახატად ამ სიტყვით და არა სხვა რომელიმე მისი სინონიმით? რატომ უწოდეს ქრისტიანებმა ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალს ანგელოზი, რომელსაც მიანიჭეს ძალა გამოეცხადებინა ქრისტეს შობიდან ღვთის ნება დედამიწაზე? ვინაიდან ანტიკურობიდან მოყოლებული ტერმინი ἄγγελος-ი გამოიყენებოდა უკვდავთა დონეზე აღმასრულებელ მაცნეთა მიმართ, კერძოდ, ჰომეროსთან ზევსის მაცნის (Διὸς ἄγγελος) მნიშვნელობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანულ მწერლობაში სწორედ ამ დატვირთვის მატარებელმა სიტყვამ შეიძინა „ღვთის მაცნის" ანუ ანგელოზის შინაარსი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არა მარტო ქრისტიანულ, არამედ იუდაისტურ და მუსლიმანურ მითოლოგიებშიც ანგელოზები უზენაეს ღმერთს ემსახურებიან და პატივს მიაგებენ იმით, რომ მის ნებას აღასრულებენ. ისინი მოიაზრებიან შუამავლებად მატერიალურსა და სულიერს შორის. მიუხედავად რელიგიურ სისტემათა განსხვავებულობისა, ანგელოზებს ბევრი საერთო თვისება და ნიშანი ახასიათებთ. ისინი ყოველთვის წარმოდგენილნი არიან უსხეულო ღვთის მსახურ არსებებად, რომელთაც ადამიანის თვალი ვერ აღიქვამს, თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს მათ სურვილს არ წარმოადგენს.[278] ძველ აღთქმაში ღვთის მაცნე ანგელოზები ფრთების გარეშე გვევლინებიან.[279] სახარებაში უფრო მკვეთრად დასტურდება მათი მნიშვნელოვანი და აქტიური როლი ამქვეყნიურ სამყაროში. ახალ აღთქმაში ხშირად მოიხსენიება ἄγγελος κυρίου (ღვთის მაცნე, ანგელოზი უფლისა), რომელიც ღვთის ნებას აცხადებს დედამიწაზე. იოსებს ღვთის მაცნე აუწყებს, რომ იესო დაიბადება. „ἰδοὺ ἄγγελος κυρίου κατ' ὄναρ ἐφάνη αὐτῷ λέγων·" („აჰა, ანგელოზი უფლისა ძილში გამოუჩნდა და უთხრა"; მათე, 1, 20).

---

[277] სულხან-საბა ორბელიანი 1993, 55.

[278] Мифологический словарь 1990, 47.

[279] Энциклопедия символов, знаков, эмблем 1999, 43.

ანგელოზი ამცნობს მარია მაგდალინელს, რომ ქრისტე აღდგა. ანგელოზები ესწრებიან ქრისტეს ამაღლებას და სწორედ ისინი ადასტურებენ მის მეორედ მოსვლას.[280]

უფრო გვიან ტერმინი ἄγγελος-ი და მისგან ნაწარმოები კომპოზიტები და დერივატები ჯერ ბიზანტიური ეპოქის ენამ, ხოლო შემდგომ კი თანამედროვე ბერძნულმა შეითვისა და განავითარა.

κῆρυξ. ჰომეროსის პოემებში ელჩობის აღმნიშვნელ სხვა ტერმინებთან შედარებით ტერმინ κῆρυξ-ის გამოყენების სიხშირე ყველაზე დიდია და შესაბამისად, სემანტიკური ველიც საკმაოდ ფართო. სიტყვა κῆρυξ „შიკრიკს“, „მაუწყებელს“, „მალემსრბოლს“ ნიშნავს. ამ ტერმინის ეტიმოლოგიის შესახებ მეცნიერებაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა უმრავლესობა ფუძედ მიიჩნევდა ბერძნულ καρ-ს. ზოგიერთი მათგანი ამ ფუძეს აიგივებდა καλ-თან, საიდანაც ფიქრობდნენ, რომ მიღებული იყო ზმნა καλεῖν, რაც „მოხმობას“, „დაძახებას“ ნიშნავს. ნ. ჯეკელი ტერმინ ἄγγελος-ს ბერძნული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ეს ტერმინი უკავშირდებოდა ზმნა καλεῖν-ს. საინტერესოა ის, რომ ელჩობის აღმნიშვნელი ტერმინების – ἄγγελος-ისა და κῆρυξ-ის წარმომავლობა დამოუკიდებლად სხვადასხვა მეცნიერმა ზმნა καλεῖν-ს დაუკავშირა. თუმცა მათგან არც ერთი მოსაზრება დღეს მეცნიერებაში გაზიარებული არ არის. ჰ. ვებერი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ καρ დერივატია καρύζειν-ისა, რომელიც ენათესავება κράζειν-ს. თავისთავად ზმნა κράζω ნიშნავს „ყვირილს“, „ყვირილით მოხმობას“.[281] ე. ბუაზაკმა ტერმინ κῆρυξ-ის ეტიმოლოგია ზმნა καρκαίρω-ს („ზუზუნი“, „გუგუნი“) დაუკავშირა.[282] მისი აზრით, ეს ზმნა ინტენსიური რედუპლიკაციის შედეგადაა მიღებული ფუძე καρ-იდან, რომელიც ონომატოპური (ხმაბაძვითი)

[280] Энциклопедия символов... 1999, 43.

[281] Ebeling 1885, 787.

[282] Boisacq 1916, 451.

წარმომავლობისაა.[283] სანსკრიტში car-kar-ti ნიშნავს „ქებით მოხსენიებას". ჰ. ფრისკი თვლიდა, რომ სანსკრიტული kārú – („მომღერალი", „პოეტი") იდენტურია ბერძნული καρκαίρω-სი.[284] ტერმინ κῆρυξ-ის წარმომავლობას პ. შანტრენიც სანსკრიტულ kārú-ს უკავშირებდა და ვარაუდობდა, რომ აქ -k- შეიძლება ექსპრესიული ყოფილიყო.[285] რ. ბეეკესი კი არ მიიჩნევს დამაჯერებლად κῆρυξ-ის სანსკრიტულ kārú-სთან დაკავშირებას და თვლის, რომ ეს ტერმინი წინაბერძნულ ენობრივ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს.[286] მიკენურში დადასტურებულია მხოლობითი რიცხვის დატივუსში karuke (PY Fn 187, Un 219).[287] დორიულსა და ეოლიურში გვხვდება κᾶρυξ. მიკენურ ბერძნულში ეს სიტყვა მიმართულია მთქმელის ხმის სიცხადეზე და ხაზგასმულია წარმოთქმის (პროკლამაციის) ფიზიკური აქტი.[288]

სამეცნიერო ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტერმინ κῆρυξ-ის ფუძე არის καρ. აღნიშნული ტერმინი მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ზმნა καρκαίρω-დან მომდინარეობს. ჩვენ ვიზიარებთ რ. ბეეკესის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეს ტერმინი წინაბერძნული წარმომავლობისაა.

ტერმინი κῆρυξ-ი „ილიადასა" და „ოდისეაში" გამოყენებულია 90-ჯერ („ილიადაში" 44-ჯერ, „ოდისეაში" 46-ჯერ), ხოლო ნასახელარი ზმნა κηρύσσω – 8-ჯერ. ეს თავისთავად, იმხანად შიკრიკის ფუნქციის მრავალმხრივობასა და მულტიფუნქციურობაზე მიგვითითებს. საინტერესოა, როგორ მოიაზრებს ჰომეროსი ტერმინ κῆρυξ-ს და ვინ არიან ამ მისიის აღმსრულებელნი ღმერთებისა თუ გმირების დონეზე? ჰომეროსის პოემებში შიკრიკები, უმეტესწილად, კეთილშობილი მოკვდავები არიან, რომლებიც მეფეებს ან წარჩინებულ პირებს ემსახურებიან.

---

[283] Frisk 1960, 789.

[284] Frisk 1960, 845.

[285] Chantraine 1970, 527.

[286] Beekes 2010, 690.

[287] Казанскене, Казанский 1986, 126.

[288] Jones 1999, 18.

მაშინ მან [აგამემნონმა] მოუხმო მაღალხმიან შიკრიკებს,
რათა ემცნოთ გრძელთმიანი აქაველებისათვის შეკრებილიყვნენ.[289]
ილ. II, 50.

პოეტი ხშირად შიკრიკის ვინაობას არ ასახელებს და ზოგადად ტერმინ κῆρυξ-ით მოიხსენიებს მას სხვადასხვა ფუნქციის აღსრულებისას. მიუხედავად ამისა, პოემებში არ ჩნდება კითხვა, თუ ვის გულისხმობს ჰომეროსი – მოკვდავს თუ უკვდავს.

... მას შემდეგ, რაც
შიკრიკებმა ტროელთა და აქაველთა რჩეულებს გაუნანილეს.[290]
ილ. III, 274.

კონტექსტების მიხედვით აშკარაა, რომ ტერმინ κῆρυξ-ით წოდებული შიკრიკები მოკვდავნი არიან და ისინი წარჩინებულ პირთა სამსახურში აღავლენენ თავიანთ მოვალეობას. მხოლოდ 3-ჯერ (*ილ.* II, 280; XVII, 324; *ოდ.* VIII, 8) გვხვდება ღვთაება ამ ტერმინით მოხსენიებული, ისიც იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე შიკრიკის სახით ევლინებიან ისინი ადამიანებს.

თვალებბრიალა ათენას კი
შიკრიკის სახე მიელო, ხალხს აჩუმებდა...[291]
ილ. II, 280.

თავად აპოლონმა...
პერიფასის სახე მიიღო, შიკრიკ ეპიტოსის ძისა...[292]
ილ. XVII, 323-24.

ათენამ შიკრიკ ალკინოოსის სახე მიიღო.[293]
ოდ. VIII, 8.

---

[289] Αὐτὰρ ὁ κηρύκεσσι λιγυφθόγγοισι κέλευσε
Κηρύσσειν ἀγορήνδε κάρη κομόωντας Ἀχαιούς.

[290] ... αὐτὰρ ἔπειτα
κήρυκες Τρώων καὶ Ἀχαιῶν νεῖμαν ἀρίστοις.

[291] παρὰ δὲ γλαυκῶπις Ἀθήνη
εἰδομένη κήρυκι σιωπᾶν λαὸν ἀνώγει.

[292] ... ἀλλ' αὐτὸς Ἀπόλλων...
δέμας Περίφαντι ἐοικώς, κήρυκ' Ἠπυτίδῃ.

[293] Ἀθήνη εἰδομένη κήρυκι Ἀλκινόοιο.

შიკრიკების მსახურების არეალი დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა. არისტოფანეს „აქარნელებში“ ეს ტერმინი აღნიშნავს მაცნეს, რომელიც ყვირილით ატყობინებს ახალ ამბავს საზოგადოებას და წესრიგს ინარჩუნებს შეკრებებზე.

შიკრიკი
გადმოდით წინ,
გადმოდით, განწმენდილ ადგილზე გადმოიწიეთ.[294]
არისტოფანე, „აქარნელები“, 42 შმდ.

შიკრიკი, როგორც აუქციონერი, გვხვდება თეოფრასტოსთან (ὑπὸ κήρυκος πωλεῖν – შიკრიკის მიერ გაყიდვა, Fragmenta 97). აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ ხანაში ტერმინ κῆρυξ-ის გამოყენება ანტიკურთან შედარებით შეიზღუდა, თუმცა ხმარებიდან არ ამოვარდნილა. უფრო მეტიც, მან თანამედროვე ბერძნულშიც იპოვა თავისი ადგილი თავდაპირველი მნიშვნელობით, თუმცა κήρυκας ფორმით დამკვიდრდა ენაში.

ტერმინ κῆρυξ-იდან ნაწარმოები დერივატები ჰომეროსთან არ დასტურდება. მდედრობითი სქესის ფორმას κηρύκαινα ἡ თავდაპირველად არისტოფანე გამოიყენებს. ამ სიტყვის ფუძე, κηρυκ- აწარმოებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფორმატივებსაც. κηρυκεία, იონ. κηρυκηίη ἡ ჰეროდოტოსთან და თუკიდიდესთან „შიკრიკის თანამდებობას“ აღნიშნავს, ესქინესთან კი ელჩის მოვალეობების, ზოგადად, ელჩობის მნიშვნელობით გამოიყენება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანი გვიანდელია. ამჯერად მათგან იმ ტერმინებზე შევჩერდებით, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისას.

როგორც ცნობილია, შიკრიკის უმთავრესი ატრიბუტი კვერთხია, ეს გამოარჩევს მას უბრალო ადამიანებისაგან. ჰომეროსი ამ „სამეფო ინსიგნაციას“, რომლის გადაცემითაც შიკრიკები სიტყვის თქმის უფლებას ანიჭებენ ადამიანებს, σκῆπτρον-ს

---

[294] ΚΗΡΥΞ
πάριτ᾽ ἐς τὸ πρόσθεν.
πάριθ᾽, ὡς ἂν ἐντὸς ἦτε τοῦ καθάρματος.

უწოდებს (*ილ.* XVIII, 505; XXIII, 568; *ოდ.* II, 38...), რაც „ჯოხს", „კვერთხს", „სკიპტრას" ნიშნავს.

მჟღერხმიან შიკრიკთა კვერთხი [შიკრიკებს] ხელთ ჰქონდათ.[295]
ილ. XVIII, 505.

ხელთ მისცა კვერთხი შიკრიკმა პისენორმა...[296]
ოდ. II, 37-38.

საინტერესოა, რომ უფრო გვიან ძველ ბერძნულ მწერლობაში ჩნდება უშუალოდ „შიკრიკის კვერთხის" აღმნიშვნელი ტერმინი. თავდაპირველად ეს სიტყვა – κηρύκειον ჰეროდოტოსთან გვხვდება. „ისინი რომ მოდიოდნენ, ხმა გავრცელდა მთელ ბანაკში და შიკრიკის კვერთხი გამოჩნდა ზღვის ნაპირთან" (ჰეროდოტოსი, „ისტორია", 9, 100).[297] ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ კომპოზიტი κερυκιοφόρος იმ შიკრიკის აღსანიშნად გამოიყენება, რომელიც კვერთხს ატარებს.[298] ეს კომპოზიტი, ფაქტობრივად, სინონიმია ტერმინ κῆρυξ-ისა, თუმცა მასში შიკრიკის კვერთხის სიმბოლური დატვირთვაც მოიაზრება. κηρυκ-ფუძისაგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელს, κηρυκικός-ს პლატონი გამოიყენებს. „ასე რომ, შიკრიკთა წოდება, რომელმაც შეიძინა განსხვავებული მნიშვნელობა, სხვაგვარად ითვლებოდა და იწერებოდა" (პლატონი, „პოლიტიკოსი", 260d).[299] ჰომეროსთან აღნიშნული ზედსართავი არ დასტურდება. შესაძლებელია, რომ იგი შედარებით გვიანდელი იყოს. იმ პერიოდისა, როცა მოხდა შიკრიკთა კლასიფიკაცია.

ჰომეროსი თავის პოემებში ცალკე ტერმინით არ გამოყოფს იმ ახალ ამბავს თუ ინფორმაციას, რომელსაც შიკრიკები ავრცელებენ. თავდაპირველად სოფოკლესთან ვხვდებით ტერ-

---

[295] σκῆπτρα δὲ κηρύκων ἐν χέρσ' ἔχον ἱεροφώνων·

[296] σκῆπτροι δέ οἱ ἔμβαλε χειρὶ
κήρυξ Πεισήνωρ...

[297] ... ἰοῦσι δέ σφι φήμη τε ἐσέπτατο ἐς τὸ στρατόπεδον πᾶν καὶ **κηρυκήιον** ἐφάνη ἐπὶ τῆς κυματωγῆς κείμενον·

[298] Gaisford 1848, 8.

[299] .. Οὐκοῦν καὶ τὸ **κηρυκικὸν** φῦλον ἐπιταχθέντ' ἀλλότρια νοήματα παραδεχόμενον αὐτὸ δεύτερον ἐπιτάττει πάλιν ἑτέροις.

მინს τό κήρυγμα. რომელიც შიკრიკის მიერ გაკეთებულ განაცხადს, შეტყობინებას აღნიშნავს. დროთა განმავლობაში გაიზარდა ამ ტერმინის გამოყენების სიხშირე და გაფართოვდა მისი შინაარსობრივი დატვირთვაც. თანამედროვე ბერძნულში საჯაროდ გამოცხადების, უწყების, ასევე ქადაგების მნიშვნელობით დამკვიდრდა.[300]

ნასახელარი ზმნა κηρύσσω ჰომეროსიდან მოყოლებული დასტურდება ბერძნულ ენაში. შიკრიკად ყოფნის, კერუქსად მსახურების მნიშვნელობით მხოლოდ ერთხელ გამოიყენებს პოეტი მას.

შიკრიკი ეპიტიდესი შიკრიკად მოხუცდა.[301]
ილ. XVII, 325.

დანარჩენ შემთხვევებში ეს ზმნა შიკრიკის მიერ განაცხადის გაკეთებას, მოწოდებას, (წინასწარ) შეტყობინებას აღნიშნავს (*ილ.* II, 51, 52, 438, 443, 444; *ოდ.* II, 7, 8).

მათ [შიკრიკებმა] მოუნოდეს [აქაველებს]
ძალიან სწრაფად შეკრებილიყვნენ.
ილ. II, 52, 444.

აი, შიკრიკებმა რკინისქიტონიან აქაველთა ხალხს
შეატყობინეს, რომ შეკრებილიყვნენ ნავებთან.
ილ. II, 437-38.

[ტელემაქოსმა] მოუწოდა შიკრიკებს, შეეკრიბათ
გრძელთმიანი აქაველები,
მათაც [შიკრიკებმა] უხმეს...[302]
ოდ. II, 7-8.

ბერძნულ ენაში გამოიყენება წინდებულიანი ზმნა κατα-γγέλλω, რომელიც κηρύσσω-ს სინონიმია და „შეტყობინებას",

---

[300] Papageorgius 1888. Fr. 314.

[301] κήρυκ' Ἠπυτίδη... κηρύσσων γήρασκε.

[302] οἱ μὲν ἐκήρυσσον, τοὶ δ' ἠγείροντο μάλ' ὦκα.
Ἀλλ' ἄγε, κήρυκες μὲν Ἀχαιῶν χαλκοχιτώνων
Λαὸν κηρύσσοντες ἀγειρόντων κατὰ νῆας.
κηρύσσειν ἀγορήνδε κάρη κομόωντας Ἀχαιούς.
οἱ μὲν ἐκήρυσσον...

„გამოცხადებას“ ნიშნავს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ κηρύσσω-ს აკუზატივში მდგომი სახელი მოსდევს, ხოლო καταγγέλλω დატივუსის ბრუნვას მოითხოვს.[303]

κηρύσσω-ს პასიურ ფორმას (κεκήρυξαι) თავდაპირველად ევრიპიდესთან (Fragmenta 1) ვხვდებით. აღნიშნული ზმნა დაირთავს ἀπο- და ἐπι- წინდებულებს, თუმცა ჰომეროსთან ეს ზმნები არ დასტურდება. ἀπο-κηρύσσω, ატიკ. -ύττω შიკრიკის მიერ ამბის საჯაროდ უწყებას, აუქციონზე რაიმეს გამოცხდებას ნიშნავს. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენებენ მას ჰეროდოტოსი, პლატონი, დემოსთენესი. ქსენოფონთან კი აღნიშნული წინდებულიანი ზმნა „საჯაროდ აკრძალვას“, „საქვეყნოდ რაიმეს უარყოფას“ აღნიშნავს. წინდებულიანმა ზმნამ ἐπι-κηρύσσω, ატიკ. -ύττω გარდა მისი ძირითადი მნიშვნელობისა, რომელიც აგრეთვე შიკრიკის მიერ გაკეთებული განაცხადის შინაარსს გადმოგვცემს, სხვა ბევრად მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ძვ. წ. V საუკუნიდან თუკიდიდესთან ἐπι-κηρύσσω ნიშნავს შიკრიკის გაგზავნას სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის. ეს კი შიკრიკის ფუნქციების გაფართოებაზე მიგვითითებს. ჰომეროსთან მოლაპარაკების წარმოება κῆρυξ-ის ფუნქციებში არ შედის. იგი მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელი და გადამტანია. კლასიკური ეპოქიდან კიდევ ზმნა κηρυκεύω გამოიყენება, რომელსაც იგივე შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, თუმცა ახალ ბერძნულში იგი აღარ ჩანს.

უფრო გვიან, ბერძნულ ლიტერატურასა და წყაროებში ბერძენი ელჩები ხშირად მოიხსენიებოდნენ ტერმინით – πρέσβεις. ეს სიტყვა მომდინარეობს πρέσβυς-დან (nom. pl. πρέσβεις), რომელიც „უხუცესს“ აღნიშნავს. თუმცა ჰომეროსი მას არა ელჩის, არამედ მისი თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენებს. პოემებში πρέσβυς-ი ჯერ კიდევ ზედსართაული ფორმით იხმარება და პოეტი ამ ტერმინის შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებს – πρεσβύτερος. πρεσβύτατος – გვთავაზობს. πρεσβύτερος δὲ σύ ἐσσι... (შენ კი [აქილევსზე] უფროსი ხარ (იგულისხმება ასაკით) *ილ.* XI, 787. მიუხედავად იმისა, რომ

[303] Suidae Lexicon 1705, 252.

πρέσβυς-ის გამოყენება ეპოსში არ არის ინტენსიური და არც ჩვენთვის საინტერესო სემანტიკის შემცველია, შეიძლება ითქვას, რომ ინდოევროპული არქეტიპის მქონე ეს ფუძე საკმაოდ ძველი უნდა იყოს, რადგან დასტურდება მიკენურში pe-re-ku-ta (PY An 172.2) და pe-re-ku-wa-na-ka (PY Va 15.2) ფორმებით.[304] საყურადღებოა, რომ უკვე ანტიკურობაში „ილიადის" IX სიმღერის ძირითადი თემა განსაზღვრული იყო – Πρεσβεία πρὸς' Αχιλλέα. Λιταί (ელჩობა აქილევსთან. თხოვნა), რაც ამ შემთხვევაში აქილევსთან ელჩობის მისიას საკმაოდ განზოგადებულად წარმოგვიდგენს.

πρέσβυς-დან ნაწარმოებმა ტერმინებმა დროთა განმავლობაში შეიცვალა მნიშვნელობა და გარკვეულწილად გაიარა ევოლუციის გზა. გარდა „უხუცესისა" და „ყველაზე უფროსის" მნიშვნელობისა, πρεσβύτερος გამოიყენებოდა ყველაზე პატივსაცემის, უმთავრესისა და უმნიშვნელოვანესის აღსანიშნავადაც. ეს ტერმინი თავის თავში აერთიანებდა ყველაფერ იმას, რაც საპატიო წოდებასა და მისიას უკავშირდებოდა. უკვე სპარტაში πρέσβυς-ი პოლიტიკური წოდება იყო.[305] სწორედ ამ ძირებიდან წარმოიშვა ელჩის აღმნიშვნელი უფრო გვიანდელი ტერმინი πρεσβευτής, რომელიც მრავლობითში ისევ πρέσβεις-ს (იშვიათად πρεσβευται) გვაძლევდა. πρεσβευτής თანდათან უცვლელი ფორმით მკვიდრდებოდა წყაროებში, ვიწროვდებოდა მისი სემანტიკა და ახალ ბერძნულ ენაში ელჩის მნიშვნელობით გადავიდა.

ენაში ჩნდება πρέσβυς ძირიდან წარმომდგარი კომპოზიტები და დერივატები, რომლებიც ელჩობას და ზოგადად უკვე პროფესიულ დიპლომატიას უკავშირდება. ამ ტერმინების გამოყენების სიხშირე საკმაოდ დიდია ძველ და განსაკუთრებით ახალ ბერძნულში.

ამგვარად, ტერმინოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ელჩობა ჯერ კიდევ ჰომეროსთან ენობრივი ნიუანსირების დონეზე შორს არის წასული. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია და-

[304] Beekes 2010, 1231, Kaegi 1999, 206.

[305] Liddell, Scott 1996, 1462.

ზუსტებით განვსაზღვროთ დრო, როდის გაჩნდა თითოეული ტერმინი ენაში. უძველესი წყარო, რომელშიც აქტიურად გამოიყენება ეს ტერმინები, ჰომეროსის პოემებია. არადა, ამ ეპოქისათვის მაცნის თუ შიკრიკის აღმნიშვნელ ორ ძირითად ტერმინს – ἄγγελος-სა და κῆρυξ-ს – ევოლუციის საკმაოდ ვრცელი გზა ჰქონდა გავლილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მაცნისა და თანამედროვე გაგებით ელჩის გამიჯვნა რთულია ჰომეროსთან, ვინაიდან ელჩის ფუნქციებს, უმეტესწილად, მაცნეები (ἄγγελοι), ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ავტორიტეტული ფიგურები ასრულებდნენ. ასე რომ, იმ დროისათვის არ იყო ჩამოყალიბებული ტერმინი, რომელიც პროფესიონალ ელჩს აღნიშნავდა. მისი ფორმულირება შედარებით გვიანდელია. თუმცა საინტერესოა, რომ ელჩობა, როგორც ფუნქცია და მოვალეობა, „ილიადასა“ და „ოდისეაში“ საკმაოდ მრავალმხრივია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ტერმინოლოგიური კვლევა ცხადყოფს. რა თქმა უნდა, მხოლოდ ტერმინების განხილვა არ არის საკმარისი ელჩობის მისიის განსაზღვრისათვის. საყურადღებოა, თუ როგორ მოიაზრებს ამ ფენომენს პოეტი მისი მხატვრული აღქმის დონეზე.

უკვდავი და მოკვდავი ელჩები ჰომეროსის ეპოსში

ჰომეროსის პოემები უმაღლესი მხატვრული ხელოვნებით შექმნილი ნაციონალური ეპოსია. ჰომეროლოგები დღემდე ცდილობენ, აღმოაჩინონ მასში ერის ფსიქოლოგიისა და ხასიათის, იმ დროის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი ასპექტები. ამ მნიშვნელოვან ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც ჰომეროსთან მთელი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით საინტერესოა ელჩობის ფენომენი. ძველ სამყაროში ეს იყო კომუნიკაციის საშუალება, როცა ერთ მხარეს მეორესთვის შეეძლო ამბის გადაცემა ზეპირი გზით, რასაც ძირითადად სპეციალური მაცნეები აღასრულებდნენ. შუამავლებს ევალებოდათ არა მარტო ინფორმაციის მიტანა დასახელებულ პუნქტამდე ან უკვე მმართველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, არამედ დიპლომატიური მისიის შესრულებაც, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის დარწმუნება და საბოლოოდ კონსენსუსის მიღწევა მშვიდობიანი გზით. ელინურ ხანაში საგარეო პოლიტიკის მართვა დოკუმენტაციის გარეშე ხდებოდა, ამგვარი საკითხები კი საბჭოებისა და სახალხო კრებების მუდმივად განსახილველი თემა იყო. ბერძნებმა თანდათან განავითარეს ის, რასაც დღეს შეიძლება დიპლომატია ვუწოდოთ. უძველეს წყაროებში თანამედროვე საგარეო ურთიერთობების მსგავს ბევრ ელემენტს ვხვდებით. სახელმწიფოთა შორის კავშირს როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროსაც ელჩები ამყარებდნენ. სწორედ ქვეყნის მმართველი იყო უფლებამოსილი, აერჩია ის პირი, რომელიც ელჩობის მისიას აღასრულებდა. ძველი ბერძნები ელჩს რამდენიმე ტერმინით აღნიშნავდნენ, თუმცა თავდაპირველად მათგან არც ერთი არ იყო დაკავშირებული პროფესიულ დიპლომატიასთან.

ჰომეროსის პოემებში ელჩობა ვრცელდება როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად, ანუ როგორც მოკვდავებს, ასევე ღმერთებს შორის და რა თქმა უნდა, ღმერთებსა და ადამიანებს შორისაც. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დონეზე „დიპლომატიურ“ მისიას ასრულებენ ის პირები, რომელთაც ეს მოვალეობით ეკისრებათ, ხოლო რომელთაც არ ევალებათ,

ზოგჯერ სიტუაციიდან გამომდინარე იღებენ საკუთარ თავზე ამ ფუნქციას. როგორც ცნობილია, ღმერთები ერევიან ადამიანთა ცხოვრებაში, ხშირ შემთხვევაში წარმართავენ მათ ბედს და აქედან გამომდინარე, ისინი გარკვეულ მონაწილეობას ღებულობენ ადამიანთა თუ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. ღმერთები მოკვდავებს თავიანთ ნებას ძირითადად შუამავლის საშუალებით ატყობინებენ, რადგან ისინი უხილავნი არიან ადამიანებისათვის. სწორედ ამ მნიშვნელოვან მისიას, რასაც ღმერთებსა და მოკვდავებს შორის შუამავლის ფუნქცია შეიძლება ვუწოდოთ, უმეტესწილად, ღვთაებრივი მაცნეები აღასრულებენ. ისინი თავად ზევსის ღვთაებრივი შტოდან არიან[306] და მათ როლს განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება მოქმედების განვითარებაში. საინტერესოა, როგორ ვითარდება მოვლენები პოემებში შუამავალთა ჩარევის შემთხვევაში? ვინ არიან ის მაცნეები, რომლებსაც ზევსი თავის ელჩებად მიიჩნევს და რა მოვალეობა ეკისრებათ მოკვდავ შიკრიკებს, როცა თავიანთ მმართველს ემსახურებიან? ყურადღებას იპყრობს ისიც, თუ რა ნიშნით მიჯნავს მათ (ἄγγελος. κῆρυξ) პოეტი ნარატიულ დონეზე. რითი განსხვავდებიან, ერთი შეხედვით, თითქოს თანაბარი უფლებების ერთნაირი მოვალეობის შემსრულებელი პერსონაჟები, სად გადის მათი უფლება-მოვალეობების ზღვარი და ზოგადად რა ადგილი უჭირავთ მათ ღვთაებრივ თუ მოკვდავთა სამყაროში?

ჰომეროსთან საკმაოდ მკაცრადაა დაცული იერარქია და განსაზღვრულია ღმერთებს შორის ძალაუფლების ბალანსი. ღვთაებრივი სამყაროს ეს უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი შტრიხი თან გასდევს ზოგადად ორივე პოემას. არსებითი ის არის, რომ თითოეულ ღმერთს აქვს საკუთარი ინტერესი ტროას ომში (და ტროას ომის შემდგომ) და იმის შესაძლებლობა, სხვადასხვა გზით მიაღწიოს დასახულ მიზანს. თუმცა ყოველივე, რაც ხდება პოემაში, თავიდანვე „ზევსის ნების აღსრულებასთან" არის დაკავშირებული.[307] ზევსი ინტერესითა და თანაგ-

[306] Adcock, Mosley 1975, 183.

[307] გორდეზიანი [4]2014, 61.

რძნობით ადევნებს თვალყურს მოვლენების განვითარებას. გმირების მიმართ სიბრალულსაც დაუფარავად გამოხატავს (*ილ.* XV, 12; XVI, 644; XVII, 198-208), მაგრამ შედარებით შორს დგას სამოქმედო ასპარეზიდან. უმთავრესი არსი, რომელიც ღმერთებს ადამიანებისაგან განასხვავებს არის ის, რომ უკვდავთ ძალუძთ, აარიდონ თავი ბრძოლას, მოკვდავი კი ვერასდროს გაექცევა მას (*ილ.* XIII, 1-7).[308] თითოეულ გმირს ჰყავს თავისი მფარველი ღმერთი, მაგრამ ზევსის ნება ნებისმიერ შემთხვევაში ყოვლისგანმსაზღვრელია. სხვა ღმერთებისაგან განსხვავებით ზევსი არასდროს მონაწილეობს ბრძოლაში.[309] თავად უზენაესი ღმერთი, გარდა ბრძანებისა და სიტუაციათა მართვისა, სხვა მისიას თითქმის არ ასრულებს. მისი უპირველესი ფუნქციაა, შეინარჩუნოს მსოფლიო წესრიგი და სამართლიანობა.[310] შესაბამისად, არც ელჩის მოვალეობას იღებს იგი საკუთარ თავზე, თუმცა პოემებში ზევსი ხშირად გვხვდება, როგორც ელჩობის ინიციატორი და ორგანიზატორი. მის სამსახურში კი არაერთი მაცნე ასრულებს ამ ფუნქციას. მნიშვნელოვანია, ვინ არიან ეს მაცნეები და არის თუ არა ელჩობა მათი ფუნქციური არსის განმსაზღვრელი?

„ილიადასა" და „ოდისეაში" ტერმინ ἄγγελος-ით სხვადასხვა ფუნქციისა და სტატუსის მქონე მაცნეები მოიხსენიებიან. შევეცდებით პირობითად განვსაზღვროთ იმ პერსონაჟთა დანიშნულება, რომლებსაც პოეტი ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიებს:

1) ე. წ. „ფუნქციონერი ელჩები" – ირისი და ჰერმესი;

2) „არაფუნქციონერი" უკვდავი მაცნეები, რომლებიც მოცემულ მომენტში ასრულებენ შუამავლის მისიას;

3) „ზევსისა და კაცთა მაცნეები" – ტალთიბიოსი, ევრიბატესი, იდაიოსი და ოდიოსი;

4) მოკვდავი მაცნეები – ტიდევსი, პატროკლოსი, ანტილოქოსი, ევმაიოსი.

---

[308] Rutherford 1996, 46.

[309] Taplin 1992, 134

[310] გორდეზიანი 2014, 105.

ჰომეროსის ეპოსში, უმეტესწილად, სწორედ იმ ღვთაებრივი მაცნის აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი ἄγγελος-ი, რომელიც ზევსის წინაშე აღასრულებს შუამავლის მისიას. ღმერთების დონეზე ე. წ. „ფუნქციონერი ელჩები" არიან ირისი და ჰერმესი. მათ უშუალოდ ზევსი მფარველობს და ისინიც უზენაესი ღმერთის სამსახურში ახორციელებენ თავიანთ მოვალეობას.

„ილიადაში" ყველაზე ხშირად ირისი იწოდება ზევსის მაცნედ:

კეთილის მსურველი ზევსის მაცნე ვარ.[311]
ილ. XXIV, 173.

ირისი ზევსის (და არა მარტო ზევსის) მაცნეა.[312] მის ფუნქციაში შედის ბრძანებისა და შეტყობინების გადაცემა. თუმცა ჰომეროსის პოემებში უკვე იკვეთება ელჩის უმთავრესი მოვალეობაც. ქალღმერთს არა მარტო ინფორმაციის შეტყობინება, არამედ ღმერთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება და მეორე მხარის ამა თუ იმ საკითხში დარწმუნება ევალება. როცა ზევსი დაინახავს, რომ აქაველებმა პოსეიდონის დახმარებით ტროელები უკან დახიეს, ჰერას მეშვეობით იგი სასწრაფოდ უხმობს ირისსა და აპოლონს. უზენაესი ღმერთი ირისს უბრძანებს შეაჩეროს პოსეიდონი, რათა ჰექტორი ახალი ბრძოლებისათვის მოემზადოს (*ილ.* XV, 157-218), ხოლო აპოლონმა უნდა აღანთოს საბრძოლველად ჰექტორი. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს ირისის მოვალეობა, რომელიც ზევსის წინაშე აკისრია. გარდა იმისა, რომ ქალღმერთი პოსეიდონს გადასცემს მის ბრძანებას, თან ურჩევს დაემორჩილოს უზენაესის ნება-სურვილს, ვინაიდან კრონოსის ძე ძალით ყველას აღემატება. საყურადღებოა, რომ ირისი, როგორც ზევსის მაცნე, არა მარტო ატყობინებს დანაბარებს, არამედ ცდილობს დაარწმუნოს პოსეიდონი, შეასრულოს მისი ბრძანება. ამ შემთხვევაში საინტერესოა, ირისს პოსეიდონის ბედი აწუხებს ზევსის განრისხების შემთხვევაში თუ მის მოვალეობაში შედის დარწმუნება? პოსეიდონთან ირისის გაგზავ-

[311] ἀλλ' ἀγαθὰ φρονέουσα· Διὸς δέ τοι ἄγγελός εἰμι.

[312] Zimmerman 1964, 140.

ნას წინ უძღვოდა ზევსის მუქარით სავსე სიტყვა ჰერას მისამართით, რომელსაც აუკრძალა ბრძოლაში ჩარევა და განუცხადა ბრძოლის მიმდინარეობის მთელი თავისი გეგმა (*ილ.* XV, 15-78). ირისმა იცის, რომ ზევსის ნება გარდაუვალია. სავარაუდოდ, ამიტომაც მიმართავს ქალღმერთი „ელჩი“ რჩევის ხერხს. ვფიქრობთ, ირისის ფუნქციაა მოწინააღმდეგე მხარის დარწმუნება, ვინაიდან მისი მისია მხოლოდ შედეგზეა ორიენტირებული. ეს მოვალეობა კი სწორედ ელჩის პრეროგატივაა, რომელსაც ზევსისაგან უფლებამოსილი ქალღმერთი წარმატებით ართმევს თავს. გასათვალისწინებელია საკუთრივ ჰომეროსისეული პრინციპი: ყოველი კონფლიქტი, დაწყებული უზენაესი ღმერთის ნებით მთავრდება მისი ნებითვე.[313] პოსეიდონი ირისის რჩევას აფასებს და შესაბამისად, ითვალისწინებს კიდეც.

> ქალღმერთო ირის, სავსებით როგორც საჭიროა იმ სიტყვას ამბობ; ბედნიერებაა, როცა მაცნე ზუსტად ჭვრეტს.[314]
>
> *ილ.* XV, 206-207.

ამ სიტყვებში ნათლად იკვეთება ელჩის ის თვისება, რომელიც ჰომეროსს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია. კერძოდ, მოვლენათა „ზუსტად ჭვრეტა“ და მოლაპარაკების შესაბამისად წარმართვა. ელჩის გონივრულობას კი მხარეთა ურთიერთობებში ყოველთვის მშვიდობა და კეთილგანწყობა მოსდევს. შეიძლება ითქვას, რომ ირისმა, როგორც ზევსის წარგზავნილმა, თავის მიზანს მიაღწია. პოსეიდონი იძულებულია, დამორჩილდეს უზენაესი ღმერთის ნებას. ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია სამყაროში განსაზღვრული იერარქიის დაცვა, რომლის დარღვევა თავად უკვდავსაც კი არ ძალუძს (*ილ.* XV, 208-11). „ილიადის“ VIII სიმღერაში პოსეიდონი უკვე თავად არწმუნებს ჰერას, რომ არ ღირს გაბედოს ვინმემ ზევსის ნების წინააღმდეგ წასვლა, რადგან იგი ძალით ყველას აღემა-

---

[313] გორდეზიანი 2014, 206.

[314] Ἶρι θεά, μάλα τοῦτο ἔπος κατὰ μοῖραν ἔειπες·
ἐσθλὸν καὶ τὸ τέτυκται, ὅτ' ἄγγελος αἴσιμα εἰδῇ.

ტება (VIII, 209-11). ამით პოსეიდონი ღვთაებრივ ძალთა იერარქიაზე მიუთითებს.

„ილიადის" VIII სიმღერის 412-24 სტრიქონებში კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ირისის მონაწილეობა ზევსის ძალაუფლების დარწმუნების საქმეში. მართალია, ირისი ზევსის დანაბარებს გადასცემს ათენას, რომელიც სავსეა მუქარის სიტყვებით, მაგრამ ქალღმერთი აშკარად აჭარბებს და ამძაფრებს კრონოსის ძის სიტყვებს. ბოლოს კი, მისეული შეფასებით ამთავრებს სათქმელს ათენასთან.

> მაგრამ შენ, საშინელო, უსირცხვილო ძუკნავ, ნუთუ ნამდვილად
> ბედავ ზევსის წინააღმდეგ დიდი მახვილის აღმართვას.[315]
>
> *ილ.* VIII, 423-24.

ირისი, როგორც ზევსის „სრულუფლებიანი" ელჩი სხვადასხვა ხერხს მიმართავს უზენაესი ღმერთის ნების განსახორციელებლად და ღმერთებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად. თუ პოსეიდონს რჩევის სიტყვებით მიმართავს „ზევსის მაცნე", ათენასთან მიმართებაში თვალნათლივ იგრძნობა მკაცრი ტონი და განრისხება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჰომეროსის ეპოქაში უკვე არსებობდა უფლება და სხვადასხვა ფორმა, რომელსაც ელჩი იყენებდა დარწმუნებისა თუ მიზნის მიღწევისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ირისი არა მარტო ზევსის, არამედ სხვა ღმერთების დავალებითაც მოქმედებს. იგი ხშირად ჰერას ნებით აღასრულებს თავის შუამავლის მოვალეობას. აქილევსის შეკითხვაზე, თუ ვინ გამოგზავნა მასთან, ირისი პასუხობს:

> ჰერამ გამომგზავნა, ზევსის დიდებულმა მეუღლემ.[316]
>
> *ილ.* XVIII, 184.

ირისის ფუნქციები მოკვდავთა დონეზეც ვრცელდება. ჰომეროსი აშკარად ცდილობს შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს მისეული გააზრებით ურთიერთმიმართება მოკვდავებსა და

---

[315] ἀλλὰ σύ γ', αἰνοτάτη, κύον ἀδδεές, εἰ ἐτεόν γε
τολμήσεις Διὸς ἄντα πελώριον ἔγχος ἀείραι.

[316] Ἥρη με προέηκε, Διὸς κυδρὴ παράκοιτις.

ღმერთებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, ღმერთები მაცნის საშუალებით უკავშირდებიან ადამიანებს. თუმცა მოკვდავი ვერც ღვთაებრივი შუამავლის ნამდვილ სახეს ხედავს მასთან კონტაქტში შესვლისას. ღმერთი უხილავი რჩება სამუდამოდ ადამიანებისათვის ან უბრალო მოკვდავის სახით ევლინება მათ. მიუხედავად ამისა, ადამიანები თითქმის ყოველთვის ამოიცნობენ ამა თუ იმ სახეში ღვთაებრივს. ჰომეროსმა იცის, რომ ნებისმიერი მოკვდავი, თავად აქილევსიც კი, შეშინდება თავისი ნამდვილი სახით მოვლენილი ღმერთის წინაშე, რადგან „საშინელნი არიან ღმერთები მოვლენილნი თავიანთი სახით" (*ილ.* XX, 131).[317] ღმერთთა ანთროპომორფიზმი ჰომეროსის პოემებისათვის დამახასიათებელია. ვფიქრობთ, ამით პოეტი ცდილობს მხატვრული ხერხებით, ფიზიკური მონაცემების მიმსგავსებით კიდევ უფრო მეტად გახადოს შესაძლებელი ორ სამყაროს შორის დაკავშირება. ვინაიდან მოკვდავთათვის ღვთაებრივი ირაციონალური სფეროს აღქმა რთულია, ჰომეროსი ეძებს ადამიანებთან მიმართებაში ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც ხელს შეუწყობს უკვდავთან კავშირის დამყარებას. სწორედ ამიტომ ღმერთები უბრალო ადამიანების სახეს იღებენ, როცა სურთ თავიანთი ღვთაებრიობის დაფარვა. ზოგჯერ იმდენად აშკარაა მათი მინიშნება, რომ ადამიანები თავად ხვდებიან უკვდავთა გაფრთხილებას. როგორც სხვა ღმერთები, ირისიც მოკვდავს ემსგავსება ღვთაებრივი უწყების გაცხადებისას დედამიწაზე. მას, როცა სურდა ეუწყებინა ელენესათვის, რომ ბრძოლა შეწყდა და მხოლოდ პარისი და მენელაოსი შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს, ირისმა სახე იცვალა, პრიამოსის ასულს, ლაოდიკეს დაემსგავსა და ისე გამოეცხადა ელენეს.

მაცნე ირისი ქერათმიან ელენეს ეწვია.[318]

ილ. III, 121.

ირისი გარკვეულ როლს თამაშობს ბრძოლის ბედის გადაწყვეტაში. მან შეატყობინა აქილევსს, რომ ტროელები და აქაველ-

---

[317] ... χαλεποὶ δὲ θεοὶ φαίνεσθαι ἐναρεῖς.

[318] Ἶρις δ' αὖθ' Ἑλένῃ λευκωλένῳ ἄγγελος ἦλθεν.

ლები პატროკლოსის გვამის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. გმირის დახმარება აუცილებელი იყო, რათა მეგობრის ცხედარი მტრის საჯიჯგნად არ დარჩენილიყო. ამ ეპიზოდშიც გათვალისწინებულია ზევსის ნება.

ირისი ხშირად მიმართავს ხალხს და აფრთხილებს წინასწარ რაიმე საშიშროების მოახლოების შესახებ. მაცნე ქალღმერთმა პოლიტესის გარეგნობა მიიღო და მისი ხმით გააფრთხილა ჯარი, რომ „ქვიშასავით" (ψάμαθοισι) ურიცხვი მხედრობა მიემართებოდა ქალაქისაკენ.

> ტროელებს ქარისფეხება სწრაფი მაცნე ირისი ეწვია
> ეგისისმპყრობელი ზევსის, სამნუხარო ცნობით;[319]
>
> *ილ.* II, 786-87.

ზოგჯერ პოემაში იგი ზევსის მითითების გარეშე ასრულებს თავის ფუნქციას, მაგრამ ეს ქმედება არასდროს არ არღვევს კოსმიურ წესრიგს და არც ზევსის წინააღმდეგაა მიმართული. ირისმა იცოდა, რომ ტროელთა გაფრთხილებითა და დახმარებით არ განარისხებდა კრონოსის ძეს. ზევსს განზრახული ჰქონდა აქაველთა დამარცხება, რითაც აქილევსის პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა. ზევსმა თავად გაუგზავნა აგამემნონს მაცდური სიზმარი, რომლის შემდეგაც მეფემ ჯარი საბრძოლველად განაწყო. ამდენად, მოვლენების განვითარება და ზევსის მაცნეთა მისია შედეგზეა ორიენტირებული. ირისის ჩარევა ბრძოლაში უზენაესი ღმერთის ნების აღსრულებისაკენ არის მიმართული და მისი მოქმედება მხოლოდ ზევსის გეგმის წარმატებით განხორციელებას ემსახურება. ირისი ზევსის მაცნედ (Διὸς ἄγγελος) მოიხსენიება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალღმერთი საკუთარი ინიციატივით აძლევს სასარგებლო რჩევებს გმირებს. სწორედ ეს „წოდება" – Διὸς ἄγγελος ხდის მას უფლებამოსილს, წარსდგეს როგორც შუამავალი ღმერთებისა და გმირების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ირისი სახალხო მაცნედაც გვევლინება. მის მისიაში თავისთავად მოიაზრება ზევსის წინაშე დაკისრებული ვალდებულების აღსრულება. მაცნე ქალ-

---

[319] Τρωσὶν δ' ἄγγελος ἦλθε ποδήνεμος ὠκέα Ἶρις
Πὰρ Διὸς αἰγιόχοιο σὺν ἀγγελίῃ ἀλεγεινῇ·

ღმერთის რჩევით, ჰექტორმა ტროელებსა და ტროელთა მრავალრიცხოვან მოკავშირეს რჩეული ვაჟკაცი მიუჩინა წინამძღოლად. ირისმა თავისი ინიციატივით სტრატეგიული რჩევაც კი მისცა გმირს, რათა საბოლოოდ ბრძოლა ტროელთა სასარგებლოდ წარმართულიყო. ეს გამარჯვება კი თავისთავად ზევსის სურვილს დააკმაყოფილებდა.

ჰექტორ, უფრო ამგვარ რჩევას გაძლევ შესასრულებლად.[320]
ილ. II, 803.

„ილიადის“ VIII სიმღერაში კრონოსის ძე თითოეული ღმერთისაგან მოითხოვს, რომ არ შეუშალონ მას ხელი თავისი გეგმის განხორციელებაში. იგი იდას მთიდან აკვირდებოდა ბრძოლას. ზევსმა აუწყა ოლიმპოსის მკვიდრთ, რომ ჰექტორი მანამდე იბრძოლებდა, სანამ აქილევსი არ ამხედრდებოდა და ბრძოლა არ გაიმართებოდა პატროკლოსის ცხედრის გარშემო (*ილ.* VIII, 470-78). ვინც დაარღვევდა ზევსის მოთხოვნას და ბრძოლაში ჩაებმებოდა, მას სასტიკი სასჯელით გაუსწორდებოდა (*ილ.* VIII, 5-27).

და ნამდვილად [ჰექტორი] დაიპყრობდა და ნარმოუდგენელ სახელს მოიხვეჭდა,
რომ პელევსის ძესთან ქარისფეხება სწრაფი ირისი,
ღმერთების მაცნე ოლიმპოსიდან არ მისულიყო და არ აღეჭურვა აბჯრით.[321]
ილ. XVIII, 165-68.

ირისი ჰერას დავალებით ცდილობს აამხედროს აქილევსი და ჩააბას პატროკლოსის გვამის დასაცავად გამართულ ბრძოლაში. ქალღმერთი მაცნე დრამატულ სურათს უხატავს, რა ელის მისი მეგობრის გვამს, თუ იგი ტროელთა ხელში ჩავარდება. ამავე დროს ნამუსზე აგდებს და ეუბნება, რომ გვამის წაბილწვა აქილევსის დიდი სირცხვილი იქნება. ირისი არწმუნებს პელევსის ძეს, თუნდაც უიარაღოდ (ვინაიდან ტროელებს დარ-

[320] Ἕκτορ, σοὶ δὲ μάλιστ᾽ ἐπιτέλλομαι ὧδέ γε ῥέξαι·

[321] καί νύ κεν εἴρυσσέν τε καὶ ἄσπετον ἤρατο κῦδος,
εἰ μὴ Πηλεΐωνι ποδήνεμος ὠκέα Ἶρις
ἄγγελος ἦλθε θέουσ᾽ ἀπ᾽ Ὀλύμπου θωρήσσεσθαι...

ჩათ) ეჩვენოს მტერს და შეაძრწუნოს ისინი. საბოლოოდ მიზანს აღწევს კიდეც ქალღმერთი. მართალია, აქილევსი არ ჩართულა ბრძოლაში, რადგან დედის რჩევა ახსოვდა, მაგრამ საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა მისი გამოჩენა. პელევსის ძის შემზარავმა ყიჟინამ ტროელებს შორის საშინელი შიში და დაბნეულობა გამოიწვია. ამ სიტუაციით ისარგებლეს აქაველებმა და აიას ტელამონის ძის განსაკუთრებული ძალისხმევით პატროკლოსის ცხედარი გამოიხსნეს. ვფიქრობთ, რომ არა ირისის შუამავლად გამოცხადება გმირთან, თავისი ნებით პელევსის ძე არ ჩაერთვებოდა ამ სიტუაციაშიც. ტროელებმა ვერ შეურაცხყვეს პატროკლოსის გვამი, თუმცა ტროელთა გამარჯვების შემთხვევაში მოვლენები შესაძლოა სხვაგვარად განვითარებულიყო: ჰექტორს წარმოუდგენელი სახელი მოეხვეჭა და აქაველებს დიდი მარცხი ეგემათ. ირისის ჩარევის შემდეგ კი ბრძოლის ბედი შეიცვალა და აქაველთა სასარგებლოდ გადაწყდა. ასეთი მნიშვნელოვანი მისიის შესრულების დროს ქალღმერთი ირისი ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიება.

ჰომეროსის „ილიადაში" ირისი ყოველთვის დროულად, შესაფერის დროს და შესაფერის ადგილზე ჩნდება და წარმატებით ართმევს თავს მოვალეობას. საინტერესოა, რომ ქალღმერთის მისიის შესრულების მანერას თავად პოეტი გადმოგვცემს ეპითეტების საშუალებით. „ილიადაში" ირისის მიმართ გამოყენებულია შემდეგი ეპითეტები: ἀελλόπος („სწრაფი, როგორც გრიგალი), πόδας ὠκέα („სწრაფფეხება"), ποδήνεμος („ქარისფეხება"), ποδήνεμος ὠκέα Ἶρις („ქარივით სწრაფფეხება ირისი"), ὠκέα („სწრაფი"), χρυσόπτερον („ოქროსფრთებიანი"), Ἶρι ταχεῖα („სწრაფი ირისი"). პოემა აბსოლუტურ უმრავლესობათა შემთხვევაში იმეორებს იმ ეპითეტებს, რომლებითაც ჰომეროსი გვიხასიათებს მაცნე ქალღმერთს. იგი გვაძლევს მოკლე ინფორმაციას მის შესახებ ან მოცემული კონტექსტით აღწერს ირისის თვისებებს და უმთავრეს მანერას: ეს არის სწრაფად ინფორმაციის გავრცელება და ადრესატამდე „ქარივით" სწრაფად მიტანა.

ამდენად, ირისის მისია როგორც უკვდავთა, ასევე მოკვდავთა სფეროზეც ვრცელდება. იგი არა მარტო ზევსის, არამედ

სხვა ღმერთების დავალებითაც აღასრულებს თავის მოვალეობას. მაცნე ქალღმერთი ადამიანებს ჩვეულებრივი მოკვდავის სახით ეცხადება (მაგ., ლაოდიკეს ან პოლიტესის გარეგნობით), რითაც არ არღვევს ჰომეროსისათვის დამახასიათებელ ერთერთ პრინციპს – ღმერთები არასდროს ეცხადებიან თავიანთი ნამდვილი გარეგნობით ადამიანებს და მათ შორის, არც მაცნე ღმერთები. ირისი ხშირად საკუთარი ინიციატივით არიგებს გმირებს და ზევსის ნების აღსრულებისათვის დარწმუნების ხერხებსაც კი მიმართავს მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, არ ელოდება დავალების მიღებას, თუ თვლის, რომ ჩარევა აუცილებელია მოქმედების განვითარებისათვის.

როცა ზევსი ერთდროულად ორ მაცნეს აგზავნის, პოეტი აფერხებს მეორე მისიის აღსრულების აღწერას, სანამ პირველი მათგანი არ შეასრულებს კრონოსის ძის ბრძანებას.[322] ასეთივე თანმიმდევრობაა დაცული „ილიადის“ XXIV სიმღერაში, როცა ზევსი თავდაპირველად აგზავნის თეტისს მოთხოვნით აქილევსთან, დააბრუნოს ჰექტორის გვამი, ხოლო ამის შემდეგ ირისს პრიამოსთან, შეატყობინოს ეს ყოველივე. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თეტისთან ირისი გაფრინდა, რათა ზევსთან მოეხმო აქილევსის დედა, რომელიც შვილის ბედს დასტიროდა ღრმა მღვიმეში. ირისი ეუბნება თეტისს: ...Θέτι. καλέει Ζεὺς ἄφθιτα μήδεα εἰδώς („თეტის, ზევსი მოგიხმობს მარადიულ აზრთა მცოდნე“. *ილ.* XXIV, 88). ნიმფა მაშინვე მიჰყვება მაცნე ქალღმერთს ოლიმპოსზე ზევსთან შესახვედრად, რადგან იცის, რომ იგი უშედეგო (ἄλιον ἔπος) სიტყვას არ ეტყვის. ირისი თავის მორიგ მოვალეობას დედა-შვილის შეხვედრის შემდეგ აღასრულებს.[323] მიზნის მისაღწევად გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო. მომდევნო ეტაპი ტროას მეფეს უნდა შეესრულებინა. „ქარივით სწრაფფეხება“ ქალღმერთი ირისი პრიამოსის სასახლისაკენ გაიჭრა ილიონში, სადაც მწუხარება გამეფებულიყო.

ზევსის მაცნემ მიმართა პრიამოსს ძლივს გასაგონი (ჩუმი) ხმით,

---

[322] Richardson 1990, 91.

[323] თეტისისა და აქილევსის შეხვედრას უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

და [პრიამოსის] სხეული კი კანკალმა შეიპყრო.[324]
ილ. XXIV, 169-70.

პრიამოსის ასეთი რეაქცია ღვთაების შეცნობით იყო გამოწვეული. ირისი თავის წარმოთქმულ სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ (ἀλλ᾽ ἀγαθὰ φρονέουσα· Διὸς δέ τοι ἄγγελός εἰμι, *ილ.* XXIV, 173) „კეთილის მსურველი ზევსის მაცნე ვარ" და მისი დავალებით ეახლა ჰექტორის მამას. მაცნემ მეფეს გადასცა კრონოსის ძის დანაბარები: პრიამოსს თავად უნდა მიერთმია აქილევსისათვის ძღვენი და სანაცვლოდ გმირი ჰექტორის გვამს დაუთმობდა. ზევსის გეგმის მიხედვით, მხოლოდ პრიამოსი უნდა ხლებოდა პელევსის ძეს, ხოლო გამცილებლად და მისი უსაფრთხოების გარანტად ჰერმესს მიუვლენდა. ზევსი იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ იქნება მეფის დამცველი – არც გმირი აღმართავს მის წინააღმდეგ მახვილს და არც სხვას მიუშვებს მავედრებელთან სამტროდ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი შეხვედრა ორ მტრულად განწყობილ მხარეს შორის, რომელიც შეთანხმების მიღწევით უნდა დასრულდეს. ამ შეხვედრის ინიციატორი კი თავად ზევსია, რომელიც ორივე მხარეს ელჩების საშუალებით წინასწარ ამზადებს. ზევსი ჰერმესს ავალებს პრიამოსის შეუმჩნევლად შესვლას აქაველთა ბანაკში, სადაც იგი წარმოგვიდგება როგორც კეთილშობილი ახალგაზრდა, „რომელსაც წვერი ახალი ამოსული აქვს და ახალგაზრდობის გაფურჩქვნის ასაკშია" (*ილ.* XXIV, 347; შდრ. *ოდ.* X, 277). ამ ეპიზოდში ჩანს, რომ მიუხედავად ირისის ღვთაებრიობისა, ჰერმესს ყველაზე უკეთ შეუძლია ჰექტორის მამის საიდუმლოდ გამგზავრება და გაცილება. ამით პოეტი კიდევ უფრო აკონკრეტებს ორ მაცნეს შორის ფუნქციათა იმ ნიუანსურ სხვაობას, რომლის მიხედვითაც ჰერმესსა და ირისს გამოიჯნავს ერთმანეთისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპიზოდში ჰერმესს არა მარტო ელჩის, არამედ მეგზურის ფუნქციაც აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ტროელთა მეფის უსაფრთხოდ მიცილება და მშვიდობიანი შეხვედრა აქი-

[324] στὴ δὲ παρὰ Πρίαμον Διὸς ἄγγελος, ἠδὲ προσηύδα
τυτθὸν φθεγξαμένη· τὸν δὲ τρόμος ἔλλαβε γυῖα·

ლევსთან. თავად ჰერმესი კი ხელშეუხებელია, ვინაიდან ეს პრივილეგია ზევსისგან აქვს მინიჭებული.

[პრიამოსმა] არც სიკვდილზე იდარდოს გულში და არც შიშზე;
მას გავაყოლებთ გამცილებლად სწრაფ ჰერმესს.[325]
ილ. XXIV, 153-54.

ჰერმესი ზევსის დავალებით გმირთა მფარველის და გამცილებლის ფუნქციებსაც ასრულებს, თუმცა ამ მისიის შესრულებისას ტერმინ ἄγγελος-ის ნაცვლად ჰომეროსი ეპითეტებს πομπός-ს („გამცილებელი", „დაცვით თანმხლები", *ილ.* XXIV, 153, 182, 437, 461) ან ὀδοιπόρος-ს („თანამგზავრი", „გამცილებელი", *ილ.* XXIV, 375; *ოდ.* XI, 626) გამოიყენებს, რაც აღნიშნულ მოვალეობათა ზუსტ შინაარსს მოიცავს. ასევე აცილებს იგი ჰერაკლეს ჰადესში ჩასვლის და უკან ამოსვლის ჟამს (*ოდ.* XI, 625). აღსანიშნავია, რომ ჰომეროსთან ჰერმესის ეპითეტი πομπός უფრო გვიან ძველ ბერძნულში გაარსებითებულია და „თანამგზავრის", „წარგზავნილის" მნიშვნელობით გვხვდება. ახალ ბერძნულში კი „გადამცემის" მნიშვნელობით დამკვიდრდა. ჰომეროსიდან მოყოლებული დასტურდება ამ ტერმინის მდედრობითი ფორმა ἡ πομπός, რომელიც „გამცილებელ ქალს" აღნიშნავს. τοίη γάρ οἱ πομπὸς ἅμ᾽ ἔρχεται... („შენთან გამცილებლად [ათენა] მოდის,..") (*ოდ.* IV, 826); Ἑρμείας· σοὶ γάρ με πατὴρ ἅμα πομπὸν ὄπασσεν. („ჰერმესი [ვარ]; შენთან მამამ მომავლინა გამცილებლად".) (*ილ.* XXIV, 461). ჰერმესი თავად არის დარწმუნებული იმაში, რომ თუ ტროელთა მეფეს მეგზურობას გაუწევს, მას ვერც ზღვაზე და ვერც ხმელეთზე ვერაფერი აღუდგება წინ.

ასეთ გამცილებელთან ვერავინ შეგებრძოლება და ვერც
გისაყვედურებს.[326]
ილ. XXIV, 439.

გარდა იმ ეპითეტებისა, რომლებზეც ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება, პოემებში ჰერმესი მოიხსენიება, როგორც κρατύς

[325] μηδέ τί οἱ θάνατος μελέτω φρεσὶ μηδέ τι τάρβος·
τοῖον γάρ οἱ πομπὸν ὀπάσσομεν᾽ Αργεϊφόντην.

[326] οὐκ ἄν τίς τοι πομπὸν ὀνοσσάμενος μαχέσαιτο.

(ძლიერი, შემძლე) Ἀργειφόντης-თან ერთად (*ილ.* XVI, 181; XXIV, 345; *ოდ.* V, 49, 148) და ასევე σῶκος (ძლიერი, მძლავრი), რითაც ხაზგასმულია მისი ძლიერება.

ამ ეპიზოდშიც, რა თქმა უნდა, ყოველივე სრულდება ზევსის სურვილის თანახმად. ჰერმესი წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, პრიამოსი აქილევსის კარავში ყველასაგან შეუმჩნევლად შედის და შვილის მკვლელს ფერხთ უვარდება და ხელებს უკოცნის. მიუხედავად იმისა, რომ აქილევსი თითქოს მზად იყო პრიამოსთან შესახვედრად და მოულოდნელი არ ყოფილა მისი გამოჩენა, მოხუცი მამის სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. ტროას მეფე მწუხარებისა და მტრობის ნაცვლად, სიბრალულსა და თანაგრძნობას სთავაზობს გმირს, რაც მათ შორის შეუთანხმებლობას იმთავითვე გამორიცხავს.[327] ისინი ერთმანეთს დიდ ტკივილსა და ემოციას უზიარებენ, რაც კიდევ უფრო დრამატულს ხდის ამ სცენას. ღმერთებმა ხელი შეუწყვეს პრიამოსს, მისულიყო აქილევსთან, და სასოწარკვეთილი ვედრებით მიემართა მისთვის, ხოლო პელევსის ძეს ეჩვენებინა, რომ მას შეუძლია მტრის მიმართაც კი თანაგრძნობა გამოხატოს.[328] ღამით ჰერმესი ცხენებს შეუკაზმავს მოხუცს და როდესაც ჰექტორის გვამს აქაველთა ბანაკიდან მშვიდად გამოაცილებს, მხოლოდ მაშინ ტოვებს მაცნე ჰერმესი მათ და ოლიმპოსისაკენ მიეშურება.

ჰომეროსის პოემებში მეორე ე. წ. „ფუნქციონერი ელჩი" სწორედ ჰერმესია. მისი უმთავრესი მოვალეობა ზევსის მსახურებაა. ჰომეროსთან იგი წარმოჩენილია, როგორც ზევსის მაცნე და შესაბამისად, პოეტი ჰერმესის აღსანიშნადაც გამოიყენებს ტერმინ ἄγγελος-ს. თუმცა ჰერმესსა და ირისს შორის მაინც საკმაოდ დიდი განსხვავებაა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პოეტი ირისს ტერმინ ἄγγελος-ით არ მოიხსენიებს, მაცნე ქალღმერთის მისია ყოველთვის ინფორმაციის გადაცემას ან ელჩობას უკავ-

---

[327] „ილიადის" XXIV სიმღერაში აქილევსისადმი წარმოთქმულ პრიამოსის სიტყვას სტრუქტურული თვალსაზრისით მომდევნო თაეში – დიპლომატიური სიტყვების აგებულებისათვის „ილიადასა" და „ოდისეაში" – განვიხილავთ.

[328] გორდეზიანი 2014, 108.

შირდება. ჰერმესი კი ბევრი სხვა ფუნქციის მატარებელი ღმერთია. იგი გათანაბრებულია ეგვიპტურ თოთთან და ჰერმეს ტრისმეგისტოსად (Ἑρμῆς ὁ Τρισμέγιστος) არის ცნობილი.[329] ჰერმესი სკნელებს შორის ამყარებს კავშირს და ფუძემდებელია არაორდინალური რელიგიური დოქტრინისა. ბერძნულ ღვთაებათა პანთეონში ძნელია მოიძებნოს მისი მსგავსი მოვალეობათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენი კვლევის სფეროდან გამომდინარე მხოლოდ ჰერმესის ელჩობის მისიაზე შევჩერდებით.

ჰერმეს, შენ სხვა თუ არაფერი, მაცნე ხარ;[330]
ოდ. V, 29.

ჰომეროსი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ჩამოდის ჰერმესი ოლიმპოსიდან, როცა წარგზავნა იგი ზევსმა ნიმფა კალიფსოსთან. მას ოქროს სანდლები ეცვა, რათა დაუბრკოლებლად გადაელახა ზღვა და ხმელეთი. ჰომეროსთან ამ ეპიზოდით დასტურდება ჰერმესის კავშირი ქარის ღვთაებასთან და აქედან მომდინარეობს მისი მწყემსებისა და გზის მფარველობის ფუნქცია.[331] თავდაპირველად ჰერმესი ქარისა და ჰაერის ღმერთი იყო. ქარს კი უკვდავნი თავიანთი გზავნილებისათვის იყენებდნენ. როგორც ქარი ჩამოუვლის მთებიდან ქვეყანას, ასევე ჰერმესი ეშვება ქარივით სწრაფად ოლიმპოსიდან. ამ ფუნქციის გამო მას მოგვიანებით ფრთებით გამოსახავდნენ. თუმცა ჰომეროსთან მისი ატრიბუტი, რომელიც ძალასა და სისწრაფეს ჰმატებდა, სანდლები იყო. თუ ჰომეროსის ეპოსში ჯერ კიდევ არ არის ლაპარაკი ჰერმესის ფრთიანობაზე, მისი მოძრაობები აღწერილია, როგორც ძალიან სწრაფი დაშვება ან ფრენა (πέτετο), ასევე შედარებულია ზღვის ტალღებზე თოლიის ფრენასთან (*ილ.* XXIV, 340; *ოდ.* V, 44). ჰერმესს ფეხთ სანდლები ემოსა (καλὰ πέδιλα), რომელიც წყალზე ფეხს არ უსველებდა, მიწაზე კი ქარიშხალივით მიაქროლებდა. ხელში კი მაცნე ღმერთს კვერთხი ეჭირა. აქედან მომდინარეობს ჰერმესის ეპითეტი χρυσόῤῥαπις.

[329] Ebeling 2007.

[330] Ἑρμεία· σὺ γάρ αὖτε τά τ' ἄλλα περ ἄγγελος ἐσσι·

[331] Roscher 1884-1937, 2367.

ჰერმესის კვერთხს, რომელიც ოქროთი იყო მოვარაყებული, მაგიური ძალა ჰქონდა. უკვდავ მაცნეს შეეძლო მისი საშუალებით მოკვდავები დაეძინებინა ან გაეღვიძებინა. უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ჰერმესის ამ პრივილეგიასა და ფუნქციაზე ორივე პოემაში ამახვილებს ყურადღებას, რაც შესაძლოა გარკვეულ ფორმულადაც კი მივიჩნიოთ. ამგვარი გამეორებები ჰომეროსის პოემებში, რ. გორდეზიანის აზრით, სავსებით მიზანმიმართულად არის გამოყენებული.[332]

ხელთ ეპყრა კვერთხი, რომლითაც ადამიანთა თვალებს ძილს
გვრიდა,
თუ სურდა, დაძინებულებს კი აღვიძებდა.[333]
ილ. XXIV, 343-44; *ოდ.* V, 47-48.

ანტიკურობაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ჰერმესმა კვერთხი აპოლონისაგან მიიღო, მეცნიერებაში გაზიარებული არ არის, ვინაიდან როგორც ღმერთების მაცნეს, მას ეს ატრიბუტი თავიდანვე უნდა ჰქონოდა.[334] ტრადიციის თანახმად, ჰერმესი თავისი ატრიბუტებითა და ფუნქციებით ღმერთების ელჩად მიიჩნეოდა. ამგვარი ტრადიცია უკვე ჰომეროსის ეპოსში დასტურდება. სწორედ „ოქროს კვერთის მპყრობელი" (Ἑρμεία χρυσόῤῥαπι) ჰერმესი წარგზავნა ზევსმა ნიმფა კალიფსოსთან მისი ნების საუწყებლად: გაეშვა ოდისევსი კუნძულიდან, რათა გმირს შეძლებოდა სამშობლოში დაბრუნება (*ოდ.* V, 29-42). ნიმფა ამბროსიითა და ნექტარით გაუმასპინძლდა კუნძულზე მისულ სტუმარს. ჰერმესის სიტყვაში ნათლად ჩანს ზევსის წინაშე დაკისრებული სტატუსი და მოვალეობა. მან ამცნო, რომ ზევსის დავალებით ეახლა კალიფსოს. სანამ ჰერმესი ზევსის ნებას აუწყებდა ნიმფას, თავდაპირველად ზევსის უზენაესობა შეახსენა ქალღმერთს.

---

[332] გორდეზიანი 2014, 82.

[333] εἵλετο δὲ ῥάβδον, τῇ τ' ἀνδρῶν ὄμματα θέλγει
ὧν ἐθέλει, τοὺς δ' αὖτε καὶ ὑπνώοντας ἐγείρει·

[334] Roscher 1884-1937, 2365. შდრ. ჰომეროსის ჰიმნი ჰერმესისადმი 529. Schol. *ილ.* XVIII, 256.

მაგრამ ეგისისმპყრობელი ზევსის აზრს ვერავინ აღუდგება,
ვერც სხვა ღმერთი შეცვლის, ვერც ვერავინ გადავა.[335]
ოდ. V, 104-105.

აქ კიდევ ერთხელ იკვეთება უკვდავთა შორის ძალაუფლების ბალანსი, როცა ვერავინ შეცვლის კრონოსის ძის სიტყვას და ვერც ვერავინ აღუდგება წინ მის ნება-სურვილს. ზევსის ბრძანებას ერთნაირად უნდა ემორჩილებოდეს როგორც მოკვდავი, ისე უკვდავიც.[336] ღმერთთა შორის ძალთა იერარქიის ხაზგასმით ჰერმესი ცდილობს დაარწმუნოს ნიმფა, რომ ზევსის ნება უნდა აღსრულდეს, სურს თუ არა ეს მას, რათა მისი ელჩობა, რომელიც ორიენტირებულია შედეგზე, წარმატებით დასრულდეს. ჰომეროსის პოემებში ზევსის მაცნეებისათვის ეს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია მეორე მხარის დასარწმუნებლად. ისინი, უმეტესწილად, ზევსის უზენაესობის აღნიშვნის შემდეგ იწყებენ თავიანთ სათქმელს. ამ ხერხით თითქოს ნიადაგს ამზადებენ შუამავლები იმისთვის, რომ მათ მისიას შედეგი მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ კალიფსო უხალისოდ ხვდება კრონოსის ძის სურვილს, იძულებულია დამორჩილდეს უზენაესის ნებას. ჰერმესმა თანხმობა მიიღო ნიმფა კალიფსოსაგან და დამშვიდობებისას ასეთი სიტყვებით მიმართა:

კარგია უშვებ; ძრწოდე ზევსის რისხვის ნინაშე,
განრისხებული უკან რომ არ შემოგირისხდეს.[337]
ოდ. V, 146-47.

ჰერმესი, რომელიც ორ უკვდავს შორის შუამავლის როლს ასრულებს, ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიება. მან, როგორც ელჩმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზევსის მიერ დაკისრებულ დავალებას წარმატებით გაართვა თავი. საინტერესო პარალელები შეიძლება გავავლოთ ჰერმესის სიტყვასა და შუმერული

[335] ἀλλὰ μάλ' οὔ πως ἔστι Διὸς νόον αἰγιόχοιο
οὔτε παρεξελθεῖν ἄλλον θεὸν οὔθ' ἁλιῶσαι.

[336] Taplin 1992, 128-43.

[337] οὕτω νῦν ἀπόπεμπε, Διὸς δ' ἐποπίζεο μῆνιν,
μή πώς τοι μετόπισθε κοτεσσάμενος χαλεπήνῃ.

პოემის „ენმერქარი და არათას ქურუმის“ მაცნის მიერ წარმოთქმულ სიტყვას შორის. რა სტრუქტურა აქვს ამ ორ სიტყვას:

ა) ზევსის ნების უზენაესობა/ინანას ნების უზენაესობა;

ბ) მთავარი სათქმელი მეორე მხარესთან;

გ) ზევსის ნების გარდაუვალობა/ინანას ნების გარდაუვალობა.

ჰერმესის, როგორც მაცნე ღმერთის ფუნქციები ირისის მსგავსად მოკვდავთა დონეზეც ვრცელდება. „ოდისეაში“ ზევსი კაცთა დამნაშავეობაზე მსჯელობს. ისინი არ ითვალისწინებენ ღმერთების რჩევას და შემდეგ სურთ თავიანთი უბედურებანი უკვდავთ დააბრალონ. კრონოსის ძეს მაგალითისათვის ორესტესის მიერ შურისგების გამო მოკლული ეგისთოსის ამბავი მოჰყავს. ზევსი იხსენებს, რომ მან ჰერმესი გაგზავნა ელჩად ეგისთოსთან, რომელმაც გააფრთხილა და ურჩია, არ მოეკლა აგამემნონი, ვინაიდან ატრიდების მემკვიდრე შურს იძიებდა (*ოდ.* I, 32-43). ეგისთოსმა არ შეისმინა ჰერმესის სიტყვა, არ დაემორჩილა მას და დაიღუპა კიდეც საკუთარი ცოდვის გამო. ამგვარი რამ ემართებათ ἀτασθαλίαι-ს ჩამდენთ, რომელსაც მოკვდავი ჩაიდენს მიუხედავად ღმერთის გაფრთხილებისა.[338] ჰომეროსთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზევსის შუამავლის ფუნქციას, რომელიც კრონოსის ძის ნების განმცხადებელი და მაუწყებელია. ამ მოტივით არის აუცილებელი მისი რჩევის გათვალისწინება. სხვადასხვა დამოკიდებულებამ ღვთიური ნებისა და ზევსის მაცნის ინფორმაციის მიმართ შესაძლოა ორგვარი შედეგი გამოიღოს ღმერთთა და კაცთა ცხოვრებაში. კალიფსო დაჰყვა ზევსის სურვილს, რომელმაც ჰერმესის შუამავლობით შეიტყო დანაბარები და აირიდა კიდეც კრონოსის ძის რისხვა. ეგისთოსმა კი ჰერმესის რჩევა არაფრად ჩააგდო, რის გამოც უბედურება დაატყდა თავს. ამდენად, ზევსის მაცნის ფუნქცია, რომელიც ორივე (მოკვდავთა და უკვდავთა) დონეზე ვრცელდება, ზევსის ნების განხორციელებას ემსახურება და ამასთან ამ პერსონაჟების ბედსაც კი განკარგავს. სწორედ ეს მისია ანიჭებს ზევსის მაცნეებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მათი უპირველესი მოვალეობა ღვთაებრივი ნების გაცხადებაა, რო-

[338] გორდეზიანი 2014, 104.

მელიც ამავე დროს ღვთაებრივი სიბრძნის მატარებელიცაა. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსი ამ ფუნქციით აღჭურვილ მაცნეებს ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიებს.

ჰერმესი, როგორც შუამავალი ზევსსა და ადამიანებს შორის, გვხვდება იმ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია აგამემნონის კვერთხის წარმომავლობის ისტორია. ჰეფესტომ თავისი გამოჭედილი კვერთხი თავდაპირველად ზევსს აჩუქა. ზევსმა კი ჰერმესს გადასცა. ჰერმესი ამ ძღვენს პელოფსს – აგამემნონისა და მენელაოსის პაპას გადასცემს, შემდეგ პელოფსმა თავის შვილს, ატრევსს დაუთმო. ატრევსმა სიკვდილის წინ ღვთაებრივი კვერთხი თიესტეს უძღვნა, რომლისგანაც საბოლოოდ იგი აგამემნონს ხვდა წილად (*ილ.* II, 101-109). ეს კიდევ ერთ-ერთი დამადასტურებელი ეპიზოდია, როდესაც ჰომეროსი ცდილობს, მოძებნოს კავშირი უკვდავ ღმერთთა და ადამიანურ სამყაროს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ჰერმესი სწორედ იმ ფუნქციის მატარებელი ღმერთია, რომელსაც შეუძლია ადვილად დაამყაროს ურთიერთობები მოკვდავებთან, ჩაწვდეს მათ სურვილებს, ხელი მოუმართოს ამა თუ იმ საქმეში, მიიტანოს ღმერთებთან მათი ვედრება და დაასაჩუქროს კიდეც. იგი ერთ-ერთ მთავარ, შესაძლოა, დამაკავშირებელ ფიგურას წარმოადგენს ამ ორ მნიშვნელოვან სამყაროს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ჰესიოდესთანაც ჰერმესი მოხსენიებულია, როგორც უკვდავთა მაცნე (შდრ. „სამუშაონი და დღენი" 84 შმდ.). ჰერმესი მიუხედავად იმისა, რომ ზევსის მაცნეა, ირისისაგან განსხვავებით, არ ერევა თავისი ინიციატივით სხვადასხვა ეპიზოდში, არ ავრცელებს ინფორმაციას ზევსის ნებართვის გარეშე და ელჩის ფუნქციას არც სხვა ღმერთების დავალებით ასრულებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირისი უფრო მეტჯერ აღასრულებს „ილიადაში" შუამავლის ფუნქციას, ვიდრე ჰერმესი ორივე პოემაში ერთად. თუმცა ეს ფაქტორი სრულებითაც არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ჰერმესის, როგორც ზევსის მაცნის (Διὸς ἄγγελος) ფუნქციურ მნიშვნელობას. მით უფრო, რომ ჰერმესი ირისისაგან განსხვავებით მულტიფუნქციური ღმერთია და გარდა ელჩობისა, იგი არა ერთ სხვა სფეროშიც მეუფებს.

ჰომეროსის პოემებში ღვთაებრივ დონეზე გვხვდებიან ე. წ. „არაფუნქციონერი ელჩებიც“, რომლებიც ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიებიან და ამ მისიას გარკვეულ სიტუაციებში სხვა ღმერთები ასრულებენ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ელჩობა ზოგადად მათი პროფესიული მოვალეობაა. ისინი მოცემულ მომენტში იღებენ საკუთარ თავზე ამ საპასუხისმგებლო მისიას. მნიშვნელოვანია ის, რომ ზევსის მაცნის (Διὸς ἄγγελος) ფუნქციას მხოლოდ ღმერთები ასრულებენ. ამ პრივილეგიით უკვდავნი სარგებლობენ და მარტო მათ ძალუძთ აღნიშნული მოვალეობის აღსრულება. თეტისი არ არის ზევსის „ფუნქციონერი ელჩი“, მაგრამ როგორც უკვდავს შეუძლია გახდეს ზევსის წარგზავნილი და წარსდგეს მეორე მხარესთან შუამავლის სტატუსით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეტისი ზევსის დავალებით მიდის აქილევსთან, რათა ამცნოს მისი ნება. უზენაეს ღმერთს სურს, კვლავ მიანიჭოს დიდება აქილევსს, რადგან, როგორც თავად ეუბნება თეტისს, მისი სიყვარული და პატივისცემა გულში აქვს. თუმცა გმირს მოუწევს დაიცხროს მრისხანება და დათმოს ჰექტორის გვამი მას შემდეგ, რაც პრიამოსი ძვირფასი საჩუქრებით მიადგება აქილევსის ბანაკს. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რათა აღდგეს აქილევსის პატივმოყვარეობა და ჰექტორსაც სათანადო პატივი მიეგოს. ზევსი მოითხოვს ამ პირობის შესრულებას გმირისაგან, თუ აქილევსს მის მიმართ რიდი და მოწიწება გააჩნია. პელევსის ძე ისეა მოცული მრისხანებით და სამაგიეროს გადახდის სურვილით, რომ მან ეტლზე შებმული ჰექტორის გვამი სამჯერ შემოატარა პატროკლოსის საფლავს და ბოლოს იქვე დააგდო, რამაც, ფაქტობრივად, შეძრა ღმერთები ოლიმპოსზე და დაიწყო მსჯელობა უკვდავთა შორის გვამის გამოხსნის თაობაზე. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ზოგიერთი ჰერმესს გვამის მოპარვასაც კი სთხოვდა (*ილ.* XXIV, 24, 109), ზევსმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რასაც ვერც ერთი ღმერთი ვეღარ შეეწინააღმდეგა. კრონოსის ძემ შუამავლად შეურჩია აქილევსს ყველაზე ახლობელი – დედა, რომელსაც ენდობოდა გმირი და ანგარიშს უწევდა მის სიტყვას. თეტისმა იცოდა, რომ აქილევსს დაკარგული ჰქონდა საღი აზრი და რისხვას ჰყავდა შეპყრობილი. თუკი „ილიადის“ პირველ სიმ-

ღერაში გადმოცემულია ის, როგორ სთხოვს თეტისს აგამემნონზე განრისხებული აქილევსი შური აძიებინოს ზევსმა აქაველებზე, ვიდრე ისინი საკადრის პატივს არ მიაგებენ აქილევსს, ბოლო სიმღერაში პირიქით, უკვე ზევსი აგზავნის ელჩობის ფუნქციით თეტისს აქილევსთან, რათა მან დაარწმუნოს შვილი, უარი თქვას რისხვაზე და დააბრუნოს ჰექტორის გვამი. შვილთან მისვლისას თეტისი აუწყებს მას, რომ იგი მოცემულ მომენტში ზევსის მაცნეა (Διὸς δέ τοι ἄγγελος εἰμι. *ილ.* XXIV, 133) და ამ სიტყვებში ისიც იგულისხმება, რომ არ შეიძლება მას უარი ეთქვას. თავად თხოვნა ზევსისგან მოწმობს, რომ თეტისმა და აქილევსმა ერთად „დაიმორჩილეს“ ოლიმპოსი.[339] მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოვლენათა წარმართვის საქმეში. აქილევსი სხვა გმირებისაგან განსხვავებით ქალღმერთის შვილია და მისი პრივილეგიაა დედის შუამავლობით ზევსს ხმა მიაწვდინოს; უფრო მეტიც, მისი სურვილი ზევსმა გაითვალისწინოს და თავისი ბრძოლის გეგმა შესაბამისად განკარგოს. თეტისის თხოვნის შედეგი იყო ის უბედურება, რაც აქაველებს დაატყდათ თავს აქილევსის რისხვისა და განდგომის შემდგომ. ზევსი უთმობს თეტისს არა თავისი სურვილის გამო, არამედ იმიტომ, რომ მან ვერ შეაქცია ზურგი ქალღმერთის თხოვნას (შესაძლებელია მადლიერების ნიშნად წარსულში გაწეული სამსახურის გამო), თუმცა თეტისის თხოვნის შესრულება მრავალი ბერძენის დაღუპვას მოასწავებდა.[340] რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, გმირი ზევსის ნებას ითვალისწინებს და ემორჩილება მას. მიუხედავად იმისა, რომ აქილევსი ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას არაორდინარული და იმპულსურია. ამ ეპიზოდში ყოველგვარი წინააღმდეგობის გამოხატვის გარეშეთანხმდება ზევსის პირობას.

> მაშინ მოვიდეს, ვინც გამოსასყიდს მოიტანს და გვამს წაიღებს,
> თუ ოლიმპიელის ძლიერი სურვილია და თავად მოითხოვს.[341]
>
> *ილ.* XXIV, 139-40.

---

[339] Slatkin 1991, 95.

[340] Rutherford 1996, 45.

[341] τῇδ' εἴη· ὅς ἄποινα φέροι, καὶ νεκρὸν ἄγοιτο,
εἰ δὴ πρόφρονι θυμῷ Ὀλύμπιος αὐτὸς ἀνώγει.

კონფლიქტი „ღვთაებრივი შერიგებით“ სრულდება. ზემოაღნიშნული ეპიზოდებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ გადამწყვეტ მომენტში ზევსსა და აქილევსს შორის შუამავლის ფუნქციას თეტისი ასრულებს. ელჩის წარგზავნას პოემაში ფორმალური ხასიათი არ აქვს. მისი მოვალეობა შედეგზეა ორიენტირებული, რომელიც ზევსის გეგმის განხორციელებას ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ ზევსი სწორედ დედას აგზავნის, როგორც საკუთარ მაცნეს (Διὸς ἄγγελος) პელევსის ძესთან დასარწმუნებლად, თუმცა ეს მოვალეობა შეეძლო შეესრულებინა კრონოსის ძის „ოფიციალურ ელჩსაც“. ვფიქრობთ, არც ის მისია დასრულდებოდა უშედეგოდ, რადგან ბოლოს და ბოლოს ზევსის სურვილი ყოვლისგანმსაზღვრელია, მაგრამ არ ხდება სიტუაციის გართულება. სიუჟეტი ვითარდება გარკვეული კანონზომიერებით და ზევსი აქილევსთან ყველაზე ახლობელს – დედას აგზავნის, რომელიც ასევე უკვდავია. ჰომეროსი ცალკეულ შემთხვევებში, პერსონაჟების ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად არჩევს შუამავალს საგანგებო მისიისათვის, რათა წამონყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდეს. რა თქმა უნდა, თეტისი „ფუნქციონერ ელჩზე“ უკეთ შეძლებდა შვილის დაყოლიებას ყოველგვარი დამატებითი გართულებების გარეშე და ამავე დროს ზევსის ნების აღსრულებას. თეტისი არ არის ზევსის „ოფიციალური მაცნე“ და არც ეს მისიაა მისი ფუნქციური არსის განმსაზღვრელი, მაგრამ მას, როგორც უკვდავს შეუძლია გახდეს ზევსის შუამავალი, მით უმეტეს, საკუთარ შვილთან. ვფიქრობთ, ამიტომ მოიხსენიებს ჰომეროსი თეტისს ტერმინ ἄγγελος-ით მაშინ, როცა ზევსის დავალებით მიდის იგი აქილევსთან. თუმცა საყურადღებოა, რომ „ილიადის“ I სიმღერაში (495-525) პოეტი ქალღმერთის მისიის აღსანიშნავად არ გამოიყენებს იმ ტერმინს (ἄγγελος-ს), რომელიც მისი ელჩობის ფუნქციას გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად თეტისი ამ ეპიზოდშიც შუამავლია მოკვდავ შვილსა და უზენაეს ღმერთს შორის. აქ მნიშვნელოვნებას იძენს ის ფაქტი, ვისგან არის წარგზავნილი მაცნე – უკვდავის (ამ შემთხვევაში ზევსის) თუ მოკვდავის მიერ? როცა ღმერთისაგან მომდინარეობს ელჩობის ინიციატივა, შუამავალი „ანგელოსია“, ხოლო თუ მოკ-

ვდავს სურს ხმა მიაწვდინოს ღმერთს მაცნის საშუალებით, თუნდაც ის უკვდავი იყოს, პოემებში მაშინ ელჩობის მისიის შემსრულებელი არ მოიხსენიება აღნიშნული ტერმინით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტერმინი ἄγγελος-ი თავის თავში, ყოველ შემთხვევაში ღვთაებრივ დონეზე, ზევსის მაცნეს გულისხმობდა და თავდაპირველად იგი მხოლოდ უკვდავ მაცნეს აღნიშნავდა. სხვა მხრივ, აქილევსთან წარგზავნილი თეტისი, რომელიც მოცემულ მომენტში ზევსთან ელჩობისას უკვდავი შუამავალი იყო, ტერმინ ἄγγελος-ით უნდა მოხსენიებულიყო.

ჰომეროსის პოემებში ტერმინ ἄγγελος-ით სახელდებული კიდევ რამდენიმე ღვთაება გვხვდება. „ილიადის" ერთ-ერთ ეპიზოდში ნესტორი უამბობს პატროკლოსს თავის სიჭაბუკეში ელეებთან გადამხდარ ბრძოლის ამბავს.

ქალაქ ფრიოესთან, როცა მტერმა ალყა შემოარტყა ციხეს, ნესტორსა და მის თანამებრძოლებს ათენა მოევლინა მაცნედ:

... ჩვენთან ათენა
მაცნედ მოვიდა ოლიმპოსიდან [ჯარის] აღსაჭურვად.[342]
ილ. XI, 714.

ქალღმერთმა აუწყა მათ ელისის მცხოვრებთა განზრახვა და ჯარს თავი მოუყარა საბრძოლველად. ათენა საკუთარ თავზე იღებს ამბის შეტყობინებასა და გმირების დახმარებას. ბრძოლის ველზე ღვთაებრივი ჩარევა ხშირად გვხვდება პოემებში. თუმცა მათ მიმართ ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება ტერმინი ἄγγελος-ი. ვინაიდან ჩვენ მიერ აღნიშნულ ეპიზოდში ქალღმერთი ათენა საბრძოლველად მოუხმობს ნესტორს და ინფორმაციას ავრცელებს, მას მაცნის ფუნქციის გამო, კონტექსტიდან გამომდინარე, ჰომეროსი მოიხსენიებს აღნიშნული ტერმინით. აქ ხომ ღვთაებრივი ნებისა და გაფრთხილების მაუწყებელი მაცნე მოიაზრება.

---

[342] ... ἄμμι δ'' Αθήνη
ἄγγελος ἠλθε θέουσ' ἀπ'' Ολύμπου θωρήσσεσθαι.

„ოდისეაში“ ჰელიოსიც გვხვდება ერთხელ ტერმინ ἄγγελος-ით. ალკინოოსის მიერ ოდისევსის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე ბრმა აედი დემოდოკოსი თავისი სიმღერებით ართობს შეკრებილთ. იგი აფროდიტესა და არესის ტრფობის შესახებ უამბობს მსმენელებს. ამ ღვთაებათა ფარულ სიამტკბილობას ჰელიოსი მოჰკრავს თვალს. იგი ამცნობს ჰეფესტოს ცოლის ღალატის ამბავს, რის შემდეგაც მჭედლობის ღმერთი ბადეს გამოჭედავს და ამით მათ საქციელს საქვეყნოდ ამხელს (*ოდ.* VIII, 270-327).

მაშინვე მაცნედ მივიდა
ჰელიოსი, რომელმაც ამცნო მათი კავშირის შესახებ.[343]
ოდ. VIII, 270.

როგორც ცნობილია, ჰელიოსი ბერძენთა წარმოდგენაში სამართლიანობის ქომაგი ღვთაება იყო, რომელიც უსამართლობის ჩამდენთ შიშის ზარს სცემდა. მისი სახე ზეციურ სხეულებთან მიმართებაში მოიაზრებოდა. ღმერთთა გენეალოგიებისა და მოწესრიგებული ოლიმპიური რელიგიის წარმოშობამდე, ჰელიოსი ზეცის მმართველად იგულისხმებოდა.[344] თუმცა ელჩობა მის ფუნქციებში არ შედიოდა. ჰომეროსი მზის ღმერთთან მიმართებაში ტერმინ ἄγγελος-ს გამოიყენებს მხოლოდ იმიტომ, რომ მოცემულ მომენტში იგი ამბის შემტყობინებლის, მაცნის ფუნქციას ასრულებს.

„ოდისეას“ XII სიმღერაში ნიმფა ლამპეტიე (Λαμπετίη) აუწყებს ჰელიოსს, თუ როგორ დაკლეს და შეწვეს მზის ღვთაების ძროხები ოდისევსის მეგობრებმა. ამ შემთხვევაში ამბის შემტყობინებელი ნიმფა მოიხსენიება მაცნის აღმნიშვნელი ტერმინით.

სწრაფი მაცნე [ლამპეტიე] ეწვია უმაღლეს ჰელიოსს.[345]
ოდ. XII, 374.

---

[343] ... ἄφαρ δέ οἱ ἄγγελος ἦλθεν
Ἠλιος, ὃ σφ᾽ ἐνώησε μιγαζομένους φιλότητι.

[344] ჯუღელი 1998, 158.

[345] Ὠκέα δ᾽ Ἠελίῳ Ὑπερίονι ἄγγελος ἦλθεν.

ჰომეროსის პოემებიდან მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ტერმინი ἄγγελος-ი არამარტო „ფუნქციონერი ელჩების" მიმართ გამოიყენება. პოეტი იმ ღვთაებებსაც მოიხსენიებს აღნიშნული ტერმინით, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ახდენენ ამბის შეტყობინებას. როგორც ჩანს, სიტყვა ἄγγελος-ს ევოლუციის გარკვეული გზა ჰქონდა გავლილი. თანდათან ეს ტერმინი ზოგადი მაცნის მნიშვნელობას იძენდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში თავდაპირველად უმაღლესი ღვთაების მაცნე მოიაზრებოდა მხოლოდ.

იმ დროისათვის, რომელსაც აღწერს ჰომეროსი, ბერძენთა წარმოდგენის მიხედვით, ღმერთები ხშირად ერეოდნენ ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი თავიანთ ნებას მოკვდავებს ან მაცნის, ან ღვთაებრივი ნიშნის საშუალებით ატყობინებდნენ. ადამიანებმა კი იცოდნენ, რომ გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ღმერთებისაგან სასჯელი ელოდათ. ამიტომ განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდნენ ისინი ღვთაებრივ მინიშნებას. ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც ხშირად გვხვდება ჰომეროსიდან მოყოლებული ბერძნულენოვან ლიტერატურაში არის ღვთაებრივი სიზმარი (θεῖος Ὄνειρος). პოეტი აღნიშნავს „ილიადაში", რომ „სიზმარი თავად ზევსისგან არის"... (- και γάρ τ' ὄναρ ἐκ Διός ἐστιν -, *ილ.* I, 63). სიზმარი უნდა აეხსნა ბრძენ, მოაზროვნე, გამოცდილ და გონიერ განმმარტებელს, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ ὀνειροκριτικός-ს ან ὀνειροπόλος-ს.[346] ზევსი იმის ფიქრში, თუ როგორ დაესაჯა აქაველები აქილევსის ღირსების შელახვისათვის, გადაწყვეტს, გაგზავნოს აგამემნონთან სიზმარი ანუ ონეიროსი. კრონოსის ძე უხმობს მას და უბრძანებს, წავიდეს აქაველთა გემებთან და გადასცეს მეფეს მისი დანაბარები. ონეიროსი მოისმენს ზევსის მითითებებს და მაშინვე გაემართება აგამემნონის კარავისაკენ. აგამემ-

[346] ელინები ოდითგანვე ცდილობდნენ აეხსნათ სიზმრის ფენომენი. ჯერ კიდევ ჰომეროსი გამოყოფდა სიზმრის ორგვარ ტიპს: ერთი – მაცდუნებელი, ცრუ სიზმარი, რომელიც სპილოს ძვლის კარიდან გამოდის, ხოლო მეორე – ახდენილი სიზმარი, რომელიც უბრალო რქის კარიდან გამოდის (ოდ. XIX, 559-67). ამგვარ ინტერპრეტაციას ვერგილიუსიც გვთავაზობს *ენეიდაში* (VI, 893-96). Борхес 2000. 66-74.

ნონი ხედავს უზენაესის მიერ გაგზავნილ მაცდურ სიზმარს. მაცნე ნესტორის სახით ურჩევს მას საბრძოლველად გაიყვანოს აქაველები. იგი აღნიშნავს, რომ ზევსის მაცნეა (Διὸς δέ τοι ἄγγελος εἰμι. *ილ.* II, 26) და მის დავალებას ასრულებს. კრონოსის ძე, რომელიც ზეცაშიც ზრუნავს აგამემნონზე, ჰპირდება ტროას დამარცხებაში დახმარებას. აგამემნონთან სიზმრის საშუალებით აღწევს ზევსის სურვილი – განახლდეს ბრძოლა. ზევსის მაცნემ ჩააგონა აქაველთა მმართველს ღვთაებრივი ნება, რომელსაც იგი ემორჩილება. ზევსის მიერ გაგზავნილი მაცნე ონეიროსი, რომელიც პერსონიფიცირებულია, ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიება. ეს არ არის ჩვეულებრივი სიზმარი, რადგან ღვთაებრივი გზავნილის მატარებელია. მას შემდეგ, რაც უხუცესთა საბჭო გადაწყვეტს, დაემორჩილონ ისინი აგამემნონს და თავი მოუყარონ საბრძოლველად ლაშქარს, მებრძოლთა ომისათვის აღგზნების პროცესში ერთვება ოსა (Ὄσσα – ზევსის მაცნე), რომელიც აქ წარმოდგენილია როგორც ზევსის „ანგელოსი“. როცა იგი ზევსის რჩევას უგდებდა ყურს, ამ დროს ოსა მაცნე ბრძოლის განახლებისაკენ მოუწოდებდა ჯარს. ჰომეროსის პოემებში, როგორც ვთქვით, ზევსის მაცნის მოვალეობას ასრულებს ოსაც (Ὄσσα Διὸς ἄγγελος. *ილ.* II, 93; Ὄσσα ἐκ Διός. *ოდ.* XXIV, 413), რომელიც მითოლოგიაში წარმოდგენილია აბსტრაქტულ ქალღმერთად მოარული ხმის განსახიერებით. იგი მხოლოდ ხმას ავრცელებს და ჯარს აღაგზნებს ბრძოლებისათვის. თავისთავად ὄσσα, ატიკ. ὄττα ἡ „ხმას“, „სიტყვას“, „ხმაურს“ ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეროსთან ზევსის მაცნე აბსტრაქტული სახით გვხვდება და კრონოსის ძის დავალებით მხოლოდ როგორც ქალღმერთი ავრცელებს ხალხში ამა თუ იმ ინფორმაციას. „ოდისეაშიც“ იგივე ფუნქცია ეკისრება მას. სასიძოების დახოცვის ამბავი სწორედ ოსამ გაავრცელა ქალაქში. იმის გამო, რომ მოარული ხმა ოსა ზევსის ნების გათვალისწინებით მოქმედებს და ღვთაებრივ ნებას აცხადებს დედამიწაზე, პოემებში ზევსის მაცნედ – Διὸς ἄγγελος-ად იწოდება.

ღვთაებრივი ნებით წარგზავნილი აპოლონის მაცნე ქორი შუამავლის ფუნქციას ასრულებს დედამიწაზე. როცა ტელემა-

ქოსისა და თეოკლიმენოსის საუბრის დროს ცაზე გამოჩნდა ქორი, რომელიც ველურ მტრედს გლეჯდა (ველური მტრედი ასახავდა მოშიშარობას, გაუბედაობას),[347] ნათელმხილველი თეოკლიმენოსი ამოიცნობს მასში ზეციურ მინიშნებას. იგი ამშვიდებს ტელემაქოსს და უხსნის, რომ ღვთაებრივი ნებით მოვლენილმა ქორმა ოდისევსის შთამომავლების ითაკაზე მეფობა და უძლეველობა აუწყა მათ. ვინაიდან ქორი ღვთაებრივ ნებას ამცნობს მოკვდავებს, ჰომეროსი მას, როგორც მაცნეს, ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიებს.

ქორი, აპოლონის სწრაფი მაცნე...[348]
ოდ. XV, 526-28.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზევსის ნების თუ ღვთაებრივი მინიშნების გაცხადება შუამავლის საშუალებით ხდება მოკვდავთა სამყაროში. ღმერთების სამსახურში მხოლოდ უკვდავნი ასრულებენ ელჩობის მისიას, თუმცა ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასდროს ეცხადებიან ადამიანებს თავიანთი ნამდვილი სახით, თუ არ ჩავთვლით აქილევსისა და თეტისის – დედა-შვილის მაგალითს. სწორედ იმ მაცნეების შეტყობინების წყალობით აღწევს დედამიწაზე ზეციური ინფორმაცია.

როგორც უკვე ცნობილია, ზევსის ელჩად ყოფნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მაცნის უკვდავებაა. თუმცა, რასაკვირველია, მოკვდავთა დონეზე ეს კანონზომიერება უკვე აღარ მოქმედებს. ტერმინ ἄγγελος-ით პოემებში იწოდებიან აგამემნონის, ოდისევსისა და პრიამოსის „ოფიციალური წარმომადგენლებიც". ტალთიბიოსი, ევრიბატესი, იდაიოსი და ოდიოსი განსაკუთრებული წოდებისა და ფუნქციის მატარებელი შიკრიკები არიან. მათ პოეტი, როგორც „ზევსისა და კაცთა მაცნეებს" (κήρυκες. Διὸς ἄγγελοι ἠδὲ καὶ ἀνδρῶν *ილ.* VII, 274) მოიხსენიებს. ეს ეპიკური ფორმულა ელჩის სტატუსის განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს. ჰეროდოტოსის მიხედვით, ტალთიბიოსი ბერძნულ მითოლოგიაში მაცნეთა მფარველად ითვლებოდა,

[347] Краузе 1896, 354.

[348] κύρκος.· Ἀπόλλωνος τάχυς ἄγγελος·

რომლის სახელზე სპარტაში ტაძარიც კი ყოფილა აგებული. მის მემკვიდრეებს ტალთიბიადებს (Ταλθυβιάδαι) უწოდებდნენ.[349] ისტორიულ ეპოქაში ტალთიბიოსის შთამომავლები მემკვიდრეობით იღებდნენ ელჩის თანამდებობას და თავიანთ წინაპრად მას მიიჩნევდნენ. ისინი ტრადიციულად ინარჩუნებდნენ ოფიციალურ სტატუსს და ასრულებდნენ ელჩის ფუნქციას სპარტის ქალაქ-სახელმწიფოში.[350] მმართველები სწორედ ტალთიბიოსს თვლიდნენ იმ ელჩთა წინაპრად, რომლებიც ამ რანგით ემსახურებოდნენ ქვეყანას.

„ილიადაში" ევრიბატესს აგამემნონის მაცნის თანამდებობა უჭირავს, რომელიც ტროას ომში მეფის დავალებებს ასრულებს. ევრიბატესი წარმოდგენილია ოდისევსის მაცნედ, რომელსაც დიდად აფასებენ მისი გონიერების გამო.[351] გარეგნულად შეუხედავი შიკრიკი ტროაში გაჰყვა ითაკის მეფეს.[352] იდაიოსს ტროელთა, კერძოდ, პრიამოსის სამსახურში აკისრია ელჩის მოვალეობა. ოდიოსი ილიადის IX სიმღერაში მიდის ევრიბატესთან ერთად აქილევსთან ელჩობისას. რატომ მოიხსენიებს ჰომეროსი მათ ტერმინ ἄγγελοι-ით? მოკვდავთა დონეზე წარჩინებულ პირთა მსახურებითაა ეს გამოწვეული, თუ მათ ზევსის მაცნეებადაც მიიჩნევენ? იქნებ ამ შიკრიკებს ორ სამყაროს შორის შუამავლის ფუნქცია აკისრიათ და ღმერთთა და კაცთა შორის შუამავლებადაც მოიაზრებიან?

„ილიადის" პირველ სიმღერაში აგამემნონი მის პირად ელჩებს, ტალთიბიოსსა და ევრიბატესს აგზავნის აქილევსთან ბრისეისის წამოსაყვანად. ჰომეროსი ტერმინ κήρυκε-ს (dual. *ილ.* I, 321) გამოიყენებს მათ აღსანიშნად, როცა ამბობს, რომ შიკრიკები აქაველთა მეფემ იხმო. მიუხედავად იმისა, რომ პელევსის ძე განრისხებულია აგამემნონზე, მეფის პირად წარგზავნილებს პატივისცემით ხვდება. აქილევსის სიტყვაში აშკარად იგრძნობა

---

[349] Lubkers 1914, 1010.

[350] Adcock, Mosley 1975, 153.

[351] Roscher 1884-1990, 1429.

[352] Der Kleine Pauly 1979, 450.

მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. იქ მისულ მაცნეებს გმირი შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

მოგესალმებით, შიკრიკებო, ზევსის და კაცთა მაცნენო.[353]
ილ. I, 334.

აქილევსის მისალმებაში იკვეთება ამ ორი შიკრიკის ფუნქცია. ისინი მეფის ბრძანებას ასრულებენ, თუმცა არსად ჩანს ტალთიბიოსისა და ევრიბატესის პოზიცია – მიაჩნიათ თუ არა აგამემნონის საქციელი სამართლიანად. ერთი რამ კი ცხადია, რომ შიკრიკები გმირის დანახვაზე აღელდნენ და შიშით აღივსნენ. აქილევსი აღნიშნავს, რომ ბრალი ბრისეისის წაყვანაში არა მათ, არამედ ატრევსის ძეს მიუძღვის. თითქოს ამით ცდილობს, მოუხსნას შიკრიკებს ყოველგვარი შიშის თუ უხერხულობის მომენტი. ამიტომ რისხვას მხოლოდ მეფის მიმართ გამოხატავს. როგორც ჩანს, შუამავალთა მიღების დიდი ხნის ტრადიცია არსებობდა საბერძნეთში, ვინაიდან ასეთ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი აქილევსი მათ მიმართ საკმაოდ თავშეკავებული და კორექტულია, უფრო მეტიც, თავაზიანობასა და კეთილგანწყობას აშკარად არ მალავს. ეს დამოკიდებულება მან თავის მიმართვაშიც გამოხატა. თუმცა ვფიქრობთ, შესაძლოა, ტრადიციით ეს „ზევსის და კაცთა მაცნეები" გარკვეულ ღვთაებრიობასთანაც იყვნენ დაკავშირებულნი.

ამავე სიტყვებით მოიხსენიებს პოეტი ტალთიბიოსთან ერთად ტროელთა მაცნეს, იდაიოსს. მათ დასახასიათებლად ჰომეროსი ეპითეტს, გონიერს გამოიყენებს (πεπνυμένω ἄμφω – ორივე გონიერი. *ილ.* VII, 276). ისინი საკუთარი ინიციატივით ერევიან ჰექტორისა და აიასის ორთაბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ შიკრიკები ბრძოლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებენ გმირებს. სწორედ მშვიდობის დამყარებას ემსახურება მათი მოვალეობის აღსრულება. იდაიოსმა ორივე გმირი უმამაცესად აღიარა და თანაც დასძინა, რომ ზევსს ისინი განურჩევლად უყვარდა. აქ იმაზე მიგვანიშნებს პოეტი, რომ იდაიოსს შეეძლო ცოდნოდა ზევსის დამოკიდებულება ჰექტორისა და აიასის მიმართ და ეს

[353] Χαίρετε, κήρυκες, Διὸς ἄγγελοι ἠδὲ καὶ ἀνδρῶν.

არც გმირებს გაჰკვირვებიათ. ისინი უმალ დამორჩილდნენ შიკრიკებს. „ზევსის და კაცთა მაცნეებმა“ თითქოს ღვთაებრივი ნება ამცნეს შერკინებულებს. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ შიკრიკები ჰერმესის ჩამომავლებად ითვლებოდნენ.[354] ისინი უზენაესი ღმერთის მფარველობით და საკუთარი სტატუსის გამო გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. შესაძლებელია, ჰომეროსმა შიკრიკთა ღვთაებრივი წარმომავლობის გათვალისწინებით უწოდა მათ Διὸς ἄγγελοι, თუმცა ამავე დროს ორი სამყაროს, უკვდავებისა და მოკვდავების კავშირსა და შუამავლობაზეც მიგვითითა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ილიადის“ IX სიმღერაში აქილევსთან ელჩობისას წარგზავნილთა ფუნქციებს ოდისევსი, ფოინიქსი და აიასი ასრულებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ღმერთები არ ერევიან მოცემულ ეპიზოდში და მხოლოდ მოკვდავთა დონეზე ვითარდება მოქმედება. ამ წარმომადგენლობითი ელჩობის დროს ევრიბატესი და ოდიოსი ასევე „ღმერთთა და კაცთა მაცნეებად“ იწოდებიან. ისინი „განწმენდის“ რიტუალში იღებენ მონაწილეობას მხოლოდ. ისიც საყურადღებოა, რომ ამ ელჩობისას თავად ოდისევსი, ფოინიქსი და აიასიც კი, რომლებიც „ოფიციალურ ელჩთა“ მისიას აღასრულებენ, არც ტერმინ ἄγγελος-ით მოიხსენიებიან და არც სხვა რომელიმე ელჩის სემანტიკის მქონე სიტყვით. ჰომეროსი მათ κλήτους-ს („რჩეული“) უწოდებს, რაც, ვფიქრობთ, განპირობებულია იმით, რომ ელჩები მოკვდავნი არიან, ხოლო ამ მისიის აღსრულება რჩეულთა, იმ საზოგადოების ავტორიტეტულ პირთა ხვედრია.[355]

საინტერესოა, უწოდებს თუ არა ჰომეროსი თავის პოემებში მოკვდავ მაცნეს ἄγγελος-ს? მოკვდავი მხოლოდ 5-ჯერ გვხვდება ტერმინ ἄγγελος-ით მოხსენიებული. 2-ჯერ (*ილ.* V, 804; X, 286) ტიდევსის ელჩად ყოფნის შესახებ მოგვითხრობს პოეტი. თითო-თითოჯერ კი ახალი ამბის შეტყობინების ფუნქციას პატროკლოსი (*ილ.* XI, 652), ანტილოქოსი (*ილ.* XVIII, 2) და ევმაიოსი (*ოდ.* XVI, 138) ასრულებენ. საყურადღებოა, რომელიმე გმირის

---

[354] Adcock, Mosley 1975, 153.

[355] „ილიადის“ IX სიმღერის შესახებ მსჯელობა გვექნება მომდევნო თავში.

ფუნქციური არსის განმსაზღვრელია ელჩობა თუ გარკვეულ სიტუაციაში ასრულებს თითოეული მათგანი უწყების მოვალეობას? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მაგალითების განხილვის საფუძველზე შევეცდებით.

ბრძოლის ველზე ათენა დიომედესს ამხნევებდა და სიმამაცეს ჰმატებდა. მან დიომედესს მამის, ტიდევსის გმირობის შესახებ უამბო. ამ ეპიზოდში ქალღმერთი იგონებს ტიდევსის ელჩად წარგზავნის ამბავს თებეში. ათენამ ტიდევსს კადმოსელებთან ბრძოლა აუკრძალა და უბრძანა, მშვიდად ენადიმა მტრის სასახლეში.

...მაშინ ეწვია [ტიდევსი] შორს აქაველთაგან
მაცნედ თებეს მრავალრიცხოვან კადმოსელებს... [356]
ილ. V, 803-804.

ქალღმერთმა დასძინა, რომ იგი სწორედ ისეთი მამაცი გმირების შემწე იყო, როგორიც ტიდევსი გახლდათ. ელჩის „სტატუსით" წარგზავნილი ტიდევსი, რომლის მიმართაც კეთილგანწყობას დაუფარავად გამოხატავს ქალღმერთი, ღვთაებრივ ნებას ემორჩილება. მოკვდავი ელჩის მისია ამ შემთხვევაში მშვიდობის დამყარებაზეა ორიენტირებული, ხოლო ეს მისია კი ქალღმერთის მითითებით იგეგმება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოკვდავი მაცნე, რომელიც ტერმინ ἄγγελος-ით არის მოხსენიებული, მოცემულ ეპიზოდში უკვდავის მიერ დაკისრებულ შუამავლის ფუნქციას ასრულებდა. ათენამ შეახსენა დიომედესს, რომ ამჟამად მას მფარველობდა და გმირისგანაც მამის მსგავს ვაჟკაცობასა და შეუპოვრობას მოითხოვდა. საინტერესოა, რომ „ილიადის" X სიმღერაში თავად დიომედესი იხსენებს მამის ელჩობას კადმოსელებთან.

როცა თებეში აქაველთაგან ელჩად წავიდა.[357]
ილ. X, 286.

---

[356] ... ὅτε τ' ἦλυθε νόσφιν Ἀχαιῶν
ἄγγελος ἐς Θήβας πολέας μετὰ Καδμείωνας. –

[357] ἐς Θήβας, ὅτε τε πρὸ Ἀχαιῶν ἄγγελος ἦει.

იგი ევედრება ათენას, რომ ისევე შეეწიოს მას, როგორც ტიდევსს თებებში. მაცნემ აქაველები ასოპოსის[358] ნაპირთან იმიტომ დატოვა, რომ კადმოსელებს სამშვიდობო მისიით ხლებოდა.

რადგანაც მას იქ გადაეცა კადმოსელებისათვის თავაზიანი
სიტყვა;[359]
ილ. X, 288.

ორივე შემთხვევაში ტიდევსის ელჩობის შესახებ თხრობა ორნამენტული ხასიათისაა. ტიდევსი არ არის მხოლოდ ახალი ამბის გადამცემი მეორე მხარესთან. მას შუამავლის მისია აკისრია აქაველებსა და კადმოსელებს შორის. მოკვდავთა სამყაროში ღვთაებრივი ნების აღსრულებაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ელჩობისას ათენა ტიდევსის მფარველია. მაცნეს ქალღმერთის რჩევით მოქმედება ევალება, მიუხედავად იმისა, რომ ნარგზავნილი მოკვდავია. შესაძლებელია, სწორედ ამგვარმა ფუნქციამ განსაზღვრა ტიდევსის ტერმინ ἄγγελος-ით მოხსენიება. ვფიქრობთ, ჰომეროსი აღნიშნულ ტერმინში იმ მაცნეს მოიაზრებს, რომელიც ღვთაებრივი ნებით ასრულებს თავის მოვალეობას.

ჰომეროსის პოემებში, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ სამი შემთხვევა დასტურდება, როცა ინფორმაციის გადაცემისას ტერმინ ἄγγελος-ით მოკვდავი იწოდება.

ზევსის გეგმის თანახმად, ტროელები ჰექტორის წინამძღოლობით ბრძოლაში კვლავ დაწინაურდნენ. რამდენიმე აქაველი გმირი დაიჭრა, ზევსისგან შიშით მოცულმა აიასმაც უკან დაიხია. დაჭრილი მაქაონი ნესტორმა თავისი ეტლით ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ეს ყოველივე ხომალდიდან აქილევსმა შენიშნა, თუმცა ვერ დაინახა, ვის დაეხმარა მოხუცი. იგი წარგზავნის პატროკლოსს ნესტორთან, რათა შეიტყოს დაჭრილის ვინაობა. წარგზავნილმა მისვლის მიზეზი ამცნო დამხვდურთ. ნესტორს დარჩენაზე კი უარი განუცხადა, რადგან აქილევსთან პასუხის

---

[358] მდინარე ბეოტიაში.

[359] αὐτὰρ ὁ μειλίχιον μῦθον φέρε Καδμείοισιν κεῖσ᾽ ·

გადასაცემად ჩქარობდა. სწორედ ამ ეპიზოდში უწოდებს საკუთარ თავს პატროკლოსი ἄγγελος-ს.

გამოვიკითხე და ახლა მაცნედ კვლავ მივდივარ სიტყვით
აქილევსთან.[360]
ილ. XI, 652.

აღსანიშნავია, რომ პატროკლოსი აქილევსის დავალებით მოცემულ მომენტში ასრულებს ინფორმაციის გადამცემის მისიას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პატროკლოსის ფუნქცია ელჩობაა ტროას ომში. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აქილევსი უკვდავის შვილია და შესაძლოა, სწორედ მის „ანგელოსად" მიიჩნევს თავს პატროკლოსი.

აქილევსთან ახალი ამბის შესატყობად მისულ ერთ-ერთ მოკვდავსაც მოიხსენიებს ჰომეროსი ტერმინ ἄγγελος-ით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც უშუალოდ ღმერთი არ აგზავნის მაცნეს გმირთან, თუმცა აქილევსის ინფორმირება საუკეთესო მეგობრის დაღუპვის შესახებ, ღვთაებრივი გეგმის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეპიზოდს წარმოადგენს. ნესტორის ვაჟი, ანტილოქოსი ამცნობს პელევსის ძეს პატროკლოსის სიკვდილის ამბავს. ამ ინფორმაციის მაუწყებელს ჰომეროსი ἄγγελος-ს უწოდებს.

ანტილოქოსი აქილევსთან სწრაფფეხება მაცნედ მივიდა.[361]
ილ. XVIII, 2.

„ილიადის" დრამატული განვითარებისათვის ეს სცენა განსაკუთრებით საინტერესოა. სწორედ პატროკლოსის სიკვდილის შეტყობინების შემდგომ ერთვება აქილევსი ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ დედა კვლავ ახსენებს, რომ ჰექტორზე შურისძიების შემდეგ მალე მასაც ელის აღსასრული (*ილ.* XVIII, 96). მოვლენების ამგვარად წარმართვის გეგმა ზევსმა ჯერ კიდევ მაშინ გააცნო ოლიმპოსის მკვიდრთ, როცა თითოეულ მათგანს ბრძოლაში ჩარევა აუკრძალა (*ილ.* VIII, 470-78). ამდენად, აქილევსისათვის პატროკლოსის სიკვდილის შესახებ უწყება ზევსის ნების აღსრულებასთან არის დაკავშირებული. განრისხე-

[360] νῦν δὲ ἕπος ἐρέων πάλιν ἄγγελος εἶμ' Ἀχιλῆϊ.

[361] Ἀντίλοχος δ' Ἀχιλῆι πόδας ταχὺς ἄγγελος ἦλθε.

ბულ გმირს უნდა გაეგო ჰექტორის მიერ პატროკლოსის მოკვლის ამბავი, რათა ჩაბმულიყო ომში ტროელთა დასამარცხებლად.

„ოდისეას“ XVI სიმღერაში ტელემაქოსი აგზავნის ევმაიოსს პენელოპესთან, რათა შეატყობინოს მას შვილის პილოსიდან ჩამოსვლის ამბავი. ამ შემთხვევაში ევმაიოსმა მაუწყებლის ფუნქცია უნდა შეასრულოს. თუმცა ჰომეროსი 130-34 სტრიქონებში, როცა ოდისევსის ძე ავალებს მეღორეს ინფორმაციის გადაცემას, მას არ მოიხსენიებს მაცნის აღმნიშვნელი არც ერთი ტერმინით. ევმაიოსი ნასვლის წინ ეკითხება თავის „ბატონს“, ხომ არ ამცნოს ლაერტესაც ტელემაქოსის დაბრუნება. სწორედ მაშინ უწოდებს იგი საკუთარ თავს ἄγγελος-ს.

ხომ არ ნავიდე მაცნედ ბედკრულ ლაერტესთან გზად...[362]
ოდ. XVI, 138.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსი ტერმინ ἄγγελος-ში ღვთაებრივი ინფორმაციის გახმოვანებას გულისხმობს იმ შუამავლის მეშვეობით, რომელსაც მოცემულ მომენტში ეკისრება ელჩობის ან ინფორმაციის გადაცემის ფუნქცია. მასში, უმეტესწილად, ღვთაებრივი ნების გაცხადება შეიძლება მოიაზრებოდეს. ἄγγελος-ი არ არის ჩვეულებრივი შიკრიკი, მას განსაკუთრებული ინფორმაცია მიაქვს დანიშნულ ადგილზე. ამბავი, რომელიც ღმერთების ნებით უნდა შეიტყოს რომელიმე მოკვდავმა. ამდენად, ჰომეროსი მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციაში უწოდებს მოკვდავს ἄγγελος-ს. პოეტი აღნიშნულ ტერმინში არ მოიაზრებს იმ მაცნეს, რომლისთვისაც მოკვდავთა დონეზე ელჩობა ფუნქციური არსის განმსაზღვრელია.

საინტერესოა როგორ მოიაზრებს ჰომეროსი ტერმინ κῆρυξ-ს, ვინ არიან ამ ფუნქციის მატარებელნი ღმერთებისა და გმირების დონეზე, რა ადგილი უჭირავთ მათ საზოგადოებაში და გარდა ინფორმაციის გავრცელებისა, რა მოვალეობები ეკისრებათ?

---

[362] ἦ καὶ Λαέρτῃ αὐτὴν ὁδὸν ἄγγελος ἔλθω
δυσμόρῳ...

შიკრიკის საპატიო თანამდებობა უშუალოდ ზევსის მფარველობის ქვეშაა. შიკრიკები კეთილშობილი მოკვდავები არიან, რომლებიც მეფეებს ან წარჩინებულ პირებს ემსახურებიან და მათ საგარეო თუ საშინაო საქმეების მოგვარებაში ეხმარებიან. ისინი მონაწილეობას იღებენ რიტუალის აღსრულებაში, როცა მსხვერპლშეწირვა „რჩეულთა" ინიციატივით ხდება. შიკრიკები საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და სახელმწიფო მმართველთაგან დაკისრებულ მოვალეობებს აღასრულებენ. ისინი ავრცელებენ ინფორმაციას, მოუწოდებენ ხალხს შეკრებებზე და ამყარებენ წესრიგს სასამართლოებზე ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მათი ძირითადი ატრიბუტი კვერთხია, რომლითაც ისინი გამოირჩევიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ეს არის ნიშანი მათი უფლებამოსილებისა და სახალხო ავტორიტეტისა. ძველად ეს ატრიბუტი ხშირად გამოიყენებოდა რანგისა და თანამდებობის აღსანიშნავად. შიკრიკის კვერთხს მშვიდობის კვერთხსაც უწოდებენ. ისინი, როგორც შეკრების მოსამართლეები და სიმართლის დამცველები, ხალხს სიმშვიდისაკენ მოუწოდებენ და მხოლოდ კვერთხის მინიშნებით და ამ „სამეფო ინსიგნაციის" გადაცემით ანიჭებენ ადამიანებს აზრის გამოთქმის უფლებას. მოგვიანებით მსგავსი ფუნქციები ჰქონდათ ათენში მართლმსაჯულთა შიკრიკებს, შემდეგ კი ეს მოვალეობები დაეკისრათ „ბულეს და ხალხთა შიკრიკებს" – κήρυξ τῆς βουλῆς καὶ τοῦ δήμου,[363] რაც იმის მანიშნებელია, რომ მათი მსახურების არეალი დროთა განმავლობაში თანდათანობით ფართოვდებოდა.

ჰომეროსის პოემების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიძლება პირობითად გამოიყოს ფუნქციები, რომელთაც მოკვდავი შიკრიკები აღასრულებენ. ისინი: 1) ავრცელებენ ინფორმაციას; 2) მოუხმობენ ხალხს შეკრებებზე ან საბრძოლველად; 3) ამყარებენ წესრიგს აგორაზე საქმის განხილვის დროს; 4) ემსახურებიან მეფეს; 5) მონაწილეობენ რიტუალში.

შიკრიკის უპირველესი მოვალეობა ინფორმაციის შეტყობინება ან გავრცელებაა. ამ ფუნქციის მატარებელი შიკრიკები,

[363] Kaegi 1999, 436.

ზოგადად, როგორც ამბის მაუწყებელნი, ხშირად გვხვდებიან პოემებში. ისინი უპირატესად მოკვდავი მალემსრბოლნი არიან და წარჩინებულ პირებს ემსახურებიან.

შიკრიკი გაგზავნეს ოდისევსის სასახლისაკენ,
რომ ეცნობებინა ამბავი გონიერი პენელოპესათვის...[364]
ოდ. XVI, 328-29.

ან

ერთმანეთს შეხვდნენ შიკრიკი და ღვთაებრივი მეღორე,
რათა ამბავი ეცნობებინათ ქალბატონისათვის.[365]
ოდ. XVI, 333-34.

მოკვდავი შიკრიკები, ფაქტობრივად, შუამავლის ფუნქციას ასრულებენ მეფესა და ადამიანებს შორის. ისინი მეფის ბრძანებასა და სურვილს უცხადებენ თავიანთ ხალხს. ეს მისია მათ უშუალოდ მეფისგან აქვთ დაკისრებული და სწორედ ამიტომ სარგებლობენ პატივისცემითა და ავტორიტეტით საზოგადოებაში. შიკრიკები ავრცელებენ ინფორმაციას ბრძოლის დაწყების შესახებ და ისინი მოუხმობენ ხალხს შეკრებებზე. ამ შემთხვევაში მათ მხოლოდ მეთაურის ნებისა და ბრძანების გავრცელების დანიშნულება აქვთ.

მაშინვე მოიხმო [აგამემნონმა] მაღალხმიანი შიკრიკები,
რათა ემცნოთ მათ ბრძოლის შესახებ გრძელთმიანი აქაველებისათვის.[366]
ილ. II, 442-43.

როდესაც ზევსი მაცდურ სიზმარს გაუგზავნის აგამემნონს, იგი გამოლვიძებისთანავე უბრძანებს შიკრიკებს აქაველთა ლაშქრის შეკრებას. მალემსრბოლნი სწრაფად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ისინი არასდროს აცხადებენ მეფესთან შეკრების მიზეზს, ვინაიდან ეს მათ ფუნქციაში არ შედის. უფრო

---

[364] αὐτὰρ κήρυκα πρόεσαν δόμον εἰς Ὀδυσῆος,
ἀγγελίην ἐρέοντα περίφρονι Πηνελοπείῃ.

[365] τὼ δὲ συναντήτην κῆρύξ καὶ διὸς ὑφορβὸς
τῆς αὐτῆς ἕνεκ' ἀγγελίης, ἐρέοντε γυναικί.

[366] αὐτίκα κηρύκεσσι λιγυφθόγγοισι κέλευσε
κηρύσσειν πόλεμόνδε κάρη κομόωντας Ἀχαιούς·

გვიან ამის შესახებ თავად აგამემნონი საუბრობს შეკრებილ ჯართან. ეს ხდება მას შემდეგ, როცა ცხრა მოყვირალი შიკრიკი (ἐννέα κήρυκες βοήωντες) დააცხრობს აღზნებულ ლაშქარს.

შიკრიკებს ინფორმაციის გავრცელების გარდა, ეკისრებათ წესრიგის დამყარება შეკრებებსა და აგორაზე საქმის განხილვის დროს. ჰეფესტოს მიერ გამოჭედილ აქილევსის ფარზე ასეთი სცენაა გამოსახული: ორ კაცს მკვლელობის საზღაურზე აქვს დავა. ერთი ამტკიცებს, რომ მთლიანად გადაიხადა მკვლელობის საზღაური, ხოლო მეორე მტკიცედ უარყოფს ამ ფაქტს. ხალხი ორად არის გაყოფილი. ამ პროცესს სწორედ შიკრიკები წარმართავენ. ისინი აღგზნებულ მომხრეებს აწყნარებენ, ანუ ამყარებენ წესრიგს აგორაზე და ამავე დროს, თავიანთი კვერთხის გადაცემით აძლევენ თავის მართლებისა და სიტყვის წარმოთქმის უფლებას თითოეულ მათგანს (*ილ.* XVIII, 497-507). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ფუნქცია მოგვიანებით ათენში „სასამართლოს კერუქსებს" დაეკისრათ. ჰომეროსის პოემებში ზემოაღნიშნულ მოვალეობათა აღმსრულებლებს, მათ კონკრეტულ ვინაობას და სახელს, უმეტესწილად, პოეტი არ ასახელებს. მათ ზოგადად, როგორც მეფის შიკრიკებს, ისე წარმოგვიჩენს. მხოლოდ ოთხი შიკრიკის ვინაობას გვისახელებს პოეტი, რომლებიც მონაწილეობენ პოემებში. ესენი არიან: მედონი (*ოდ.* IV, 681, 707; XVI, 252, XXII, 357), პისენორი (*ოდ.* II, 38), პონტონოოსი (*ოდ.* VII, 182; VIII, 65; XIII, 50; 53) და თოოტესი (*ილ.* XII, 342, 351).

ოდისევსის შიკრიკმა მედონმა, რომელიც ითაკაში დარჩა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტელემაქოსის გადარჩენაში, რამაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა მოვლენათა შემდგომი განვითარება. იგი ითაკის დედოფალს ყველაზე ხშირად საკუთარი ნებით ატყობინებს რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას. სწორედ ამ ერთგულებით მსახურებამ იხსნა იგი დაბრუნებული ოდისევსის რისხვისაგან. ტელემაქოსის რჩევით, ოდისევსმა არ მოკლა სამეფო კარის ერთგული შიკრიკი. მედონმა ყური მოჰკრა სასიძოების საუბარს, რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ოდისევსის ამბის შესატყობად გამგზავრებულ ტელემაქოსს სამეს სრუტეში ჩასაფრებოდნენ და მახვილით გაეგმირათ. იგი

დაუყოვნებლივ გაეშურა სასახლისაკენ და ამცნო პენელოპეს სასიძოების ბოროტი განზრახვა.

> შიკრიკმა მედონმა აუნყა [პენელოპეს] იმ შეთანხმების შესახებ, რომელიც მათ [სასიძოებს] შორის შედგა სასახლის ეზოში.[367]
>
> *ოდ.* IV, 676-77.

მედონი ატყობინებს დედოფალს ამბავს და ტოვებს სასახლეს. ფაქტობრივად, მან მხოლოდ ინფორმაცია გადასცა, ხოლო რჩევას, თუ როგორ უნდა აეცილებინათ უბედურება თავიდან, უკვე ერთგული ევრიკლეა აძლევს. მედონი ტერმინ κῆρυξ-ით მოიხსენიება. შესაბამისად, ამ ტერმინით მოხსენიებული მედონის ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის შეტყობინებაა. ე. წ. „ფუნქციონერი ელჩები" კი ხშირ შემთხვევაში კეთილ მრჩეველებად გვევლინებიან. მათ რჩევას არა მარტო მოკვდავნი, არამედ ღმერთებიც ყოველთვის აფასებენ და ითვალისწინებენ კიდეც. შიკრიკის სიტყვა, თუ მოცულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, ხშირ შემთხვევაში მოკლე და უფრო ინფორმაციული ხასიათისაა. უკვდავი მაცნის ფუნქცია კი ხშირ შემთხვევაში სცილდება ამბის შეტყობინებას. „ანგელოსების" მოვალეობა ნათლად აისახება მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვაში. ღმერთის მაცნე როგორც ლოგიკური, ისე ემოციური დარწმუნების ხერხებით ცდილობს მიაღწიოს შედეგს და აღასრულოს ზევსის ნება დედამიწაზე. „კერუქსებს" კი დარწმუნების მისია არ აკისრიათ. ისინი თითქმის არასდროს გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, ცდილობენ ნეიტრალურობის შენარჩუნებას, მაგრამ როგორც სახელმწიფოს ერთგული მსახურები ყოველთვის მეფის ინტერესების დამცველებად მოიაზრებიან. ასე რომ, ტერმინ κῆρυξ-ით მოხსენიებული შიკრიკები და „ზევსის მაცნეები" (Διὸς ἄγγελοι) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო იმით, რომ ერთნი მოკვდავნი არიან, ხოლო მეორენი უკვდავნი, არამედ ტერმინოლოგიურადაც. თუმცა ეს სიტყვები, შეიძლება ერთი შეხედვით, სინონიმურადაც კი მოგვეჩვენოს.

---

[367] κῆρυξ γάρ οἱ ἔειπε Μέδων, ὃς ἐπεύθετο βουλὰς
αὐλῆς ἐκτὸς ἐών· οἱ δ' ἔνδοθι μῆτιν ὕφαινον.

არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება ჰომეროსის პოემებიდან, როცა შიკრიკები წარჩინებულ პირებს ემსახურებიან, მონაწილეობენ მათ მიერ ჩატარებულ რიტუალში და აღასრულებენ მეფეთა ნება-სურვილს (*ილ.* I, 321; 391; II, 184; III, 116; IV, 192; VIII, 517; IX, 10; XII, 342; XXIII, 39; XXIV, 282; 689; *ოდ.* I, 109; 143; 146; 153; III, 338; IV, 301; VII, 163; 178; VIII, 47; 69; 399; 471; 474-482; IX, 90; X, 59; 102; XIII, 49; 64; XVI, 252; XVII, 334; XVIII, 291; 424; XX, 276; XXI, 270). აღსანიშნავია, რომ შიკრიკები B-ხაზოვან ტექსტებშიც რელიგიური ხასიათის წარწერებში გვხვდებიან, რის გამოც მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შიკრიკი გარკვეული რიტუალური ფუნქციის აღმსრულებელი იყო ტაძარში.

როგორც ვნახეთ „კერუქსები", უმეტესწილად, მოკვდავები არიან, თუმცა 3-ჯერ უკვდავიც გვხვდება ამ ტერმინით მოხსენიებული. „ილიადის" ერთ ეპიზოდში (II, 279-80) მოიხსენიება ათენა, რომელიც შიკრიკის გარეგნობით მოუწოდებს ხალხს სიმშვიდისაკენ.[368] ამ შემთხვევაში ქალღმერთი საკუთარი ინიციატივით ასრულებს შიკრიკის მოვალეობას. „ოდისეაშიც" (VIII, 7-8) ალკინოოსის შიკრიკის სახით ევლინება ფეაკებს და მოედანზე შეკრებისკენ მოუხმობს, როცა სურდა ამ ქალაქის მცხოვრებთ ენახათ სტუმარი. ათენა მუდამ ზრუნავდა ოდისევსის შინ დაბრუნებაზე. ეს თავშეყრაც იმ დიდი გეგმის ნაწილი იყო, რომელსაც საბოლოო შედეგი უნდა მოეტანა გმირისათვის. ამ ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ ოდისევსს ღვთაებრივი იერიც კი მისცა, რომ ფეაკთა ქვეყანაში კეთილგანწყობით შეხვედროდნენ. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, რომ ქალღმერთი მოკვდავი შიკრიკის ფუნქციას ასრულებს.[369] ასეთივე

---

[368] .. παρὰ δὲ γλαυκῶπις Ἀθήνη
εἰδομένη κήρυκι σιωπᾶν λαὸν ἀνωγει...
... თვალებციმციმა ათენა
შიკრიკის სახით წარსდგა მდუმარე ხალხის წინაშე.

[369] ἡ δ᾽ ἀνὰ ἄστυ μετῴχετο Παλλὰς Ἀθήνη
εἰδομένη κήρυκι δαΐφρονος Ἀλκινόιο...
ათენამ მთელი ქალაქი შემოიარა
შიკრიკის სახით, ღმერთების სადარ ალკინოოსისა.

ფუნქციას იღებს საკუთარ თავზე აპოლონიც, რომელიც ყოფილი შიკრიკის, პერიფასის სახით მიმართავს ენეასს გამამხნევებელი სიტყვით (*ილ.* XVII, 324).[370]

ამგვარად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტერმინ κῆρυξ-ს ჰომეროსის ეპოქისათვის უკვე გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი მოვალეობა არა მარტო ინფორმაციის გადაცემით, არამედ სხვა ფუნქციებშიც გამოიხატება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უმეტესწილად, ეს წარგზავნილები მოკვდავნი არიან და მათი ფუნქციები არასდროს ვრცელდება ღვთაებრივ დონეზე. პოემებში აშკარად იკვეთება განსხვავება წარგზავნილთა სტატუსსა და მისიას შორის.

ზოგჯერ ელჩობა თვით ამ ფუნქციის შემსრულებლისათვის შესაძლოა საბედისწეროც აღმოჩნდეს. ამ თვალსაზრისით ყურადღება შეიძლება შევაჩეროთ გლავკოსის ცნობილ სიტყვაზე, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გაგზავნა ბელეროფონტესი პროიტოსმა ლიკიაში და თან გაატანა ისეთი ინფორმაციის მაუწყებელი დაფა, რომელიც თავად ბელეროფონტესის დაღუპვას მოასწავებდა.

πέμπε δέ μιν Λυκίηνδε, πόρεν δ' ὅ γε σήματα λυγρὰ
γράψας ἐν πίνακι πτυκτῷ θυμοφθόρα πολλά.

[ბელეროფონტესი] გააგზავნა ლიკიაში, თან გაატანა
დაფაზე დაწერილი ბევრი ავის მაუწყებელი ნიშნები მის
დასაღუპად.
ილ. VI, 168-69.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება ჰომეროსის ფრაზაში - σήματα λυγρὰ γράψας ἐν πίνακι πτυκτῷ, დამწერლობის სისტემა თუ რაღაც ავის მაუწყებელი სიმბოლოები, ერთი რამ აშკა-

---

[370] . ἀλλ' αὐτὸς Ἀπόλλωνι
Αἰνείαν ὄτρυνε δέμας Περίφαντι ἐοικὼς
κήρυκι Ἠπυτίδῃ, ὅς οἱ παρὰ πατρὶ γέροντι...
... მაგრამ თავად აპოლონი
ენეასს აღმართავს ეპიტოსის ძის, პერიფასის სახით,
შიკრიკად რომ იყო მოხუც მამასთან [ენეასთან].

რაა, ბელეროფონტესის მიერ ჩატანილი ორმაგი პინაკები შეიცავდა იმ ინფორმაციას, რომელმაც მოვლენათა შემდგომი განვითარება განსაზღვრა.[371] გარდა ამისა, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ წერილობითი ფორმით ამბის გადაცემის პრაქტიკა უკვე გარკვეულწილად იმხანად ყალიბდებოდა.

[71] შდრ. ПГЭ 1978, 267.

ელჩობას ჰომეროსთან მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონდა, ხოლო ელჩების ფუნქციები, მათი მისია, ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სტატუსი საკმაოდ დიფერენცირებული იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელჩობა მთელი თავისი მრავალფეროვნებით ვლინდება როგორც ღვთაებრივ, ასევე მოკვდავთა სფეროში. პოეტი ასახელებს შიკრიკებს, მაცნეებს, ელჩებს და სხვა წარგზავნილებს და მათ შესაბამის დატვირთვას ანიჭებს. ჰომეროსის ეპოსში ელჩობის ბევრი სცენაა წარმოდგენილი, რომლებიც პირობითად შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად: 1) ელჩობა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიტანას; 2) ელჩობა, რომელიც მოითხოვს შედეგს ანუ უკვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას; 3) ელჩობა, რომელიც თხოვნას შეიცავს; 4) ელჩობა, რომელიც მოლაპარაკების გზით მიმართულია დარწმუნებისაკენ.

ელჩობისა და მაუწყებლობის ფუნქციას როგორც ღმერთების, ისე მოკვდავთა დონეზე ასრულებენ ის პირები, რომელთაც ეს მოვალეობით ეკისრებათ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ეს ფუნქცია არ გააჩნიათ, თუმცა ზოგჯერ სიტუაციიდან გამომდინარე აღასრულებენ ამ მისიას. ამაზე მეტყველებს პოემაში თავად უწყების ტერმინთა გამოყენების სიხშირეც.

თუკი ღვთაებრივ დონეზე მეტ-ნაკლებად გარკვეულია, როდის გამოიყენებს ზევსი (და არა მარტო ზევსი) მაცნე ღმერთებს, გმირთა სამყაროში ელჩობის დანიშნულებას ავტორისეული მხატვრული ნარმოსახვა განაპირობებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ილიადის“ IX სიმღერა,[372] რომელშიც ელჩობა წარმოდგენილია მხოლოდ მოკვდავთა დონეზე, როცა ღმერთები არ ერევიან მოქმედების მსვლელობაში.

[372] ელჩობის ეს სცენა პომეროლოგიაში არაერთგზის არის განხილული, მაგრამ მეტნილად იგი წარმოადგენს ფილოლოგიური ანალიზის ობიექტს და განიხილება ძირითადად იმ კუთხით, არის თუ არა იგი თავდაპირველი და ორგანული ნაწილი პოემისა. საკითხის მიმოხილვისათვის იხ. Heubeck 1974, 71-77.

ამ წარმომადგენლობითი ელჩობის შინაარსი ასეთია: აქაველები მარცხდებიან, ვინაიდან აგამემნონზე განრისხებული აქილევსი უარს ამბობს ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. აგამემნონი დანაშაულის გამოსყიდვას უთვალავი განძით აპირებს. ნესტორი აღნიშნავს, რომ ძღვენთან ერთად საჭიროა პელიდის გულის მოგება ალერსიანი და მეგობრული სიტყვით. ამიტომ აუცილებელია შუამავლების გაგზავნა აქილევსთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რა პრინციპით კომპლექტდება ეს წარმომადგენლობითი ელჩობა? ნესტორი ჩამოთვლის მისი აზრით საუკეთესო ელჩებს: წარგზავნილთა მეთაურად „ღმერთების საყვარელ" (διίφιλος) ფოინიქსს ასახელებს, შემდეგ „დიდ" (μέγας) აიასსა და „ღვთისსადარ" (δῖος) ოდისევსს. მათ შიკრიკებად ოდიოსი და ევრიბატესი უნდა გაჰყოლოდნენ. ჰომეროსი სამივე გმირს მოიხსენიებს ეპითეტით „κλητοὺς", რაც რჩეულს, სახელოვანს ნიშნავს, ხოლო ოდიოსსა და ევრიბატესს, „κῆρυξ"-ს უწოდებს, რაც თავისთავად შიკრიკს აღნიშნავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტალთიბიოსი და ევრიბატესი I სიმღერაში ἄγγελος -ებად მოიხსენიებიან, აქ კი ორი შიკრიკი, ოდიოსი და ევრიბატესი – κῆρυξ-ებად. ესეც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ აქ მოკვდავთა დონეზე ხდება ელჩობა. დასახელებულ რჩეულთა შორის სამივე განსხვავებული ფუნქციის მატარებელია. შესაბამისად, სამივე „რჩეულის" სიტყვა ისეა აგებული, რომ აქილევსს სხვადასხვა მოტივით ეგრძნო ის მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რომელიც აიძულებდა გმირს, დაბრუნებოდა ბრძოლის ველს. ეს კარგად ჩანს აქილევსის განსხვავებული რეაქციებიდანაც, როცა იგი ოდისევსს, ფოინიქსსა და აიასს პასუხობს. თუმცა სამივე ე. წ. ელჩი, განსხვავების მიუხედავად, ავსებს ერთმანეთს და ელჩობის საერთო სახეს ქმნის. ადრეული გამოკვლევების შედეგადაც დამტკიცებულია, რომ ეს სამი წარგზავნილი ნინასწარ დაგეგმილ და დაუშლელ მთლიანობას წარმოადგენს.[373] შადევალტი, ლომანი და სხვანი აღნიშნავენ, რომ ეს ელჩობა ერთგვარი საფეხური იყო აქილევსის შემორიგების გზაზე. სწორედ ამიტომ ელჩობის შემადგენლობა საგანგებოდ

[373] Lohmann 1970, 213

დაკომპლექტდა და ამ ელჩობაში წარმოგვიდგა სინთეზი ცნობილი გმირებისა და ე. წ. პროფესიონალი შიკრიკებისა. მათგან ყველაზე გამოცდილი და მოხერხებული ოდისევსია, შესაბამისად, ნესტორი მას აგზავნის მისი გონიერების გამო; წარმომადგენელთა შორის არის აქილევსის მამის მეგობარი ფოინიქსი, რომელსაც არ შეიძლება უარი ეთქვას, ხოლო მესამე პიროვნება აიასი ვაჟკაცობის განსახიერებაა.[374] მის პირდაპირობასა და გულწრფელობას დიდად აფასებს პელევსის ძე. მაგრამ ისმის კითხვა: რა არის ორი შიკრიკის – ოდიოსისა და ევრიბატესის ფუნქცია ამ ელჩობის დროს? მეცნიერებაში არაერთი მოსაზრება გამოითქვა IX სიმღერაში დუალისების (ორობითი რიცხვის) საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ეს თემა ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს.[375] ვფიქრობთ, აუცილებელი იყო წარმომადგენლობას მიეღო დელეგაციის სახე, რითაც დაცული იქნე-

---

[374] ვფიქრობთ, აიასის შეყვანა ამ ელჩობაში მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, რაზეც პომეროსი, როგორც ეს მას ახასიათებს, სპეციალურად არ მსჯელობს. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია ის, რომ აიასს აშკარად მომდევნო ადგილი უჭირავს აქილევსის შემდეგ ბრძოლის ველზე თავისი შესაძლებლობებით. ამას ადასტურებს „ილიადის" VII სიმღერა, რომელშიც აღწერილია აიასისა და ჰექტორის ბრძოლა, სადაც გამარჯვებული არც ერთი მხარე არ რჩება. ამას ადასტურებს მითოლოგიური ტრადიციაც, რომელშიც აქილევსის აბჯრის მოსაპოვებლად პაექრობა ორ გმირს შორის ხდება და რა თქმა უნდა, ეს გმირები ოდისევსი და აიასი არიან. სხვა საკითხია, თუ რატომ ერგო ეს აბჯარი ოდისევსს, თუმცა ყველა მითოგრაფოსისა და პოეტის აღიარებით მისი ღირსი აიასი იყო. აიასს ახასიათებს ყოველგვარი პირფერობის გარეშე სათქმელის პირდაპირ გადაცემა, რაც „ილიადაში" არაერთხელ დასტურდება. ბოლოს და ბოლოს, სწორედ აიასია ის ერთადერთი გმირი, რომელმაც პატროკლოსის ბრძოლის ველზე დაცემის შემდეგ გადაარჩინა აქაველები სამარცხვინო დამარცხებას. მართალია, ეს მოვლენა ელჩობის სცენის შემდეგ ხდება, მაგრამ იგი კიდევ ერთი არგუმენტია მისი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა ტროას ომში. აქედან გამომდინარე, აიას ტელამონის ძე ყველაზე უფრო შეესაბამება თავისი ხასიათით აქილევსის წარმოდგენას ღირსეულ გმირზე.

[375] Wyatt 1990, 399-408; Monro 1891, 161-62; Gordeziani 1980, 163-74; Chet A. Van Duzer 1996, 93-142; 319-22.

ბოდა ელჩობის წესი, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით – პროტოკოლი. შიკრიკები აქილევსთან საუბარში მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ ასრულებენ სხვა ფუნქციას. კერძოდ, ეს ფუნქცია სპეციალური რიტუალისას იჩენს თავს, ხოლო რიტუალს მისთვის განკუთვნილი პირები, ამ შემთხვევაში შიკრიკები აღასრულებენ. მხედველობაში გვაქვს ე.წ. „განწმენდის“ რიტუალი, რომელიც ყოველი საქმის დაწყების წინ უნდა აღსრულებულიყო.

ხელებზე აპკურეთ წყალი და დაიცავით წმინდა დუმილი.
ვილოცოთ ზევსის, კრონოსის ძის მიმართ, იქნებ, შეგვიწყალოს.
რაც ბრძანა, ყველასთვის სასიამოვნო სიტყვა თქვა.
მაშინვე შიკრიკებმა წყალი აპკურეს ხელებზე,
ახალგაზრდებმა თასები პირამდე აავსეს სასმელით [ღვინით],
ჩამოუსხეს ყველას და ჩამოურიგეს მარჯვენა მხრიდან.
მათ ზედაშე ასხურეს ღმერთს და შესვეს, რაც სულით სწადდათ.
და უმალ გავიდნენ აგამემნონის, ატრევსის ძის კარავიდან.[376]

ილ. IX, 171-78.

მეფის კარავიდან გასულ აქაველებს თან გაჰყვა ნესტორიც, რომელმაც სთხოვა თითოეულს, განსაკუთრებით კი ოდისევსს, რამენაირად დაეყოლიებინათ გმირი. წარგზავნილებმა უხმოდ შეცურეს ზღვაში და მთელი გზა ილოცეს, რომ შეწეოდათ ღმერთი აქილევსის გულის მოლბობაში. როცა „რჩეული“ აქაველები მირმიდონელთა ხომალდებსა და კარვებს მიადგნენ, დაინახეს, რომ აქილევსი ტკბილხმიანი ფორმინგით (φόρμιγγι λιγείῃ) სულს იამებდა, უმღეროდა გმირთა დიდებას. იქვე პატროკლოსი იჯდა და უსმენდა. გმირმა თვალი მოჰკრა „ელჩებს“,

---

[376] φέρτε δὲ χερσὶν ὕδωρ, εὐφημῆσαί τε κέλεσθε,
ὄφρα Διὶ Κρονίδῃ ἀρησόμεθ', αἴ κ' ἐλεήσῃ.
ὣς φάτο, τοῖσι δὲ πᾶσιν ἐαδότα μῦθον ἔειπεν.
αὐτίκα κήρυκες μὲν ὕδωρ ἐπὶ χεῖρας ἔχευαν,
κοῦροι δὲ κρητῆρας ἐπεστέψαντο ποτοῖο,
νώμησαν δ' ἄρα πᾶσιν ἐπαρξάμενοι δεπάεσσιν.
αὐτὰρ ἐπεὶ σπεῖσάν τ' ἔπιόν θ' ὅσον ἤθελε θυμός,
ὁρμῶντ' ἐκ κλισίης Ἀγαμέμνονος Ἀτρεΐδαο.

მაშინვე წამოიჭრა და მათკენ სწრაფად გაემართა. მოსულ სტუმრებს კი ასე მიმართა:

მოგესალმებით, მეგობარო ვაჟკაცებო მობრძანდით –
ალბათ ძალიან გიჭირთ –
ჩემთვის, განრისხებულისათვის, თქვენ აქაველთა შორის მაინც
ყველაზე სასურველნი ხართ.
ილ. IX, 197-98.[377]

აქილევსმა „სასურველი ვაჟკაცები" (φίλτατοι ἄνδρες) დიდი პატივით მიიღო. თვალნათლივ ჩანს გმირის დამოკიდებულება ოდისევსის, ფოინიქსისა და აიასის მიმართ. ასე რომ, ნესტორის კრიტერიუმით არჩეული ელჩები მისაღები აღმოჩნდა აქილევსისათვის, რაც თავისთავად ნესტორის სწორ გადაწყვეტილებასა და არჩევანზე მიუთითებს.

ყურადღებას იპყრობს ის, თუ როგორ აგებს თავის სიტყვას მეფის „ელჩი" და როგორ ცდილობს დაარწმუნოს აქილევსი, დაიცხროს რისხვა. ოდისევსის დიპლომატიურობაზე მეტყველებს მიმართვა, რითაც იწყებს თავის სიტყვას. მან თავდაპირველად მადლობა გადაუხადა პელიდს თბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ისევე არაფერი აკლდა ამ მეგობრულ სუფრას, როგორც აგამემნონის კარავში გამართულ ვახშამს. ამით ცდილობს, მეფეზე განრისხებულ აქილევსს „შეაპაროს" მისი სახელი, მაგრამ ისე, რომ ამან კიდევ უფრო არ გააღიზიანოს პელიდის გული. ოდისევსის სიტყვა ჰომეროსისეული მჭევრმეტყველების ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ეს მისი კომპოზიციური აგებულებიდანაც ჩანს, რაზეც შემდეგ თავში ვიმსჯელებთ დაწვრილებით. ოდისევსი რჩება აგამემნონის ელჩად, მიუხედავად იმისა, რომ მის პირად ინტერესებშიც შედის აქილევსის დაბრუნება ბრძოლაში. ოდისევსის მიმართვა არ არის ემოციაზე აგებული. მხოლოდ 5 სტრიქონში ჩნდება ემოციური მომენტი, როცა მას მამა პელევსს და მის დარიგებას ახსენებს (IX, 252-56).[378]

---

[377] χαίρετιν · ἠ φίλοι ἄνδρες ἱκάνετον - ἠ τι μάλα χρεώ -
οἵ μοι σκυζομέιῳ περ Ἀχαιῶν φιλτάτω ἐστόν.

[378] ὦ πέπον, ἠ μὲν σοί γε πατὴρ ἐπετέλλετο Πηλεὺς

ო, მეგობარო, განა მამაშენმა პელევსმა ასე არ დაგარიგა
იმ დღეს, როცა ფთიადან აგამემნონთან გამოგგზავნა:
– შვილო ჩემო, სიმტკიცეს ათენა და ჰერა
შეგმატებენ, როცა ინებებენ; შენ კი ამაყ სულში
დათრგუნე რისხვა. სათნოება გერჩივნოს მუდამ.

ამის შემდეგ იგი ლოგიკურად ასაბუთებს საშიშროების არსებობას და მოუწოდებს აქილევსს აქაველთა ლაშქრის ხსნისაკენ. ოდისევსი საოცარი სიზუსტით იმეორებს მეფის მიერ ბელადების სუფრაზე წარმოდგენილ ძღვენის სიას და მის სიტყვაში მთელი აქცენტი გადატანილია საჩუქრების ჩამოთვლაზე. ამით უფრო ამყარებს მტკიცებულებას თავისი ოფიციალური სტატუსის თაობაზე, ვინაიდან მხოლოდ მეფის პირადი ელჩი (მიუხედავად იმისა, რომ სამივე აგამემნონის წარგზავნილია) იყო უფლებამოსილი ქვეყნის მმართველის მატერიალური კომპენსაცია შეეთავაზებინა მეორე მხარისთვის. სიტყვის ამ ნაწილში განსაკუთრებით ჩანს ოდისევსის რაციოზე აგებული შეთავაზება, რომელიც ემოციისაგან თითქმის დაცლილია. სიტყვის დასასრულს, ოდისევსი ხელახლა მოუწოდებს გმირს, დაუდგეს გვერდით ლაშქარს. თუმცა აქ თითქოს წინასწარ ჭვრეტს აქილევსის უარს და დასძენს, რომ თუ აგამემნონთან შერიგებას არ ისურვებს, შეიბრალოს აქაველები და ისინი მას, როგორც ღმერთს ისე განადიდებენ. ამასთან არ გაუშვას შანსი, შეებრძოლოს ჰექტორს. „ჭკუაულევმა“ ოდისევსმა კიდევ ერთი კომპენსაცია შესთავაზა – გმირის სახელი და დიდება. აგამემნონის მიერ შეთავაზებული მატერიალური მოგების ნაცვლად მეფის ელჩი, ოდისევსი, წარუდგენს გმირს, როგორც თავად ფიქრობს, უფრო შესაფერის მოგებას.[379] საინტერესოა, როგორ პასუხობს დიპლომატს განრისხებული აქილევსი და რა რეაქცია აქვს მის მიერ შეთავაზებულ პირობებზე? აქილევსის პასუხი ეყრდნობა ოდისევსის არგუმენტაციას, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში

ἤματι τῷ, ὅτε σ' ἐκ Φθίης Ἀγαμέμνονι πέμπε·
τέκνον ἐμόν, κάρτος μὲν Ἀθηναίη τε καὶ Ἥρη
δώσουσ', αἴ κ' ἐθέλωσι, σὺ δὲ μεγαλήτορα θυμὸν
ἴσχειν ἐν στήθεσσι· φιλοφροσύνη γὰρ ἀμείνων·

[379] Lohmann 1970, 235.

თემატურად ბევრად უფრო რთულად არის აგებული. გმირი არც ერთ შეთავაზებულ პირობასა და წინადადებას არ ტოვებს უპასუხოდ. აქილევსის სიტყვაში აშკარად იგრძნობა ჰომეროსის სწრაფვა, შეადაროს ერთმანეთს აქილევსი და აგამემნონი. განრისხებული გმირი პარალელს ავლებს საკუთარ თავსა და მეფეს შორის. იგი პირდაპირ ეუბნება ოდისევსს, რომ სძულს აგამემნონი და ჩამოთვლის ამის მიზეზებს: 1) მეფე ერთს ფიქრობს გულში და მეორეს ამბობს; 2) დღეს უკვე ერთი ფასი აქვს მხდალსა და მამაცს; აგრეთვე, სიკვდილს – ადამიანი მტერს შეებრძოლება თუ „უქმად" მოკვდება. ამის შემდეგ ჩამოთვლის, თუ რამდენი დამსახურება მიუძღვის თავად გმირს აქაველების წინაშე და რა შემართებით იბრძოდა დღე და ღამე მტრის ციხესიმაგრეებთან. მას მოპოვებული განძი ყოველთვის აგამემნონთან მიჰქონდა. მეფე ცოტას გასცემდა, თავისთვის კი ბევრს იტოვებდა. მიუხედავად ყველაფრისა, აგამემნონმა მას საყვარელი ქალი, ბრისეისი „წაგლიჯა". მართალია, ის ქალი იარაღით ჰყავდა მოპოვებული, მაგრამ გმირს ძალიან უყვარდა. აქილევსი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. პელევსის ძემ იცოდა, რომ აგამემნონსა და მის ჯარს ძალიან უჭირდა. როცა აქილევსი ჩართული იყო ბრძოლაში, ჰექტორი ციხის გალავნებს ვერ შორდებოდა. ამჟამად კი შეუძლებელი იყო მისი შეკავება. აქილევსის სიტყვაში ნათლად ჩანს, რომ განრისხებულ გმირს გაცნობიერებული აქვს ის რეალობა და საშიშროება, რომელიც არგიველების წინაშე იდგა. თუმცა მას არ შეუძლია პირადი ამბიციები და წყენა დაივიწყოს და ჩიხიდან გამოიყვანოს სიტუაცია. ოდისევსს ამიტომ პასუხობს, რომ აღარ სურს ჰექტორთან შებრძოლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ მოლაპარაკება შესაძლებელი იყო მხოლოდ აქილევსის წამოყენებულ პირობებზე, ხოლო ეს პირობა ერთადერთი იყო – თავად აგამემნონს უნდა ეთხოვა გმირისთვის ბრძოლის ველზე დაბრუნება. პელიდი არ კარგავდა იმედს, რომ აუცილებლობა (ἀνάγκη) აიძულებდა აგამემნონს და მის ელჩებს, ეთხოვათ მუხლებზე დაჩოქილთ. როდესაც თავდაპირველად აქილევსმა განიზრახა მიეტოვებინა ბრძოლის ველი, მეფემ არ სთხოვა დარჩენა (I, 169-73), მაგრამ ახლა სიტუაცია შეცვლილი იყო. აქილევსის სიტყვაში 3-ჯერ

არის ნახსენები საჩუქრები. აგამემნონის მიერ შეთავაზებული ძღვენი პირობითად სამი ნაწილისაგან შედგება: 1) მყისიერად მისართმევი საჩუქრები; 2) შინ დაბრუნების შემდეგ დაქორწინება აგამემნონის ქალიშვილზე; 3) ტროას დაცემის შემდეგ ტროას განძი. შესაბამისად, აქილევსი თითოეული პირობის ცალ-ცალკე უარყოფასა და იგნორირებას ახდენს (IX, 378-87; 288-92; 401-405), რითაც უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს აქილევსის მიერ მიჩნეული ღირებულებები. ჩვენი აზრით, ძღვენის მრავალფეროვნებით აქილევსის მოხიბვლა არ უნდა ყოფილიყო პოეტის მიზანი. ეს ძღვენი გამოხატავდა იმ ჩვეულებას ან წესს, რითაც შესაძლებელი იყო დანაშაულის გამოსყიდვა. ყურადღებას იპყრობს, თუ როგორ გადადის აქილევსი მოწინააღმდეგისაკენ მიმართული ემოციებიდან საკუთარი ბედის გააზრებამდე. ჰომეროსს ეს გზა საოცარი ოსტატობით აქვს წარმოდგენილი. აქილევსი იღებს გადაწყვეტილებას, რომ დაბრუნდეს ფთიაში მეორე დღესვე (IX, 360), რადგანაც ახსოვს დედის, თეტისის წინასწარმეტყველება: ბედის განგებით, აქილევსი თუ ტროას ომში მიიღებდა მონაწილეობას, შინ ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა, თუმცა მისი სახელი დიდებით შეიმოსებოდა, ხოლო სამშობლოში დარჩენილს ხანგრძლივი, მაგრამ უსახელო სიცოცხლე ელოდა.

გმირი თავის ასეთ არჩევანს თეტისის ორაკულითაც ამყარებს, ან ამართლებს. აქილევსი სიტყვასიტყვით ასე მიმართავს აგამემნონის წარმომადგენლებს:

> შეტყობინება ამცნეთ – რადგან ეს მოვალეობაა უხუცესთა.[380]
> *ილ.* IX, 422.

გმირი მოუწოდებს მეფის ელჩებს, გადასცენ აგამემნონს და ყველა აქაველს მისი გარდუვალი პასუხი, რადგან ეს მათ პრეროგატივას წარმოადგენს. შესაბამისად, ნათელია, რომ ამბის გადაცემა ელჩობის ფუნქციაში შედიოდა და ეს მოვალეობა ჰომეროსთან უკვე განსაზღვრული იყო. აქილევსი აბარებს მათ თითოეულ აქაველთან, რომ „სხვა აქაველებიც დაემდურონ მას

[380] ἀγγελίην ἀπόφασθε - τὸ γάρ γέρας ἐστὶ γερόντων-

[აგამემნონს]" (IX, 370),[381] თუ მეფე შეეცდება რომელიმე დანაელს შეუგინოს პატიოსნება. ამით თითქოს პასუხობს აგამემნონს I სიმღერაში (186-88) წარმოთქმულ სიტყვებს, თუ რამდენად აღემატებოდა მეფე თავად აქილევსს ძალაუფლებით, რომ ყველას მისი შიში უნდა ჰქონოდა, რათა ვერავის გაებედა მასთან გათანაბრება. როგორც დ. ლომანი აღნიშნავს, ოდისევსისადმი აქილევსის პასუხში იკვეთება სტრუქტურული და თემატური კავშირი I სიმღერის შესაბამის სცენებთან (მაგ., რატომ ვებრძვით ტროელებს: I, 152-60, IX, 337-38 და ა. შ.),[382] რასაც შინაარსობრივად საბოლოოდ მივყავართ მეფესა და გმირს შორის მომხდარ კონფლიქტთან. თუმცა არც ოდისევსის სიტყვის შემდეგ ცვლის აქილევსი გადაწყვეტილებას, როგორც I სიმღერაში, როცა მარტო იჯდა გემთან, აღარ ებრძოდა მტერს და მხოლოდ აგამემნონის შურისძიებაზე ფიქრობდა (*ილ.* I, 488-93).

დელეგაციის მეორე წარმომადგენელი, ფოინიქსი, მოლაპარაკებას წარმართავს როგორც აქილევსის მამის მეგობარი, რომელსაც ახსოვს გმირის ბავშვობა. მიუხედავად იმისა, რომ ფოინიქსის სიტყვა თავისი მოცულობით წარგზავნილთა ყველა სიტყვაზე მეტია, მისი შიდა სტრუქტურა მაინც ადვილად აღსაქმელია. იგი პირობითად ორი ძირითადი თემისაგან შედგება: 1) ფოინიქსისა და აქილევსის ურთიერთდამოკიდებულება; 2) მელეაგროსის პარადიგმა, რომლის გახსენების შემდეგაც ურჩევს დაიცხროს რისხვა და მიიღოს საჩუქრები. ფოინიქსი წარმოადგენს ოდისევსის საპირისპირო სახეს. მოხუცი მისგან განსხვავებით უფრო ემოციურია და მისი სიტყვა აგებულია ადამიანურ და მამაშვილურ ურთიერთობებზე. ფოინიქსი ყურადღებას უმახვილებს მათ ახლობლურ ურთიერთობაზე (მაგ., „მე არ მინდოდა უშენოდ დარჩენა" (IX, 444); „შენ იქ აღგზარდე, ღვთისსადარო აქილევსო, გულით მიყვარდი და შენც სხვას არ იკარებდი"... (IX, 485-86); „შენ შვილად გაღიარე"... (IX, 494). ფოინიქსი ამ სცენაში თითქოს მამის ფუნქციას იღებს თავის თავზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ეხ-

[381] ὄφρα καὶ ἄλλοι ἐπισκύζωνται Ἀχαιοί

[382] Lohmann 1970. 239-41.

მარება, ცდილობს ცრემლებით მის დარწმუნებას სხვადასხვა მაგალითით, რადგან გმირის კეთილისმსურველია. მიუხედავად იმისა, რომ ფოინიქსი იმ ე. წ. „წარმომადგენლობითი ელჩობის“ წევრია, რომელიც მეფემ გამოგზავნა, აქილევსი სულაც არ მიიჩნევს მას აგამემნონის პირადი ინტერესების დამცველ ელჩად. ეს კარგად ჩანს ჯერ კიდევ იმ ეპიზოდში, როდესაც ოდისევსის მიმართ პასუხში ფოინიქსს თავისთან დარჩენას სთავაზობს. თუმცა იმასაც დასძენს, რომ არჩევანი, დარჩება თუ არა აქილევსთან, თავად ფოინიქსმა უნდა გააკეთოს (IX, 427-29). ფოინიქსს კარგად უნდა სცოდნოდა აქილევსის ხასიათი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უკომპრომისო გადაწყვეტილებიდან თანდათან დათმობაზე წასვლა, ἀφροσύνη-დან σωφροσύνη-ში, ანუ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლა.[383] პელევსის მეგობარი ამ წარგზავნილთა იერარქიაში გარდამავალ ეტაპს ქმნის. მოხუცის ვრცელ სიტყვაში ბევრია რჩევისა და დარწმუნების სიტყვები. მის მიმართვაში ერთიანდება ელჩობის ორი ტიპი: 1) ელჩობა, რომელიც თხოვნას შეიცავს; 2) ელჩობა, რომელიც მიმართულია დარწმუნებისაკენ.

... დამლუპველი იქნება
ხომალდების დახსნა ცეცხლის ქარბუქში. ძლვენის გამო
გამოდი! და შენ აქაველები ღმერთივით პატივს მოგაგებენ.
თუ შენ ძლვენის გარეშე, იძულებით ამხედრდები ბრძოლისათვის
უკვე ვეღარ მოიპოვებ იმ პატივს, თუმც ბრძოლის
შედეგი შენ გადაწყვიტო.[384]
ილ. IX, 601-605.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მელეაგროსის რისხვის ამბის თხრობაზე, რომელიც ძალიან ჰგავს აქი-

[383] გორდეზიანი 1970, 304.

[384] ... χαλεπὸν δέ κεν εἴη
νηυσὶν καιομένῃσιν ἀμυνέμεν· ἀλλ' ἐπὶ δώροις
ἔρχεο· ἶσον γάρ σε θεῷ τίσουσιν' Αχαιοί.
εἰ δέ κ' ἄτερ δώρων πόλεμον φθεισήνορα δύῃς,
οὐκέθ' ὁμῶς τιμῆς ἔσεαι, πόλεμόν περ ἀλαλκών.

ლევსის რისხვას.[385] სწორედ ამგვარ პარადიგმულ პრინციპებზე აგებული სცენები განსაზღვრავს „ილიადაში“ მოქმედების განვითარებას. მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა მელეაგროსის პარადიგმის საკითხს. მკვლევარებს აინტერესებთ, იყო თუ არა მელეაგროსის პარადიგმაში რისხვის ეს სცენა „ილიადის“ მიხედვით ჩამოყალიბებული, თუ პირიქით, მან მისცა ბიძგი აქილევსის რისხვის თემას? რამდენად შორს არის წასული პარალელები მელეაგროსის ამბავსა და „ილიადას“ შორის და ა. შ. თუმცა ეს ჩვენი ნაშრომის კვლევის ფარგლებს სცილდება და ყურადღებას ამ მიმართულებით არ შევაჩერებთ.[386] ერთი რამ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლომანის აზრით, თუ „ილიადის“ ძირითადი მოტივი მელეაგროსის რისხვის მიხედვით არის ჩამოყალიბებული, გამოდის, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო „ილიადისა“.[387] ფოინიქსი მელეაგროსის ამბის თხრობის შემდეგ კიდევ ერთხელ ურჩევს, არ დაემონოს რისხვას. აქილევ-

---

[385] მოხუცი ფოინიქსი არიგებს და ურჩევს გმირს, რომ უყურადღებოდ არ დატოვოს მთხოვნელთა ვედრება. მას უამრავი ამბავი აქონდა გაგონილი, როგორ ტანჯავდა რისხვა ძველ გმირებს, თუმცა ტკბილი სიტყვითა და ძღვენის მიღებით გული ულბებოდათ. იგი უამბობს ერთ-ერთ მაგალითს. ერთხელ კურეტები და ეტოლიელები შეებნენ ერთმანეთს. სანამ ეტოლიელთ მელეაგროსი პყავდათ, მტერს გამარჯვება უჭირდა. თუმცა მელეაგროსი იმხანად რისხვით აინთო დედაზე – ალთეაზე, რომელიც ღმერთებს სთხოვდა შური ეძიათ მელეაგროსზე მისი მოკლული ძმის გამო. ეტოლიელებმა შესარიგებლად გმირს მიუგზავნეს ღმერთის რჩეული მოგვები, აღუთქვეს საჩუქრები, მინები, ოღონდაც მას მოძმე ლაშქარი ეხსნა. მელეაგროსის დასარწმუნებლად ყველაფერი იღონეს. ევედრებოდა მას მოხუცი მამა ოინევსი, სთხოვდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც ყველაზე მეტად უყვარდა. თუმცა, სამწუხაროდ, ვერავინ დაარწმუნა იგი. ამ დროს კურეტები შეიჭრნენ ეტოლიელთა მინაზე და ცეცხლში გაახვიეს ქალაქი. მისმა ცოლმა, კლეოპატრამ ამცნო ქალაქში დატრიალებული უბედურება. მაშინ შეიმოსა აბჯრით მელეაგროსი, გავიდა საბრძოლველად და გადაარჩინა დაღუპვას ეტოლიელები ისე, რომ არაეითარი ძღვენი არ მიუღია. მან გულით, უანგაროდ იხსნა თანამემამულეები, როცა სხვა გზა აღარ პქონდა (IX, 528-99).

[386] Tsagarakis 1973, 221-42; Morrison 1992, 119-24

[387] Lohmann 1970, 256-57.

სი ვერც გამზრდელმა დაარწმუნა, გამოსულიყო საბრძოლველად. ფოინიქსის ვრცელი სიტყვისაგან განსხვავებით (IX, 434-605) აქილევსის სიტყვა (IX, 607-19), რომელიც 13 სტრიქონისაგან შედგება, ერთი შეხედვით მოკლე და შეიძლება ითქვას, საკმაოდ თბილია. თუმცა რამდენიმე სტრიქონში ჩანს, რომ არ უვლის გვერდს აგამემნონის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას და მოხუცისგანაც ამასვე მოითხოვს. მის სიტყვაში უმნიშვნელო, მაგრამ მუქარის ტონი მაინც გამოკრთება.

... და შენ არ უნდა
გიყვარდეს ის [აგამემნონი], რომ არ შესძულდე იმას, ვისაც
უყვარხარ.
კარგია, თუ შეურაცხყოფ იმას, ვინც მე შეურაცხმყო.[388]
ილ. IX, 613-615.

აქილევსი თავისი სიტყვის ბოლოს მოხუცს დარჩენას და კომფორტულ მოსვენებას სთავაზობს. ეს შეთავაზება ძალიან ახლობლური და მამაშვილურია – „იმეფე, როგორც მე და გაინაწილე პატივი ჩემთან ერთად“ (IX, 616).[389] პატროკლოსს აქილევსი ანიშნებს, რომ საწოლი გაუმზადონ ფოინიქსს (IX, 620-22). ამით კი მიანიშნებს სტუმრებს, რომ მათ წასვლაზე დროულად უნდა იფიქრონ. ფოინიქსისადმი პასუხში გმირი აღარ არის კატეგორიული. ოდისევსის სიტყვაზე დეტალური პასუხის ნაცლად, აქ იგი არბილებს პოზიციას და ამბობს, რომ უმჯობესია მეორე დღისათვის განსაზღვროს, დაბრუნდეს თუ არა სამშობლოში (IX, 618). პელევსის ძე აცნობიერებს, რომ აგამემნონი მზად იყო დათმობაზე წასულიყო არა იმიტომ, რომ თავისი დანაშაული გაიაზრა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ აქილევსს შეეძლო აქაველთა გადარჩენა. ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი იყო გმირისთვის, რომელსაც სჯეროდა, რომ ზევსისგან მაინც მიეგებოდა პატივი (τετιμῆσθαι Διὸς αἴσῃ).

---

[388] ... οὐδέ τι σε χρὴ
τὸν φιλέειν, ἵνα μη μοι ἀπέχθηαι φίλέοντι.
καλόν τοι σὺν ἐμοὶ τὸν κήδειν, ὅς κ' ἐμὲ κήδῃ.

[389] ἴσον ἐμοὶ βασίλευε καὶ ἥμισυ μείρεο τιμῆς.

აიასის სიტყვა ჩაშლილი დიპლომატიური მისიის გამომხატველია (IX, 624-42). მან მოკლე, მაგრამ ძლიერი სიტყვით შეძრა აქილევსის გული. აიასი თავის მიმართვაში ღირსებისა და მეგობრობის ფაქტორებს ეხება, რასაც უკვე გმირი მეორე უკიდურესობაში გადაჰყავს. რა თქმა უნდა, ეს სიტყვა საერთოდ არ ჰგავს ოდისევსის დიპლომატიურ და ფოინიქსის მამაშვილური სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვებს. განსხვავებულია მისი პირველივე სტრიქონები. აიასი მიმართავს მოულოდნელად ოდისევსს და არა აქილევსს. იგი პირდაპირ, აქილევსისადმი ყოველგვარი თხოვნის ან სათმელის გარეშე ეუბნება მას, რომ წასვლის დროა (624-25[1]). მომდევნო სტრიქონები კი იმის გამართლებაა, თუ რატომ უნდა დატოვონ აქილევსის კარავი ელჩებმა („ვხედავ, საბოლოო მიზანს ამ გზით ვერ მივაღწევთ“ (625-26[1]),[390] აღშფოთებულია აქილევსის საქციელის გამო და ირიბად ლანძღავს კიდეც გმირს (მის საქციელს ამგვარი ეპითეტებით მოიხსენიებს: ἄγριος, σχέτλιος, νηλής, ἀλλήκτός, κακός, θυμός); ასევე მნიშვნელოვანია, რომ აქილევსის პასუხი უნდა გადასცენ დანაელებს, რომლებიც მათ ელოდებიან (625[2]-39). ბოლო სამ სტრიქონში დიდ იმედგაცრუებას გამოხატავს აიასი, რადგან ისინი გმირისგან მეტ მხარდაჭერასა და მეგობრობას ელოდნენ (640-42). აიასის სიტყვაში წარმოთქმული საყვედურის, იმედგაცრუების თუ ბრალდების სტრიქონები ძირითადად მეგობრობის თემას უკავშირდება (φιλότητος ἑταίρων, φίλτατοι). ჰომეროსი თავისი ტრადიციული სიტყვის აგების პრინციპის დარღვევით აღწევს საოცარ ეფექტს, რომელიც მოულოდნელი რიტორიკითაცაა გამოწვეული. უკომპრომისობით გამორჩეული აიასის არადიპლომატიურმა სიტყვამ ყველაზე მეტად იმოქმედა გმირზე. აქილევსის საპასუხო სიტყვა კომპოზიციურად არ არის რთულად აგებული (IX, 644-55). აიასი ავტორიტეტული ფიგურა იყო და მის წინაშე პელიდმა აღიარა, რომ გმირის საყვედური სავსებით საფუძვლიანი იყო. თუმცა მაინც არ შეეძლო, დაეცხრო რისხვა აგამემნონის მიმართ. იგი ცდილობდა,

[390] ... οὐ γάρ μοι δοκέει μύθοιο τελευτὴ
τῇδέ γ' ὁδῷ κραναέεσθαι.

გაემართლებინა თავისი საქციელი შელახული პატივის დასაცავად. და ბოლოს, რაც მთავარია, აქილევსი საერთოდ გადაიფიქრებს სამშობლოში დაბრუნებას და გადაწყვეტს, მხოლოდ მაშინ შეებრძოლოს ღვთაებრივ ჰექტორს, როცა მისი ჯარი მირმიდონელთა ხომალდებს მოადგება. საყურადღებოა, აქილევსი როგორ ცვლის თანდათან გადაწყვეტილებას სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ოდისევსის მიმართ წარმოთქმულ პასუხში პელევსის ძე ვერც კი დაუშვებდა, რომ ფთიაში დაბრუნებას მალევე გადაიფიქრებდა, იმდენად კატეგორიული იყო. ფოინიქსთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდამავალი ეტაპი იქმნება და იგი შემდეგი დღისთვის გადადებს, მოიფიქროს მოხუცთან ერთად გაემგზავროს თუ არა თავის ქვეყანაში. აიასის მკაცრი სიტყვის შემდეგ კი იგი იღებს გადაწყვეტილებას, დაელოდოს ჰექტორს. ყველაზე დიდი შედეგი, რომელსაც ამ ე. წ. წარმომადგენლობითმა ელჩობამ მიაღწია იყო ის, რომ მათ გადააფიქრებინეს აქილევსს სამშობლოში დაბრუნება. მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს, რომ იმედგაცრუებული ელჩები სხვა გზას აქილევსის დარწმუნებისათვის აღარ ეძებენ. აქილევსის პასუხის შემდეგ თითოეულმა უხმოდ აიღო ღვინით სავსე ორფსკერიანი თასი (δέπας ἀμφικύπελλον). მათ ზედაშე გადაუღვარეს ღმერთებს და ოდისევსის „წინამძღოლობით“ გავიდნენ აქილევსის კარავიდან. ფოინიქსი აქილევსთან დარჩა. ამით დასრულდა აქილევსთან ელჩობა. მიუხედავად იმისა, რომ მოიძებნა დარწმუნების სამი სხვადასხვა გზა აქილევსის რისხვის დასაცხრობად, ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა, თუმცა ამ დიპლომატიურ შეხვედრას მაინც ვერ ვუწოდებთ წარუმატებელს. და მართლაც, რაც მოკლევადიანი პერსპექტივიდან შეიძლება წარუმატებლად აღვიქვათ, შეიძლება სხვანაირად წარმოსდგეს გრძელვადიან პერსპექტივაში.

არანაკლებ საინტერესოა სცენა, როცა ელჩები ბრუნდებიან აქაველთა ბანაკში, რომ გადასცენ მეფეს აქილევსის გარდაუვალი პასუხი. მათ მებრძოლები ოქროს თასებით შეეგებნენ. პირველად აგამემნონმა ჰკითხა ოდისევსს, როგორც მის „ოფიციალურ“ ელჩს, საქმის ვითარების შესახებ – ააცილებდა აქაველებს მშთანთქმელ ალს აქილევსი, თუ ისევ მრისხანებას მოეც-

ვა მისი სული. ოდისევსმა ტრადიციული მიმართვის შემდეგ (Ἀτρεΐδη κύδιστε, ἄναξ ἀνδρῶν Ἀγάμεμνον – დიდებულო ატრიდო, ვაჟკაცთა მბრძანებელო აგამემნონ!" (678) პირდაპირ უთხრა, რომ აქილევსი ისევ მტრად მიიჩნევდა აგამემნონს, ისევ ძველებურად რისხვით იყო აღვსილი მის მიმართ, სძულდა მეფე და უარს ამბობდა შეთავაზებულ საჩუქრებზე. ოდისევსი თავის სიტყვაში მეფეს იმ დანაბარებს გადასცემს, რომელიც აქილევსმა პირადად მას უთხრა:

ნახავ, თუ გსურს და თუ ეს გაწუხებს,
უთენია თევზმრავალ ჰელესპონტიდან როგორ გაცურავენ
ჩემი გემები...[391]

ილ. IX, 359-61.

თუმცა მეფის ელჩი აქილევსის სიტყვის ზუსტ ციტირებას არ ახდენს. სათქმელს ამ სიტყვებით ეუბნება:

თავად კი იმუქრება, რომ დილით, როგორც კი ინათებს
კარგად მოკირნყლულ ორლესულ ნავებს ზღვაში ჩააცურებს.[392]

ილ. IX, 682-83.

ის, რომ აიასის წარმოთქმული სიტყვის შემდეგ აქილევსმა გადაიფიქრა სამშობლოში მეორე დილით გამგზავრება (IX, 651-55), ანდა, ფოინიქსს უთხრა, რომ ხვალ დილით მოვიფიქროთ ერთად სამშობლოში როდის დავბრუნდეთო (IX, 618-19), ოდისევსს მეფისთვის არ უთქვამს.

აქილევსი შინ დაბრუნებას ურჩევდა სხვებსაც, რადგან მისი აზრით, ილიონის განადგურებას აქაველები ვერ მოესწრებოდნენ. ოდისევსმა ისიც აღნიშნა, რომ ყოველივეს აიასი და ორივე შიკრიკი – ევრიბატესი და ოდიოსიც დაადასტურებდნენ. სიტყვის ბოლოს ფოინიქსის დარჩენის ამბავსაც ატყობინებს მეფეს და იქვე დასძენს ელჩი, რომ მოხუცისთვის ძალა არ დაუტანებია აქილევსს. ამით სრულდება ოდისევსის სიტყვა, რომლითაც

---

[391] ὄψεαι, αἴ κ' ἐθέλῃσθα καὶ αἴ κέν τοι τὰ μεμήλῃ,
ἠρι μάλ' ἐλλήσποντον ἔπ' ἰχθυόεντα πλεούσας
νῆας ἐμάς...

[392] αὐτὸς δ' ἠπείλησεν ἅμ' ἠοῖ φαινομένῃφι
νῆας ἐυσσέλμους ἅλαδ' ἑλκέμεν ἀμφιελίσσας.

აგამემნონს თავისი ელჩობის შედეგს, შეიძლება ითქვას, პასუხი წარუდგინა. ამის მოსმენის შემდეგ ზარდაცემული დანაელები დუმილმა მოიცვა.

IX სიმღერის დანიშნულება „ილიადის" დრამატული მოქმედების განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. აქ წარმოდგენილი ელჩობის სცენა უშუალოდ უკავშირდება აქილევსის რისხვას, ანუ იმ ძირითად ხაზს, რომელზეც აგებულია მთელი პოემა. აქილევსის ბრძოლაში დაბრუნებას აშკარად მოქმედების განვითარების სამი ეტაპი უძღვის წინ: 1) ელჩობა; 2) პატროკლოსის თხოვნა და ბრძოლის ველზე გაგზავნა; 3) პატროკლოსის სიკვდილი, აფექტი და აქილევსის რისხვის მეორე ფაზა. ელჩობის ამ სცენაში შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი ასპექტის გამოყოფა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს დარწმუნების გზათა ძიების მომენტი: იგზავნება სამი წარმომადგენელი, რომელთაც საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე უნდა წარმართონ მოლაპარაკება. მოძებნილია სამი სხვადასხვა გზა აქილევსის დასარწმუნებლად. აქ ჰომეროსი აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ელჩობას, როგორც ფენომენს, კრიტიკულ მომენტში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩიხურ სიტუაციებში გამოსავლის ძიება, მომლაპარაკებელთა შერჩევა ყველა დროის აქტუალური საკითხია და საინტერესოა, რას შეუძლია ამ დროს ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა. პოეტმა გმირის დასარწმუნებლად სამი უმთავრესი მომენტი გამოყო: დარწმუნება – ოფიციალური გზით (ჭკუით), დარწმუნება – ბრძნული, მამაშვილური რჩევით (ემოციური გზით), დარწმუნება – ვაჟკაცობასა და მეგობრობაზე აპელირებით (ავტორიტეტულობით). ამით პოეტმა შექმნა ელჩობის ზოგადი სახე და სამივე წარგზავნილი ერთ მთლიანობად წარმოაჩინა. არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც ელჩობის ფენომენს უკავშირდება, არის მჭევრმეტყველების ეფექტი, რასაც ახდენს აქილევსის დასარწმუნებლად წარგზავნილი თითოეული პერსონაჟი. ეს ეფექტი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი დიპლომატიური მოლაპარაკებისას, თუმცა ამ შემთხვევაში აქილევსისთვის ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდება დახვეწილი დიპლომატიური სიტყვა ოდისევსისა, ხოლო მეტად მისაღები

სავსებით უკომპრომისობით გამორჩეული გმირის, აიასის არადიპლომატიური სიტყვა. ყოველივე ეს ლოგიკური იქნება, თუ აქილევსის ხასიათს გავითვალისწინებთ.

ამგვარად, ჰომეროსი ილიადის IX სიმღერაში გვთავაზობს რიტორიკის ძალზე შთამბეჭდავ მაგალითებს, რომლებმაც დასაბამი მისცა ჯერ ანტიკურ სამყაროში მჭევრმეტყველების ხელოვნების ჩამოყალიბებას, შემდეგ კი მის განვითარებას ევროპულ სივრცეში.

დიპლომატიური სიტყვების აგებულებისათვის „ილიადასა“ და „ოდისეაში“

ჰომეროსის პოემებში წარმოთქმული არაერთი სიტყვა მიიჩნევა მჭევრმეტყველების ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში აღიარებდნენ ჰომეროსს რიტორიკის ფუძემდებლად და მის ციტატებს ხშირად იმოწმებდნენ სიტყვის ზემოქმედებისა თუ ორატორულ კანონზომიერებებზე მსჯელობის დროს. „ილიადისა“ და „ოდისეას“ გმირების მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელთა მიზანია ე. წ. დიპლომატიური წარმატების მიღწევა, ძალზე საყურადღებოა თავიანთი აგებულების თვალსაზრისით. რასაკვირველია, ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ჩვენთვის საინტერესო ყველა სიტყვის სტრუქტურის შესწავლას, თუმცა ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე ისეთ წარმოთქმულ სიტყვაზე, რომლებსაც პოემებში საკვანძო მნიშვნელობა აქვს და ამავე დროს, მათი წარმოთქმის შედეგად მოვლენათა მსვლელობა რადიკალურად იცვლება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საყურადღებოა ჰომეროსის ეპოსის „მთავარი დიპლომატის“ – ოდისევსის მიერ „ილიადის“ II სიმღერაში წარმოთქმული სიტყვა, რომელიც, ფაქტობრივად, გადამწყვეტი აღმოჩნდება ტროას ომის ჯერ გაგრძელების და შემდგომ უკვე აქაველთათვის წარმატებით დასრულებისათვის. სიუჟეტი ამგვარად ვითარდება: ზევსი მაცდურ სიზმარს მოუვლენს აგამემნონს და მას ბრძოლის განახლებას ჩააგონებს. აგამემნონი მოიწვევს უხუცესებს და უამბობს სიზმარს. ისინი ბრძოლის განახლების წინააღმდეგნი არ არიან. ამასთან ერთად, შეკრებილ ჯარს ატრიდესი მიმართავს სიტყვით და ცდილობს ჯარის გამოცდას – უშედეგო ცხრა წლის ბრძოლის შემდეგ ხომ არ აჯობებს ომის შეწყვეტა და შინ დაბრუნება? მეომრები სიხარულით აიტაცებენ მეფის შეთავაზებას. ჯარი ხომალდებისაკენ გაეშურება და დასაბრუნებლად მზადებას იწყებს. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ჰერასაგან გამოგზავნილი ათენა ჩამოდის ოლიმპოსიდან და „გონიერებით ზევსის მსგავს“ ოდისევსს (Διὶ μῆτιν ἀτάλαντον) მიმართავს. იგი აკისრებს მისიას, შემოაბრუნოს ჯარი „ტკბილი სიტყვებით“ (ἐρήτυε φῶτα) და გემების მომ-

ზადება გასამგზავრებლად შეწყვიტონ.[393] ოდისევსი იწყებს მოქმედებას. იგი სწრაფად გაეშურება აქაველთა ხომალდებისაკენ. გმირი გზად ვისაც კი შეხვდებოდა, მეფეს თუ სახელოვან მებრძოლს, მაშინვე მოკლედ არწმუნებდა, რომ მათ არ მართებდათ შიში და ეს შეთავაზება აგამემნონის მხრიდან ჯარის გამოცდა იყო. ზოგიერთ ხმაურიან მეომარს კვერთხსაც კი ჩაარტყამდა და მკაცრი სიტყვით მოიყვანდა ჭკუაზე. სცენაზე ჩნდება ე. წ. დემაგოგი თერსიტესი, რომელიც ყოველთვის ეძებდა მიზეზს ელანძღა მეფეები. იგი აქაველების წინაშე აგამემნონს ამცირებდა. საჭირო იყო ჯარის გათავისუფლება მისი გავლენისაგან, რათა ჯარს ოდისევსისთვის მოესმინა. საინტერესოა, რომ ოდისევსი პირველივე ქმედებით აგდებს მას სასაცილო მდგომარეობაში. იგი საკმაოდ დამაჯერებელი და მკაცრი ტონით ემუქრება თერსიტესს, აბუჩად იგდებს მის სიტყვებს, არტყამს ძლიერად კვერთხს, რის შემდეგაც ხდება სიტუაციის განმუხტვა. მან ეფექტური შთაბეჭდილება მოახდინა აქაველებზე – ჯარმა გულიანად გადაიხარხარა (Οἱ δὲ, καὶ ἀχνύμενοί περ, ἐπ᾽ αὐτῷ ἡδὺ γέλασσαν. – „ისინი აღარ იყვნენ შეურაცხყოფილნი, მათ მასზე [თერსიტესზე] სიხარულით გადაიხარხარეს“. *ილ.* II, 270). ოდისევსმა თავის მიზანს მიაღწია. ამის შემდეგ იკრიბება ჯარი, რომელიც განეწყო ოდისევსის მოსასმენად. აქაველების თვალში მეფე ისევ თავის სიმაღლეზეა. ოდისევსმა მოახერხა თერსიტესის შეჩერება და ამავე დროს გაუჩინა ინტერესი

[393] საინტერესოა, რომ ათენა თითქმის ზუსტად იმეორებს ჰერას სიტყვებს, რომლებიც წარმოთქვა ათენას წინაშე იმ დროს, როცა აქაველებთან უშვებდა მას ჯარის შემოსაბრუნებლად. ჰერა რიტორიკულ კითხვას სვამს, ნუთუ არგიველები სამშობლოში დასაბრუნებლად უნდა გარბოდნენ პრიამოსისა და ტროას გასახარებლად? ნუთუ მათ უნდა დათმონ ელენე, რომლის გამოც ბევრმა ახალგაზრდამ შესწირა თავი? მისი სიტყვის პირველი ნაწილი რიტორიკული ტონით არის გამსჭვალული, ხოლო შემდეგ გადადის პირდაპირ დავალებაზე: ეწვიოს აქაველებს და ტკბილი სიტყვით ჯარი შემოაბრუნოს. საყურადღებო არის ისიც, რომ აქაველთაგან ამ მისიის შემსრულებელს, ოდისევსს თავად ირჩევს ათენა და სწორედ მას ავალებს ჯარის შემობრუნებას. რა კრიტერიუმით არჩევს ათენა ოდისევსს? ამ კითხვაზე თავად სცემს იქვე ჰომეროსი პასუხს – ოდისევსი ზევსის მსგავსია გონიერებით.

ჯარს, გაეგოთ, რას ფიქრობს და ურჩევს მათ „ჭკუაულევი“ ოდისევსი. აქაველები ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ოდისევსის შესახებ ამბობდნენ:

„ოდისევსი მრავალი კეთილი საქმის მოთავეა,
კეთილი რჩევის დამწყებიც და ბრძოლისთვის აღმზნებიც“.[394]
ილ. II, 272-73.

ახლაც კი, როცა მათ ღვთაებრივ მეფეს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა მახინჯი თერსიტესი, მხოლოდ ოდისევსმა ჩააწყვეტინა ხმა. აგრეთვე, საყურადღებოა, რომ ამ დროს ათენა მაცნის გარეგნობით ხალხს აჩუმებდა და ოდისევსის რჩევის მოსასმენად განაწყობდა აქაველებს. ქალღმერთი არა მარტო არ ტოვებდა ოდისევსს, არამედ ხელს უწყობდა, წარმატებით გაერთვა მას თავი ღმერთებისგან დაკისრებული მისიისათვის. თუმცა დარწმუნების რა ხერხებს მიმართავს გმირი ან როგორ მოახდენს ზემოქმედებას ჯარზე, ეს უკვე მისი პრეროგატივაა. ოდისევსმა თავად უნდა მოიფიქროს და ააგოს მიმართვის ის სიტყვა, რომლითაც შეძლებს ე. წ. „დიპლომატიური მისიის“ შესრულებას. მისი მიზანია, წასასვლელად გამზადებული ჯარის ბრძოლისაკენ შემობრუნება. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ გმირი მიმართავს ჯარს. ეს სიტყვა, როგორც დ. ლომანმა აჩვენა, თავისი სტრუქტურით კომბინირებულია.[395] მისი აზრით, მასში გამოიყოფა ორი ნაწილი: I (284-98) – მიმართვა აგამემნონისადმი და II (299-332) – მიმართვა ჯარისადმი. თავის მხრივ, I ნაწილში შეიძლება ასევე გამოვყოთ ორი სტრუქტურული ელემენტი: 1) 284-90 სტრიქონები, რომლებშიც გადმოცემულია აგამემნონის სამარცხვინო მდგომარეობაში ყოფნა; და 2) 291-98 სტრიქონები, სადაც ოდისევსი სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებს არსებულ სიტუაციას.

A 284-290 აგამემნონის სასირცხვილო მდგომარეობა

---

[394] ... ἡ δὴ μυρί' Ὀδυσσεὺς ἐσθλὰ ἔοργε
Βουλάς τ' ἐξάρχων ἀγαθὰς πόλεμόν τε κορύσσων.

[395] Lohmann 1970, 51.

1. 284-85 – ატრევსის ძევ, მეფევ, აქაველები სამუდამო სირცხვილს გიმზადებენ ადამიანთა მოდგმის წინაშე;

2. 286-88 – არც იმ სიტყვის შესრულებას გპირდებიან, რომელიც მოგცეს აქ გამომგზავრებამდე [აქაველებმა] (Ἀργεῖοι ἱπποβόται) ცხენთა მკვებავი არგოსიდან – ილიონის დამარცხებას და გამარჯვებით დაბრუნებას.

3. 289-90 – [აქაველები] როგორც პატარა ნაზი ბავშვები და ქვრივი ქალები ერთმანეთს შესტირიან და შინ მიიჩქარიან.

B 291-98 თვალსაზრისების შეფასება

a) 291 – ძნელია ბრძოლა და ამიტომ შინ მიიჩქარიან.

b) 292-97ª – როგორც მოგზაური, რომელიც ცოლისგან შორს ერთი თვე იმყოფება, დარდობს გემთან ახლოს წასასვლელად გამზადებული, რადგან აჩერებს ზამთრის ქარიშხალი, ზღვის მღელვარება. ჩვენც უკვე ცხრა წელია, რაც აქ ვიმყოფებით. მე არ ვადანაშაულებ გატანჯულ აქაველებს, რომლებიც დარდობენ ხომალდებთან;

a ´ 297ᵇ-98 მაგრამ მათ რცხვენიათ დიდხანს ლოდინიც და შინ წარუმატებლად დაბრუნებაც.

ამგვარად, ოდისევსი თავის სიტყვაში საკმაოდ ოსტატურად აანალიზებს სიტუაციას. თავდაპირველად მიმართავს აგამემნონს, რომელსაც პირდაპირ ჯარის თანდასწრებით ეუბნება, რომ აქაველთა ფიცის გატეხვით მას მოკვდავთა შორის სამუდამო სირცხილი ელოდება. აქვე ახსენებს აქაველების მიერ დადებულ პირობას ილიონში გამომგზავრებამდე. არგიველთა მიზანი იყო ტროას აღება და შინ დიდებით და გამარჯვებით დაბრუნება, რასაც თავად მებრძოლებიც ისმენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოდისევსს თავისი სიტყვის დასაწყისში ჯერ მეომრებისთვის არ მოუწოდებია ბრძოლაში ჩართვა, მაინც წინა პლანზე შეფარვით წამოწევს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ჯარმა აიღო თავის თავზე მეფის წინაშე ტროაში ლაშქრობამდე. ეს ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია როგორც აგამემნონის, ასევე მებრძოლთა ფუნქციის განსაზღვრისათვის. ოდისევსის სიტყვის პათოსიდან ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარემ დაივიწყა აღებული ვალდებულებები, რის გამოც

ოდისევსს უწევს მათი შეხსენება. თუმცა ამას ისე ახერხებს, რომ არც მეფეს და არც ჯარს ამ სიტყვებით შეურაცხყოფას არ აყენებს. ოდისევსი თითქოს აგამემნონს საყვედურობს კიდეც, რომ მან აიძულა მეომრები ფიცი გაეტეხათ, რადგან მეცხრე წელია ომი არ ცხრება. აღსანიშნავია, რომ იგი არა მარტო აგამემნონს, არამედ არც ჯარს ინდობს თავის სიტყვაში. მართალია, აქაველები ბავშვებივით და ქვრივი ქალებივით ტირიან და შინ მიუხარიათ, მაგრამ მისთვის ესეც გასაგებია, რადგან, მისი განმარტებით, რთულია ბრძოლა. ამ თითქოსდა აქაველი ვაჟკაცისთვის ყველაზე დამამცირებელი შედარებების დროსაც არ რჩება განცდა, რომ ჯარი შეურაცხყოფილია, ვინაიდან მაშინვე ლოგიკურ ახსნას უძებნის მათ პოზიციას. I სტრუქტურულ ელემენტში არ იკვეთება, თუ რომელ მხარეს თვლის თავად „დიპლომატი" მართებულად. იგი გამოყოფს ორ შესაძლებლობას და არჩევანს, რაც იმ დროს მათ წინაშე იდგა: ან შინ დაბრუნება, ან გამარჯვებისათვის მოცდა. ოდისევსი ორივე პოზიციას უძებნის გამართლებას ისე დიპლომატიურად, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი არგუმენტი ლოგიკური და ამავე დროს გამართლებულია. თუმცა გონიერმა გმირმა კარგად იცის თავისი მიზანიც და პოზიციაც, რადგან შეიცნო ქალღმერთის ხმა. ამ ეპიზოდში ოდისევსი შუამავლის ფუნქციას ასრულებს უკვდავსა და ადამიანებს შორის. გარდაუვალია – ღმერთის ნება უნდა აღსრულდეს. ოდისევსს გააზრებული აქვს ის მისია, რომელიც დააკისრა ათენამ. იგი მოცემულ ეპიზოდში ღმერთების ელჩია, რომელმაც შინ წასასვლელად განწყობილი ჯარი უნდა შემოაბრუნოს და ბრძოლისათვის აღაგზნოს. აქ სჭირდება ოდისევსს ისეთ ფაქტორზე აპელირება, რომელიც მთელი ჯარისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება. რამ შეიძლება დააბრუნოს აქაველები ბრძოლისაკენ? ოდისევსის მთლიანი სიტყვის ძირითადი ნაწილი არის მიმართვა ჯარისადმი, რომელიც 299-332 სტრიქონებს მოიცავს. პირველივე წინადადება არის მათ მიმართ მოწოდება მოთმინებისაკენ კეთილგანწყობილი და გულშემატკივარი ოდისევსისა, რომელიც შემდგომ ლოგიკურად უსაბუთებს ყველას მისი აზრის მართებულობას.

მოითმინეთ, საყვარელნო, დარჩით კიდევ ცოტა ხანს, რათა ვნახოთ,
სიმართლეა თუ არა კალქასის წინასწარმეტყველება.[396]
ილ. II, 299-300.

ოდისევსის სიტყვაში წრიული კომპოზიციის ჩარჩოებში ძალზე საინტერესოდ არის ჩართული პარადიგმა დრაკონის მიერ ბარტყების შეჭმის შესახებ, რომლის თითოეული ეპიზოდი სრულიად გარკვეული წინასწარმეტყველური ფუნქციისაა.[397] შესაბამისად, მთლიან სიტყვაში ჯარისადმი მიმართვის სტრუქტურა ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

a) 299 – აქაველებისადმი მოწოდება;

b) 300 – კალქასის წინასწარმეტყველება;

c) 301-307 ოდისევსი აღწერს იმდროინდელ სიტუაციას;

d) 308-19 პარადიგმის წარმოდგენა;

1) 308-10 იქ მოგვევლინა დიდი სასწაული. გაწითლებული დრაკონი საშინელი, თავად ოლიმპიელთა მიერ მოვლენილი, რომელიც საკურთხევლის საფეხურიდან გასრიალდა ჭადრისაკენ და ხეს შემოერტყა.

2) 311-13 იქ იყვნენ ბელურის ბარტყები, პატარები, ძალიან მაღალ ტოტზე ფოთლებში. რვა, დედის ჩათვლით ცხრა იყო, თავისი შვილების გამომჩეკელი.

3) 314-16 [დრაკონმა] იქვე ყველა საცოდავად მჯომი მოჭიკჭიკე ბარტყი შესანსლა, დედა მათ გარშემო დაფრინავდა, საყვარელ შვილებზე მოტირალი. ზემოთ აიკლაკნა [დრაკონი], ფრთით დაიჭირა მოტირალი დედაც.

4) 317-19 მაგრამ როგორც კი გადაყლაპა ბარტყები და მათი დედა, თავად იქცა ნათელი სასწაულის მსხვერპლად. ვინც გააჩინა, მანვე, კრონოსის ცბიერმა შვილმა აქცია ქვად.

c′ 320-21 ოდისევსი აღწერს იმდროინდელ სიტუაციას;

---

[396] τλῆτε, φίλοι, καὶ μείνατ' ἐπὶ χρόνον, ὄφρα δαῶμεν.
ἢ ἑτεὸν Κάλχας μαντεύεται ἠὲ καὶ οὐκί.

[397] ჰომეროსის პოემებში ადამიანები ხშირად შეიტყობენ ღმერთების ნებას ღვთაებრივი ნიშნით (გორდეზიანი 2014, 103).

b´ 322-30 კალქასის წინასწარმეტყველება;
a´ 331-32 აქაველებისადმი მოწოდება.

ამგვარად, სიტყვის ამ ნაწილში მთელი ძალით ვლინდება ოდისევსის ხასიათის ის მაკოორდინებელი შტრიხი, რომელზედაც ხშირად მიუთითებენ ჰომეროლოგები. ეს არის არსებული სიტუაციის ანალიზი და რაციონალური არგუმენტაცია, რომელიც დამარწმუნებელია მომდევნო მოქმედებისათვის. როგორც ვხედავთ, მოწოდების შემდეგ ოდისევსი ახსენებს ჯარს კალქასის გაფრთხილებას და იხსენებს იმ სიტუაციას, როდესაც დრაკონმა ჩიტები გადაყლაპა. გმირი მკაფიოდ და დაწვრილებით აღწერს ზევსის მიერ მოვლენილ სასწაულს, რის შემდეგაც ყვება „ღმერთთა ნების მაუწყებლის" (θεοπροπέων ἀγόρευε), კალქასის სიტყვის დეტალურ ანალიზს. წინასწარმეტყველის განმარტებით, ბრძენმა ზევსმა ამით მისცა მათ ნიშანი (τέρας), რომ გვიან, მაგრამ მაინც მოხვეჭილი გამარჯვებით აქაველთა სახელები უკვდავებას მოიპოვებდა. რამდენი ჩიტიც გადაყლაპა დრაკონმა – რვა ბარტყი და მეცხრე „დედა მათი გამომჩეკელი", სწორედ იმდენი წელი მოუწევდათ აქაველებს ბრძოლა ტროას კედლებთან. ღმერთების ნებით, უკვე მეათე წელს ისინი აიღებდნენ „ფართოქუჩიან" ქალაქ ტროას (πόλιν εὐρυάγυιαν). მეომრების დასარწმუნებლად ეს იყო ოდისევსის მთავარი არგუმენტი თავის სიტყვაში – აქაველები აუცილებლად დაამარცხებდნენ ტროელებს უკვდავთა მხარდაჭერით. და სწორედ იმ დროს, როცა ეს გამარჯვება მოახლოებული იყო, ომის მეათე წელი იდგა, მას არ მიაჩნდა გამართლებულად დიდების გარეშე სამშობლოში დაბრუნება. თავისი სიტყვის ბოლო ნაწილს ოდისევსი საკმაოდ ემოციური მიმართვით ასრულებს, სადაც კიდევ ერთხელ მოუწოდებს ჯარს ბრძოლისაკენ.

გამხნევდით, დარჩით ყველანი, საბარკულით მოსილნო
აქაველებო,
აქ, სანამ არ გავანადგურებთ პრიამოსის დიად ტროას.[398]
ილ. II, 331-32.

[398] ἀλλ' ἄγε μίμνετε πάντες, εὐκνήμιδες Ἀχαιοί,
αὐτοῦ, εἰς ὅ κεν ἄστυ μέγα Πριάμοιο ἕλωμεν.

ამ მოწოდებას კი არგიველთა მძლავრი ყიჟინა მოჰყვა, რაც მათ თანხმობას და ბრძოლის განახლების ჟინს გამოხატავდა. ოდისევსმა, ფაქტობრივად, თავის არცთუ ისე ვრცელ სიტყვაში წასასვლელად განწყობილი მეომრები ომის სურვილით აღანთო. მჭევრმეტყველების ეფექტი მის მიმართვაში იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გმირმა დაუყოვნებლივ მიიღო წარმატებული შედეგი. ათენას ნება აღსრულდა, რადგან „ჭკუაულევმა“ გმირმა დასახულ მიზანს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ოდისევსმა თავისი წარმოთქმული სიტყვით შეასრულა დიპლომატიური მისია. მან აგამემნონიცა და ჯარიც სამარცხვინო შინ დაბრუნებისაგან იხსნა და ყველას ყოველგვარი იძულების გარეშე მიაღებინა საერთო გადაწყვეტილება – დარჩენილიყვნენ ტროაში და დაესრულებინათ ომი. კიდევ ერთი მოტივაცია, რომლითაც ოდისევსმა აქაველთა ყურადღება მიიპყრო და მათ ემოციურ განწყობაზე ზემოქმედება მოახდინა, იყო სირცხვილის განცდა (ἐλέγχιστον *ილ.* II, 285; αἰσχρός *ილ.* II, 298). ეს გრძნობა ამართლებდა გამარჯვების ლოდინს. ვფიქრობთ, მისი გონიერებაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი სწორად შეეხო ჯარისკაცის ღირსების ფაქტორს, რამაც შეცვალა ჯარის პოზიცია. ოდისევსმა კარგად უწყოდა, რომ აქაველი ჯარისკაცისათვის უმთავრესი ბრძოლის ველზე სიკვდილი ან გამარჯვება იყო. სხვა შემთხვევაში მათ თავგანწირვას, სამშობლოდან დიდი ხანი შორს ყოფნას, უამრავი მეომრის სიკვდილს აზრი ეკარგებოდა. ჯარი მოტივირებული უნდა ყოფილიყო, რათა თავგანწირვით შებმოდა მტერს. ოდისევსმა თავის სიტყვაში ყურადღების კონცენტრაცია მოახდინა მოახლოებულ გამარჯვებაზე, რაც კალქასის წინასწარმეტყველების არგუმენტით გაამყარა და სწორად დაგეგმილი, ზომიერი აქცენტების დასმით თანდათან ჯარი არა მარტო დააფიქრა გადაწყვეტილების შეცვლაზე, არამედ თავისი აზრის გავლენის ქვეშ მოაქცია და ბრძოლის სურვილით განაწყო. ამის შემდეგ ოდისევსის პოზიცია ნესტორმა გაიზიარა. მან ერთგვარი სტრატეგიაც კი დაუსახა აგამემნონს ბრძოლის მოსაგებად, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა არგიველთა შორის წარმატებისა და გამარჯვების სურვილი. საინტერესოა, რომ ცოტა ხნით ადრე შინ წასასვლელად განწყობილ მებრძოლებს

აღარც კი ახსოვდათ ის თერსიტესი, რომელიც აგამემნონს ამხელდა და აქაველებს არწმუნებდა, რომ მეფეს ტროაში მხოლოდ განძი და ტყვე ქალების სურვილი ამოძრავებდა. თერსიტესმა მაგალითად აქილევსის ბრისეისის წართმევის ამბავიც შეახსენა მათ. თუმცა ოდისევსის სიტყვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი არგუმენტების წინაშე ყველა და ყოველი ლოგიკური მიზეზი უძლური აღმოჩნდა. ოდისევსი ამ ეპიზოდში ავლენს დიპლომატისათვის ყველაზე უფრო მეტად საჭირო და აუცილებელ ნიჭს, მჭევრმეტყველების უნარს, რომლის საშუალებითაც მან დაარწმუნა მეორე მხარე და შეასრულა ჭეშმარიტი „დიპლომატიური მისია“ ათენას და საერთოდ, ღმერთების წინაშე. ცნობილია, რომ ჰომეროსთან გვხვდება ისეთი ელჩობა, რომელიც არა მარტო ინფორმაციას გადასცემს სხვა მხარეს, არამედ დარწმუნების ხერხებით აღწევს მიზანს და დაკისრებულ მოვალეობას ართმევს თავს. ეს მაგალითი რიტორიკის სწორედ ისეთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო და „ელჩის“ მისია წარმატებით დასრულდა.

„ილიადაში“ ოდისევსის მიერ წარმოთქმულ ე. წ. „დიპლომატიური ფუნქციის“ სიტყვებს შორის უთუოდ გამოირჩევა ოდისევსის სიტყვა IX სიმღერაში (225-306), რომლის მიზანია აქილევსის დარწმუნება, დაუბრუნდეს ბრძოლის ველს. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა შესაძლებლობა, გვეჩვენებინა, თუ როგორ აგებს ჰომეროსი თავად ამ სიმღერას, რომელიც, ფაქტობრივად, ეძღვნება აქაველთა ელჩობას აქილევსთან. ამ ელჩობის შედეგები გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ტროასთან გამართული ბრძოლების წარმატებით წარსამართავად. ფაქტია, რომ იმ პიროვნების დარწმუნება, რომელთანაც იგზავნება ელჩობა ოდისევსის, ფოინიქსის, აიასისა და ორი შიკრიკის შემადგენლობით, საკმაოდ რთულია. მასთან საუბარში დახვეწილი დიპლომატია ნაკლები ეფექტის მომტანია, ვიდრე პირდაპირი და ხისტი მიმართვა. ამაზე ნათლად მეტყველებს ის რეაქცია, რომელიც აქილევსს აქვს ჯერ ოდისევსის სიტყვის, შემდეგ მისთვის ახლობელი ადამიანის ფოინიქსის საოცარ ვრცელ, თითქმის ტავტოლოგიაში გადასულ სიტყვაზე და მესამე შუამავლის, აიასის

მოკლე, მაგრამ უხეშ პასუხზე, რომლითაც მან აქილევსს ბოლოს მიმართა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ არის აგებული წარგზავნილთა შორის ყველაზე „დიპლომატი" პერსონაჟის სიტყვა, რომლის შესახებაც ჰომეროლოგიაში დიდი ხანია კამათი მიმდინარეობს. ერთნი მას თვლიან ჰომეროსის მჭევრმეტყველური ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად, სხვანი კი ტექსტის გადამმუშავებლის მიერ რეტუშირებულ და შეკოწიწებულ სიტყვად მიიჩნევენ.[39] დ. ლომანმა ჩაატარა ამ სიტყვის კომპოზიციური ანალიზი და გვიჩვენა, თუ რა სტრუქტურული „არგუმენტები" უჭერს მხარს ამ სიტყვის ავთენტურობას. ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ როგორ ვლინდება სიტყვაში რიტორიკული ხელოვნება, არამედ რამდენად კარგად ჩანს მასში დიპლომატიური ელემენტების სიჭარბე. ოდისევსის სიტყვაში ყურადღებას იპყრობს დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის აუცილებელი პირობის დაცვა და იმ მოწოდებების წარმოდგენა, რომლებზედაც უნდა აიგოს ოდისევსის, როგორც მეფის ელჩის, მთელი მიმართვა. ასეთი გმირის სიტყვაში შეიძლება გამოიყოს სამი მოწოდება:

1. 225-51 – დაუდექი მხარში აქაველებს! მოტივაცია:
მათ სჭირდებათ შენი დახმარება.
2. 252-99 – ჩაიცხრე რისხვა! მოტივაცია:
1) შეხსენება პელევსის დარიგებისა; 2) აგამემნონის საჩუქრები.
3. 300-306 – დაუდექი მხარში აქაველებს! მოტივაცია:
ამით შენ თავად მოიხვეჭ სახელს.

სამივე ნაწილი მთლიანობაში ე. წ. წრიული კომპოზიციის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. სიტყვის დასაწყისი და დასასრული ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა განსხვავებულია მოტივაცია. ერთ შემთხვევაში არის ის, რომ აქაველებს სჭირდებათ აქილევსის დახმარება (247-48), ხოლო მეორე შემთხვევაში, სიტყვის ბოლოს გმირის მოტივაციაა აქაველთა დახმარებით სახელის მოხვეჭა (303).

[39] Lohmann 1970, 232.

მაგრამ, ვაჟკაცო, აღსდექ! რადგან გვიან იქნება
როცა გადანყვეტ აქაველთა ვაჟკაცების, ჩაგრულთა დაცვას
ტროელთა მძვინვარებისაგან.[400]
ილ. IX, 247-48.

მაშინ მათ შორის მოიპოვებ ყველაზე დიდ სახელს![401]
ილ. IX, 303.

ამავე დროს, ორივე მოტივაცია კავშირშია პოემის ერთ-ერთ ძირითად თემასთან – აქილევსის რისხვასთან, რითაც „ილიადა" იწყება კიდეც. ოდისევსი მოუწოდებს გმირს, დაიცხროს რისხვა, რის შედეგადაც იგი დაეხმარება აქაველებს, ხოლო სანაცვლოდ გმირი შეძლებს მოიხვეჭოს საუკუნო პატივი და დიდება. მიუხედავად იმისა, რომ ოდისევსის სიტყვის შუა ნაწილში აგამემნონის მიერ შეთავაზებულ ძვირფას საჩუქრებს მთელი სიზუსტით ჩამოთვლის, იქვე მამის დარიგებასაც ახსენებს, ბოლოს „დიპლომატი" ოდისევსი აქილევსისთვის, როგორც გმირისთვის, მისი აზრით ყველაზე უფრო დიდ „ანაზღაურებას" – სახელის მოხვეჭას სთავაზობს.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი მოწოდებიდან გამომდინარე, ოდისევსის სიტყვაში შეიძლება სამი წამყვანი თემა გამოვყოთ, რომლებიც აგრეთვე აგებულია წრიული კომპოზიციით.[402]

I თემა 225-51 – აქაველებს სჭირდებათ შენი დახმარება.

a. 225-28 – მოგესალმები, აქილევსო, არაფერი აკლია შესაფერის სუფრას, როგორც ატრევსის ძის, აგამემნონის კარავში.

b. 229-31 – იმდენივეა აქაც: უხვად გულის გასახარებლად და მოსალხენად; მაგრამ ამჯერად მოსალხენად არ გვაქვს საქმე, რადგან ძალიან დიდი უბედურება, ზევსის აღზრდილო, ვხედავთ გველოდება; ჩვენთვის უცნობია, გადავრჩებით თუ დაიღუპება კარგად მოკირწყლული ჩვენი გემები, ნუთუ შენ არ მოიკრებ ძალას საბრძოლველად.

---

[400] ἀλλ' ἄνα, εἰ μέμονάς γε καὶ ὀψέ περ υἷας' Αχαιῶν
τειρομένους ἐρύεσθαι ὑπὸ Τρώων ὀρυμαγδοῦ.

[401] ... ἦ γάρ κέ σφι μάλα μέγα κῦδος ἄροιο.

[402] Lohmann 1970, 233-34.

ამას მოსდევს ოთხ-ოთხ ე. წ. სამოტივაციო სტრიქონის პრინციპზე აგებული მონაკვეთი, სადაც ჩამოთვლილია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც აქილევსი უნდა დაარწმუნოს, კვლავ დაუბრუნდეს ბრძოლის ველს.

c. 232-43 (ოთხ-ოთხი სტრიქონი)

1) 232-235 – ახლოს კედლებთან ჩვენს ხომალდებთან ბანაკები გაშალეს ამაყმა ტროელებმა და მათ დასახმარებლად მოსულმა მოკავშირეებმა. ანთებენ ცეცხლს მთელი ბანაკის გარშემო და გვემუქრებიან, რომ მათ ვერაფერი შეაჩერებთ და ჩვენს გემებს თავს დაესხმებიან.

2) 236-39 – კრონოსის ძე, ზევსი მათაც მოუვლენს ბედნიერ ნიშანს ელვის ნათებით. ხოლო ჰექტორი დიდი ძალით თავს იწონებს, ზევსის იმედით მძვინვარებს და არავის, არც კაცს და არც ღმერთს არაფრად აგდებს, საშინელი სიშმაგით სავსე.

3) 240-43 – ლოცულობს, მალე მოევლინოს ეოსი დილით, უნდა მოგლიჯოს გემებიდან კიჩო ამოზნექილი. ძლიერი ცეცხლით დაწვას ჩვენი გემები და თავად აქაველები, ყველა [აქაველი] მის წინაშე ნახოს დამხვრჩვალი კვამლით.

b′ 244-46 – საშინელებაა, შიში მზარავს, რომ არ აღუსრულონ ეს მუქარა მას ღმერთებმა და ჩვენ ხომ არ გველის დაღუპვა ტროასთან, შორს ცხენთა მკვებავი არგოსიდან [მოსულებს].

a′ 247-51 – მაგრამ, ვაჟკაცო, აღსდექ! რადგან გვიან იქნება, როცა გადაწყვეტ აქაველთა ვაჟკაცების, ჩაგრულთა დაცვას ტროელთა მძვინვარებისაგან. თავად ინანებ, თუმცა არ გექნება საშუალება გამოსწორებისა. თუ ცუდი მოხდა, გამოსავლის ძებნა გვიან იქნება. ჯობია დროულად გადაწყვიტო, რათა ცუდი დღე ააცილო დანაელებს.

II თემა 252-99 – დაიცხრე რისხვა.

ამ სტრიქონებში გამოიყოფა ორი მონაკვეთი: 1) აქილევსის მამის, პელევსის დარიგების გახსენება; 2) აგამემნონის საჩუქრების ჩამოთვლა.

საინტერესოა, რომ თითოეული ეს მონაკვეთი აგებულია წრიული კომპოზიციით.

1) 252-59ª მოტივაცია: პელევსის დარიგება

a. 252-53 – ო, საყვარელო, განა მამაშენმა, პელევსმა არ დაგარიგა იმ დღეს, როცა ფთიიდან აგამემნონთან გგზავნიდა;
b. 254-58 – მამაცო ჩემო, ძალაუფლებას ათენა და ჰერა გიბოძებენ, როცა ისურვებენ, მხოლოდ შენ ამაყი სული უნდა დაიცხრო გულში; სათნოება უმჯობესია. ბოროტისმქმნელ შუღლს მოერიდე, და უფრო და უფრო მეტად შენ განგადიდებენ აქაველები – ახალგაზრდაც და მოხუციც.

a´ 259ª – ასე დაგარიგა მოხუცმა. შენ კი დაივიწყე.
2) 260-99 მოტივაცია: აგამემნონის საჩუქრები.
a. 260-61 – შენ აგამემნონმა ძვირფასი საჩუქრები გამოგიგზავნა, დაიცხრე რისხვა.

b. 262-98 – გინდა, მომისმინე, მე ჩამოგითვლი ყოველივეს, რამდენ ძვირფას საჩუქარს გპირდება აგამემნონი:
(საჩუქრების ჩამონათვალი)

a´ 299 – მაშინვე ის [აგამემნონი] შეასრულებს ყოველივე [დანაპირებს], როგორც კი დაიცხრობ რისხვას.

III თემა 300-306 – თავად შენ მოიხვეჭ სახელს: და თუ მაინც ატრევსის ძე და მისი საჩუქრები შენ ისევ გძულს, ყველა სხვა აქაველი შეიბრალე, საშიშროების წინაშე მდგარნი ბანაკში. მაშინ კი, როგორც ღმერთს პატივს მოგაგებენ და მათ შორის დიდებულ სახელს მოიხვეჭ. ახლა მხოლოდ შენ სძლევ ჰექტორს, ის შენ მოგიახლოვდება თავისი მრისხანებით თავგასული. აღარავის მიიჩნევს იგი თავის სწორად, არც ერთ დანაელს, ამდენი გემით აქ მოსულებს.

ვიდრე ოდისევსის სიტყვის ე. წ. დიპლომატიურ ასპექტებს შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილავთ ოდისევსის სიტყვის კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხს. ამ მიმართვაში, რომელიც თემატური დაყოფის პრინციპზეა აგებული, თითოეული თემის გაშლისას თვალსაჩინოა კომპოზიციური ორგანიზაციის ინდივიდუალური ფორმის გამოყენება. I თემა, რომელიც მიმართვის ე. წ. ემოციურ შესავალს წარმოადგენს, კონცენტრირებულია ცენტრალური ნაწილის გარშემო. მასში თავმოყრილია ძირითადი სამი საფრთხე, რომლებიც აქაველებს ელით: 1) ტროელებმა ხომალდებთან ბანაკები გაშალეს; 2) ჰექტორს ზევსის მხარდა-

ჭერის იმედი აქვს; 3) ჰექტორის მიზანია, ცეცხლს მისცეს აქაველები და მათი ხომალდები. ამ ცენტრალურ ნაწილს წინ უძღვის ერთგვარი გადასვლა გაშლილი სუფრის სიუხვიდან ბრძოლის ველზე შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე, ხოლო მოსდევს საკუთრივ ოდისევსის შიში, არ აღასრულოს ჰექტორმა თავისი ჩანაფიქრი.[493] თემატურ ბლოკს კი იწყებს ე. წ. სუფრის მოტივი, სადაც ოდისევსი აქებს აქილევსის სუფრის სიუხვეს და მას აგამემნონის კარავში გაშლილ სუფრას ადარებს, ხოლო თემატურ ბლოკს ასრულებს ოდისევსის მოწოდება – დროულად მიიღოს აქილევსმა გადაწყვეტილება. ამ ემოციურად გაჯერებული ბლოკიდან ოდისევსი გადადის II თემაზე, რომელიც იმის მოტივაციას შეიცავს, თუ რატომ უნდა დაიცხროს რისხვა აქილევსმა. მასში ორი ძირითადი მოტივაციაა წინა პლანზე წამოწეული. პირველი პელევსის დარიგების გახსენებაა. ამ მიკროსტრუქტურაშიც გამოყენებულია წრიული კომპოზიცია. მის ცენტრს პელევსის დარიგების შინაარსი წარმოადგენს, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ აქილევსი არ უნდა აჰყვეს რისხვას. ამ დარიგებას კი წინ უძღვის შეხსენება, როგორ დაარიგა მამამ იგი ფთიიდან აგამემნონისაკენ მომავალი, ხოლო კომპოზიციას ასრულებს ოდისევსის შეფასება, რომ აქილევსმა ყოველივე ეს დაივიწყა. ამის შემდეგ ოდისევსი გვთავაზობს მეორე, უფრო პრაგმატულ გარკვეულწილად გამოყენებით მოტივაციას, რომელშიც ასევე აშკარად იკვეთება წრიული კომპოზიცია. მასში ცენტრს ქმნის ჩამონათვალი ე. წ. საკომპესაციო საჩუქრებისა, რასაც აგამემნონი სთავაზობს შემორიგების სანაცვლოდ. მას წინ უძღვის უწყება იმის თაობაზე, რომ აგამემნონმა საჩუქრები გამოუგზავნა, ხოლო ამ ნაწილს ასრულებს რწმუნება იმასთან დაკავშირებით, რომ მეფე მაშინვე შეასრულებს დანაპირებს, როგორც კი აქილევსი რისხვას ჩაიცხრობს.

---

[493] ოდისევსი აქილევსს ეუბნება, რომ აგამემნონმა თავის სუფრაზე მოინია რჩეული აქაველები. „დიპლომატი" მასთან საუბარში აღნიშნავს, რომ სწორედ იმ სუფრას არ ჩამოუვარდება პელევსის ძის სუფრა (226–27). ეს სიტყვები ერთგვარ დიპლომატიურ ჟესტად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ოდისევსი მებრძოლ გმირს იმ მეფესთან ათანაბრებს, რომლის მიმართაც დაუცხრომელი რისხვა აქვს აქილევსს.

მესამე, ყველაზე მოკლე თემატური ბლოკი არ იყოფა სტრუქტურულ ელემენტებად და იგი წარმოადგენს იმ ძირითად მოტივს, რომელმაც აქილევსზე ყველაზე მეტად შეიძლება იმოქმედოს. აგამემნონის საჩუქრების მიუღებლობის შემთხვევაში, გმირმა ანგარიში უნდა გაუწიოს აქაველებს, რომელთა შორისაც ჰექტორი ვერ ხედავს თავის ღირსეულ კონკურენტს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი სიტყვა კომპოზიციურად საკმაოდ ოსტატურად არის შეკრული, თუმცა იგი ძალზე საინტერესოა ე. წ. დიპლომატიურ ხერხთა გამოყენების თვალსაზრისითაც. ოდისევსის ამ მიმართვას შეიძლება ვუწოდოთ „გამოცდილი დიპლომატის" კარგად მომზადებული და ყოვლისმომცველი სიტყვა, რომელიც შეიძლება წარმოთქვას ელჩობის ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა მოწინააღმდეგე მხარესთან მის დასარწმუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ ოდისევსი ზედმიწევნით ასრულებს თავის მისიას – იგი აქილევსს გადასცემს აგამემნონის დანაბარებს, სიტყვა გაჯერებულია აგრეთვე ისეთი პასაჟებით, რომლებიც ოდისევსის პირად პოზიციასაც ეხმიანება. აქილევსზე ზემოქმედების გასაძლიერებლად ლაერტესის ძე იხსენებს პელევსს და მის დანაბარებს შვილისათვის. თუმცა ამით სიტყვა არ კარგავს კომპოზიციურ მთლიანობას. ამ სიტყვაში აშკარად გამოიყოფა ზემოთ განხილული თემატური ბლოკების შესაბამისად სამი ნაწილი: 1) შექმნილი სიტუაციის ანალიზი და იმის ჩვენება, თუ რამდენად უიმედო იქნება მდგომარეობა, თუკი აქილევსი არ დაბრუნდება. აქ ოდისევსი ოსტატურად იყენებს ფაქტების აღწერასა თუ გადმოცემაში თხრობის როგორც ემოციურ, ასევე ფორმალურ, ე. წ. დესკრიფციულ ხერხებს. მისი სიტყვა აქილევსის კარავში გაშლილი სუფრის შექებიდან, იმაზე მინიშნებიდან, რომ აქილევსი არც ამ საკითხში უდებს ტოლს აგამემნონს და იმ კონტრასტის ჩვენებით, რაც ამ სუფრასა და ბრძოლის ველზე შექმნილ მდგომარეობას შორის არსებობს, ქმნის საფუძველს საფრთხის რეალურად აღწერაზე გადასვლისათვის. ეს საფრთხე ორ ასპექტს შეიცავს: ერთი არის შიში, რომელმაც აქაველები მოიცვა; ხოლო მეორე – ჰექტორის მუქარა. შექმნილი სიტუაციის ანალიზი სრულდება სრულიად კატეგორიული შეფასებით, რა მოხდება,

თუკი აქილევსი დააგვიანებს ბრძოლის ველზე დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ბულეზე ყველამ იცოდა, რომ არ იქნებოდა ადვილი განრისხებული გმირის ბრძოლის ველზე დაბრუნება, ოდისევსი მაინც შეეცადა აქილევსისთვის სასარგებლო ყველა ასპექტს შეხებოდა შეძლებისდაგვარად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მეთოდი, რომელსაც დიპლომატიურად იყენებს თავის სიტყვაში წარგზავნილი. იგი უარყოფითი ფორმულირებით სვამს რიტორიკულ კითხვას, რომელიც აჩენს მოლოდინს, რომ დადებითი პასუხი უნდა გაეცეს მას: „ნუთუ შენ არ მოიკრებ ძალას გმირობისათვის" (εἰ μὴ σύ γε δύσεαι ἀλκήν. IX, 231). პელევსის ძე სჭირდებათ აქაველებს და მოუწოდებს მათ დახმარებას და ურჩევს, არ მიიღოს ეს გადაწყვეტილება გვიან, როცა ტროელები უბედურებას მოუტანენ. ოდისევსი რეალურად აღწერს იმ საშიშროებას, რომელიც აქაველთა ჯარის წინაშეა. იგი მოუწოდებს დახმარებისკენ, თუმცა მის სიტყვაში არ ჭარბობს თხოვნის ელემენტები. ოდისევსი ამ შემთხვევაშიც საკმაოდ გაწონასწორებული და ემოციებისაგან დაცლილია. გარდა ამისა, შუამავალი ყურადღებას აქილევსის სინანულზეც ამახვილებს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს განრისხებულ გმირზე და, ფაქტობრივად, აქაველთა უბედურების პასუხისმგებლობას საკმაოდ ოსტატურად თავიდან ბოლომდე მას აკისრებს.

თემატური ბლოკის მეორე ნაწილში ახსნილია ის, თუ რას სთავაზობს მომლაპარაკებელი მხარე აქილევსს საკომპესაციოდ და რატომ უნდა იღოს ყურად მან აქაველთა თხოვნა. უპირველეს ყოვლისა, იგი იხსენებს აქილევსისთვის ძალზე ძვირფასი ადამიანის, პელევსის შეგონებას ტროას ომში წამოსვლის წინ. მეტი დამაჯერებლობისათვის ოდისევსი აქილევსის მამის სიტყვის პერიფრაზირებას კი არ ახდენს, არამედ სიტყვა-სიტყვითი ციტაციის პრინციპს გამოიყენებს. პელევსის რჩევით, თუ აქილევსი ამაყ სულში რისხვას დათრგუნავდა, ათენა და ჰერა მას კიდევ უფრო მეტ ძალას მიანიჭებდნენ. ღვთაებრივი მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ყველა აქაველი გმირისათვის. ესეც ერთ-ერთი უტყუარი არგუმენტი იყო იმისა, რომ აქილევსს უარი არ ეთქვა შეთავაზებულ წინადადებაზე. იმ იმედით,

რომ ეს სიტყვები პელიდს გაუღვიძებდა პასუხისმგებლობის გრძნობას, ოდისევსი უკვე გადადის იმ ძღვენის დეტალურ აღწერაზე, რომელსაც აგამემნონი სთავაზობს საკომპესაციოდ. ამ შემთხვევაში ოდისევსი განსხვავებით თავისი სიტყვის სხვა ნაწილებისაგან ზედმიწევნით ახდენს აგამემნონის დანაბარების გადმოცემას. ტექსტში არაფერია შეცვლილი აგამემნონის იმ თავდაპირველად წარმოთქმული ჩამონათვალისაგან, რომლის შესახებაც საქმის კურსში აყენებს მეფე სუფრაზე მყოფ რჩეულ აქაველებს (IX, 122-56; 264-98). ორივე ეპიზოდში ძღვენის სია 34 სტრიქონისაგან შედგება და საინტერესოა, რომ თანმიმდევრობაც მთელი სიზუსტითაა დაცული. ტექსტში, ბუნებრივია, მხოლოდ ზმნის პირები და ნაცვალსახელებია შეცვლილი, რასაც ოდისევსი აგამემნონის სახელით სთავაზობს (γαμβρός κέν μοι ἔοι – γαμβρός κέν οἱ ἔοις, φίλην ἀνάεδνον ἀγέσθω – φίλην ἀνάεδνον ἄγεσθαι, ἐγὼ δ' ἐπὶ μείλια δωσω – ὁ δ' αὖτ' ἐπὶ μείλια δώσει). ეს კი, უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით ტიპურია დიპლომატიური მისიის შესრულებისას. საჩუქრების ჩამოთვლა კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის არა პირად თხოვნას დახმარებაზე, არამედ აგამემნონის სურვილს, დაუბრუნდეს გმირი ბრძოლის ველს. ოდისევსი ამ ეპიზოდში მეფის ოფიცილური სტატუსის მქონე ელჩი უფროა, ვიდრე აქილევსთან ერთად ტროაში თანამებრძოლი გმირი.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თავად აგამემნონის მიერ შეთავაზებული საჩუქრების ნუსხა, რომელსაც ოდისევსი სიტყვასიტყვით იმეორებს, ითვალისწინებს დიპლომატიის სრულიად გარკვეულ კანონზომიერებას. იგი შედგება სამი ფაზისაგან: 1) 122-35ª – დასახელებულია ის, რასაც აქილევსი დაუყოვნებლივ მიიღებს. ეს არის განძეული და შვიდი რჩეული ლესბოსელი ქალი. აქვე მეფე თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ფიცს დებს, რომ ბრისეისთან მას სარეცელი არ გაუყვია და, რა თქმა უნდა, აქილევსს ბრისეისის დაბრუნებასაც ჰპირდება; 2) 135ᵇ-40 – აგამემნონი ჩამოთვლის საჩუქრების იმ ნაწილს, რასაც ტროას დამხობის შემდეგ მიიღებს. ეს არის განძეული და ოცი ქალი. მეფე ილიონში მოპოვებული ნადავლის დიდ ნაწილს და ელენეს გარდა, ნებისმიერი ოცი რჩეული ტროელი

ქალის არჩევას სთავაზობს. აგამემნონის საჩუქრების ჩამონათვალი კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა საკომპესაციო ძღვენის გადახდას არგოსშიც აპირებს გამარჯვებული და შინ დაბრუნებული მეფე; 3) 141-56 – ის, რასაც აქილევსი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიიღებს. ეს არის აგამემნონის ერთ-ერთი ქალიშვილი, რომლის არჩევის უპირატესობასაც გმირს უტოვებს და შვიდი ქალაქი, რომლებიც აურაცხელ ხარკს გადაუხდიან მუდმივად აქილევსს. როგორც ვხედავთ, აგამემნონის დანაპირები არ იფარგლება მხოლოდ კომპესაციის მყისიერად გადაცემით. იგი გათვლილია შედარებით ახლო პერსპექტივაზე (ტროას ომის დამთავრება) და შედარებით შორეულ პერსპექტივაზე (სამშობლოში დაბრუნება). უამრავი მატერიალური სიმდიდრის დაპირების შემდეგ ოდისევსი ასე მიმართავს მას: „და თუ მაინც ატრევსის ძე და მისი საჩუქრები შენ ისევ გძულს, შეიბრალე აქაველები, რომლებიც საშიშროების წინაშე დგანან“ (IX, 300-302).[404] აქ ჩნდება განცდა იმისა, რომ ოდისევსმა წინასწარ იცის აქილევსის პასუხი, თუმცა ოდისევსი სიტყვის ამ მონაკვეთში პირნათლად ასრულებს თავის მისიას და გმირს მაინც აუწყებს იმას, რაც აქილევსის ხასიათიდან გამომდინარე არსებითად მიუღებელი იქნება.

ოდისევსის სიტყვის მესამე ნაწილი, რომლის მთავარ თემასაც აქილევსის სახელის მოხვეჭა წარმოადგენს, ყველაზე მოკლეა. იგი შინაარსობრივად ისევ პირველ თემაზე მიგვითითებს, რაც ქმნის წრიულ კომპოზიციას და აქცევს მის სიტყვას რიტორიკული ნიმუშის ჩარჩოებში. ოდისევსი თავის სიტყვაში აქილევსის დასარწმუნებლად საკმაოდ მნიშვნელოვან არგუმენტაციას გვთავაზობს, რომელიც აშკარა გრადაციას გვიჩვენებს. იგი შედარებით ორდინალური არგუმენტიდან თანდათან გადადის იმ კულმინაციურ დამარწმუნებელ ფაქტორზე, რომელიც შესაძლოა მისაღები და საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდეს ამაყი აქილევსისათვის. ოდისევსი კიდევ ერთხელ მოუწოდებს

---

[404] εἰ δέ τοι Ἀτρεΐδης μὲν ἀπήχθετο κηρόθι μᾶλλον,
αὐτὸς καὶ τοῦ δῶρα. σὺ δ' ἄλλους Παναχαιοὺς
τειρομένους ἐλέαιρε κατὰ στρατόν...

მას, დაიცხროს რისხვა და დაეხმაროს აქაველებს, მაგრამ ამჯერად სანაცვლოდ არა მატერიალურ ძღვენს, არამედ გმირისათვის ყველაზე უფრო სასურველს, სახელის მოხვეჭას ჰპირდება. ეს არის „დიპლომატი" ოდისევსის ის ბოლო არგუმენტი და, შეიძლება ითქვას, შეთავაზებაც, რის გამოც აქილევსი უნდა დაუბრუნდეს ბრძოლის ველს. აქილევსის პასუხი არცთუ ისე მოულოდნელი აღმოჩნდა იქ მყოფთათვის და მათ შორის ოდისევსისათვისაც. მეფის „ელჩის" უაღრესად დიპლომატიური სიტყვის შემდეგ აქილევსის ვრცელ პასუხს შეიძლება ვუწოდოთ უაღრესად არადიპლომატიური პასუხი, რომელშიც პელევსის ძე კატეგორიულად და საგანგებო უხეში ფორმით უარყოფს ელჩობის ფაქტობრივი „ხელმძღვანელის" ყველა წინადადებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა ის სიმძაფრე, რომელიც აქილევსის ე. წ. საჩუქრების კატალოგთან დაკავშირებულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

მძულს მისი საჩუქრები და არაფრად არ მიღირს თავადაც.
არც მისი ათმაგი და ოცმაგი [მსურს], რომ შემომთავაზოს
იმდენი, რამდენიც ახლა აქვს და რამდენსაც საიდანმე მოიხვეჭს,
არც იმდენი, რამდენიც ორქომენში[105] ეტევა, არც ეგვიპტის
თებეში,
სადაც სახლებში უამრავი განძი ინახება,
ქალაქები, რომლებსაც ასი ბჭე აქვთ, [საიდანაც] ორასი თითოდან
მეომარი ვაჟკაცი გამოდის ცხენებითა და ეტლებით.
იმდენიც რომ მომცეს, რამდენიც ქვიშა ყრია მინაზე
ვერც ამით მომიბრუნებს გულს აგამემნონი.
სანამ მტანჯველ სირცხვილს ჩემსას არ გააქარწყლებს.
არც აგამემნონის, ატრევსის ძის ქალიშვილზე ვიქორწინებ,
არც იმ შემთხვევაში [თუნდაც] სილამაზით ოქროს აფროდიტეს,
ხელობით კი თვალებციმციმა ათენას ჰგავდეს.
არა, არ დავქორწინდები! დაე, მოძებნოს მან სხვა აქაველი,
ვინც მას უფრო შეეფერება და მეფური ძალით ჩემზე მეტი იქნება.
მაგრამ თუკი ღმერთები დამიფარავენ და შინ დავბრუნდები,
იქ პელევსი ალბათ შემდგომ კეთილშობილ ქალს შემრთავს
ცოლად.
ბევრი აქაველი ქალია ელადასა და ფთიაში,

[105] ქალაქი არკადიაში.

ქალაქების და ციხე-ქალაქთა დიდებულთა ქალნულები.
მათგან ერთ-ერთს მოვისურვებ საყვარელ ცოლად
იქ, როგორც ჩემს ვაჟკაცურ სულს სწყურია
ვიქორწინებ კანონიერ ცოლზე, შესაფერის ქალზე
და მოხვეჭილი ცხოვრებით დავტკბები მოხუც პელევსთან ერთად.
არაფერი შეედრება ჩემს ცხოვრებას, [მათ შორის] არც ის
სიმდიდრე,
ილიონში რომ იყო, როგორც ამბობენ, არც სიუხვე ქალაქისა
სანამ მშვიდობა იყო, სანამ აქაველები დაესხმოდნენ თავს.
არც იმდენი სიმდიდრე, კლდის კამარა რომ დაეფარა
ფოიბიის აპოლონის ტაძარში, პითოსში."

ილ. IX, 378-405.

აქილევსის სიტყვის ამ მონაკვეთში საკმაოდ კარგად არის გადმოცემული გმირის ხასიათის სიფიცხე. იგი თავისი პასუხის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად იყენებს ჰიპერბოლიზაციის პრინციპს და ხაზს უსვამს იმას, რომ აგამემნონის მიერ ე. წ. მატერიალურ შემოთავაზებებზე ბევრად მეტზეც კი უარს ეტყოდა ატრევსის ძეს. რაც შეეხება აგამემნონის ქალიშვილს, რომელსაც ცოლად სთავაზობდა მეფე, აქაც პელევსის ძე თავის უარს აძლიერებს იმით, რომ აგამემნონის ქალიშვილს არ მოიყვანდა არც იმ შემთხვევაში, სილამაზით აფროდიტეს, ხოლო საქმით ათენას მსგავსი რომ ყოფილიყო. თუმცა საინტერესოა, რომ აქილევსი თავის ამ უკიდურესად ემოციურ პასუხში დელიკატურად უვლის გვერდს ბრისეისის თემას და ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს აგამემნონის შემოთავაზებაში ბრისეისის უკან დაბრუნების საკითხს. შესაბამისად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ოდისევსის ვარაუდი, რომ აქილევსისათვის მიუღებელი იქნებოდა აგამემნონის წინადადება, გამართლდა. ამას ისიც ემატება, რომ აქილევსს ოდისევსის მიმართ შეიძლება ჰქონდეს ერთგვარი გაღიზიანება. ამის საფუძველი არის არა მხოლოდ ტრადიციით ცნობილი ამბავი ოდისევსის მიერ ტროას ომში მონაწილეობისათვის აქილევსის წამოყვანის თაობაზე, არამედ ისიც, რომ ფიცხ და პირდაპირ გმირს შეიძლება არ მოსწონდეს რაციოზე დაფუძნებული, უაღრესად დიპლომატიური ლოგიკა. ყოველივე ამაში გვარწმუნებს ელჩობის სხვა ორი წარმომადგენლის სიტყვები და მათი პასუხები.

„ილიადაში" პერსონაჟის მიერ წარმოთქმულ ყველაზე ვრცელ სიტყვას, რომლითაც ფოინიქსი მიმართავს აქილევსს, ვერ დავარქმევთ დიპლომატიურს. იგი მთლიანად აგებულია აქილევსისათვის იმის შეხსენებაზე, თუ რამდენად ახლობელია მისთვის ფოინიქსი და რაოდენ სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს რისხვას, რისთვისაც მას მელეაგროსის მაგალითი მოჰყავს. თუმცა პელევსის ძისთვის ეს სიტყვა უფრო მისაღებია, ვიდრე ოდისევსისა. როგორც ცნობილია, მამის მეგობარს, მოხუც ფოინიქსს იგი თავისთან იტოვებს ბანაკში. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მისაღები განრისხებული გმირისთვის აღმოჩნდა აიას ტელამონის ძის მოკლე, მაგრამ საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული სიტყვა. მის მიმართ აშკარად გამოხატავს აქილევსი მეტ პატივისცემას და სწორედ აიასს პასუხობს, თუ როდის ჩაერთვება იგი ბრძოლაში (IX, 650-55) – სანამ ჰექტორი არ მოადგებოდა მირმიდონელთა კარვებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ილიადის" იმ სიმღერაში, რომელიც, ფაქტობრივად, მთლიანად დიპლომატიურ მისიას ეძღვნება, წარმოთქმული სიტყვები მთლიანად შეესაბამება მისიაში მონაწილე გმირების ხასიათს. ოდისევსის სიტყვა არის „პროფესიონალი" დიპლომატის სიტყვა, ფოინიქსის სიტყვა სენტიმენტალური მოხუცის სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს, ხოლო აიასისა წარმოადგენს პირდაპირობით და უკომპრომისობით გამორჩეული გმირის მკაცრ და სავსებით არადიპლომატიურ სიტყვას. აქილევსის ხასიათიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ მისი დამოკიდებულება ამ სიტყვების მიმართ არის მათი შინაარსის უკუპროპორციული. მისთვის ყველაზე მიუღებელი აღმოჩნდა დახვეწილი დიპლომატიური სიტყვა, ხოლო მეტად მისაღები ნაკლებად დიპლომატიური სიტყვა. აგამემნონის ელჩი და წარმომადგენლობითი ელჩობის ფაქტობრივი „ხელმძღვანელი" ოდისევსი არც ისეთი ემოციური და მოსიყვარულეა, როგორც ფოინიქსი და არც ისეთი უხეში და დაუნდობელი, როგორც აიასი. ამ შემთხვევაში ოდისევსი ინარჩუნებს იმ ზომიერ და გაწონასწორებულ პოზიციას, რითაც იგი ყოველთვის გამოირჩევა სხვა გმირებისაგან. ხასიათის ეს შტრი-

ხიც ნათლად მიგვითითებს მის დახვეწილ დიპლომატიურობაზე.

თუ ზემოთ განხილულ ოდისევსის სიტყვას შევადარებთ II სიმღერაში წარმოთქმულ ოდისევსის მიმართვას აქაველებისადმი, როცა იგი თითქოსდა უფრო რთული ამოცანის წინაშე იდგა, ვინაიდან მთელი ჯარი უნდა დაერწმუნებინა და არა ერთი პიროვნება, როგორც IX სიმღერაში, საინტერესოა, რომ პირველ შემთხვევაში მისი სიტყვა უფრო ეფექტური აღმოჩნდა და შედეგიანიც, ვიდრე იმ დროს, როცა საჭირო გახდა მეფეზე განრისხებული გმირის ბრძოლაში ჩართვა. საყურადღებოა, რომ ორივე ეპიზოდში „დიპლომატი“ ოდისევსის მისია ჯარის თუ გმირის ბრძოლაში დაბრუნებას ემსახურება. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ II სიმღერაში იგი დავალებას ათენასაგან იღებს, ხოლო IX სიმღერაში – აგამემნონისაგან. ვფიქრობთ, ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია კვლევისას, როცა უკვდავთა და მოკვდავთა ნების აღსრულებას ემსახურება ე. წ. „დიპლომატიური“ მისია. გარდა ამისა, ოდისევსის სიტყვის წარუმატებლობა განაპირობა ორმა ფაქტორმა: 1) ოდისევსი ახმოვანებდა იმ პიროვნების დანაბარებს (აგამემნონს ვგულისხმობთ), რომლის მიმართაც აქილევსი აშკარად არ იყო კეთილგანწყობილი; 2) თავად ოდისევსი თავისი რაციონალიზმით არ იყო მისაღები ირაციონალური აქილევსისათვის.

როგორც ცნობილია, „ილიადის“ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ემოციურ სიტყვად ითვლება XXIV სიმღერაში პრიამოსის სიტყვა აქილევსისადმი. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ამ სიტყვის არა მხოლოდ რიტორიკული ასპექტი, არამედ საინტერესოა განვიხილოთ იგი „დიპლომატიური“ კუთხითაც. არაერთხელ არის შენიშნული, რომ სტრუქტურულად პრიამოსის აქილევსთან მისვლის სცენა და ქრისეს აგამემნონთან თხოვნით მისვლის ეპიზოდი ბევრ საინტერესო მიმართებას გვიჩვენებს. რ. გორდეზიანმა აჩვენა, თუ რამდენად შორს მიმავალია ზოგადად ამ ორი მისიის ამსახველ სცენებს შორის სტრუქტურული მიმართებები.[406] ორივე შემთხვევაში უბედურებით შეძრული მამა

[406] გორდეზიანი 2014, 61; ПГЭ 1978, 66 ШМД.

მიდის მოწინააღმდეგის ბანაკში და ერთ შემთხვევაში ასულის, ხოლო მეორე შემთხვევაში ვაჟის გვამის გამტაცებელს აურაცხელი გამოსასყიდი განძის საფასურად სთხოვს შვილის დაბრუნებას. ერთიც და მეორე მოხუციც წარმოთქვამს სიტყვას და ეს სიტყვები არაერთ საინტერესო ენობრივ მიმართებას გვიჩვენებს. თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ქრისეს შემთხვევაში მამას აქვს იმედი, რომ დაიბრუნებს შვილს ცოცხალს, ხოლო პრიამოსის შემთხვევაში ყველაზე მეტი, რასაც შეიძლება მამამ მიაღწიოს, არის შვილის გვამის დაკრძალვისათვის დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ I სიმღერაში ქურუმი თავის უმთავრეს არგუმენტად იყენებს მისი მფარველი ღმერთის, აპოლონის ავტორიტეტს და თავისი თხოვნის უფლებამოსილებას სწორედ ღმერთისადმი პატივისცემასა და კრძალვაზე აფუძნებს. ამდენად, მისი სიტყვა საოცრად გაწონასწორებულია და გარკვეული თვალსაზრისით ქრისე თვითდაჯერებულიცაა, რომ იგი აგამემნონზე ეფექტს მოახდენს. თუმცა, როგორც ცნობილია, აგამემნონი არ იღებს მის თხოვნას და ამით პოემაში, ფაქტობრივად, ბიძგი ეძლევა მოვლენათა მთელ განვითარებას. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მართალია, პრიამოსს აქილევსთან წასვლა ღმერთისგან მიღებულმა ნებართვამ გადააწყვეტინა, მაგრამ არ შეიძლება მას ყოყმანი არ ჰქონდეს. ვინაიდან იგი მიდის თავის დაუძინებელ მტერთან, შვილის მკვლელთან, რომელიც არავინ იცის, როგორ მოიქცევა მის დანახვაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრიამოსმა იცის ღმერთების ნება. ამდენად, პრიამოსის მდგომარეობა საკმაოდ ორჭოფულია. ერთი მხრივ, მას აქვს ღვთაებრივი გარანტია, რომ აქილევსი შვილს დაუბრუნებს, მაგრამ, მეორე მხრივ, აქილევსის ფეთქებადი ხასიათიდან გამომდინარე, ნებისმიერმა არასწორმა წარმოთქმულმა სიტყვამ, ან ნებისმიერმა არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა კვლავ განარისხოს აქილევსი. სწორედ ამიტომ აქვს პრიამოსის სიტყვას სულ სხვა დატვირთვა. მან უნდა დაარწმუნოს თავისი სიტყვის უფლებამოსილებაში ადამიანი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მომაკვდავ ჰექტორს კატეგორიული უარი უთხრა მისი ცხედრის ტროელთათვის დაბრუნებისა და დიდძალი განძის მიღებაზე. შესაბამისად, უთხრას ისეთი სიტყვები,

რომლებიც მის მოსისხლე მტერს გულს მოულბობს და მიაღებინებს გადაწყვეტილებას, შეასრულოს თხოვნა. შეიძლება ითქვას, რომ პრიამოსის სიტყვა ალბათ მხატვრული ლიტერატურიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და ემოციური სიტყვაა, რომლის მოსმენაც ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე ვერ ტოვებს აუღელვებლად მკითხველს. ფაქტების გადმოცემის მხატვრულობა და ემოციურობა ფინალურ ფაზაში დრამატიზმში გადადის. ამგვარად, აღსანიშნავია, რომ პრიამოსის სიტყვა აკმაყოფილებს არა მარტო ყველაზე უფრო დიპლომატიური სიტყვის, არამედ მჭევრმეტყველების თვალსაზრისით აბსოლუტურად უნაკლო სიტყვის კრიტერიუმებსაც.

გაიხსენე მამაშენი, ღმერთების მსგავსო აქილევსო,
იმავე ასაკის, როგორც მე, სიბერის ზღურბლზე მდგარი მოხუცი.
იქნებ სწორედ ახლა მას გარს ეხვევა ყველა მხრიდან მტერი
და არავის შეუძლია იხსნას განსაცდელისაგან იგი.
მაგრამ რომ იცის და ესმის რომ ცოცხალი ხარ,
ხარობს მისი სული და იმედი აქვს ყოველდღე, მუდამ,
რომ ნახავს საყვარელ ძეს ტროადან დაბრუნებულს.
მე კი ვარ მოკვდავთა შორის ყველაზე უბედური, რომელმაც
გავზარდე აბჯარასხმული ვაჟები
ნათელ ტროაში, რომელთაგანაც არც ერთი არ გადამირჩა.
ორმოცდაათი იყვნენ ისინი, სანამ აქაველები [ტროას]
შემოესეოდნენ.
ცხრამეტნი ერთი დედისგან იყვნენ შობილნი,
სხვები კი სხვადასხვა დიდებული ქალებისაგან.
ბევრ მათგანს მრისხანე არესმა დაუმსხვრია მუხლი.
ერთი ძე მყავდა, ის იცავდა ქალაქს და მის მცხოვრებლებს.
შენ მოკალი ის, ვინც იცავდა სამშობლოს,
ჰექტორი. ახლა მოვედი, ვეწვიე აქაველთა გემებს,
გამოვისყიდო შენგან [მისი გვამი], მოვიტანე დიდძალი განძი.
დაე, პატივი ეცი ღმერთებს, აქილევსს, და შემიბრალე,
გახსოვდეს მამაშენი. მე ხომ უფრო საწყალი ვარ,
განვიცდი იმას, რაც არავის მოკვდავთა შორის სხვას არ უგრძვნია.
კაცს, ჩემი შვილების მკვლელს, ტუჩებით ხელებს ვუკოცნი."
ილ. XXIV, 486-506.

პრიამოსის სიტყვა, როგორც ლომანმა აჩვენა, კომპოზიციურად ძალზე შეკრულია და არსებითად წრიული კომპოზიციის

პრინციპს ეფუძნება.[407] განვიხილოთ ამ სიტყვის აგებულება. იგი აშკარად სამი ნაწილისაგან შედგება: 1) თხოვნა; 2) პელევსისა და მისი გულისტკივილის შედარება; 3) ისევ თხოვნა.

A. 486-87 თხოვნა

B. 488-503 ტკივილთა შედარება

I. 488-92: პელევსი

a. უბედურება (ზოგადად)

b. ბედნიერება (აქილევსი)

II. 493-502 პრიამოსი

a. 493-98 უბედურება (ზოგადად)

b. 499-502 უბედურება (ჰექტორი)

A´ 503-506

ყველაზე უფრო ემოციური ფინალური 3 სტრიქონი (504-506), ფაქტობრივად, უკვე ზემოთ ნათქვამის ლაკონურ რეზიუმეს წარმოადგენს და სრულდება ფრაზებით, რომლებიც პრიამოსის მდგომარეობისა და შეგრძნებების კულმინაციურ ეტაპს გამოხატავს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პრიამოსის სიტყვა სტრუქტურულადაც და აზრობრივადაც როგორც დიპლომატიურობით, ასევე თავისი გულწრფელი ემოციურობით გამორჩეულ სიტყვას წარმოადგენს. და თუ მას ისევ I სიმღერას შევადარებთ, განსხვავებით ქრისეს სიტყვისაგან, მამა აღწევს დასახულ მიზანს და ითანხმებს ამ სიტყვის ადრესატს. საყურადღებოა, რომ ერთმანეთთან მიმართებას გვიჩვენებს აგამემნონისა და აქილევსის რეაქცია, ოღონდ პირველ შემთხვევაში ეს რეაქცია მოქმედების განვითარებას უქმნის საფუძველს, ხოლო მეორე შემთხვევაში აქილევსის გადაწყვეტილებას ფინალისაკენ მივყავართ.

თუკი „ილიადაში“ პერსონაჟების მიერ ე. წ. დიპლომატიური ფუნქციის მქონე სიტყვების წარმოთქმა განპირობებულია შედარებით განსაზღვრული რაოდენობის კონტექსტებით და მათი რაოდენობა არ არის დიდი, „ოდისეაში“ რამდენადმე განსხვავე-

[407] Lohmann 1970, 121 შმდ.

ბული ვითარებაა. აქ, ფაქტობრივად, წარმოდგენილია ორი სამოქმედო დრო: ერთი მხრივ, რეალური, დაკავშირებული მოქმედების განვითარებასთან და საკმაოდ შეზღუდული სამოქმედო დღეთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულწილად მოქმედების განვითარებასთან დაუკავშირებელი, რომელიც მოიცავს თხრობას ოდისევსის მრავალწლიანი ხეტიალის შესახებ და წარმოადგენს თავად მთხრობელის მიერ გადმოცემულ სურათებს მისი ხეტიალის ვრცელი ამბიდან. გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებით „ილიადისაგან", „ოდისეაში" მთავარი მოქმედი გმირი რეგულარულად წარმოგვიდგება ხან თავისი ნამდვილი სახით, უფრო ხშირად კი ნიღბით, თავისივე მოგონილი პერსონაჟის სახით. შესაბამისად, ოდისევსს მუდმივად უხდება ილაპარაკოს, ერთი მხრივ, თავისი სახელით, ხოლო მეორე მხრივ, წარმოგვიდგება სხვადასხვა პერსონაჟის როლში. თუკი გავითვალისწინებთ ოდისევსის ხეტიალის ამსახველი სურათების რაოდენობას და მრავალფეროვნებას და იმას, რომ ოდისევსს მუდმივად უხდება ახალ გარემოში აღმოჩენისთანავე ხან მავედრებლის, ხან მათხოვრის, ხან დიდებულის და ა. შ. როლის თამაში, აშკარა ხდება, რომ მის მიერ ასეთ ვითარებაში წარმოთქმული სიტყვების დიდი ნაწილი, ჩვენ გარკვეულწილად შეიძლება დიპლომატიურ სიტყვებად განვიხილოთ, რადგან მათი მიზანია, მიაღწიოს შეთანხმებას მათთან, ვისაც შეუძლია განაგოს მისი ბედი ახალ გარემოში. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ძალიან შორს წაგვიყვანდა ყველა ამ სიტყვის ანალიზი ჩვენთვის საინტერესო კუთხით. ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ „ოდისეაში" წარმოთქმულ მხოლოდ იმ სიტყვებზე, რომლებშიც განსაკუთრებით რელიეფურად იკვეთება სიტყვის დიპლომატიური ფუნქცია. მართალია, მათ უმეტესობას თავად ოდისევსი წარმოთქვამს, მაგრამ სხვა პერსონაჟთა სიტყვებშიც შეიძლება გამოვლინდეს ამ კუთხით საინტერესო ასპექტი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ „ოდისეადან" მოხმობილი სიტყვები რამდენადმე განსხვავდება „ილიადის" სიტყვებისაგან. როგორც ლომანი აღნიშნავს (თუმცა მას „ოდისეას" სიტყვები საგანგებოდ არ განუხილავს), „ოდისეაში" ის კომპოზიცი-

ური პრინციპები, რომლებიც ძირითადად ცალკეულ სიტყვებში, როგორც დამოუკიდებელ სტრუქტურულ ელემენტებში დასტურდება, ამ პოემაში თავს იჩენს ისეთ პარტიებში, სადაც 2 ან 2-ზე მეტი პერსონაჟია ჩართული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სცენების ურთიერთსტრუქტურირებასთან (Durchstrukturierte Redeszenen).[408]

შესაბამისად, აქ სტრუქტურას წარმოადგენს არა ცალკე აღებული სიტყვები, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული ე. წ. სიტყვათა ჯგუფები, რომელთა შემადგენელი წინადადებები, როგორც ელემენტები, ქმნიან კომპოზიციური ორგანიზაციის იმ ფორმებს, რომლებიც დამახასიათებელია ჰომეროსის ეპოსისათვის. სწორედ ამიტომ შევეცდებით განვიხილოთ ზოგიერთი სიტყვათა ჯგუფი ურთიერთსტრუქტურირების თვალსაზრისით, რომლებიც, ჩვენი აზრით, დიპლომატიურობის ნიშნებს შეიცავს.

დავუბრუნდეთ ტელემაქოსის სიტყვას. როგორც ცნობილია, მენტესის სახით მოვლენილი ათენა ჩააგონებს ტელემაქოსს გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები მამის ამბის შესატყობად და მის სასახლეში მრავალრიცხოვან სასიძოთაგან გამოწვეული განუკითხაობის ასალაგმავად. ამისათვის აუცილებელია ითაკელების თავმოყრა სახალხო კრებაზე. ოდისევსის წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, პირველად ჩატარებული სახალხო კრების მოულოდნელობას ხაზს უსვამს ეგვიპტიოსის სიტყვები. პოემა გვაუწყებს, რომ ეს ხანდაზმული ადამიანი არის ის პიროვნება, რომლის ერთი შვილი ოდისევსს გაჰყვა და იგი კიკლოპმა შეჭამა, მეორე სასიძოთა შორის არის, ხოლო კიდევ ერთი ვაჟი მამის გვერდით დგას სახალხო კრებაზე. თავისთავად ეს გარემოება გვიჩვენებს იმას, რომ ეგვიპტიოსის სიტყვების ხალხს სჯერა, რადგან იგი არ წარმოადგენს არც ერთ მხარეს და მას არ აქვს მიზეზი, რომ არ იყოს ობიექტური. მას შემდეგ, რაც ეგვიპტიოსი ხალხს შეახსენებს, რომ ოდისევსის წასვლიდან მოყოლებული

[408] Lohmann 1970, 155 შმდ.

ითაკაში[409] არ ჩატარებულა სახალხო კრება, მათ წარუდგენს ტელემაქოსს, როგორც ითაკის მეფის ლეგიტიმურ ძეს.[410] ეგვიპტიოსის სიტყვები ხალხზე სათანადო ზემოქმედებას ახდენს და მათ წინაშე წარმდგარი, ჯერ გამოუცდელი ტელემაქოსი, რომელსაც მაცნე პისენორი „კეთილი რჩევის მცოდნე“ (κῆρυξ Πεισήνωρ πεπνυμένα μήδεα εἰδώς; *ოდ.* II, 38) კვერთხს მისცემს ხელში, იწყებს ლაპარაკს. აღნიშნულ სცენაში ტელემაქოსი 3 სიტყვას წარმოთქვამს. პირველი სიტყვა არის იმის საჯაროდ მოყოლა, რაც ხდება ოდისევსის სასახლეში (40-79) და გულისწყრომა და რისხვაა გადმოცემული სასიძოების მიმართ. პირველი სიტყვის ძირითადი შინაარსის რეზიუმირება ამგვარად შეიძლება: 1) რა ხდება ამჟამად მის სასახლეში; 2) რა პრეტენზიები აქვს ტელემაქოსს სასიძოთა მიმართ; 3) მისი რადიკალური დამოკიდებულება, რომ იგი აღარ მოითმენს მეტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტელემაქოსი ამ სიტყვაში, ფაქტობრივად, რიტორიკულ კითხვას უსვამს ითაკელებს, რატომ უყურებენ ისინი ასე გულგრილად ოდისევსის სახლში დატრიალებულ უბედურებას, ხომ არ უხდიან სამაგიეროს მამამისის მიერ ოდესმე ჩადენილი რაიმე დანაშაულის გამო? ოდისევსის ძე სკიპტრას დაანარცხებს და აქვითინდება, რაც ხალხში თანაგრძნობასა და სიბრალულს გამოიწვევს. ტელემაქოსმა მიზანს მიაღწია, ითაკელების თანაგრძნობა მოიპოვა.[411] სახალხო კრებაზე სიჩუმე ჩამოვარდება და ვერავინ ჰკადრებს ტელემაქოსს

---

[409] ნეოპლატონიკოსი პროკლესი ნერს, რომ ითაკა გამოხატავს მეტაფიზიკური დანიშნულების ადგილს, რომლის მიღწევასაც (მისვლას) ცდილობს ყველა ფილოსოფოსი (ცანავა 2011, 157).

[410] ტელემაქოსი შეუდგა ინიციაციის გზას: იგი იწვევს კრებას (რაც ოდისევსის გამგზავრების შემდეგ არავის გაუკეთებია), მამის სკამზე ჯდება, ხელში იღებს ძალაუფლების სიმბოლოს – სკიპტრას და ისე ელაპარაკება ხალხს (ცანავა 2011, 30).

[411] ასე რომ, ახლა ვაჟიშვილი მხოლოდ გარეგნობით კი არ ჰგავს მამას (რაც აღნიშნა ათენა-მენტესმა), არამედ დარწმუნების ხელოვნებით, ორატორობით. აქედან გამომდინარე, ნათელია, რატომ არის ტელემაქოსის მუდმივი ეპითეტი πεπνύμενος- გონიერი, ბრძენი განმსჯელი, ინტელიგენტი (ცანავა 2011, 28, 30).

აუგ სიტყვას. მხოლოდ ანტინოოსი ადგება და შექმნილ ვითარებაში პენელოპეს დაადანაშაულებს. პენელოპე, მისი აზრით, უკვე მეოთხე წელია სასიძოებს ჭკუაში ატყუებს, რადგან ფუჭ იმედს აძლევს სათითაოდ ყველას. ტელემაქოსის საპასუხო სიტყვა იმის არგუმენტაციაა, თუ რატომ არ შეუძლია მას აიძულოს დედა, დაბრუნდეს მამის სახლში. მისი სიტყვის ძირითადი არგუმენტები შემდგომში მდგომარეობს: ტელემაქოსს ეშინია პენელოპეს მამის, იკარიოსის და, აგრეთვე, ღმერთის რისხვის, რომელმაც შესაძლოა ამ საქციელის გამო დასაჯოს. გარდა ამისა, არც იმას გამორიცხავს, რომ დევნილმა დედამ ერინიებს მოუხმოს, რის შემდგომაც ხალხი ასეთ შვილს შეიძულებს. ოდისევსის ძე ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავს, რომ სასიძოებმა დატოვონ მისი მამაპაპისეული სასახლე. აქვე მუქარის ტონიც გამოერევა მის სიტყვაში, რითაც ასრულებს თავის პასუხს ანტინოოსთან. თუ მაინც არ დაიშლიან პენელოპეს საქმროები და გააგრძელებენ ისევ ისე ცხოვრებას, ზევსს შესთხოვს, რომ ყველას ერთად მოუღოს ბოლო ამავე სახლში. ამას მოჰყვება ზევსის ნიშანი (ორი არწივი), რისი ინტერპრეტირებაც მისანმა ჰალითერსეს მასტორიდესმა სათანადოდ მოახდინა (*ოდ.* II, 160-76). მან გააფრთხილა სასიძოები, რომ ოდისევსი არც ისე შორს იყო მათგან და მათ გასაჟლეტად ილტვოდა.

მას შეეპასუხება ევრიმაქოსი, რომელიც ურჩევს, თავისი შვილები დაარიგოს შინ. აქ კი ისინი თავად გადაწყვეტდნენ, რა იქნებოდა მათთვის უკეთესი. ამას მოსდევს ტელემაქოსის ბოლო სიტყვა (II, 208-24), რომელიც თითქმის წარმოადგენს ათენას რჩევის პერიფრაზირებას (I, 280-305).[412] ამ სიტყვაში ტელემაქოსი ამცნობს თავისი მომავალი მოქმედების გეგმას და შესაბამის პირობებს უყენებს სახალხო კრებას. იგი სთხოვს მათ, მისცენ სწრაფი გემი 20 ნიჩბოსნით სპარტისა და ქვიშიანი პილოსის მოსავლელად, რათა მამის შესახებ შეიტყოს რაიმე. თუ გაიგებს, რომ იგი ცოცხალია, ერთი წელი დაელოდება; ხოლო

[412] ანალიტიკოსთა მიერ წამოყენებული არგუმენტები „ტელემაქიის" B პოეტისადმი მიკუთვნების თაობაზე, ათენას დარიგებისა და ტელემაქოსის დანაბარების დეტალური ანალიზისთვის იხ. ΠΓΘ 1978, 115-19.

თუ ტელემაქოსი დარწმუნდება, რომ ოდისევსი მკვდარია, დაბრუნდება სამშობლოში და მის პატივსაცემად ბორცვს აღმართავს, ზვარაკს შესწირავს. დედას, პენელოპეს კი შესაფერის საქმროს მიათხოვებს. ასე სრულდება ტელემაქოსის ბოლო სიტყვა სახალხო კრებაზე, რომელსაც მეტი დამაჯერებლობით წარმოთქვამს. ოდისევსის ძე დაჯდება, ხოლო მოხუცი მენტორი, ოდისევსის მეგობარი ადგება და ითაკელებს სთხოვს უფრო მეტ გულისხმიერებას ოდისევსის ოჯახის მიმართ.

შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ტელემაქოსის სამნაწილიანი პარტია რიტორიკული თვალსაზრისით ძალზე პრაგმატულად არის აგებული. პირველი გადმოგვცემს სასახლეში შექმნილ აუტანელ მდგომარეობას და ამაში სასიძოთა დადანაშაულებას, მეორე გამოსვლა იმის ახსნას, თუ რატომ არის შეუძლებელი ტელემაქოსმა აიძულოს დედა, დატოვოს სასახლე, ხოლო მესამე სიტყვა იძლევა ათენა მენტესის მიერ „სანქცირებულ" სამოქმედო გეგმას. როგორია ტელემაქოსის პირველი საჯარო გამოსვლის დიპლომატიური ეფექტი? მან სასიძოებს აგრძნობინა, რომ სასახლეში მათ უკვე ჰყავთ ღირსეული მოწინააღმდეგე, რაც ნიშნავს მის გადასვლას ერთი ასაკობრივი კატეგორიიდან მეორეში.[413] გარდა ამისა, მოიპოვა ითაკელების თანაგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ შედეგიანია მისი სიტყვა, რადგან მან მოახდინა ეფექტი, რის მიმართაც იყო მიმართული სახალხო კრება. ყოველივე ამას მოჰყვება თანხმობა, დაიწყოს ტელემაქოსმა აქტიური მოქმედება. როგორც ცნობილია, ტელემაქოსი ათენასაგან მიღებულ დავალებას შემდგომ წარმატებით ართმევს თავს.

ელჩობის ფენომენისა და ოდისევსის დიპლომატიური შესაძლებლობების ჩვენების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ის სიტყვები, რომლებიც „ოდისეას" V სიმღერაში ე. წ. კალიფსოს ეპიზოდში გვხვდება.[414] ამ შემთხვევაში კალიფსო გვევლინება იმ ობიექტად, რომელთანაც მოსალაპარაკებლად ერთ შემთხვევაში ჩადის ჰერმესი, ხოლო მეორე მხრივ, მთელი თავისი ნიჭის

[413] ცანავა 2011, 15-50.

[414] კალიფსოს ეპიზოდის ანალიზისათვის იხ. ΠΓΘ 1978. 19. 119 შმდ.

მოხმობა სჭირდება ოდისევსს მისი ქალური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. გავიხსენოთ ეს სცენა. ღმერთები გადაწყვეტენ ოდისევსი შინ დააბრუნონ. მათ კარგად იციან, რომ ნიმფა კალიფსოს აქვს სურვილი მასთან მოხვედრილ ოდისევსს უკვდავება მიანიჭოს და სამუდამოდ დაიტოვოს თავისთან. ჰერმესს ზევსი საკმაოდ რთულ მისიას აკისრებს, გადასცეს კალიფსოს ღმერთების გადაწყვეტილება.

ჰერმესის მისიის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ზევსის სიტყვები („ჰერმეს, შენ ხარ ჩემი მაცნე ყველაზე ერთგული; *ოდ.* V, 29). ამის შემდეგ ზევსი, როგორც ეს უზენაეს ღმერთს სჩვევია, სავსებით კონკრეტულ დავალებას აძლევს ჰერმესს, გადასცეს მას, ფაქტობრივად, ზევსის ბრძანება, დააბრუნოს ოდისევსი და თან განსაზღვრავს ოდისევსის კალიფსოს კუნძულიდან სამშობლოში დაბრუნების მთელ გეგმას. ჰერმესი მიემართება დავალების შესასრულებლად. ვიდრე ჰერმესის სიტყვას შევეხებოდეთ, ძალზე მოკლედ გავიხსენოთ, რა ვითარებაა კალიფსოსა და ოდისევსის სასიყვარულო ურთიერთობებში. როგორც მეცნიერებაში უკვე შენიშნულია, ჰომეროსთან საკმაოდ სრულად არის ასახული ადამიანებს შორის სიყვარულის ყველა ფორმა და გარკვეული თვალსაზრისით ყველა ნიუანსი დაწყებული ისეთი სიყვარულიდან მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რომ ემსახურება, დასრულებული მაღალი გრძნობით, რომელიც ცოლ-ქმარს სამუდამოდ აკავშირებს ერთმანეთთან.[415] ერთ-ერთი ფორმა სასიყვარულო ურთიერთობებისა არის ის, როდესაც ქალსა და კაცს შორის ერთერთს მეორის მიმართ ინტერესი უქრება. „ოდისეაში" V სიმღერის 154 სტრიქონიდან აღწერილია ის, რომ ოდისევსს იმ მომენტისათვის, როდესაც ღმერთები მის დაბრუნებას გადაწყვეტენ, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს ინტერესი კალიფსოს მიმართ.

> თუმცა ღამეებს ათენებდა იძულებით [ოდისევსი],
> მოპირკეთებულ გამოქვაბულში, სურვილის გარეშე.
> *ოდ.* V, 154-55.[416]

[415] გორდეზიანი 2014, 216.

[416] ἀλλ᾽ ἡ τοι νύκτας μέν ἰαύεσκεν καὶ ἀνάγκῃ

შესაბამისად, ლოგიკური თვალსაზრისით სიტუაცია უკვე შემზადებულია იმისათვის, რომ ოდისევსმა ყოველგვარი სინანულის გარეშე დატოვოს ის კუნძული, სადაც მას უმშვენიერესი ნიმფა თავის თავსა და უკვდავებას სთავაზობდა. იძულებითი ღამეების შემდეგ დღისით ოდისევსი კვლავ გაჰყურებდა ცრემლიანი თვალებით ზღვის ნაპირებს და სამშობლოში დაბრუნების იმედს არ კარგავდა.[417] მივუბრუნდეთ იმ სიტყვას, რომლითაც ჰერმესი მიმართავს კალიფსოს მას შემდეგ, რაც ნიმფამ მისი სტუმრობა დიდი სიხარულით მიიღო. ჰერმესის სიტყვაში ნასახიც კი აღარ არის იმ კატეგორიულობისა, რომელსაც ზევსის დანაბარები შეიცავდა. ჰერმესი ძალზე ფრთხილად ცდილობს შეაპაროს კალიფსოს თავისი ელჩობის ჭეშმარიტი დანიშნულება. იგი თავიდანვე უსვამს ხაზს – „გამომგზავნა ზევსმა... არ მინდოდა“ (V, 99).[418]

მისი სიტყვის უმთავრესი პათოსია, ნიმფა იმდენად არ აღაშფოთოს ღმერთების გადაწყვეტილებამ, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ჰერმესს. მართალია, მისი რეაქცია ძალზე მძაფრია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი მზადყოფნას გამოთქვამს, გაუშვას ოდისევსი, რადგან ზევსის ნების შეცვლა არავის ძალუძს („მაგრამ რადგანაც ეგისისმპყრობელის ზევსის სიტყვა გარდუვალია, ვერც ერთი ღმერთი ვერ შეცვლის და ვერც დაარღვევს... (V, 137-38).[419] კალიფსო თავისი სიტყვის დასაწყისში განრისხებული იმასაც აღნიშნავს, რომ ღმერთები ღიზიანდებიან, როდესაც ქალღმერთები მოკვდავებთან დაქორწინებას გადაწყვეტენ. ამის დასტურად მან ორი მაგალითი მოიყვანა: 1) როცა ეოსს სურდა ქმრად ორიონი, მტრულად განეწყვნენ ღმერთები ამ მოკვდავის მიმართ და არტემისმა განგმირა იგი; 2) როცა დე-

---

ἐν σπέσσι γλαφυροῖσι παρ᾽ οὐκ ἐθέλων ἐθελούσῃ.

[417] ცნობილია, რომ ოდისევსი კუნძულ ოგიგიაზე შვიდი წელი იმყოფებოდა ნიმფა კალიფსოსთან, სადაც ტირილისგან „ცრემლი დაუშრა“ (δακρυόφιν τέρσυντο) (V, 152).

[418] Ζεὺς ἐμέ γ᾽ ἠνώγει δεῦρ᾽ ἐλθέμεν οὐκ ἐθέλοντα.

[419] ἀλλ᾽ ἐπεὶ οὔ πως ἔστι Διὸς ἰκόν αἰγιόχοιο
οὔτε παρεξελθεῖν ἄλλον θεὸν οὔθ᾽ ἁλιῶσαι.

მეტრე დანებდა იასიონს, ამ ამბის შეტყობისთანავე ზევსმა ვაჟკაცს ბოლო მოუღო ელვით (V, 118-28).[420] კალიფსო ჰერმესს თავის სურვილს ღიად უმხელს, რომ მას უნდოდა უკვდავება მიენიჭებინა ოდისევსისათვის, რომელიც „გემზე მოჭიდებული" გადაარჩინა, გამოკვება, მოუარა, შემდეგ შეუყვარდა და თავს ევლებოდა იმ იმედით, რომ მასთან დარჩებოდა გმირი სამუდამოდ. მაგრამ ეს რადგან ზევსის ნება იყო და თავად ოდისევსაც ასე ძლიერ სურდა სამშობლოში დაბრუნება, ქალღმერთი იძულებული იყო გაეშვა. კალიფსო ჰერმესს ჰპირდება, რომ ოდისევსს თუ დასჭირდა, ურჩევს კიდეც, რათა უვნებელი დაბრუნდეს სამშობლოში ტროას ომის გმირი.[421] ამდენად, ჰერმესის მისია შესრულებულია და ზევსის მაცნე ძალზე ლაკონიური მიმართვით ტოვებს კალიფსოს:

> ამგვარად ახლა უშვებ [ოდისევსს]. უნდა გეშინოდეს ზევსის
> რისხვისა,
> რათა არ შემოგიბრუნდეს მისი გაბრაზებული რისხვა.[422]
> ოდ. V, 146-47.

ამგვარად, დიპლომატიური მოლაპარაკების პირველი ფაზა დასრულდა. ჰერმესმა დაარწმუნა კალიფსო, დაექვემდებაროს ზევსის ბრძანებას და მიიღოს მისთვის ძალზე მტკივნეული გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ ამ ე. წ. დიპლომატიურ სცენაში ღმერთის ღმერთთან მიმართებას ცვლის მიმართება ქალღმერთსა და მოკვდავს შორის. კალიფსოს ოდისევსთან არ სჭირდება თავის

---

[420] ეოსთან და დემეტრესთან (უძველეს და მნიშვნელოვან კოსმიური ფუნქციების მქონე ღვთაებებთან) კალიფსოს გაიგივების შესახებ იხ. ცანავა 2011, 155.

[421] ცნობილია, რომ კალიფსომ ოდისევსს ჯერ ასწავლა, შემდეგ კი მიეხმარა ტივის გაკეთებასა (მიიყვანს იქ, სადაც დიდი ხეები და ნაძვები იდგა) და აფრის გამართვაში. გამგზავრების წინ კი ტანს დაბანს, შემოსავს, გაატანს საგზლად ღვინოს, წყალს და სხვადასხვა სანოვაგეს, უკან კი ზურგის ქარს დაადევნებს (V, 233-67); ოდისევსი 17 დღე იქლის იმ გზით, რომელსაც ნიმფა ასწავლის (V, 276). მხოლოდ მეთვრამეტე დღეს მოჰკრავს იგი თვალს ფეაკების ქვეყნის მთებს.

[422] οὕτω νῦν ἀπόπεμπε, Διὸς δ' ἐποπίζεο μῆνιν,
μή πώς τοι μετόπισθε κοτεσσαμένος χαλεπήνῃ.

დიდი მართლება. იგი პირდაპირ ეუბნება მას, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და მას შეუძლია დაბრუნდეს სამშობლოში (V, 160-70).

უკვე იწყება პოემის ის პასაჟები, რომლებშიც ვლინდება, რამდენად დიპლომატიურია ოდისევსი ქალებთან, ამ შემთხვევაში ნიმფასთან მიმართებაში. პირველი რეაქცია, რაც მრავალ ჭირგამოვლილ გმირს აქვს კალიფსოს სიტყვებზე, ეს არის შიში – ღმერთებს არ ჰქონდეთ მორიგი ვერაგობა ჩაფიქრებული მის მიმართ. სწორედ ამიტომ ოდისევსის ამ სიტყვაში არაფერია ნათქვამი, რომ მან არ უნდა დატოვოს ნიმფას სიყვარულით გარემოცული კუნძული, არამედ ოდისევსი მას ფიცით განმტკიცებულ გარანტიას სთხოვს, რომ მისი დაბრუნება სამშობლოში უსაფრთხო იქნება. კალიფსოს დამამშვიდებელი სიტყვების შემდგომ ოდისევსს აშკარად ეცვლება გუნება და იგი ნიმფასთან ერთად მთელ ღამეს ატარებს. კალიფსო თავის სიტყვაში მისთვის ყველაზე საინტერესო კითხვას უსვამს სასურველ მამაკაცს. ქალღმერთს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს, რითი ჯობია მას ის ქალი, რომლისკენაც ასე მიიჩქარის ოდისევსი. აქ, რა თქმა უნდა, პენელოპე იგულისხმება.

... და მაინც მუდამ გსურს ნახვა
შენი ცოლის, გენატრება იგი ყოველ დღე.
თუმც ალბათ არ ვარ მასზე ნაკლებად სასურველი,
არც გარეგნობით, არც სიმაღლით არა მგონია ჩამოვრჩებოდე
მოკვდავი უკვდავს გარეგნობით ან სახით მჯობდეს.[423]

ოდ. V, 209[2]-13.

ოდისევსის პასუხი ამ შემთხვევაში მართლაც ბრწყინვალე დიპლომატიურობით გამოირჩევა. თავდაპირველად იგი სავსებით კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ მოკვდავი ქალი პენელოპე რამენაირად შეიძლება გარეგნობით ქალღმერთს გა-

[423] ... ἱμειρόμενός περ ἰδέσθαι
στὴν ἄλοχον. τῆς τ' αἰὲν ἐέλδεαι ἤματα πάντα.
οὐ μέν θην κείνης γε χερείων εὐχομαι εἶναι.
οὐ δέμας οὐδὲ φυήν. ἐπεὶ οὔ πως οὐδὲ ἔοικεν
θνητὰς ἀθανάτῃσι δέμας καὶ εἶδος ἐρίζειν.

უტოლდეს (V, 215-18). მაშინ რა არის მიზეზი იმისა, რომ მას სამშობლოში ასე მიუწევს გული? „ჭკუაულევი“ ოდისევსი არწმუნებს, რომ ეს არის მხოლოდ სახლში დაბრუნების დიდი სურვილი.[424]

მაგრამ მაინც მსურს და მივისწრაფი ყოველ დღე,
რომ სახლში დავბრუნდე და ეს დაბრუნების დღე ვიხილო.[425]
ოდ. V, 219-20.

შესაბამისად, მისი არგუმენტი სამშობლოსაკენ, საკუთარი სახლისკენ ლტოლვას ჩვეულებრივ მოკვდავისათვის დამახასიათებელ უმაღლეს გრძნობად წარმოგვიდგენს და იგი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაუტოლდება მისწრაფებას მოკვდავი ქალისაკენ. სწორედ ამიტომ ოდისევსი მზადაა, ყველა დაბრკოლება გადალახოს, რათა თავისი ოცნება სისრულეში მოიყვანოს. ამდენად, ოდისევსმა კალიფსოს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივას – უკვდავი ნიმფა (ἀθάνατος) თუ მოკვდავი პენელოპე (βροτός ἐστι) – ოსტატურად აუარა გვერდი და იმდენად დამარწმუნებელი არგუმენტი შეაგება ნიმფას, რომ მათ შორის, ფაქტობრივად, მოიხსნა ყოველგვარი გაუგებრობა. მომდევნო სტრიქონებიდან ვიგებთ, რომ ისინი მთელი ღამე სიყვარულით ატკბობდნენ ერთმანეთს.[426] მართალია, თუნდაც მოკლე დროით, მაგრამ მათ შორის აღდგა ისეთი სასიყვარულო კავშირი, რომელიც ორივეს სურვილს შეესაბამებოდა.

ოდისევსის დიპლომატიური ნიჭი პოემაში ყველაზე მეტად ვლინდება ფეაკიაში, რომლისათვისაც დამახასიათებელი არის ჩვენთვის საინტერესო კუთხით მრავალპლანიანობა. აქ, ერთი მხრივ, ურთიერთობების გენერალურ მიმართულებას წარმოადგენს ოდისევსის მოქმედება ფეაკების მეფის, ალკინოოსსა და, ფაქტობრივად, მასთან უფლებებში გათანაბრებული დე-

---

[424] „ოდისეას“ I სიმღერაში (58-59) ათენა ამბობს, რომ ოდისევსს სურს მშობლიური მინის კვამლი მაინც იხილოს.

[425] ἀλλὰ καὶ ὡς ἐθέλω καὶ ἐελδομαι ἤματα πάντα
οἴκαδέ τ' ἐλθέμεναι καὶ νόστιμον ἦμαρ ἰδέσθαι.

[426] ამ კავშირს ხაზს უსვამს ტერმინი φιλότητι (V, 227). იხ. Λέκτα 2010. 213.

დოფლის არეტეს კარზე.[427] ოდისევსის წარმოთქმული ის სიტყვებია, რომელთაც საბოლოოდ მას სანუკვარი შედეგი უნდა მოუტანოს და სამშობლოში დააბრუნოს. მეორე პლანი არის ნავსიკაასა და ოდისევსის ურთიერთობა, სადაც ქალთა გამოცდილ გულისმპყრობელს უხდება ისე წარმართოს ურთიერთობა ჯერ გამოუცდელ ქალწულთან, რომელიც გათხოვებაზე ოცნებობს, რომ თან მისი კეთილგანწყობა მოიპოვოს და თან გული არ ატკინოს. მესამე კი არის ოდისევსისა და ფეაკების საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან გასაუბრება, სადაც ოდისევსმა, უპირველეს ყოვლისა, ტაქტი უნდა გამოავლინოს, თუმცა ამავდროულად აჩვენოს ხასიათის სიმტკიცე. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი არის თავად ოდისევსის თხრობა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მრავალრიცხოვანი სურათებისაგან შედგება, სადაც სხვადასხვა სიტუაციურ კონტექსტში აღმოჩენილი ოდისევსი წარმოგვიდგება ზოგჯერ როგორც დახვენილი დიპლომატი, ზოგჯერ კი მდგომარეობიდან გამოსული პერსონაჟი თავისი გაუფრთხილებლობითა და პირდაპირობით გამორჩეული. ჯერ განვიხილოთ ის სიტყვები, რომლებიც ოდისევსს, როგორც ქალებთან ურთიერთობების კარგად მცოდნეს და ამ თვალსაზრისით დახვეწილ დიპლომატსაც გამოარჩევს.[428]

როგორც აღვნიშნეთ, ფეაკების კუნძულზე ოდისევსის დიპლომატიური ინტუიციაც და უნარიც მთელი ძალით ვლინდება. ცნობილია, რომ „ოდისეაში" ლაერტესის ძე ძალზე ხშირად სხვადასხვა გარემოში აღმოჩენისას მალავს თავის ვინაობას და ე. წ. „ნიღბით" წარმოგვიდგება. ეს ნიღაბი არ არის ერთი. სიტუაციის მიხედვით სულ სხვადასხვა ადამიანად წარმოსახავს თავის თავს. თუმცა პოემაში ერთი კანონზომიერება შეინიშნება, რომ ოდისევსი იკეთებს ნიღაბს ისეთ შემთხვევებში, როცა ბოლომდე არ ენდობა ვინმეს, ან იმ დროს, როცა საერთოდ არ ენ-

---

[427] ფეაკთა კუნძულისა და მის მკვიდრთა უტოპიურობის შესახებ იხ. გორდეზიანი 2014, 111.

[428] როგორც ცნობილია, პომეროლოგიაში იყო ცდა ემტკიცებინათ, რომ „ოდისეა" ქალის დანერილი პოემა იყო, რადგან ოდისევსის წყალობით „ქალის ფსიქოლოგიის" ღრმა ცოდნა შეინიშნება.

დობა.[429] ოდისევსი ცდილობს თავი აარიდოს მოტყუებას მაშინ, როდესაც ნდობის ფაქტორი უჩნდება; მაშინ, როდესაც ინტუიცია კარნახობს, რომ სანდოა თავისი მასპინძელი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოდისევსი ფეაკების კუნძულზე, სადაც იგი თავის ნამდვილ ვინაობას ამჟღავნებს:

> ოდისევსი ვარ, ლაერტეს ძე, ცნობილი [ჩემი] მოხერხებულობით ადამიანთა შორის. და ცამდე აღწევს დიდება ჩემი.[430]
>
> ოდ. IX, 19-20.

არც ერთ შემთხვევაში, როცა იგი თავისი ხეტიალისა და თავგადასავალის შესახებ უამბობს ფეაკებს IX, X, XI და XII სიმღერებში, იგი არ წარმოგვიდგება ნილბით. თავდაპირველად, მართალია, გმირი იკავებს თავს ვინაობის დასახელებისაგან, მაგრამ არ ცრუობს ფეაკების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ინტუიტიურად ფეაკების მეფეს, დედოფალს და თავად ფეაკებს ენდობა. ვიდრე განვიხილავდეთ ოდისევსის ფეაკებთან წარმოთქმულ არაერთ სიტყვას, სანამ იგი თავის ნამდვილ ვინაობას გაამჟღავნებდა, განვიხილოთ ის ხაზი, რომელსაც ოდისევსისა და ნავსიკაას ურთიერთობა შეიძლება ვუწოდოთ. ფეაკების კუნძულზე აღმოჩენილი ოდისევსის პირველი შეხვედრა ნავსიკაასთან ხდება ზღვის ნაპირზე, სადაც ათენას ჩაგონებით ნავსიკაა, ფეაკების მეფის ასული თავის მსახურებთან და ამხანაგებთან ერთად დიდი რეცხვის მოსაწყობად მივიდა. დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი ოდისევსი ღრმა ძილისაგან ქალების მხიარულებამ გამოაფხიზლა. ჰომეროსი რამდენიმე სტრიქონით გადმოგვცემს, თუ რას ფიქრობს ახლადგაღვიძებული ოდისევსი, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, სად და რა ვითარებაში გამორიყა ბედმა – უსამართლო ხალხთან თუ სტუმართმოყვარე ადამიანებთან, ნიმფების მხიარულების ხმა ჩაესმის თუ კაცთმოყვარე მოკვდავებისა (VI, 119-26). იგი გადაწყვეტს, მივიდეს და თავად გაარკვიოს ყოველი. ამ მოკლე ეპიზოდში კარგად იკვეთება ოდისევსის გონიერება და წინდახედულება. გმირი მა-

---

[429] ოდისევსისა და ქალების ურთიერთობების შესახებ იხ. ცანავა 2011, 133-205.

[430] εἶμ' Ὀδυσεὺς Λαερτιάδης, ὃς πᾶσι δόλοισιν
ἀνθρώποισι μέλω, καὶ κλέος οὐρανὸν ἵκει.

შინვე იწყებს ფიქრს, რა „ნიღაბის" მორგება მოუწევს მოცემულ მომენტში. ბოლოს ოდისევსი დედიშობილა, ფოთლებით შემოსილი მოევლინება ზღვის ნაპირზე გამოსულ ქალიშვილებს. მისი გამოჩენის ეფექტის გასაძლიერებლად ჰომეროსი გამოიყენებს შედარებას – იგი გამოვარდა „ტყეში გაზრდილი ლომივით" (λέων ὀρεσίτροφος) (VI, 130). „ზღვის ტალახში ამოგანგლული" ოდისევსის დანახვაზე ყველა ქალიშვილს მოიცავს შიში და ისინი გაიქცევიან. მხოლოდ ალკინოოსის ასული, ნავსიკაა რჩება მასთან პირისპირ და ოდისევსი მას მიმართავს თავისი პირველი სიტყვით. საინტერესოა, რომ ოდისევსმა ამ მოკლე ხანში იმაზეც კი იფიქრა, მუხლებზე მოხვეოდა ქალს და ისე ეთქვა თავისი სათხოვარი, თუ შორიდან ტკბილი სიტყვით აეხსნა ყველაფერი. იგი მიახლოების გარეშე გადაწყვეტს გამოელაპარაკოს, რათა არ ეწყინოს უცხო ქალწულს. ოდისევსის პირველი სიტყვა პირველივე შეხვედრაზე ნავსიკაასთან 37 სტრიქონისაგან შედგება (VI, 149-85). ამ სიტყვაში რამდენიმე მომენტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. როგორ მიმართვას უცხო ქალს უცხო ქვეყანაში მოხვედრილი გმირი, რათა ჯერ მოუსმინოს სტუმარს და ამასთანავე მისი კეთილგანწყობა მოიპოვოს: „მუხლებზე მოხვეული გევედრები, ქალბატონო, უკვდავი ხარ თუ მოკვდავი..." (VI, 149).[431] ოდისევსი, უპირველეს ყოვლისა, ქალწულის გარეგნობას წამოწევს წინა პლანზე. იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ ამგვარ ალტერნატივას განიხილავს. მის წინაშე მდგარი ქალწული არის ან ქალღმერთი ან მოკვდავი, რომელიც აფროდიტეს მსგავსია. ამით ნავსიკაას გარეგნობას აფროდიტეს სილამაზეს ადარებს, რითაც ქალღმერთთან ათანაბრებს მას. აქ წინასწარვე უდასტურებს ოდისევსი ისეთ პატივისცემას, როგორსაც ქალღმერთის მიმართ გამოხატავდა. ამიტომ ნავსიკაას არ უტოვებს ეჭვის დონეზეც კი იმ განცდას, რომ ეს მამაკაცი შესაძლოა საშიში აღმოჩნდეს მისთვის. თუ ნავსიკაა მოკვდავი იყო და არა ქალღმერთი, იგი აგონებდა კუნძულ დელოსზე მდებარე პალმას, რომელიც ბუნების ღვთაებრივ ქმნილებასთან შეიძლება გაეტოლებინა. საინტერესოა, რომ ოდისევსი არ ადა-

[431] γουνοῦμαί σε, ἄνασσα: θεός νύ τις, ἢ βροτός ἐσσι.

რებს არც ერთ კონკრეტულ მოკვდავ ქალს. ამდენად, ნავსიკაას გარეგნობას უმაღლესი რანგის კომპლიმენტებით ამკობს. შემდეგი თემა, რომელსაც ოდისევსი მის სიტყვაში წამოწევს, არის ნავსიკაა, როგორც საოცნებო საპატარძლო, რომელსაც თავისი გარეგნობით და არსებობით არა მარტო თავისი ახლობლები შეიძლება გააბედნიეროს, არამედ ნებისმიერი ოჯახი, რომელშიც იგი შევა. ოდისევსი აღნიშნავს ნავსიკაას პოტენციურ შესაძლებლობას, იყოს იდეალური ცოლი, რასაც ოდისევსი მოკლე რეზიუმეს უკეთებს ცოლ-ქმრულ ურთიერთობასთან დაკავშირებული სენტენციის სახით: „არაფერია იმაზე უკეთესი, როცა სიყვარულით სახლზე ზრუნავენ ქმარი და ცოლი"... (VI, 182-83).[432]

თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ათენასაგან ჩაგონებული ნავსიკაას ზღვის ნაპირზე წასვლა მოტივირებული იყო გათხოვების იმედით, სავსებით ნათელი ხდება, რაოდენ ზუსტად შეეხმიანა ოდისევსი ქალის გულის ნადებს. თუმცა „დიპლომატ" ოდისევსს, რომელსაც ქალებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ისიც კარგად ესმოდა, რომ მისგან არ იქნებოდა სწორი ნავსიკაასთან მეტად დაახლოება. ამიტომ მან თავისი სიტყვებითა და მოქმედებით თანდათან ძალზე დიპლომატიურად მოახდინა ნავსიკაასაგან დისტანცირება, რომლის გულშიც ოდისევსმა უკვე მოასწრო იმედის ნაპერწკლის გაღვივება. ნავსიკაას რომ ოდისევსის, როგორც შესაძლო საქმროს მიმართ გარკვეული გრძნობა გაუჩნდა, ეს შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

> თუკი მეყოლება მისი მსგავსი ისეთი ქმარი
> აქ რომ დასახლდეს, და აქ რომ სურდეს გულით ცხოვრება.[433]
> *ოდ.* VI, 244-45.

გარდა ამისა, საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ნავსიკაას გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა ეახლოს ოდისევსი მეფესა

---

[432] ἢ ὀθ' ὁμοφρονέοντε νοήμασιν οἶκον ἔχητον
ἀνὴρ ἠδὲ γυνή... (იხ. გორდეზიანი 2010, 217).

[433] αἴ γὰρ ἐμοὶ τοιόσθε πόσις κεκλημένος εἴη
ἐνθάδε ναιετάων, καὶ οἱ ἄδοι αὐτόθι μίμνειν.

და დედოფალს. აქ ნავსიკაასთვის სიფრთხილის გამოჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივია ის, რომ არ მისცეს თანამოქალაქეებს ჭორების გავრცელების საშუალება. თუმცა ამ პოტენციური ჭორების თემა არის ახლადგაცნობილ უცნობ ვაჟკაცთან მისი დაქორწინების შესაძლებლობაც. საინტერესოა, რომ თავისი კომპლიმენტებით აღსავსე სიტყვის შემდეგ ოდისევსი აღარსად არ ეუბნება ნავსიკაას ისეთ სიტყვას, რომლითაც იგი ფუჭ იმედს მისცემდა ქალწულს. იგი მხოლოდ სთხოვს მსახურებს, რომლებმაც ოქროს ჭურჭლით ნელსაცხებელი მიაწოდეს ტანის განსაბანად, რომ განერიდონ იმ ადგილს ქალები, სადაც მან უნდა იბანაოს.

ამის შემდეგ ოდისევსი ნავსიკაასთან არ შედის სიტყვიერ კონტაქტში. იგი ცდილობს, რომ ფეაკებმა არ მოიაზრონ იგი მომავალ სასიძოდ და ყველანაირად ემიჯნება ამგვარი აღქმის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ეპიზოდი. როდესაც ალკინოოსი ოდისევსს მიზეზს ჰკითხავს, თუ რატომ არ მოიქცა ნავსიკაა სწორად და თავად არ შემოუძღვა სტუმარს სასახლეში, ოდისევსი იცავს ნავსიკაას. იგი მის საქციელს მხოლოდ შიშითა და მორიდებით ხსნის. ალკინოოსსა და ოდისევსის გასაუბრების ეპიზოდში, ფეაკთა მეფე ამგვარ სიტყვას ეუბნება სტუმარს:

> თუ ისეთს, როგორი ძლიერიც შენ ხარ და ასევე, როგორი
> გონიერებაც მე მაქვს
> [ვნახავდი], ჩემს ქალიშვილს შევრთავდი და ჩემს სიძეს
> დავუძახებდი.
> აქ დარჩენილს კი სახლს და ქონებას ვუბოძებდი.[434]
> ოდ. VII, 312-14.

ოდისევსი კი თავის მოკლე პასუხში, ფაქტობრივად, საერთოდ გვერდს უვლის ამ თემას და სხვა მიმართულებით აკეთებს აქცენტებს:

> მამაო ზევსო, თუ სულ ყველაფერს აღასრულებს, რაც მითხრა

[434] τοῖος ἐὼν οἷός ἐσσι, τά τε φρονέων ἅ τ' ἐγώ περ,
παῖδά τ' ἐμὴν ἐχέμεν καὶ ἐμὸς Γαμβρὸς καλέεσθαι
αὖθι μένων· οἶκον δέ κ' ἐγὼ καὶ κλήματα δοίην.

ალკინოოსმა: დაე, ჰქონდეს მას პურით სავსე მიწაზე
ჩაუქრობელი დიდება. მე კი [ოდესმე] სამშობლოში მივაღწიო.[435]
ოდ. VII, 331-33.

მიუხედავად ამისა, ნავსიკაას გულში ოდისევსმა მაინც წარუშლელი კვალი დატოვა. იგი სვეტზე მიყრდნობილი გაოცებული შეჰყურებდა განბანვის შემდეგ შემოსილ ოდისევსს და ბოლოს მხოლოდ ამას სთხოვდა:

იხარე, უცხოვ, მაგრამ სამშობლოში ნურასდროს დაივინყებ,
და გამიხსენე მე, რომელმაც სიცოცხლე შეგინარჩუნე.
ოდ. VIII, 461-62.[436]

აქ ოდისევსი ქალწულს აძლევს მასთან ურთიერთობების გაგრძელების თვალსაზრისით უიმედო, თუმცა დიპლომატიური კუთხით იდეალურ პასუხს:

ნავსიკაა, დიდებული მეფის ალკინოოსის ასულო,
ახლა რომ ზევსმა ინებოს, ძლიერ მგვრგვინავმა ჰერას ქმარმა,
რომ შინ დავბრუნდე და დაბრუნების დღე ვიხილო:
იქ მუდამ შენზე ვილოცებ, როგორც ღმერთზე
ყოველ დღე: შენ ხომ მე სიცოცხლე შემინარჩუნე, ქალწულო.[437]
ოდ. VIII, 463-68.

როგორც ვხედავთ, აქ ოდისევსი სურვილის დონეზეც კი არ ეხება ნავსიკაასთან ქორწინების თემას. მის სიტყვაში ისევ მთავარ თემას სამშობლოში დაბრუნება წარმოადგენს, თუმცა მად-

---

[435] Ζεῦ πάτερ, αἴθ' ὅσα εἶπε τελευτήσειεν ἅπαντα
'Αλκίνοος: τοῦ μέν κεν ἐπὶ ζείδωρον ἄρουραν
ἄσβεστον κλέος εἴη. ἐγὼ δέ κε πατρίδ' ἱκοίμην.

[436] χαῖρε, ξεῖν', ἵνα καί ποτ' ἐὼν ἐν πατρίδι γαίῃ
μνήσῃ ἐμεῦ, ὅτι μοι πρώτῃ ζωάγρι' ὀφέλλεις.

[437] Ναυσικάα θύγατερ μεγαλήτορος 'Αλκινόοιο,
οὕτω νῦν Ζεὺς θείη, ἐρίγδουπος πόσις Ἥρης,
οἴκαδέ τ' ἐλθέμεναι καὶ νόστιμον ἦμαρ ἰδέσθαι·
τῷ κέν τοι καὶ κεῖθι θεῷ ὣς εὐχετοώμην
αἰεὶ ἤματα πάντα: σὺ γαρ μ' ἐβιώσαο, κούρη.

ლიერებას არ კარგავს და საკმაოდ ემოციური სიტყვით მიმართავს მეფის ასულს.[438]

თუკი ნავსიკაას შემთხვევაში ოდისევსის სიტყვების ადრესატი გათხოვებაზე მეოცნებე ქალწული იყო, ფეაკების სასახლეში მას სჭირდებოდა მთელი თავისი დიპლომატიური ნიჭის გამოვლენა, რათა ამ მართლაც ნანატრი ქვეყნის მკვიდრთა კეთილგანწყობა გამოეწვია. ოდისევსი არა მარტო ფეაკთა მეფისა და დედოფლის, არამედ იქაური საზოგადოების წინაშეც წარსდგა, რომელიც ერთ-ერთი საყურადღებო სცენაა პოემაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეაკების ქვეყნის მთელი ეპიზოდი, რომელიც VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII სიმღერებს მოიცავს, 2 ნაწილისაგან შედგება: 1) რაც რეალურ მოქმედებას გადმოსცემს; 2) რასაც ოდისევსი ყვება თავისი მრავალწლიანი ხეტიალის შესახებ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მისი მეტყველების ტონალობა განსხვავებულია იმის მიხედვით, ოდისევსი რეალური მოქმედების პერსონაჟად გვევლინება, თუ თავისივე მონათხრობის ცალკეული სცენების მოქმედ პირად. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ოდისევსის ე. წ. „დიპლომატიური მნიშვნელობის“ მქონე სიტყვებზე ვმსჯელობთ, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ იმ სიტყვებს, რომლებიც რეალურ მოქმედებასთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაშიც საყურადღებოა, რომ ოდისევსის ადრესატი, ერთი მხრივ, ფეაკთა მმართველები ალკინოოსი და არეტე არიან, ხოლო მეორე მხრივ, თავად ფეაკთა საზოგადოების წარმომადგენლები. იმისათვის, რომ ოდისევსის სიტყვების პათოსში უკეთ გაერკვეთ, უნდა აღვნიშნოთ, თუ რა ტიპის ქვეყანაში აღმოჩნდა იგი. ჰომეროსის ეპოსში საკმაოდ საინტერესოდ არის კლასიფიცირებული ქვეყნები განვითარებისა თუ ცივილიზაციის ხარისხის მიხედვით. რა არის ფეაკთა ქვეყნისათვის გამორჩეულად დამახასიათებელი?[439] ბუნებით აღწერილი სიუხვე და მმართველობის საკმაოდ დემოკრატიული ფორმა, სადაც მეფესა და დედოფალს საკმაოდ თანაბა-

---

[438] როცა ოდისევსის დიპლომატიურობის შესახებ ვმსჯელობთ, აგრეთვე აღსანიშნავია „ოდისეას“ XIX სიმღერაში (107-22) მისი სიტყვა პენელოპეს მიმართ.

[439] უგულავა 2010.

რი უფლებები აქვთ. აქ არ არის გამოკვეთილი პატრიარქატი და გვიჩვენებს მეფესა და დედოფალს შორის თითქმის თანაბარუფლებიანობას. მეორე მხრივ, მთელი საზოგადოება ჩართულია როგორც ლხინში, ასევე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. რაც მთავარია, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებას, ფეაკების დემოსსა და მათ მმართველებს შორის, ფაქტობრივად, დისტანცია არ არსებობს. აქ შექმნილ სიტუაციას ოდისევსი ათენასა და ნავსიკაას წყალობით უკვე სასახლეში მისვლისთანავე უღებს ალღოს. არც ის არის გასაკვირი, რომ სასახლეში მისვლისთანავე პირველად იგი დედოფალს, არეტეს მიმართავს სიტყვით. მისი პირველი სიტყვა არის მთლიანად მავედრებლის ანუ ἱκέτης-ის პათოსით გაჟღენთილი.[440] მართალია, ამას ოდისევსი არ ამბობს, მაგრამ პოემის მსმენელმა თუ მკითხველმა იცის, რომ მას თავად ზევსი მფარველობს. შესაბამისად, ოდისევსი თავის პირველსავე სიტყვაში მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის დამახასიათებელი ფრაზების წარმოთქმის შემდეგ პირდაპირ ამბობს თავის ძირითად სათქმელს, თხოვნას – უშველონ და დააბრუნონ ტანჯული კაცი სამშობლოში. ეფექტის გასაძლიერებლად იგი ცეცხლის პირას ჩაჯდება ნაცარში, რაც მისი უბედურების ვიზუალურ გამოხატულებას მეტ დამაჯერებლობას სძენს. ოდისევსის საქციელი საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდება იქ მყოფთათვის. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდება. მაშინ ფეაკთა შორის უხუცესი ეხენეოსი მეფეს სთხოვს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე მავედრებელ სტუმარს თავისი ღირსეული ადგილი მიუჩინოს. ალკინოოსი იღებს ამ რჩევას, რაშიც ღვთიურ ჩარევასაც მიუძღვის თავისი წვლილი (VII, 167). ფეაკები საკმაოდ დიდი სტუმართმოყვარეობით მიიღებენ მავედრებელს. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ „ოფიციალურ“ სიტყვას მეფე ალკინოოსი წარმოთქვამს და მის სიტყვაში საკმაოდ ბუნებრივად ისმის კითხვა, ვინ არის მათთან მისული სტუმარი – უბედურებაში ჩავარდნილი ჩვეულებრივი მოკვდავი თუ ღმერთი „ცით მოვლენილი“. ოდისევსის პასუხი საკმაოდ ფრთხილია. იგი ჯერ კიდევ არ აკონ-

[440] ἱκέτης-ის სტატუსის შესახებ იხ. ΠΓΘ 1978, 148 შმდ.

კრეტებს თავის ვინაობას. თუმცა იმისათვის, რომ სტუმარმა თავისი პასუხით თავიც შეაბრალოს ფეაკებს და კეთილგანწყობაც მოიპოვოს, 3 მომენტია მის სიტყვაში წამოწეული: 1) ოდისევსი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ იგი ღმერთია; 2) იგი არ მალავს, რომ შიმშილის გრძნობა აწუხებს და ბოდიშს იხდის მათ წინაშე, რომ ამის გამჟღავნება უწევს; 3) ოდისევსი საკმაოდ მძაფრად გამოხატავს სურვილს, დაეხმარონ, დაბრუნდეს სამშობლოში. სტუმართმოყვარე ფეაკები მას დაუყოვნებლივ იწვევენ სუფრასთან და აქედან იწყება ოდისევსის თანდათანობით „გახსნის" თუ „ნიღბის" ჩამოხსნის პროცესი. არეტე, რომელიც თვალს მოჰკრავს იმ პერანგს, რომელიც ოდისევსს შეიძლებოდა მხოლოდ ფეაკებისაგან მიეღო, პირდაპირ ეკითხება, თუ ვინ შემოსა იგი. ოდისევსის პასუხი ისევ ფრთხილია. მართალია, იგი არაფერს გამოგონილს არ ეუბნება არეტეს, მაგრამ არც თავის ვინაობას ასახელებს დედოფალთან. მისი სიტყვა შედგება 57 სტრიქონისაგან (VII, 241-97). ოდისევსი ვინაობის გამჟღავნებას თავს არიდებს, ვინ არის იგი (τις). პასუხს სცემს მხოლოდ იმას, საიდან მოდის. ამ შემთხვევაში იგი აღწერს ოგიგიის კუნძულზე ნიმფა კალიფსოსთან გატარებულ 7 წელს და ხიფათიან გზას ფეაკების კუნძულამდე. სიტყვის ბოლოს კი, რაც მთავარია, უამბობს, თუ როგორ მიიღო მან ნაპირზე მყოფი ქალწულებისაგან სამოსი. საუბარში ერთვება ალკინოოსი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყვედურს გამოთქვამს თავისი ქალიშვილის მიმართ, რომელიც თავად არ შემოუძღვა ოდისევსს სასახლეში. აქ ოდისევსი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს ფეაკების მიმართ სიმპათიის აღსაძვრელად. ამ შემთხვევაშიც ახერხებს ნავსიკაას სასიძოდ ყოფნის საჩოთირო თემას ოსტატურად აუაროს გვერდი და ამასთანავე თავისი მოკლე პასუხით ალკინოოსს აგრძნობინოს, რა კეთილ საქმეს გააკეთებს მისი სამშობლოში დაბრუნებით.

ამით სრულდება ოდისევსის ფეაკიაში ყოფნის პირველი დღე. მას მოსვენების საშუალებას აძლევენ. შემდეგი დღე უკვე გვთავაზობს ფეაკების ყოველდღიური ლხინითა და სანახაობებით აღსავსე ცხოვრების აღწერას, სადაც უნდა გამომჟღავნდეს სტუმრის შესაძლებლობებისა და ხასიათის თავისებურებები.

სერიოზული გამოცდის წინაშე დგება ოდისევსი, როდესაც ფეაკების სასახლეში ღვთაებრივ მგოსანს, დემოდოკოსს მოიყვანენ. მან პირველად შეასრულა სიმღერა აქილევსისა და ოდისევსის დავის შესახებ, რამაც ოდისევსი სერიოზულად შეძრა. თუმცა ძალიან შეეცადა გმირი (წითელი საბურველი მოიხვია სახეზე), დაემალა თავისი ცრემლები ტროას მოვლენების გახსენებისას. ვერც ვერავინ შეატყობს ოდისევსს აღელვებას, ალკინოოსის გარდა. აქ კი მეფე გამოიჩენს საშურ ტაქტს. იგი ბრმა მგოსანს შეაჩერებინებს სიმღერას და შეკრებილთ დროის გატარების სხვა მიმართულებას სთავაზობს. ალკინოოსი სტუმრის პატივსაცემად და იმ მოტივით, რომ ეჩვენებინათ უცხოსთვის, როგორ აღემატებიან ფეაკები ვაჟკაცობით სხვებს, სპორტული შეჯიბრების მოწყობას ბრძანებს. საასპარეზო ველზე ფეაკები სირბილში, ჭიდილში, ხტომაში, ბადროს სტყორცნასა და კრივში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ბოლოს ოდისევსსაც დაჟინებით მოსთხოვენ შეჯიბრებაში ჩართვას. იგი კიდევ ერთ-ერთი გამოცდის წინაშე დგება. ოდისევსი ჯერ საკმაოდ თავშეკავებულად ცდილობს თავი აარიდოს მონაწილეობის მიღებას ამა თუ იმ სპორტულ ასპარეზობაში (*ოდ.* VIII, 153-56). თუმცა, როდესაც ფეაკი ახალგაზრდების ქცევა და სიტყვები ზღვარს გადავა, ოდისევსი კარგავს მოთმინებას. მისი სიტყვები (VIII, 165-85) ძალიან მკაცრია. ევრილაოსს (რომელმაც მას უთხრა, რომ არ ჰგავდა ვაჟკაცს, შეჯიბრებაში გამოცდილს და ალბათ მისი ფიქრი უფრო საქონელის სარფიან მოგებაზე იყო ორიენტირებული) წინდაუხედავს უწოდებს, უწუნებს საქციელს და გონიერებას. აგრეთვე იმ კაცს ადარებს, რომელსაც ღმერთმა გარეგნობა მისცა, თუმცა ჭკუა-გონება არ მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ოდისევსმა მრავალი ომი, ტანჯვა და ზღვაზე ხეტიალი გამოიარა, კიდევ შესწევდა ძალა მისნაირებს გამკლავებოდა. იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ თანახმაა, ჩაერთოს შეჯიბრებაში (πειρήσομ᾽ ἀέθλων). ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: ამ სიტყვით გავიდა თუ არა ოდისევსი მისთვის ჩვეული დიპლომატიის საზღვრებიდან? შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, მან დაარღვია ის ნორმები, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა გმირებისაგან. მან ვერ შეინარჩუნა მოულოდნელად შექმნილ

ვითარებაში სიმშვიდე და ზომიერება, იყო საკმაოდ პირდაპირი და ხისტი. თუმცა მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ ამ პასუხით მან დაანახა მასპინძელ ახალგაზრდებს თავისი ვაჟკაცური ბუნება. აგრეთვე ის, რომ სადაც საჭიროა სტუმარს შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს, ვინც მის პროვოცირებას შეეცდება. წარმატებული ბადროს სტყორცნისა და ათენას გამხნევების შემდეგ (σὺ δὲ θάρσει τόνδε γ' ἄεθλον - „გამხნევდი, შენ სძლიე ყველას"... *ოდ.* VIII, 197) ოდისევსი უკვე გადადის მასთან მოქიშპე ჭაბუკებთან აშკარა სიტყვიერ შეტევაზე და იგი სხვა სახეობებშიც სთავაზობს შეჯიბრს. ამით გმირი კიდევ უფრო აახლოებს ფეაკებს თავისი ჭეშმარიტი ვინაობის გამჟღავნებასთან. ოდისევსი აღნიშნავს, რომ აქაველთა შორის ცოტა თუ ჰყავდა მას მეტოქე (აქაველთა შორის მხოლოდ ფილოქტეტესი ჯობნიდა ისრის სროლაში), ხოლო მისი ერთგვარი გარეგნული „სისუსტე" ხომალდებზე ხანგრძლივ ყოფნას მიეწერება. თავისი სიტყვის ბოლოს მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ შესაძლოა სირბილში ვერ აჯობოს ფეაკებს, რითაც თავისი თავის ადეკვატურად შეფასების უნარს უსვამს ხაზს. ის, რომ ოდისევსი ჯერ კიდევ ფრთხილობს თავისი ვინაობის გამხელას, კარგად იგრძნო ფეაკთა მეფემ. იგი აღიარებს იმას, რომ ათლეტობა არ არის ფეაკების უპირატესობა სხვათა წინაშე. მათ სხვა სფეროებშიც არ ჰყავთ ბადალი. მართლაც, ამ ეპიზოდში ოდისევსი გაოცდება ფეაკთა ოსტატური ცეკვით. ალკინოოსს ეტყვის, რომ მსგავსი როკვა არსად უნახავს, რაც ძლიერ ეამება მეფეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალკინოოსი იმდენად აღფრთოვანდება ოდისევსის საქციელით, რომ ფეაკებს უბრძანებს სტუმრის უხვად დასაჩუქრებას, ხოლო ევრილაოსს მოსთხოვს უკადრისი სიტყვის გამო მისთვის ბოდიშის მოხდას. აშკარაა, რომ ოდისევსმა მოახერხა როგორც თავისი ვაჟკაცობის წარმოჩენა ფეაკთა საზოგადოების წინაშე, ასევე მეფის ნდობისა და პატივისცემის მოპოვება ისე, რომ მას ნამდვილი ვინაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამჟღავნებული.

თუმცა ამ ეპიზოდში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ოდისევსზე დატოვა დემოდოკოსმა, რომლის უბადლო სიმღერამ მას წარმოათქმევინა პოეზიის სადიდებელი შესანიშნავი სიტყვა.

მან, ფაქტობრივად, დემიურგოსების რანჟირებაში პოეტს პირველი ადგილი მიაკუთვნა.[441] ეს დემოდოკოსისათვის სტიმული გახდა, რომ ტროასთან დაკავშირებული ამბები კიდევ ეამბნა იქ მყოფთათვის. ალკინოოსმა კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა დემოდოკოსს და სტუმარს კიდევ ერთხელ სთხოვა, გაემჟღავნებინა თავისი ნამდვილი ვინაობა. და აი, აქ ოდისევსი მას შემდეგ, რაც სავსებით დარწმუნდა, რომ ფეაკების სახით მას კეთილის მსურველები და რეალური დამხმარენი ჰყავდა თავისი სანუკვარი მიზნის ასრულებაში, გაამხილა ჭეშმარიტი ვინაობა (IX, 19). ფაქტობრივად, ამ სცენიდან წერტილი დაესვა ოდისევსის მთელ დიპლომატიურ სიფრთხილეს, რასაც აქამდე იჩენდა უცხო ქვეყანაში აღმოჩენილი გმირი. მან ჩამოიხსნა თავისი „ნიღაბი" და აღიარა, რომ მზად იყო მეგობარი ფეაკებისათვის სრულად მოეყოლა ხანგრძლივი ხეტიალის ამბები.

